TOP თრილერი

დაკარგული პატარძალი

მერი ჰიგინს კლარკი

ალაფეა ბერკი

მერი ჰიგინს კლარკი

ალაფეა ბერკი

დაკარგული პატარძალი

პროლოგი

ხუთშაბათი საღამო იყო, შუა აპრილი. პალმ-ბიჩში, სასტუმრო „გრანდ-ვიქტორიაში“, მომავალი პატარძალი, ამანდა პირსი, დიდი ხნის მეგობარ ქეითის დახმარებით საქორწილო კაბას ისინჯავდა.

- ღმერთმა ქნას, მომერგოს, - თქვა მან, მაგრამ ზუსტად ამ დროს ელვაშესაკრავი, ბოლოს და ბოლოს, გასცდა იმ საშიშ ადგილს, წელს ზემოთ.

- ვერ ვიჯერებ, ნეტავ მართლა თუ დარდობდი, არ მომერგებაო, - უთხრა ქეითმა გულსგარეთ.

- ჰო, წონაში შარშანდელი დაკლების შემდეგ მეშინოდა, იმდენი არ მოვიმატო, რომ ელვაშესაკრავი წელთან გაიჭედოს-- მეთქი. ჯობს, ახლა გამეგო, ვიდრე შაბათს. თორემ ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავცვივდებით, ჯვრისწერის წინ ელვაშესაკრავის ჯაჯგურმა რომ მოგვიწიოს?

- ასე არ იქნება, - დაასკვნა ქეითმა კატეგორიულად, - არ ვიცი, ამაზე ასე ძალიან რატომ ნერვიულობდი. ჩაიხედე სარკეში. მშვენიერი ხარ.

ამანდა თავის გამოსახულებას მიაშტერდა.

- ლამაზია, არა? - გაახსენდა, როგორ გაისინჯა ასზე მეტი კაბა, როგორ ათვალიერებდა მანჰეტენის საუკეთესო საქორწილო სამოსის მაღაზიებს, სანამ ბრუკლინ-ჰაიტსში, ერთ ციცქნა მაღაზიაში, არ აღმოაჩინა სწორედ ეს - მოთეთრო აბრეშუმის კაბა ამპირის სტილში... ხელნაკეთი მაქმანებით დამშვენებული გულისპირი - ამ კაბაში ყველაფერი იყო, რაზეც ოცნებობდა. ორ-

მოცდასამ საათში სწორედ ამ კაბით მივიდოდა საკურთხეველთან.

- ულამაზესია, - განაცხადა ქეითმა, - და რატომღა ხარ ასე სევდიანი?

ამანდამ ისევ შეხედა სარკეს. ქერა თმა, გულის ფორმის სახე, ფართო, ლურჯი თვალები, გრძელი წამწამები და ჟოლოსფერი ტუჩები. იცოდა, რომ განგებამ კარგი გარეგნობით დააჯილდოვა, მაგრამ ქეითი მართალი იყო, გულზე სევდა შემოსწოლოდა. არა, უფრო შფოთავდა. თავს შეახსენა, რომ კაბა შესანიშნავად მოერგო. ეს კარგი ნიშანი უნდა იყოს, არა? თავს ძალა დაატანა, რომ გაეღიმა.

- იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ რამდენი უნდა ვჭამო დღეს, კაბა შაბათს რომ ჩამეტიოს-მეთქი.

ქეითმა გაიცინა და თავის ოდნავ მომრგვალებულ მუცელს ხელი მოუთათუნა.

- ჩემთან მაინც ნუ ამბობ მაგას. სერიოზულად გეკითხები, ამანდა, კარგად ხარ? ისევ ხომ არ ფიქრობ იმაზე, გუშინ რომ ვილაპარაკეთ?

ამანდამ ხელი გააქნია.

- არანაირი ეჭვი, - უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ ცრუობდა, - ახლა კი დამეხმარე აქედან ამოსვლაში. სხვები, ალბათ, უკვე მზად არიან სასადილოდ.

ათი წუთის შემდეგ თავის საძინებელში მარტო დარჩენილმა, ცისფერ ტილოს კაბაში გამოწყობილმა ამანდამ საყურე გაიკეთა და უკანასკნელად გახედა საწოლზე დაფენილ საქორწილო კაბას. უცებ საყელოს ქვედა მაქმანზე მაკიაჟის ლაქა შეამჩნია. როგორ ფრთხილობდა, მაგრამ მკრთალი ლაქა მაინც დასტყობოდა კაბას. იცოდა, რომ ადვილად ამოიყვანდნენ, მაგრამ იქნებ ეს ის ნიშანი იყო, რომელსაც ასე ელოდებოდა?

ბოლო ორი დღე, ქორწილის წინ, გარიყულივით დადიოდა. მიზეზებს ეძებდა თავის დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. ლაქას მიშტერებულმა ფიცი დადო, არა საქმროს, არამედ საკუთარი თავის წინაშე: ამქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოვდივართ, ამიტომ აუცილებლად ბედნიერი ვიქნები... თუკი მცირედი ეჭვი მაინც დამრჩება, შაბათს არ გავთხოვდები...

...და ამას ძალიან მალე გავიგებ.

იმ მომენტში სავსებით თავდაჯერებული იყო. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ მეორე დილას უკვალოდ გაქრებოდა.

1

ლორი მორენი უსმენდა, როგორ ვარჯიშობდა მის წინ მდგარი თინეიჯერი გოგონა სკოლაში ნასწავლ ფრანგულში. „ბუშონის“, ფრანგული საცხობის რიგში იდგა, რომელიც როკფელერის ცენტრში მდებარე მისი ოფისის კუთხეში ახლახან გაეხსნათ.

- მე უნდა ერთი შოკოლადის ორცხობილი. იყოს ორი.

მოლარე მოთმინებით იღიმებოდა, სანამ ახალგაზრდა ქალბატონი შემდეგ თხოვნას მოაბამდა თავს. აშკარად მიჩვეული იყო მომხმარებელთა ჯახირს, ფრანგულში თავი გამოეჩინათ, მიუხედავად იმისა, რომ საცხობი შუაგულ ნიუ-იორკში მდებარეობდა.

ლორის კი სულაც არ სურდა ამხელა მოთმინების გამოჩენა. მოგვიანებით უფროსთან, ბრეტ იანგთან ჰქონდა შეხვედრა, მას კი ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რომელი ამბისთვის მოეკიდა ხელი შოუში გასაშუქებლად. ამიტომ ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა მოსამზადებლად.

უკანასკნელი „მარესის“[1] შემდეგ, გოგონა საკონდიტრო ნაწარმით ხელში გზას გაუყვა.

შემდეგი ლორი იყო.

- მე შევუკვეთ... anglais, s’il vous plaît.[2]

- Merci,[3]- უპასუხა ქალმა გულმხურვალედ.

---

[1] გოგონა დამტვრეული ფრანგულის გამო არასწორად გამოთქვამს სიტყვას „გმადლობთ“.

[2] (ფრანგ.) ინგლისურად, თუ შეიძლება.

[3] (ფრანგ.) გმადლობთ.),

ტრადიციად ექცა, რომ პარასკეობით საცხობთან გაევლო და თანამშრომლებისთვის, ასისტენტ გრეის გარსიასა და ასოცირებული პროდიუსერის, ჯერი კლეინისთვის ტკბილეული წაეღო. ტარტები, კრუასანები და სხვა ფუნთუშეული ორივეს ძალიან ახარებდა. როდესაც შეუკვეთა, მოლარემ ჰკითხა, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთო. მაკარუნებისკენ გაექცა თვალი. თავის თავს დაჰპირდა, რომ მამამისსა და ტიმის წაუღებდა ნასადილევს და თუ ბრეტთან შეხვედრა კარგად ჩაივლიდა, თავსაც დაისაჩუქრებდა.

როკფელერის ცენტრის მეთხუთმეტე შენობის[4] მეთექვსმეტე სართულზე ლიფტიდან რომ გამოაბიჯა, მიხვდა, როგორ ასახავდა ფიშერ ბლეიკის სტუდიის ოფისები მის შარშანდელ წარმატებულ სამუშაოს. ადრე პატარა, უფანჯრო ოფისში მუშაობდა და ორ სხვა პროდიუსერთან იყოფდა ასისტენტს, მაგრამ რადგან ნამდვილ კრიმინალზე დაფუძნებული „ახალი ამბების გამოშვება“ შექმნა, სადაც მძიმე დანაშაულებს განიხილავდნენ, ლორი კარიერული წინსვლის მაგალითად იქცა. ახლა ფანჯრების გრძელ რიგს შეჰყურებდა პრიალა, თანამედროვე ავეჯით გაწყობილ ფართო ოფისში. ჯერი ასოცირებულ პროდიუსერად დააწინაურეს და მეზობელ ოთახში პატარა ოფისი დაუთმეს, გრეისი კი უამრავ საქმეს დიდი, ღია სივრციდან უძღვებოდა. ახლა სამივენი სრული განაკვეთით მუშაობდნენ თავიანთ შოუზე „ეჭვქვეშ“ და თავისუფალი იყვნენ სხვა უღიმღამო ახალი ამბების პროგრამებისგან.

გრეისი ახლახან გახდა ოცდაშვიდი წლის, მაგრამ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ლორის არაერთხელ მოსძალებია ცდუნება, გრეისისთვის ეთქვა, რომ სულაც არ იყო სა-

---

[4] როკფელერის ცენტრი ცხრამეტი შენობისგან შედგება.

ჭირო ყოველდღიურად ჭარბი მაკიაჟი, მაგრამ გრეისი უპირატესობას აშკარად ლორის კლასიკური გემოვნებისგან სრულიად განსხვავებულ სტილს ანიჭებდა. დღეს ფერადი აბრეშუმის მოდური ტუნიკა, საოცრად ვიწრო ლეგინსები და ხუთინჩიანპლატფორმიანი[5] ჩექმა ეცვა. გრძელი, შავი თმა „ვოცნებობ ჯინიზე“[6] სტილში შეეკრა და იდეალურ შადრევნად გაფურჩქნოდა.

ჩვეულებრივ, გრეისი ნამცხვრების პარკს მივარდებოდა ხოლმე, მაგრამ დღეს ასე არ მოქცეულა.

- ლორი, - დაიწყო ნელა.

- რამე მოხდა, გრეის? - ლორი კარგად იცნობდა თავის ასისტენტს და ხვდებოდა, როდის იყო განაწყენებული.

ის იყო, გრეისს რაღაც უნდა აეხსნა, რომ თავისი ოფისიდან ჯერი გამოვიდა. მის გრძელ, აწოწილ ფიგურასა და ცამდე ასულ მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილ გრეისს შორის მდგარ ლორის თავი ჯუჯა ეგონა, მიუხედავად იმისა, რომ მოხდენილი სხეული ჰქონდა და ხუთი ფუტი[7] და შვიდი ინჩი იყო.

ჯერიმ ხელები ასწია.

- შენს ოფისში ვიღაც ქალი იცდის. უეცრად მოგვადგა. გრეისს ვუთხარი, სხვა დროს დაუნიშნე შეხვედრა-მეთქი... ყოველი შემთხვევისთვის, იცოდე, რომ მე არაფერ შუაში ვარ.

---

[5] სიგრძის საზომი ერთეული, 1 ინჩი = 2.54 სანტიმეტრი.

[6] ამერიკული სიტკომი.

[7] სიგრძის საზომი ერთეული, 1 ფუტი = 30.48 სანტიმეტრი.

2

სანდრა პირსი ლორი მორენის ოფისის ფანჯრიდან იყურებოდა. თექვსმეტი სართულით დაბლა როკფელერის ცენტრის ცნობილი საციგურაო მოედანი იყო. ყოველ შემთხვევაში, სანდრა სულ ამას ხედავდა, ახლაც კი, შუა ივლისში, როდესაც გლუვი ყინული და მოსრიალე მოციგურავეები დროებით საზაფხულო ბაღსა და რესტორანს ჩაენაცვლებინა.

გაიხსენა, როგორ სრიალებდნენ მისი შვილები ხელიხელჩაკიდებულები ოცი წლის წინ. ერთ მხარეს ყველაზე უფროსი, შარლოტი იდგა, მეორე მხარეს - მისი პატარა ძმა, ჰენრი, შუაში კი მათი პატარა დაიკო, ამანდა. დედმამიშვილებს ისე მაგრად ჩაეჭიდათ მისთვის ხელი, რომ ყინულზე ფეხიც რომ ასრიალებოდა, მაინც უსაფრთხოდ იქნებოდა.

სანდრამ ამოიოხრა, ფანჯარას მოშორდა და გადაწყვიტა, სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება, სანამ იცდიდა. ოფისის მოწესრიგებულობამ გააოცა. ტელევიზიის სტუდიაში არასდროს ყოფილა, მაგრამ უზარმაზარი ოთახი და რიგებად ჩამწკრივებული მაგიდები წარმოედგინა, ახალი ამბების დროს უკან რომ ჩანს ხოლმე. მაგრამ მისი წარმოდგენისგან განსხვავებით, ლორი მორენის ოფისი პრიალა, მაგრამ კომფორტულ მისაღებ ოთახს ჰგავდა.

სანდრამ ლორის მაგიდაზე ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი შენიშნა. რადგანაც ოფისის კარი კვლავაც დაკეტილი იყო, ხელში აიღო და დააკვირდა. ლორი და მისი ქმარი, გრეგი, სანაპიროზე იყვნენ. ივარაუდა, რომ მათ წინ მდგარი პატარა ბიჭი მათი შვილი იქნებოდა. სანდრა ამ ოჯახს პირადად არ იცნობდა, მაგრამ ინტერნეტში ლორის ფოტოებიც ჰქონდა ნანახი და გრეგისაც. სანდრას ცნობისმოყვარეობა გადაცემამ „ეჭვქვეშ“ ჯერ კი-

დევ მაშინ გააღვიძა, როდესაც პირველად გავიდა ეთერში. მაგრამ, როცა პროდიუსერის ცხოვრებაში არსებულ გაუხსნელ დანაშაულზე სტატია წაიკითხა, მიხვდა, რომ ლორი მორენი აუცილებლად პირადად უნდა გაეცნო.

მაშინვე დამნაშავედ იგრძნო თავი ლორის პირად სივრცეში შემოჭრისთვის. თვითონ სულაც არ ენდომებოდა, რომ ვიღაც უცნობს მისი, უოლტერისა და ამანდას ფოტოსურათი ენახა. სანდრა შეკრთა, როდესაც გაიაზრა, რომ ყოფილი ქმარი და უმცროსი ქალიშვილი ერთად ბოლოს ხუთ წელიწად-ნახევრის წინ ნახა - უკანასკნელ შობას ამანდას ქორწილამდე. უფრო სწორად, იმ მოვლენამდე, რაც ამანდას ქორწილი უნდა ყოფილიყო.

„ნეტავ ოდესმე შევეგუები იმ აზრს, რომ უოლტერი ჩემი ყოფილი ქმარია?“ - ფიქრობდა ქალი. უოლტერი ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გაიცნო, სწავლის პირველივე წელს. მამამისის სამხედრო კარიერის გადამკიდეს მთელ მსოფლიოში უცხოვრია, მაგრამ სამხრეთში არასოდეს. იქაურობასთან შეგუება ძალიან გაუჭირდა. თითქოს იქ გაზრდილი სტუდენტები რაღაც დაუწერელი, მისთვის გაუგებარი კოდის მიხედვით ცხოვრობდნენ. ოთახის მეგობარმა სეზონის პირველ ფეხბურთის მატჩზე წაიყვანა, თანაც დაჰპირდა, რომ როგორც კი „კუპრის ქუსლებს“[8] იმღერებდა, მაშინვე ჭეშმარიტი ჩრდილოკაროლინელი გახდებოდა. ოთახის მეგობრის ძმამ მეგობარი გამოიყოლა, სოფომორი.[9] უოლტერი ერქვა და იქაური იყო. სანდრასთან

---

[8] ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის, მისი სპორტული გუნდებისა და სტუდენტების მეტსახელი.

[9] უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში არის ოთხწლიანი სწავლა. თითოეული კურსის სტუდენტს აქვს საკუთარი დასახელება. პირველკურსელებს ჰქვიათ ფრეშმენები, შემდეგ სოფომორები, ჯუნიორები და სინიორები.

ლაპარაკში უფრო დიდი დრო გაატარა, ვიდრე თამაშის ყურებაში. როდესაც თამაშის უკანასკნელ მეოთხედში ერთად იმღერეს „მე დავიბადე კუპრის ქუსლებით, კუპრისქუსლებიანის მოდგმისა ვარ და როცა მოვკვდები, კუპრისქუსლიანი ცხედარი ვიქნები“ - სანდრამ იფიქრა, მგონი, გავიცანი კაცი, რომელზეც დავქორწინდებიო. მართალიც აღმოჩნდა. მას შემდეგ ერთად იყვნენ. სამი შვილი როლიში გაზარდეს, ნახევარი საათის სავალ გზაზე იმ სტადიონიდან, სადაც ერთმანეთი გაიცნეს.

გაიხსენა, განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს თითქმის ოცდათხუთმეტწლიანი ქორწინების პირველი ოცდათორმეტი წელი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სანდრა უოლტერის ოჯახის კომპანიაში არ მუშაობდა, ყოველთვის აძლევდა რჩევებს ახალი პროდუქციის, სარეკლამო კამპანიისა და პერსონალის შესახებ. კაცთან შედარებით, ქალს უფრო ეხერხებოდა ადამიანების ემოციებისა და მოტივაციების ჰარმონიულად შეთავსება. სამაგიეროდ, უოლტერი ყოველთვის ეხმარებოდა მას ეკლესიის, სკოლისა თუ საზოგადოებრივი პროექტების განხილვაში. კინაღამ გაეღიმა კიდეც, როდესაც გაახსენდა, როგორ ნომრავდა მისი დიდი დათუნია უოლტერი ასობით პაწაწინა რეზინის იხვს ყოველწლიური იხვების შეჯიბრებისთვის, რომელიც ოლდ-ბულრივერზე იმართებოდა. გროვაში ახალი იხვის დამატებისას მის ნომერს ხმამაღლა ამბობდა.

უოლტერი ეუბნებოდა ხოლმე, ყველაფერში პარტნიორები ვართო. რა თქმა უნდა, ახლა ხვდებოდა, რომ ეს მთლად სიმართლე არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა, უოლტერს მამობა არ გამოსდიოდა. კონცერტებსა და ბეისბოლის თამაშებს ესწრებოდა, მაგრამ ბავშვებიც კი ამჩნევდნენ, რომ გონებით სხვაგან იყო. როგორც წესი, სამსახურზე ფიქრობდა - ახალ პროდუქციაზე, საწარმოს ნაკლის გამოსწორებაზე, მოვაჭრეებ-

ზე, რომლებიც უფრო დიდ ფასდაკლებებს ითხოვდნენ. უოლტერისთვის კარგი მამობა ბიზნესზე ზრუნვას, მემკვიდრეობის დატოვებასა და ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფას ნიშნავდა. ამიტომ სანდრას უწევდა იმ ემოციური ბზარის ამოვსება, რომელიც კაცსა და მათ სამ შვილს შორის იყო.

მერე კი, ორი წლის წინ, გადაწყვეტილება მიიღო. იცოდა, რომ ვეღარ აიტანდა უოლტერის უკიდურეს დისკომფორტს ამანდას სახელის ხსენებისას. „დარდის განსხვავებული გზები გვქონდა, - ფიქრობდა ქალი, - ამხელა მწუხარება ერთი სახლისთვის მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა“.

საყელოზე დამაგრებული სტიკერი გაასწორა, ამანდას „კვლავ იძებნება“ სტიკერი. ვეღარც კი თვლიდა, რამდენი დაბეჭდა ამ წლების განმავლობაში. ოჰ, როგორ სძულდა უოლტერს ეს სტიკერები, მთელ სახლში რომ ეწყო ყუთებით.

- ვერ ვიტან მათ ყურებას, - იტყოდა, - საკუთარ სახლშიც ერთი წუთითაც ვერ ვიშორებ იმაზე ფიქრს, რა შეიძლებოდა დამართოდა ამანდას.

რა, მართლა ფიქრობდა, რომ ამანდას ძებნას შეწყვეტდა? შეუძლებელია. სანდრა თავისი მისიის ერთგული დარჩა, უოლტერი კი ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. ისინი უკვე აღარ იყვნენ პარტნიორები.

ასე რომ, ახლა უოლტერი მისი „ყოფილი ქმარი“ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ჯერ კიდევ ეუცნაურებოდა. უკვე თითქმის ორი წელი იყო, რაც სიეტლში ცხოვრობდა. აქ გადმოვიდა, რათა ჰენრისა და მის ოჯახთან უფრო ახლოს ყოფილიყო. დედოფალ ენის გორაზე, ლამაზ ჰოლანდიურ სახლში ცხოვრობდა, სადაც მის შვილიშვილებს საკუთარ ოთახებში ეძინათ, როდესაც ბებოსთან რჩებოდნენ. რა თქმა უნდა, უოლტერი როლიში დარჩა. თქვა, რომ კომპანიის გამო იქ ცხოვრება მოუწევდა,

სულ მცირე, მანამ, სანამ პენსიაზე გავიდოდა, მაგრამ ქალმა იცოდა, რომ ეს არასდროს მოხდებოდა.

სანდრას ოფისის გარედან ხმაური შემოესმა და სწრაფად გადაჯდა გრძელ, თეთრი ტყავის დივანზე, ფანჯრებთან. გთხოვ, ლორი მორენ, გთხოვ, იყავი ის, ვისთვისაც ვლოცულობ.

3

როდესაც ლორი ოფისში შევიდა, ქალი, რომელიც მას ელოდებოდა, მაშინვე წამოდგა სავარძლიდან და ხელი გაუწოდა.

- ქალბატონო მორენ, გმადლობთ, ჩემთან შეხვედრას რომ დათანხმდით. მე სანდრა პირსი ვარ, - ერთმანეთს მტკიცედ ჩამოართვეს ხელი და თვალებშიც პირდაპირ შეხედეს. ლორიმ შეამჩნია, რომ ქალი ნერვიულობდა. მისი საუბარი წინასწარ მომზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ლაპარაკისას ხმა უკანკალებდა.

- თქვენი ასისტენტი ძალიან კარგად მომექცა და აქ მოცდის ნება მომცა. ვწუხვარ, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. იმედია, პრობლემები არ შეექმნება. ძალიან კეთილად მომექცა.

ლორიმ ქალს ნაზად მოჰკიდა ხელი იდაყვზე.

- გრეისმა უკვე ამიხსნა, რომ აღელვებული იყავით. ყველაფერი რიგზეა?

ოფისის შეთვალიერებისას ლორიმ შეამჩნია, რომ სურათიანი ჩარჩო ოდნავ სხვა კუთხით იდგა მაგიდაზე. სხვა რამის ოდნავი ცვლილებაც კი არ შეუმჩნევია, მაგრამ სწორედ ეს ნივთი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ხუთი წლის განმავლობაში მის ოფისში არ ყოფილა ოჯახური ფოტოსურათი. არ უნდოდა, თანამშრომლებისთვის გამუდმებით შეეხსენებინა, რომ მისი ქმარი მოკლეს, საქმე კი ვერ გახსნეს. მაგრამ როგორც კი პოლიციამ გრეგის მკვლელი ამოიცნო, ეს ფოტოსურათი მაშინვე ჩარჩოში ჩასვა - უკანასკნელი, რომელიც მან, ტიმიმ და გრეგმა ერთად გადაიღეს - და მაგიდაზე დადო.

ქალმა თავი დაუქნია, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მცირე გამაღიზიანებელიც კი აატირებდა. ლორიმ

კვლავ სავარძელთან მიიყვანა, სადაც მის დამშვიდებას შეძ-ლებდა.

- მაპატიეთ, საერთოდ, ასეთი ნერვიული არა ვარ, - დაიწყო სანდრა პირსმა. ხელები მუხლებზე დაიწყო, რათა კანკალი შეეჩერებინა, - უბრალოდ, ხანდახან მგონია, რომ ვარიანტები აღარ მაქვს. ადგილობრივი პოლიცია, სახელმწიფო პოლიცია, პროკურორები, გამოძიების ფედერალური ბიურო. პირადი გა-მოძიებების სათვალავი დავკარგე. მედიუმიც კი დავიქირავე. მითხრა, რომ უახლოეს მომავალში ამანდა სამხრეთ ამერიკაში რეინკარნირდება. ეს მეთოდი აღარ მიცდია.

ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ლორის უჭირდა აზრის გა-გება, მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა სჭირდებოდა, რომ სანდრა პირსი კიდევ ერთი ადამიანი იყო, რომელიც ფიქრობდა, რომ „ეჭვქვეშ“ მის პრობლემას მოაგვარებდა. ახლა, როდესაც შოუ ჰიტი გახდა, ბოლო აღარ უჩანდა ადამიანების რიგს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რეალობაზე დაფუძნებული სატელევიზიო შოუ ყოველგვარ უსამართლობას აღმოფხვრიდა. ყოველდღე შოუს ფეისბუკ-გვერდი ივსებოდა მავანთა მწუხარების ჩახლარ-თული ამბებით, თითოეული მათგანი ამტკიცებდა, რომ მისი უფ-რო ტრაგიკული იყო, ვიდრე წინა - მოპარული მანქანები, მოღა-ლატე ქმრები, ურჩხული მეიჯარეები. ცხადია, ამ ადამიანების უმრავლესობას მართლაც სჭირდებოდა დახმარება, მაგრამ მხოლოდ ცოტა თუ იაზრებდა, რომ „ეჭვქვეშ“ იძიებდა გაუხსნელ მსხვილ საქმეებს და არა მცირე წყენებს. მაშინაც კი, როდესაც სათანადო დანაშაულის მსხვერპლები ან მათი ოჯახები უკავ-შირდებოდნენ, ლორის მათთვის უარის თქმა უწევდა. მას მხო-ლოდ განსაკუთრებული საქმეების გაშუქება შეეძლო.

- გთხოვთ, ქალბატონო პირს, არაა საჭირო აჩქარება, - თქვა ლორიმ, მიუხედავად იმისა, რომ ბრეტთან შეხვედრამდე დარჩე-ნილი წუთები გადიოდა. კართან მივიდა და გრეისს სთხოვა,

ორი ყავა შემოეტანა. გრეისზე გაბრაზდა, შემთხვევითი ადამიანი მის ოფისში რომ შემოუშვა, მაგრამ ახლა უკვე ესმოდა მისი. ამ ქალში იყო რაღაც ისეთი, რაც თანაგრძნობას იწვევდა.

როდესაც კვლავ შებრუნდა სანდრა პირსისკენ, შეამჩნია, რომ საკმაოდ მიმზიდველი ქალი იყო. გრძელი, წვრილი სახე, მხრებამდე ჩამოშლილი, ფერფლისფერი ქერა თმა და ღია ლურჯი თვალები ჰქონდა. რომ არა ვერაგი ნაოჭები ყელზე, ლორი იფიქრებდა, რომ სანდრა მასზე ბევრად უფროსი არ იყო.

- გრეისმა მითხრა, რომ სიეტლიდან ხართ, - თქვა ლორიმ.

- დიახ. ვიფიქრე, მივწერ ან დავურეკავ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ყოველდღე ასობით ადამიანისგან ისმენთ ისტორიებს. ალბათ, სიგიჟედ გეჩვენებათ მთელი ქვეყნის გადმოფრენა და აქ მოსვლა დაუპატიჟებლად და გაუფრთხილებლად, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ შანსი ხელიდან არ გამიშვია. ვფიქრობ, თქვენ ხართ ის, ვისაც ველოდებოდი - მდევარი არ გეგონოთ, თქვენს შოუს ვგულისხმობ.

ლორი უკვე ნანობდა თავის გადაწყვეტილებას, რომ ამ ქალისთვის მოესმინა. დრო სჭირდებოდა ბრეტისთვის მომზადებული პრეზენტაციის დასასრულებლად. მაინც რა ჰქონდა სანდრა პირსს ისეთი, რამაც მისი მოსმენა აიძულა? უკვე ემზადებოდა იმის ასახსნელად, რომ შეხვედრისთვის მოსამზადებლად დრო სჭირდებოდა, როცა სანდრას ქურთუკზე მიმაგრებული სტიკერი შენიშნა.

სტიკერზე ულამაზესი ახალგაზრდა ქალის სურათი იყო გამოსახული. მისი მსგავსება სანდრასთან საშიშიც კი იყო. სურათმა ლორის ისეთი გრძნობა გაუჩინა, თითქოს სადღაც უკვე ენახა ეს სახე.

- მასთან დაკავშირებით მოხვედით? - თქვა ლორიმ და სტიკერზე მიუთითა.

სანდრამ დაიხედა და თითქოს ახლაღა გაახსენდაო, ხელი ჯიბეში ჩაიყო, იგივენაირი სტიკერი ამოიღო და ლორის გადასცა.

- დიახ, ეს ჩემი ქალიშვილია. მისი ძებნა არ შემიწყვეტია.

ლორი ახლოდან რომ დააკვირდა სურათს, გოგონას ღიმილმა შორეული მოგონება გაუღვიძა. კონკრეტულად ეს ფოტოსურათი არ ენახა, მაგრამ ღიმილს ნამდვილად ცნობდა.

- თქვენი გვარი პირსია, არა? - იმედი ჰქონდა, რომ გვარის ხმამაღლა წარმოთქმა გახსენებაში დაეხმარებოდა.

- დიახ. სანდრა, ჩემი ქალიშვილი კი ამანდა პირსია. მედიამ მას „გაქცეული პატარძალი“ უწოდა.

4

გაქცეული პატარძალი. როგორც კი ეს ფრაზა გაიგონა, ლორის მაშინვე გაახსენდა საქმე. ამანდა პირსი ქერა, ლამაზი პატარძალი იყო, მალევე უნდა დაქორწინებულიყო სიმპათიურ ადვოკატზე, რომელიც კოლეჯში გაიცნო. ყველაფერი დაგეგმილი იყო მდიდრულ ადგილას, პალმ-ბიჩში, ფლორიდაში. დიდი დღის წინა დილას კი პატარძალი გაუჩინარდა.

ეს ამბავი ლორის ცხოვრების სხვა ეტაპზე რომ მომხდარიყო, ამანდა პირსის სურათს აუცილებლად მაშინვე ამოიცნობდა. ალბათ, ამანდას დედას, სანდრასაც კი იცნობდა. სხვა დროს პატარძლის ამბავი, რომელიც გაუჩინარდა, მისთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა. იცოდა, ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ამანდა ასეთმა სერიოზულმა გადაწყვეტილებამ შეაშინა და სხვაგან დაიწყო ახალი ცხოვრება, შორს მბრძანებელი ოჯახისგან ან სულაც საიდუმლო საყვარელთან ერთად. სხვებს კი სჯეროდათ, რომ სიძესა და პატარძალს გვიან ღამით ჩხუბი მოუვიდათ, რასაც ძალადობის აფეთქება მოჰყვა - „მხოლოდ დროის ამბავია, სანამ ცხედარი გამოჩნდება“.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავს, წესით, ქალის ყურადღება უნდა მიეპყრო, ლორი მის განვითარებას არ მიჰყოლია. ამანდა პირსი რამდენიმე კვირაში გაუჩინარდა, მას შემდეგ, რაც ლორის ქმარს, გრეგს, ესროლეს მათი სამი წლის ვაჟის, ტიმის თვალწინ. როდესაც ამანდას სახეს მთელ ქვეყანაში აჩვენებდნენ, ლორი სამსახურშიც კი არ დადიოდა და სახლგარეთ მომხდარ ამბებს ყურადღებას არ აქცევდა.

ახსოვს, როგორ გამორთო ტელევიზორი და გაიფიქრა, თუ პატარძალი გადაწყვეტილებას არ შეუშინდა, მაშინ რაღაც საზა-

რელი მოხდა მის თავსო. ახსოვს, რომ მისი ოჯახი ძალიან შეეცოდა, იგრძნო, როგორ იტანჯებოდნენ.

კვლავ სურათს უყურებდა და იმ საშინელ დღეს იხსენებდა. გრეგმა ტიმი სათამაშო მოედანზე წაიყვანა. ქმარს უცებ აკოცა, სანამ მხრებზე შემოსმულ ტიმისთან ერთად წავიდოდა. ეს იყო უკანასკნელი წამი, როდესაც კაცის თბილი ტუჩები შეიგრძნო.

ბედის ირონიით, ამანდა პირსის ქორწილი სასტუმრო „გრანდ-ვიქტორიაში“ უნდა ყოფილიყო. ლორის ახსოვდა იქ გატარებული დრო, როგორ აგდებდა გრეგი ოკეანეში, მიუხედავად ქალის სიცილნარევი პროტესტისა, რომ წყალი ძალიან ცივი იყო.

ფიქრი ოფისის კარზე ფრთხილმა კაკუნმა შეაწყვეტინა. გრეისმა ლანგრით ორი ჭიქა ყავა და „ბუშონიდან“ ლორის მოტანილი ტკბილეული შემოიტანა. ლორიმ გრეისს გაუღიმა, როცა შენიშნა, რომ ქალბატონი პირსისთვის თავისი საყვარელი ნუშის კრუასანი დაეთმო.

- კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ? - გრეისი ტრადიციული ადამიანი არ გახლდათ, მაგრამ საჭირო დროს კარგი, ძველებური მანერებით გამოირჩეოდა.

- არა, ძვირფასო, გმადლობ, - სანდრა პირსმა გაღიმება მოახერხა.

როდესაც გრეისი გავიდა, ლორი სანდრას მიუბრუნდა:

- ვერ ვიტყვი, რომ თქვენი ქალიშვილის გაუჩინარების შესახებ რაიმე ახალი გამეგოს.

- ვერც მე და სწორედ ესაა პრობლემა. თავიდან თითქოს პოლიცია ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ამანდას ოთახში ბრძოლის კვალი არ ყოფილა. ბოლო დღეებში რაიმე საეჭვოც არ მომხდარა. „გრანდ-ვიქტორიაც“ - ქორწილი იქ უნდა ყოფილიყო - ნამდვილად უსაფრთხო ადგილი იყო. ვხედავდი, როგორ უყურებდნენ პოლიციელები საათებსა და მობილუ-

რებს, თითქოს ამანდა ნიუ-იორკში, სახლში უნდა გამოჩენილიყო და ეღიარებინა, რომ შეეშინდა.

ლორის აინტერესებდა, სანდრას წარმოდგენა პოლიციის საქმიანობაზე მიკერძოებული ხომ არ იყო. რამდენიმე სატელევიზიო ნაწყვეტიდანაც კი, რომლებიც იმ დროს ნახა, ახსოვდა, რომ მოხალისეთა ჯგუფები ეძებდნენ გამქრალ პატარძალს სასტუმროს ტერიტორიაზე.

- როგორც მახსოვს, დიდხანს და გულდასმით ყეძებდნენ, - თქვა ლორიმ, -კვირების განმავლობაში ახალ ამბებშიც აჩვენებდნენ.

- ჰო, რა თქმა უნდა, ყველაფერი გააკეთეს, რასაც აკეთებენ ხოლმე, როდესაც ვიღაც გაუჩინარდება, - თქვა სანდრამ მწარე კილოთი, -ჩვენც ყოველდღე კამერის წინ ვიდექით და ხალხს ვევედრებოდით, მის პოვნაში დაგვხმარებოდა.

- „ჩვენში“ ვინ იგულისხმება? - ლორი მაგიდას მიუახლოვდა და ბლოკნოტი აიღო. უკვე გრძნობდა, რომ სანდრას ამბავი ითრევდა.

- ჩემი ქმარი, უოლტერი... უკვე ჩემი ყოფილი ქმარი, ამანდას მამა, და მისი საქმრო, ჯეფ ჰანტერი. დანარჩენებიც ჩართულები იყვნენ: ჩემი შვილები, შარლოტი და ჰენრი, ამანდას ორი კოლეჯის მეგობარი, მეგანი და ქეითი, და ორიც ჯეფის კოლეჯის მეგობარი, ნიკი და ოსტინი. ახლომახლო ტერიტორიაზე ფლაერებს ვარიგებდით. თავდაპირველად, ძებნა მხოლოდ სასტუმროს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, შემდეგ მასაც გავცდით. გული მისკდებოდა, რომ ვხედავდი, როგორ ეძებდნენ მივარდნილ ადგილებში, არხებში, მშენებლობებსა და ჭაობებში, სანაპიროს გარშემო. ერთი თვის შემდეგ ძებნა შეწყვიტეს.

- სანდრა, რაღაცას ვერ ვხვდები. რატომ შეარქვეს ამანდას გაქცეული პატარძალი? გასაგებია, რომ პოლიციას ეჭვი ჰქონდა, შეეშინდაო, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე საათი ან რამ-

დენიმე დღე თუ გაგრძელდებოდა. თუმცა დროის გასვლასთან ერთად თქვენი მწუხარება უნდა გაეზიარებინათ. რამ აფიქრებინათ, რომ თქვენი ქალიშვილი ახალ ცხოვრებას დაიწყებდა?

ლორი მიხვდა, რომ სანდრას პასუხის გაცემის ხალისი არ ჰქონდა, ამიტომ უფრო შორს წავიდა.

- თქვენ თქვით, რომ მის ოთახში ბრძოლის კვალი არ ყოფილა. მისი ჩემოდანიც გაქრა? ხელჩანთა? - ასეთი რამეებით პოლიცია განსხვავებას იჭერდა ხოლმე გაქცეულ პატარძლებსა და დადგმულ ამბებს შორის. ალბათ, ფულისა და საბუთების გარეშე გაქცევა რთული იქნებოდა.

- არა, - თქვა სანდრამ სწრაფად, - მხოლოდ ერთი რამ გაქრა მისი საფულიდან - მართვის მოწმობა. ტანსაცმელი, ხელჩანთა, მაკიაჟი, საკრედიტო ბარათები, მობილური ტელეფონი - ყველაფერი ოთახში დაგვხვდა. საღამოობით პაწაწინა ხელჩანთას ატარებდა ხოლმე თავისი ოთახის გასაღებითა და პომადით. ესეც ვერ იპოვეს. ხელჩანთაში მართვის მოწმობის ჩადება ადვილად შეეძლო, თუ მანქანის გამოყენებას აპირებდა. მან და ჯეფმა აეროპორტში იქირავეს მანქანა. როგორც ვიცით, ბოლოს მანქანა ამანდამ გამოიყენა, იმ დილით გოგოებთან ერთად მაღაზიებში წავიდა. სასტუმროს ტერიტორიაზე მანქანების ავტოსადგომია. ეს მანქანაც იქ იდგა.

„ან, - ფიქრობდა ლორი, - მართვის მოწმობა და ცოტაოდენი ფული აიღო და ვიღაცას შეხვდა“. ლორი ახლა ხვდებოდა, რატომ ფიქრობდა ამდენი ადამიანი, რომ ამანდა თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებდა. მაგრამ სხვა შეკითხვაც ჰქონდა.

- დაქირავებულ მანქანას რა მოუვიდა?

- სამი დღის შემდეგ სასტუმროდან ხუთი მილის დაშორებით მიტოვებულ ავტოგასამართ სადგურთან იპოვეს.

ლორიმ შეამჩნია, რომ სანდრამ მაგრად მოკუმა პირი და გაბრაზებული გამომეტყველება გაუხდა.

- პოლიციამ დაიჟინა, სადგურზე უთუოდ ვიღაცას შეხვდა და სხვა მანქანაში გადაჯდაო. მეორე დილას, როდესაც მისი დაკარგვის ინფორმაცია გავრცელდა და მისი ფოტოსურათიც აჩვენეს ტელევიზორში, დელრეიბიჩელი ვიღაც ქალი ამტკიცებდა, რომ შუაღამისას შუქნიშანზე გაჩერებულ თეთრ „მერსედესში“ ამანდა დაინახა. ამტკიცებს, შუქნიშანზე დიდხანს იდგნენ და კარგად დავაკვირდიო. თითქოს ამანდა მგზავრის ადგილას იჯდა, მაგრამ ქალს მძღოლზე არაფერი ახსოვდა იმის გარდა, რომ მაღალი ჩანდა და ქუდი ეხურა. ის ქალი გიჟი იყო, კარგად ვიცი. ხალხში გამოჩენაზე გიჟდებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა კამერის წინ.

- ფიქრობთ, რომ პოლიციამ მას დაუჯერა?

- დიდმა ნაწილმა კი, - თქვა სანდრამ მწარედ, - ერთ დღეს პოლიციის შენობის წინ ორი დეტექტივის კამათს მოვკარი ყური. მანქანაზე იყვნენ მიყრდნობილნი, სიგარეტს ეწეოდნენ და ისე ლაპარაკობდნენ ჩემს ქალიშვილზე, თითქოს რომელიმე შოუს პერსონაჟი ყოფილიყოს. ერთ-ერთი დარწმუნებული იყო, რომ ამანდას საიდუმლო შეყვარებული ჰყავდა, რუსი მილიარდერი, და ახლა მასთან ერთად იყო რომელიმე კუნძულზე. მეორე კი თავს აქნევდა და ვიფიქრე, ამანდას დაიცავს-მეთქი, მან კი თქვა (ამას ვერასდროს დავივიწყებ): „ათი დოლარი გექნება ჩემი ვალი, მის ცხედარს რომ ამოათრევენ ატლანტის ოკეანიდან“.

სანდრამ ქვითინი შეიკავა.

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა ლორიმ. არ იცოდა, სხვა რა ეთქვა.

- ოჰ, დამიჯერეთ, საკადრისი პასუხი გავეცი. ოფიციალურად ჯერ კიდევ არის დეტექტივი მიმაგრებული ამ ამბავთან. მარლინ ჰენსონი ჰქვია. სასიამოვნო ქალია, მაგრამ საქმე უკვე გაყინულია. მაპატიეთ, თქვენს პირად ცხოვრებაში რომ ვიჭრები, ქალ-

ბატონო მორენ, მაგრამ მაინცდამაინც თქვენთან მოსვლის მიზეზი მაქვს. თქვენ იცით, როგორია ახლობელი ადამიანის დაკარგვა, და წლების განმავლობაში იმის არცოდნა, რა მოხდა და ვინ იყო დამნაშავე.

გრეგი შუბლში ერთი გასროლით მოკლეს, როდესაც ტიმის საქანელაზე აქანავებდა. დამნაშავემ განზრახ აირჩია გრეგი და ტიმის სახელიც კი იცოდა. „ტიმი, უთხარი დედაშენს, რომ შემდეგი ის იქნება, - თქვა მან, - მერე კი შენი ჯერიც მოვა“. ხუთი წლის განმავლობაში ლორიმ მხოლოდ ის იცოდა ქმრის მკვლელზე, რომ ლურჯი თვალები ჰქონდა. ასე დაუძახა მისმა შვილმა მკვლელს, როდესაც ტირილით თქვა: „ლურჯთვალებამ მამიკოს ესროლა!“

ლორიმ სანდრას საპასუხოდ თავი დაუქნია.

- ახლა წარმოიდგინეთ, ქალბატონო მორენ, კიდევ უფრო ნაკლების ცოდნა. ისიც კი რომ არ იცოდეთ, თქვენი საყვარელი ადამიანი ცოცხალია თუ მკვდარი. რომ არ იცოდეთ, დაიტანჯა თუ ცოცხალი და ბედნიერია. წარმოიდგინეთ, არაფერი რომ არ იცოდეთ. დარწმუნებული ვარ, თქვენს რაღაც ნაწილს ჰგონია, რომ იღბლიანი ვარ. სანამ ამანდას ცხედარს არ იპოვიან, ის ჩემთვის ცოცხალია. არასდროს დავიჯერებ, რომ საკუთარი სურვილით წავიდა, მაგრამ, შესაძლოა, მოიტაცეს და გათავისუფლებას ცდილობს, ან მანქანამ დაარტყა და ამნეზია აქვს. ჯერ კიდევ შემიძლია, იმედი მქონდეს. მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რომ შვებას ვიგრძნობ, თუ იმ საშინელ ზარს მივიღებ, რომელიც მეტყვის, რომ ყველაფერი დასრულდა. ის მაინც მეცოდინება, რომ დაისვენა. ზუსტად მეცოდინება. მანამდე კი გაჩერება არ შემიძლია. არასდროს შევწყვეტ ჩემი ქალიშვილის ძებნას. გთხოვთ - თქვენ, შესაძლოა, ჩემი უკანასკნელი შანსი ხართ.

ლორიმ ბლოკნოტი ყავის მაგიდაზე დადო, სკამზე გადაიხარა და თავი გაიმხნევა სანდრა პირსის გულის გასატეხად.

5

ლორიმ ჩამოვარდნილი კულული ყურის უკან გადაიწია, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნერვიულობდა.

- ქალბატონო პირს...

- გთხოვ, სანდრა დამიძახე.

- სანდრა. არც კი წარმომიდგენია, რა ძნელი უნდა იყოს, რომ არ იცით, რა მოუვიდა ამანდას. მაგრამ ჩვენი პროგრამა შეზღუდულია იმის მიხედვით, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ არც პოლიცია ვართ და არც გამოძიების ფედერალური ბიურო. ჩვენ უბრალოდ მივდივართ დანაშაულის ადგილზე და ვცდილობთ, დანაშაულთან დაკავშირებული ადამიანების თვალით გავაცოცხლოთ მოვლენები.

სანდრა პირსი ლორისკენ გადმოიხარა, მზად იყო, საკუთარი პოზიციის დასაცავად.

- სწორედ ამიტომ იქნება ამანდას საქმე იდეალური. „გრანდ-ვიქტორია“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასტუმროა. მომაჯადოებელი ადგილია, თანაც ხალხს უყვარს საქორწინო ისტორიები, უმრავლესობა კი გიჟდება საიდუმლოებზე. ჩემი ოჯახის, მათ შორის ჩემი ყოფილი ქმრის, უოლტერის დარწმუნებაც შემიძლია, რომ მონაწილეობა მიიღონ. ერთ-ერთ მეჯვარესაც, ქეით ფალტონს, დავურეკე და მითხრა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლიაო. დარწმუნებული ვარ, სიძის მეჯვარეებიც დაგვთანხმდებიან. რაც შეეხება ჯეფს, არა მგონია, უარის თქმა გაბედოს.

- ეგ არაა პრობლემა, სანდრა. პირველ რიგში, ჩვენი შოუ გაუხსნელ საქმეებს აშუქებს. გაუხსნელ დანაშაულებს. თვითონ თქვით, რომ პოლიციას არა აქვს რეალური მტკიცებულება, რომ თქვენი ქალიშვილი მსხვერპლი იყო. შეიძლება მართალიც

ხართ და ძალით წაიყვანეს. მაგრამ ვერ ვხედავ ვერანაირ რეალურ მტკიცებულებას, რომ დანაშაული ჩაიდინეს.

სანდრას თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

- უკვე ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა, - თქვა სანდრამ მგზნებარედ, - ჩემი ქალიშვილი ბიზნესში წარმატებული ქალი იყო. აღმერთებდა ნიუ-იორკს. ფულის მოხსნის ან გადარიცხვის უჩვეულო შემთხვევა არც მის გაუჩინარებამდე ყოფილა და, მით უმეტეს, არც მას შემდეგ. უყვარდა თავისი მეგობრები და ოჯახი. ასეთ მწუხარებაში არ ჩაგვაგდებდა. დაქორწინების სურვილი რომ აღარ ჰქონოდა, ამას მშვიდად ეტყოდა ჯეფს და თავ--თავიანთი გზით წავიდოდნენ. გთხოვთ, უნდა დამიჯეროთ - ამანდა არ გაქცეულა.

- კარგი, მაგრამ მეორე პრობლემაცაა. ჩვენს შოუს „ეჭვქვეშ“ რაღაც მიზეზით ჰქვია. ისეთ დანაშაულებს ვაშუქებთ, რომელშიც მსხვერპლის ახლობლები ეჭვით აგრძელებენ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მათზე საქმე არასდროს აღძრულა. და რადგან ამანდა უბრალოდ დაკარგულადაა გამოცხადებული, მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ვერავის დავდებთ ბრალს.

- ოჰ, ვფიქრობ, ჯეფ ჰანტერი სულ სხვა რამეს იტყვის.

- სიძე? როგორც მახსოვს, თქვით, რომ თქვენთან და თქვენს ქმართან ერთად იყო და ძებნას ხელმძღვანელობდა.

- თავდაპირველად, ასეც იყო და არც კი გვიფიქრია, რომ ჯეფი რამენაირად იყო გარეული იმაში, რაც ამანდას დაემართა. მაგრამ მისი გაუჩინარებიდან ერთ კვირაში ჯეფმა ადვოკატი დაიქირავა და პოლიციას მის გარეშე არ ესაუბრებოდა. რაში დასჭირდებოდა ადვოკატი, თუ არაფერი დაუშავებია? ის რომ არ ვთქვათ, რომ თვითონაც ადვოკატია!

- ეგ კი ნამდვილად უცნაურია, - ლორიმ იცოდა, რომ უდანაშაულო ადამიანებიც ქირაობდნენ ადვოკატებს თავდაცვის მიზ-

ნით, მაგრამ წამითაც არ უფიქრია ამის გაკეთება, როდესაც პოლიციელები ეჭვით უყურებდნენ გრეგის მკვლელობის შემდეგ.

- და როდესაც ჯეფი ნიუ-იორკში დაბრუნდა, რამდენიმე პროკურორს მისი დათხოვნა სურდა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამანდას გაუჩინარებაში იყო გარეული. ახლაც კი ინტერნეტში რომელიმე სამოყვარულო საიტზე თუ შეხვალთ, აღმოაჩენთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ჯეფს თქვენი გადაცემისთვის შესაფერის პირად მიიჩნევს. აუცილებლად გიყურებენ, თუკი ამანდას საქმეს გააშუქებთ.

სანდრასთვის უარის თქმა იმაზე ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ლორი ვარაუდობდა. ნელ-ნელა მოუსვენრობაც იპყრობდა. ხვდებოდა, რომ მთელი დილა საუბარში გაატარა, არადა, შუადღისას უფროსთან ერთად საქმეები უნდა განეხილა. ლორის სამი კანდიდატი ჰყავდა შემდეგი გამოძიებისთვის, მაგრამ მათ შორის უპირატესის არჩევა ვერ მოეხერხებინა. ცოტა ხნით დაფიქრება სჭირდებოდა.

- სანდრა, შეყვარებულები და ქმრები ყოველთვის მიკროსკოპის ქვეშ ხვდებიან ხოლმე, როდესაც ქალები იკარგებიან. აკი თქვით, არ მჯერა, რომ ამ საქმესთან კავშირი აქვსო, - გააპროტესტა ლორიმ.

- არა, მე ვთქვი, რომ თავიდან არ გვჯეროდა. საშინლად გვებრალებოდა, მაგრამ შემდეგ ათასი რამ მოხდა. პირველი იმ ადვოკატის დაქირავება იყო. მერე გავიგეთ, რომ ვალი ჰქონია. ამანდასა და ჯეფს ქორწინებამდელი შეთანხმება ჰქონდათ. უოლტერის ბიზნესის წყალობით ჩვენს ოჯახს - და ამანდას, რომელიც კომპანიისთვის მუშაობდა - მყარი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა, ჯეფს - არც ისე.

- როგორც მახსოვს, თქვით, რომ თქვენი ქალიშვილის საქმრო ადვოკატია.

- დიახ და თანაც ძალიან განათლებული. ფორდჰამის სამართლის სკოლაში კლასის საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, როცა დაამთავრა. მაგრამ არც ოჯახისგან მოსდგამდა ფული და არც თვითონ აღმოაჩნდა ფულის კეთების ფხა. ბრუკლინში სახალხო დამცველად მუშაობაში ამანდას მესამედ ხელფასს იღებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩემი ქალიშვილის წარმატებულ ოჯახურ ბიზნესზე. როდესაც მამამისი პენსიაზე გასვლას გადაწყვეტდა, მართვის სადავეებს აუცილებლად ამანდა აიღებდა ხელში. ძალიან არ მომწონდა ის იდეა, რომ ქორწინებამდე უნდა დაედოთ განქორწინების კონტრაქტი, მაგრამ უოლტერმა დაიჟინა.

- ჯეფის რეაქცია როგორი იყო?

- თქვა, რომ როგორც ადვოკატს ყველაფერი ესმოდა. შვება ვიგრძენი, როდესაც სიხარულით დაგვთანხმდა. მაგრამ მერე გავიგეთ, რომ ამ შეთანხმების გარდა, ამანდამ ქორწინებამდე ერთი თვით ადრე ანდერძიც დაწერა. უოლტერი ძალიან ნერვიულობდა იმაზე, რომ ჯეფი ოჯახს გაძარცვავდა, თუკი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამანდას შეეძლო, დაეწერა ანდერძი. ვფიქრობ, კონტრაქტის გამო მამამისზე გაბრაზებულმა ისეთი ანდერძი დაწერა, რომლითაც ჯეფს დაამშვიდებდა. საკუთარი სატრასტო ფონდი[10] მთლიანად მას დაუტოვა.

- რამდენი იყო?

- ორი მილიონი დოლარი.

---

[10] ან მიზნობრივი ფონდი, ნდობითი ფუნქცია - ურთიერთობების სისტემა ზოგად სამართალში, რომლის დროსაც საკუთრება, რომელიც ეკუთვნის მფლობელს, გადაეცემა ნდობით მმართველს (ან მეურვეს), მაგრამ მართვის შედეგად მიღებულ შემოსავალს ინაწილებენ შემოსავლის ბენეფიციარები.

ლორის თვალები გაუფართოვდა. სანდრა ნამდვილად არ ხუმრობდა, როდესაც თქვა, რომ ოჯახს ფული ჰქონდა.

- ჯეფმა უკვე მიიღო ფული? თუ შვიდი წელი უნდა გავიდეს, სანამ ადამიანი გარდაცვლილად გამოცხადდება?

- დიახ, ეს კანონია. თუკი მის გვამს იპოვიან, ის ფლორიდელი ნაბიჭვარი პოლიციელი ათდოლარიან ნაძლევს მოიგებს, ჯეფი კი მიიღებს ორ მილიონ დოლარს, რომელსაც კაპიტალის დაბანდებისგან არცთუ მცირე პროცენტი დაემატებოდა. ისიც მითხრეს, შეუძლია იმის დამტკიცებაც სცადოს, რომ ამანდა გარდაცვლილიაო და ფული აიღოს. ამანდას რომ ქორწილი გაეუქმებინა, ხახამშრალი დარჩებოდა. არანაირი განქორწინების შეთანხმება და არანაირი მემკვიდრეობა, რადგან ამანდა მაშინვე შეცვლიდა ანდერძს, როგორც კი ნიუ-იორკში დაბრუნდებოდა.

- რადგანაც თქვენს ქალიშვილზე იყო დანიშნული, ალბათ, კარგადაც იცნობდით. ჯეფი საშიშ ადამიანად გეჩვენებოდათ?

- არა. ვფიქრობდით, რომ შესანიშნავი არჩევანი იყო. ამანდას ერთგული ჩანდა, მეტისმეტად ერთგულიც კი. მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ნიშნები უნდა შეგვემჩნია. მისი ორი საუკეთესო მეგობარი, ნიკი და ოსტინი, როგორც ვიცი, დღემდე დაუქორწინებლები და ბედნიერები არიან სულ სხვადასხვა ქალთან ერთად. როგორც ამბობენ, მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო.

- თქვენი აზრით, ჯეფი ღალატობდა?

- ნამდვილად შესაძლებელია, თუკი მეგანის ამბავს გავითვალისწინებთ.

ლორიმ ყავის მაგიდაზე დადებულ ბლოკნოტს გახედა.

- მეგანი...

- მეგან უაითი, მეჯვარე. ამანდას საუკეთესო მეგობარი იყო კოლბის კოლეჯში და როდესაც ორივენი ნიუ-იორკში გადავიდნენ, მერეც ახლო მეგობრებად დარჩნენ. ამანდა და ჯეფი კო-

ლეჯშიც იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ ხვდებოდნენ. სწორედ მეგანმა გააცნო ისინი ხელმეორედ ერთმანეთს ნიუ--იორკში და შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ამას ინანებდა.

- რას გულისხმობთ?

- როგორც აღმოჩნდა, მეგანი ჯეფს ამანდამდე ხვდებოდა. და როდესაც ამანდა გაუჩინარდა, კვლავ დაიკავა ეს ადგილი. ერთი წელიც კი არ დაუცდიათ დაქორწინებამდე. მეგან უაითი ახლა ქალბატონი ჰანტერია. და ვფიქრობ, ერთ-ერთმა ან ორივემ მოკლა ჩემი ქალიშვილი.

ლორი კვლავ დასწვდა თავის ბლოკნოტს.

მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

6

ორი საათის შემდეგ, როდესაც ლორის ტელეფონი აწკრიალდა, ლორი და სანდრა კვლავ საუბრობდნენ. ტელეფონმა შეახსენა, რომ ბრეტთან შეხვედრა ათ წუთში ჰქონდა.

- სანდრა, ვწუხვარ, მაგრამ ჩემს უფროსთან შეხვედრა მაქვს, - ბრეტს სულაც არ მოსწონდა, როდესაც ალოდინებდნენ, - მაგრამ მოხარული ვარ, რომ ამხელა გზა გამოიარეთ ჩემთვის ამანდას ამბის მოსაყოლად.

როდესაც ოფისიდან აცილებდა, სანდრამ უკანასკნელი შეკითხვა დაუსვა:

- კიდევ მეტი ხომ არ გიამბოთ, რომ დაგეხმაროთ გადაწყვეტილების მიღებაში?

- ამ გადაწყვეტილებას ჩემით არ ვიღებ, მაგრამ გპირდებით, ადრე თუ გვიან, თქვენს საქმეს აუცილებლად დავუბრუნდები.

- ამითაც კმაყოფილი ვარ, - თქვა სანდრამ, შემდეგ კი გრეისს მიუბრუნდა, რომელიც მაგიდასთან იჯდა, - კიდევ ერთხელ გმადლობთ თქვენი სიკეთისთვის, გრეის. იმედია, ორივეს კვლავ გიხილავთ.

- სამადლობელი არაფერია, - უპასუხა გრეისმა კეთილმოსურნე ხმით.

როდესაც სანდრა წავიდა, ჯერიც მაშინვე შეუერთდა მათ.

- ამ ქალს ასეთი ნაცნობი სახე რატომ აქვს? მსახიობი ხომ არ არის?

ლორიმ თავი გააქნია.

- არა, მოგვიანებით აგიხსნით.

- საუკუნეა, შიგნით ხართ, - თქვა ჯერიმ, - მე და გრეისი ვფიქრობდით, უნდა შემოვსულიყავით თუ არა. რამდენიმე წუთში

ბრეტთან შეხვედრა გვაქვს და ისტორიების გადახედვაც კი ვერ მოვასწარით.

სანამ ლორი ბრეტს საქმეებს წარუდგენდა, აპირებდნენ, კიდევ ერთხელ ემსჯელათ სამი საქმის შესახებ. ბრეტთან შეხვედრებზე ჯერიც მიჰყავდა მას შემდეგ, რაც სულ უფრო მეტ საპასუხისმგებლო დავალებას აძლევდნენ. ქალი გადაცემას, როგორც ახალ ამბავს, ისე განიხილავდა - საუბრობდა ეჭვმიტანილებზე, მოწმეებზე, იმაზე, თუ როგორ აელაპარაკებინათ მომხდარზე. ჯერი კი უშუალოდ გადაღების სცენებს წარუდგენდა ხოლმე - ზვერავდა დანაშაულის ადგილებს, სხვაგვარად წარმოიდგენდა დანაშაულის სცენებს და შოუს კინემატოგრაფიულ სიმდიდრეს სძენდა.

- მეც არ ვაპირებდი მასთან ამხელა დროის გატარებას, მაგრამ, მგონი, გეგმა მაქვს. უბრალოდ, ამყევი.

და გაჩქარებით გაემართნენ ბრეტ იანგის კუთხის ოფისისკენ.

7

ბრეტის ახალმა მდივანმა, დანა ლიკამელიმ, ხელით ანიშნა, პირდაპირ შედითო.

- ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ, - გააფრთხილა ისინი შეთქმულის ჩურჩულით.

ლორიმ საათს დახედა. ორი წუთით გვიან მისულიყვნენ. „ო, ღმერთო“, - გაიფიქრა ქალმა.

როდესაც ოთახში შევიდნენ, ბრეტმა სკამი შეატრიალა, მათთვის რომ შეეხედა. როგორც ყოველთვის, სახეზე უკმაყოფილება აღბეჭდოდა. ვიღაცამ გაიგონა, როგორ თქვა მისმა ცოლმა, ყოველ დილას მოღუშული სახით იღვიძებსო.

- ბოდიში, რომ ცოტათი დავაგვიანეთ, ბრეტ. კარგი ამბავი მაქვს. იმ ადამიანს ველაპარაკებოდი, რომელიც შესანიშნავი ვარიანტია მომდევნო ეპიზოდისთვის.

- ადამიანები ან აგვიანებენ, ან დროზე მოდიან. თქვა, ცოტათი დავაგვიანეო, იგივეა, რაც იმის თქმა, ცოტათი ორსულად ვარო, - შემდეგ კი ქალს სახე აარიდა და თქვა, - ჯერი, დღეს განსაკუთრებულად კოხტად გამოიყურები.

ლორის უნდოდა, რომ ბრეტისთვის რამე ესროლა, განსაკუთრებით იმ ორაზროვანი კომენტარისთვის, ჯერის რომ უთხრა. როდესაც ჯერიმ სტუდიაში მუშაობა დაიწყო, როგორც სტაჟიორმა, ერთი მორცხვი, მოუქნელი კოლეჯის სტუდენტი იყო, რომელიც ცდილობდა, თავისი აყლაყუდობა ფართხუნა ტანსაცმლითა და მოხრილი მხრებით დაეფარა. წლების განმავლობაში უყურებდა ლორი, როგორ იზრდებოდა მასში თავდაჯერებულობა. გასულ წლამდე თბილ ამინდშიც კი ყელიან მაისურებსა და ნაქსოვ სვიტერებს ატარებდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც პირველი ეპიზოდი შოუსი „ეჭვქვეშ“ გაშუქდა, სხვადასხვა სტილს ცდი-

და. დღევანდელი მოკაზმულობა მომდგარ კუბოკრულ ჟაკეტს, ყელზე შემოხვეულ ბაფთასა და მდოგვისფერ შარვალს მოიცავდა. ლორის აზრით, ბიჭი საშინლად გამოიყურებოდა.

ჯერი ამაყად გასწორდა და დაჯდა. თუკი ბრეტის სიტყვები სარკაზმად მიიღო, ამას ნამდვილად არ იმჩნევდა.

- ძალიან მიხარია, რომ შევხვდით, - თქვა ბრეტმა, - ჩემი ცოლი მეუბნება, რომ საკმარის - რას ეძახის? - პოზიტიურ გამხნევებას არ ვიმეტებ ჩემი კოლეგებისთვის. ასე რომ, ლორი, ჯერი, მინდა, ნათლად გაჩვენოთ - ძალიან მიხარია, რომ შემდეგი ეპიზოდისთვის თქვენს იდეებს მოვისმენ.

რამდენიმე წლის წინ ბრეტი მართლაც გახარებული იყო, როდესაც ლორი სამსახურში დაბრუნდა. გრეგის მკვლელობის შემდეგ ცოტა ხნით სამსახურს თავი დაანება. მისი პირველი შოუები ჩავარდა, მაგრამ ეს შეიძლება იმის ბრალიც იყო, რომ ჯერ კიდევ გლოვობდა და მთელ ყურადღებას საქმეს არ უთმობდა, ან შეიძლება, უბრალოდ, არ უმართლებდა. ყოველ შემთხვევაში, სატელევიზიო სამყაროში ვარსკვლავები მალე ეცემოდნენ, ამიტომ ლორიმაც კარგად იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, როდესაც იდეა გაუჩნდა ახალ შოუზე. ახლა, როცა „ეჭვქვეშ“ ნამდვილი ჰიტი იყო, ქალი მიხვდა, რომ ეს იდეა გრეგის სიკვდილამდეც ჰქონდა.

- იცი, ბრეტ, იმის გარანტიას ვერავის მივცემთ, რომ ყველა საქმეს გავხსნით. ჯერჯერობით, ორიდან ორივე წარმატებული გამოდგა. ორივე ეპიზოდში საქმესთან დაკავშირებული ადამიანები გადაღებებში ერთვებოდნენ და როდესაც გადაცემის სტუმარი, ალექს ბაკლი, ჰკითხავდა მათ, ყველაფერს გულწრფელად აღიარებდნენ. სულ ასე ვერ გაგრძელდებოდა.

ბრეტმა მაგიდაზე თითებით დააკაკუნა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სხვები უნდა გაჩუმებულიყვნენ, რადგან თვითონ ფიქრობდა. როგორც ერთხელ გრეისმა აგდებით თქვა, „თითებით ფიქ-

რობდა“. სიმპათიურმა მამაკაცმა ქანდაკებასავით ჩამოსხმული გარეგნობითა და რკინისფერ-ნაცრისფერი თმით სამოცდაერთი წლის ასაკში სისასტიკის უმაღლეს წერტილს მიაღწია, თუმცა კვლავაც ძველებურად წარმატებული იყო.

- კი, მაგრამ მთავარი ისაა, მაყურებელმა იფიქროს, რომ ასეთი რამ შეგიძლია და მოუნდეს იქ ყოფნა, როდესაც ეს მოხდება. მითხარი, რა ვარიანტები გაქვს შემდეგი საქმისთვის.

ლორის გაახსენდა ის ჩანაწერები, სამზარეულოში რომ გაამზადა წინაღამით, სანამ ტიმი ვიდეოთამაშებს თამაშობდა ნასადილევს. სამი საქმე. ეჭვი ჰქონდა, რომ ბრეტის არჩევანი მოკლული მედიცინის პროფესორი იქნებოდა. არასასიამოვნო განქორწინების შემდეგ, ცოლიცა და მამამთილიც ბუნებრივი ეჭვმიტანილები იყვნენ. პროფესორი ახალგანქორწინებულ ქალს ხვდებოდა, ასე რომ, ახალი შეყვარებულის ქმარიც ეჭვმიტანილთა სიაში იყო, თანაც ერთ-ერთი კოლეგა კვლევის მოპარვაში ადანაშაულებდა. რომ აღარაფერი ვთქვათ გამწარებულ სტუდენტზე, რომელმაც ანატომიის კურსი ჩააფლავა. იდეალური საქმე იყო მათი შოუსთვის.

ლორის სიაში იყო ერთი პატარა ბიჭიც, რომელიც ორეგონში მოკლეს. მთავარ ეჭვმიტანილად დედინაცვალი ითვლებოდა. კარგი საქმე იყო, მაგრამ, როგორც კი ცხრა წლის ბიჭის მკვლელობაზე ფიქრს დაიწყებდა, ლორის მაშინვე თავისი ვაჟი ახსენდებოდა და სხვა ვარიანტებისკენ გაურბოდა თვალი.

მესამე საქმე იყო ოცდაათი წლის წინანდელი ორი დის მკვლელობა. ლორის ეს საქმე ძალიან მოსწონდა, მაგრამ ეჭვობდა, რომ ოცდაათწლიან დაგვიანებას ბრეტი არ მოიწონებდა და იფიქრებდა, მაყურებლის ყურადღებას ვერ მიიპყრობსო.

ეს ჩანაწერები მის ჩანთაში, ფურცელზე დარჩა.

- ვიცი, გითხარი, რომ რამდენიმე იდეა მქონდა, მაგრამ ერთ-ერთი აშკარად გამოირჩევა, - საკუთარი თავისა და სანდრას გამო იმედი ჰქონდა, რომ ბრეტი დასთანხმდებოდა.

8

უოლტერ პირსი ჩრდილოეთ კაროლინაში, როლიში, „ლეიდიფორმის“[11] ქარხანაში თავისი ოფისიდან გადაჰყურებდა საწარმოო დარბაზს. დირექტორების უმეტესობა ამ დროისთვის უკვე გადავიდოდა რომელიმე ცათამბჯენის მაღალ სართულზე მდებარე კომფორტულ ოფისში, შორს იმ თანამშრომლებისგან, რომლებიც ყოველდღიურ წარმოებაზე მუშაობდნენ. მაგრამ უოლტერი სწორედ იმით ამაყობდა, რომ „ლეიდიფორმს“ ტრადიციულად უძღვებოდა და ისეთი საოჯახო ბიზნესი ჰქონდა, რომლის პროდუქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იწარმოებოდა. მაღალი, ახოვანი კაცი იყო, ფართოყბებიან თავზე ბერის ტონზურასავით[12] თმით.

როდესაც მისმა დიდმა ბაბუამ ეს ბიზნესი წამოიწყო, ქალები კორსეტებიდან ბიუსტჰალტერების ხმარებაზე გადადიოდნენ, რაც პირველი მსოფლიო ომის დროს ლითონის ნაკლებობამ განაპირობა. ხშირად ამბობდა დიდი სიამაყით, ამ ცვლილებამ ორმოცდაათ მილიონ გირვანქაზე მეტი ლითონი დაზოგა, რაც საკმარისი იქნებოდა ორი საბრძოლო გემის ასაშენებლადო.

თავიდან „ლეიდიფორმს“ მხოლოდ ერთი ქარხანა ჰქონდა ჩრდილოეთ კაროლინაში, სადაც ოცდაათი კაცი მუშაობდა, ახლა კი კომპანიას ქარხნები ჰქონდა დეტროიტში, სან--ანტონიოში, მილუოკიში, ჩიკაგოსა და საკრამენტოში, რომ აღარაფერი ვთქვათ ნიუ-იორკის ოფისებზე.

---

[11] (ინგ. Ladyform) ქალური ფორმა.

[12] საქოჩრეზე მოპარსული ადგილი (აქვთ კათოლიკე სასულიერო პირებს). აქ: კინკრიხოზე შეთხელებული თმით.

როდესაც საწარმოო დარბაზს გადაჰყურებდა, გაახსენდა, როგორ დააძალა ამანდამ, რომ ნიუ-იორკშიც ჰყოლოდათ წარმომადგენლები. მაშინ ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლობდა, მაგრამ უმაღლესი ნიშნები ჰქონდა და ბიზნესის ალღოც გააჩნდა. „მამა, მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, - უთხრა ერთხელ ქალიშვილმა, - ჩემი ასაკის გოგონები ფიქრობენ, რომ „ლეიდიფორმი“ ძველმოდურ ქამრებს აწარმოებს, რომლებსაც მათი დედები და ბებიები თუ გაიკეთებენ. ქალებს უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს კომპანია მათ ეხმარება, უფრო ლამაზები გამოჩნდნენ და უკეთ იგრძნონ თავი თავიანთ სხეულებში“. უამრავი იდეა ჰქონდა - ისეთი ტანსაცმლის შექმნა, რომელიც ლამაზიც იქნებოდა და კომფორტულიც, ლოგოს მოდერნიზება, სპორტული ხაზის დამატება, რათა მათ ბრენდს წარმოეჩინა არა „საცვლების ადამიანები“, არამედ ქალური ფორმები. ამ ყველაფერს კაცი სევდიანად იხსენებდა.

უოლტერმა იცოდა, რომ ამანდას რჩევებს არ გაითვალისწინებდა, სანდრა რომ არ ყოფილიყო. ერთ ღამეს სახლში მისულს ცოლი სამზარეულოს მაგიდასთან დახვდა. მკაცრ გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ „ლაპარაკის“ დრო იყო. ქალმა უთხრა, ჩემ პირისპირ დაჯექი, რაღაც უნდა გითხრაო.

- უოლტერ, შენ შესანიშნავი ქმარი და შენებურად მოსიყვარულე მამა ხარ, - დაიწყო ენერგიულად, - და ამის გამო არ ვცდილობ, რომ შეგცვალო ან გითხრა, როგორ მოიქცე. მაგრამ სულ აიძულებდი ჩვენს შვილებს, რომ ოჯახური ბიზნესის მიმართ შენნაირი ვნება გამოეჩინათ.

- იმასაც ვამბობდი, რომ ყველა თავისუფალი იყო და შეეძლოთ, ის ეკეთებინათ, რაც სურდათ, - უპასუხა გაცხარებულმა, მაგრამ ამ სიტყვების თქმისასაც კი იგრძნო ტკივილი, როდესაც წარმოიდგინა, რომ შესაძლო იყო, „ლეიდიფორმს“ პირსის უფროსობის გარეშე გაეგრძელებინა არსებობა.

- ძალიანაც კარგი, - თქვა სანდრამ მწარედ, - მაგრამ შეგახსენებ, რომ მაგ იძულების გამო ჩვენს ვაჟს არ უნდა, რაიმე საერთო ჰქონდეს მაგ საქმესთან და სიეტლშიც კი გადავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ გააკეთოს რამე ქვეყნის მეორე ბოლოში. თუმცა ამანდამ და შარლოტმა ყველაფერი გააკეთეს, რაც გინდოდა. იმიტომ, რომ ორივეს ძალიან უყვარხარ და უნდათ, გასიამოვნონ... და მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ამანდამ მართლაც მთლიანად მიუძღვნა თავი კომპანიას. მისი იდეები შესანიშნავია, უოლტერ, და თუკი უარყოფ, გულს გაუტეხ. ამის მომხრე ნამდვილად არ ვიქნები.

ისე, რომ ამანდასთვის არაფერი უთქვამს დედამისის ჩარევის შესახებ, მისი თხოვნა გაითვალისწინა და ნიუ-იორკში გახსნა ოფისი, რომელიც დიზაინს, მარკეტინგსა და გაყიდვებს აკონტროლებდა. ამანდა და შარლოტი იქ მუშაობდნენ, თვითონ კი როლიში, მთავარ ქარხანაში დარჩა.

მერე კი ამანდას დამსახურებით კომპანიამ უფრო დიდი მოგება მოიტანა, „ლეიდიფორმი“ კი ხშირად ჩნდებოდა ბიზნეს-ჟურნალებში როგორც ძველმოდური ამერიკული კომპანია, რომელმაც წარმატებით გადმოაბიჯა ოცდამეერთე საუკუნეში. „ამანდა, - ფიქრობდა უოლტერი, - იცი, რომ კომპანია ჩაძირვას გადაარჩინე?“

ფიქრები მობილურის ზარმა გააწყვეტინა. ჯიბიდან ამოიღო და ეკრანზე დაწერილ ნომერში სანდრას მობილურის ნომერი ამოიცნო. პირველად არ ხდებოდა, რომ მაშინ რეკავდა, როდესაც მასზე ფიქრობდა. უკვე თითქმის ორი წელი იყო გასული, რაც სიეტლში გადავიდა, მაგრამ, კაცის აზრით, ჯერ კიდევ დაკავშირებულნი იყვნენ.

- გამარჯობა, სანდრა, ზუსტად ახლა ვფიქრობდი შენზე.

- იმედია, ცუდად არა.

განქორწინებამ კამათის გარეშე ჩაიარა, მაგრამ მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, ყველაფერი გულთბილად გადავწყვიტოთო, ადვოკატების ჩართულობამ მათი ქორწინების დასრულებაში, რომელიც საუკუნის მესამედზე დიდხანს გრძელდებოდა, დაძაბული მომენტებიც გამოიწვია.

- არასდროს, - თქვა მტკიცედ, - „ლეიდიფორმის“ წარმატებაში შენს წვლილზე ვფიქრობდი. შენ რომ არ ყოფილიყავი, ნიუ-იორკის ოფისები არ გვექნებოდა.

- ჰო, მაშინ გამოდის, დამთხვევა ყოფილა, რადგან ახლა სწორედ ნიუ-იორკში ვარ. შარლოტს ლანჩზე უნდა შევხვდე.

- ნიუ-იორკში ხარ? - ჰკითხა უოლტერმა, - მხოლოდ შარლოტის სანახავად?

ამ შეკითხვამ კაცს მწვავე დანაშაულის გრძნობა გაუღვიძა. საშინლად რთული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც არჩევდა, რომელი ქალიშვილი დაენიშნა კომპანიის მემკვიდრედ. რა თქმა უნდა, შარლოტი, როგორც უფროსი და, გულნატკენი დარჩა და ფაქტმა, რომ ამანდას გაუჩინარების შემდეგ სამუშაო მიიღო, შეურაცხყოფა ვერ დაავიწყებინა.

გასულ ნოემბერს სანდრამ მადლიერების დღის[13] სადილზე დაპატიჟა შარლოტთან, ჰენრისა და მის ოჯახთან ერთად. იცოდა, იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ სანდრა რეგულარულად მოინახულებდა. იმ შეხვედრის შემდეგ კი უფრო მეტად დანაღვლიანდა.

- არა, მხოლოდ ამიტომ არა, - თქვა სანდრამ, - მგონი, რაღაც ისეთი ჩავიდინე, რაც გაგანაწყენებს. სატელევიზიო შოუ „ეჭვქვეშ“ გაგიგია?

---

[13] დღესასწაული ამერიკასა და კანადაში, რომელიც ოქტომბერში ან ნოემბერში აღინიშნება.

„რაზე ლაპარაკობს?“ - ფიქრობდა უოლტერი და უსმენდა სანდრას, რომელიც უყვებოდა ორსაათიან შეხვედრაზე შოუს პროდიუსერთან ამანდას გაუჩინარების შესახებ.

- მეგონა, არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ, მგონი, მართლა ყურადღებით მისმენდა, - სანდრას გახარებული ხმა ჰქონდა, - გთხოვ, უოლტერ, არ გაბრაზდე. თქვა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში აირჩევენ საქმეს, თუ ოჯახის წევრები დათანხმდებიან. უოლტერ, იფიქრებ ამაზე?

უოლტერი შეკრთა. ნუთუ მართლა ფიქრობდა, რომ ყველაფერს არ გააკეთებდა ამანდას გაუჩინარების ამბის ამოსახსნელად?

- სანდრა, სულაც არ ვბრაზობ. და, რა თქმა უნდა, ყველანაირად დაგეხმარები.

- მართლა, უოლტერ? შესანიშნავია. გმადლობ. მილიონ მადლობას გიხდი.

მის ხმაში ღიმილი იგრძნობოდა.

დაახლოებით ხუთასი მილის დაშორებით, ჩრდილოეთით, მანჰეტენში, „პიერ-ჰოტელში“, სანდრამ მობილური ტელეფონი გამორთო და ხელჩანთაში ჩააგდო. ხელები უკანკალებდა. მზად იყო, ახლაც ისე ეკამათა უოლტერთან, როგორც ქორწინების დასასრულამდე. „რამდენ ხანს აპირებ ასე გაგრძელებას, სანდრა? როდის გაუსწორებ თვალს ფაქტებს? ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ და კიდევ ორი შვილი გვყავს. ჰენრის, შარლოტისა და ჩვენი შვილიშვილების გამო მაინც უნდა გავაგრძელოთ სიცოცხლე. უკვე შეპყრობილი ხარ!“

მაგრამ მას შემდეგ, რაც უოლტერი სამსახურიდან შინ დაბრუნდა და საძინებელში გატენილი ჩემოდნის დახურვისას აღმოაჩინა ქალი, ასეთი ჩხუბები აღარ ჰქონიათ. პროტესტის თანხლებით ჩემოდანი მომლოდინე მანქანამდე ჩაიტანა. როდესაც

ქალი მანქანაში ჩაჯდა, თქვა: „აღარ შემიძლია შენთან ცხოვრება. ნახვამდის“.

სანდრამ შვება იგრძნო, რომ დღევანდელ საუბარს კამათი არ მოჰყოლია, მაგრამ მაინც, როდესაც მეექვსე ავენიუს მიუყვებოდა, რაღაც აწუხებდა.

უოლტერი სწრაფად დათანხმდა შოუში მონაწილეობას, თუკი ლორი მორენი გადაწყვეტდა, რომ ამანდას გაუჩინარების საქმე შემდეგ ეპიზოდში გაეშუქებინა. მაგრამ იცოდა, რომ გამოძიების დაწყებისას ყველაფრის დაწვრილებით გახსენება კაცს გულს მოუკლავდა.

- ბოდიში, უოლტერ, - თქვა მან, - მაგრამ თუკი შანსი მექნება, რომ ამანდას გაუჩინარება ხელახლა გამოვიკვლიო, ამას აუცილებლად გავაკეთებ, თუნდაც ჯოჯოხეთში მომიწიოს ჩასვლამ.

9

ფიშერ ბლეიკის სტუდიაში, ბრეტ იანგის ოფისში, ლორი ენერგიას არ ზოგავდა, რომ გაქცეული პატარძალი შემდეგი ეპიზოდის საქმედ აერჩიათ.

ბრეტს მაგიდაზე დაუდო სტიკერი, რომელიც სანდრამ მისცა. სხვა შემთხვევაში დიდ ფოტოსურათს მოიტანდა, მაგრამ დღეს შთაგონებით უნდა ემუშავა.

- შეიძლება გეცნოს კიდეც. მისი სახელია ამანდა პირსი. მისი გაუჩინარებიდან ხუთი წლის შემდეგ დედამისი კვლავ ატარებს ამ სტიკერებს.

ბრეტმა წარბები აზიდა და სტიკერი უფრო ახლოს მიიტანა უკეთ დასათვალიერებლად, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- ნიუიორკელ ამანდა პირსსა და ჯეფ ჰანტერს მდიდრული ქორწილი ჰქონდათ დაგეგმილი. ცერემონია შაბათს, შუადღეს იყო დანიშნული, რომელსაც უხვი სუფრა მოჰყვებოდა. ქორწილი ვიწრო წრეში ჩატარდებოდა - სამოცი კაცი ახლო მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან. მაგრამ ქორწილი არ შემდგარა. პარასკევ დილით პატარძალი, ამანდა პირსი, საუზმეზე არ გამოცხადდა. საქმრომ და მეჯვარემ კარზე დააკაკუნეს. პასუხი არავის გაუცია. დაცვის თანამშრომელმა ისინი ოთახში შეიყვანა. ლოგინი ალაგებული დახვდათ, მასში არავის სძინებია. საწოლზე საქორწილო კაბა იყო გადაფენილი. წინაღამით ქორწინებისწინა სადილი ჰქონდათ. სწორედ იქ ნახეს ამანდა ბოლოს.

ლორი მიხვდა, რომ ბრეტის ყურადღება მიიპყრო.

- ანერვიულდნენ. სასტუმროს სავარჯიშო დარბაზიც შეამოწმეს, სანაპიროც, რესტორანიც, ფოიეც - ყველა ადგილი, სადაც მისი მოძებნა შეიძლებოდა. ჯეფმა პერსონალს ჰკითხა, უკვე დაალაგეთ მისი ოთახი თუ არაო. თანამშრომელმა შეამოწმა და

როდესაც უპასუხა, არაო, ამ დროს გამოჩნდნენ ამანდას მშობლებიც. მათ ჯეფისგან უნდა მოესმინათ, რომ მათი ქალიშვილი დაიკარგა. მას შემდეგ, გოგონასგან აღარაფერი სმენიათ.

ბრეტმა თითები დაატკაცუნა.

- მისი სახე მეცნო. გაქცეული პატარძალია, არა? ვეგასში არ ნახეს სხვა ტიპთან ერთად?

ლორის ბუნდოვნად გაახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინ ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, მაგრამ უფროსი დაარწმუნა, რომ ეს ამანდა პირსი არ იყო.

- ამანდა უკვალოდ გაქრა. ადამიანები ხუთი წლით არ გარბიან.

- უკვალოდ? იმის თქმა გინდა, რომ ცხედარიც არ უპოვიათ? არც ახალი სამხილებია? არც ისე კარგი პირი უჩანს.

- გაუხსნელი საქმეა. სწორედ ასეთ საქმეებს ვიძიებთ, ბრეტ.

- ეს უიმედოა. მოდი, გამოვიცნობ: ადამიანი, რომელსაც ჩემთან შეხვედრამდე ესაუბრებოდი, სტიკერმიკრული დედა იყო, არა? ლიფტში შემხვდა, - სანამ ლორი პასუხის გაცემას შეძლებდა, კაცმა თქვა, - სევდიან ისტორიებს პირდაპირ ისრუტავ, ლორი. მწვანე შუქს ვერ აგინთებ მხოლოდ იმიტომ, რომ საცოდავ ოჯახს დარდი შეუმსუბუქო. სამხილები გვჭირდება. ეჭვმიტანილებიც. დარწმუნებული ვარ, დედამისის დახმარება გინდა, მაგრამ, როგორც მახსოვს, მშობლები იქ არც კი იყვნენ, როდესაც გოგონა გაუჩინარდა, არა? და ვინ არიან ის ადამიანები, რომლებზეც დღემდე „ეჭვობენ?“

ლორიმ ახსენა ამანდას სატრასტო ფონდი, რომელიც ჯეფს დაუტოვა, სანამ დაქორწინდებოდნენ.

ჯერი ჩაერთო.

- ინტერნეტში რომ შეხვიდეთ, ნახავთ, რომ ათასობით ადამიანი საუბრობს ამ საქმეზე. თითქმის ყველა ფიქრობს, რომ ეს ამბავი სიძის ნახელავია და ფულთანაც აქვს რაღაც კავშირი.

მით უმეტეს, რომ ანდერძის შესახებ არაფერია გასაჯაროებული, თანაც არც ისე დიდი ხნის შემდეგ ამანდას გაუჩინარებიდან მის საუკეთესო მეგობარს აეკიდა. ახლა დაქორწინებული არიან და დარწმუნებული ვარ, არც ისე დიდი ხანი დარჩა იმ დრომდე, როცა ერთად დახარჯავენ მთელ ფულს.

- და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში საეჭვო არაფერია, მიკერძოებულები ხომ არა ვართ, - დაამატა ლორიმ ხუმრობით.

- რასაკვირველია, არა, - თქვა ჯერიმ.

ფულის ხსენებამ ლორის ახალი იდეა გაუჩინა.

- იდეალური ადგილი იქნება გადასაღებად, ბრეტ. სასტუმრო „გრანდ-ვიქტორია“ პალმ-ბიჩში... საოცნებო ქორწილი უნდა ყოფილიყო. მოგზაურობას, საცხოვრებელსა და გართობას მთლიანად პატარძლის მდიდარი ოჯახი აფინანსებდა.

ლორი ნასიამოვნები დარჩა, როდესაც დაინახა, რომ ბრეტი, ბოლოს და ბოლოს, რაღაცას იწერდა. გაარჩია სიტყვაც „სასტუმრო“, რომელსაც დოლარის ნიშნები მოჰყვებოდა. როგორც ვარაუდობდა, ბრეტი მოხიბლა მდიდრული გარემოსა და ფინანსურად უზრუნველყოფილი მონაწილეების იდეამ. ხანდახან ფიქრობდა, იქნებ ბრეტს ურჩევნია, შემდეგი სათაურის გადაცემა შეემექმნაო: „მდიდარი და ცნობილი ადამიანების ცხოვრების სტილი: გაუხსნელი მკვლელობები“.

- მაგრამ მისი ცხედარი ვერ იპოვეს, - დაასკვნა ბრეტმა, - დღეს მხოლოდ ის ვიცით, რომ ამანდა პირსი ტკბება ახალი ცხოვრებითა და ახალი სახელით. ჩემი აზრით, ლორი, შენი ჟურნალისტური ეთიკა არ უნდა მოგიწოდებდეს ქალის პირადი სივრცის დარღვევისკენ.

ლორი უკვე ვეღარ ითვლიდა, რამდენჯერ დაუპირისპირდა მისი, როგორც რეპორტიორის, ფასეულობები ბრეტის მაღალი რეიტინგების ქონის ძლიერ მოთხოვნას. ახლა, როდესაც ტელე-

ვიზიისთვის იდეალური საქმე იპოვა, კაცი კვლავ ტკბებოდა მისი წვალებით.

- სხვათა შორის, მაგაზეც ვიფიქრე. მაშინაც კი, თუ ამანდა თავისი ნებით გაიპარა, მსხვერპლი გვყავს. ოჯახი შეძრა და პატიოსან ადამიანს ეჭვმიტანილის იარლიყი მიაწება. ძალიან გამიხარდება, თუკი სიმართლეს დავადგენთ, არა აქვს მნიშვნელობა, სადამდე მიგვიყვანს ის.

- ჰო, ცხოვრებაში პირველად, მგონი, ერთ აზრზე ვართ. საიდუმლოებით მოცული ამბავია, თანაც გამქრალი პატარძლის საქმე ტელევიზიისთვისაც იდეალურია - ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროდან გაქრა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღის წინ. იცი, ჩანს, შენზე მართლაც შესანიშნავი გავლენა მოვახდინე.

- უეჭველია, - თქვა ლორიმ მშრალად. უკვე საქმის სხვა უპირატესობებზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, გრეისი და ჯერი მოხიბლულები იქნებოდნენ გადასაღები ადგილით. ლორის მამა, ლეო და ვაჟი, ტიმი, მასთან ყოფნას შეძლებდნენ გადაღებებზე, რომელიც, იმედია, აგვისტოში იქნებოდა. შესაძლოა, მანამდეც მორჩენილიყვნენ გადაღებებს, სანამ სექტემბერში ტიმი სკოლაში მივიდოდა. მისი გონება უკვე იმ აზრს დასტრიალებდა, როგორ დაჰკითხავდა ალექსი მონაწილეებს სანაპიროზე, როდესაც ბრეტმა ჰკითხა:

- ვინ მონაწილეობს?

მათი შოუს უდიდესი გამოწვევა მსხვერპლის მეგობრებისა და ოჯახის წევრების დარწმუნება იყო იმაში, რომ მონაწილეობა მიეღოთ.

- ჯერჯერობით, მხოლოდ დედამისი, სავარაუდოდ, და-ძმა და ერთ-ერთი მეჯვარეც, - თქვა ლორიმ და სასწრაფოდ დაამატა, - არ მინდოდა, ვინმეს დავკავშირებოდი, სანამ შენს თანხმობას

არ მივიღებდი, - ეს არგუმენტი უკეთესი ჩანდა, ვიდრე მეორე - „ეს საქმე თავისით ჩამოფრინდა ციდან ამ დილას“.

- მაშინ მიდი, მიაწექი. გაქცეული პატარძლის საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნამდვილი ჰიტი იქნება.

10

შარლოტ პირსმა მიმტანს მწვანე სალათა და ორაგული შეუკვეთა.

- და ცივი ჩაიც დამიმატეთ, თუ შეიძლება, - თქვა მან და მენიუს გადაცემისას თავაზიანად გაუღიმა კაცს. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, „სისხლიანი მერი“[14] და სტეიკი ერჩივნა კარტოფილის გარნირით, მაგრამ დედასთან ერთად უჯდა სუფრას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველმხრივ კარგად უნდა მოქცეულიყო.

შარლოტმა კარგად იცოდა, რომ ამ ბოლო დროს თხუთმეტი გირვანქა მოიმატა. მისი და-ძმისგან განსხვავებით, ბუნებრივად გამხდარი არ იყო და „ცოტა მეტი მუშაობა“ სჭირდებოდა „ჯანსაღი წონის“ შესანარჩუნებლად, როგორც დედამისი ამბობდა ხოლმე. ბედის ირონიით, შარლოტის წონაში მატება „ლეიდი-ფორმში“ გატარებული გრძელი დღეები და ფასტ--ფუდის(სწრაფად დამზადებული საკვები, რომელიც ხშირ შემთხვევაში მაღალკალორიულია.) დამსახურება იყო, რომელსაც ენერგიის მისაღებად მიირთმევდა.

- ჰო, ნამდვილად კარგი რესტორანია, - თქვა დედამისმა, როდესაც მიმტანი წავიდა. შარლოტმა ეს ადგილი იმიტომ აირჩია, რომ იცოდა, დედამისი დააფასებდა ელეგანტურ და ფართო სასადილო ოთახს, რომელიც სურნელოვანი ყვავილებით იყო დამშვენებული. გარდა ამისა, თავისი გრძელი, ურჩი, ტალღოვანი ღია ყავისფერი თმა კისერთან ჰქონდა შეკრული. დედამისი ყოველთვის სთავაზობდა, რომ სხვა ვარცხნილობა ეცადა. შარ-

---

[14] (ინგლ. Bloody Mary) პოპულარული კოქტეილი.

ლოტისთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ დედამისს უნდოდა, ამანდას დამსგავსებოდა.

- როგორ მიდის საქმეები სამსახურში?

როდესაც შარლოტი ჰყვებოდა თავისი იოგას ხაზის მარკეტინგული გეგმების შესახებ, მათ შორის მოდური შოუს შესახებაც, რომელიც New York One-ზე[15] გაშუქდებოდა, დედამისი თითქოს ცალი ყურით უსმენდაო, - ბოდიში, დედა. ძალიან დიდხანს ვილაპარაკე. ოჰ, არა, მამად ხომ არ გადავიქცევი?

- არც კი იფიქრო, - თქვა სანდრამ ღიმილით, - გახსოვს, თქვენ სამმა ტაიმერი[16] რომ დააყენეთ, რომ გენახათ, რამდენ ხანს იბურტყუნებდა ახალი ბიუსტჰალტერის შესახებ, რომლის სხვადასხვაგვარად შეკვრა შეიძლებოდა?

- მართალია. კინაღამ დამავიწყდა, - პირსის ბავშვები ყველაზე მეტს მამის დამსახურებით იცინოდნენ. ზორბა, ვაჟკაცურ უოლტერ პირსს სულაც არ უჭირდა ბიუსტჰალტერებზე, ტრუსებსა და სარტყელებზე საუბარი სასადილო მაგიდასთან, მეგობრების წინაშე, ანდაც სასურსათო მაღაზიის რიგში. ეს ყველაფერი მისთვის უბრალოდ სამსახური იყო, თავისი სამსახური კი ძალიან უყვარდა. ის კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც დედა იხსენებდა, მადლიერების დღეს მოხდა, ბიუსტჰალტერი კი „ლეიდიფორმის“ „სამი ერთში“ მოდელი იყო, რომელსაც ბრეტელები ეხსნებოდა, ან შეიძლებოდა ბრეტელების ზურგზე გადაჯვარედინებულად შეკვრაც. ასეთი დიზაინი პირველად „ლეიდიფორმმა“ შეიმუშავა.

- ბავშვები ყველაზე მეტად აწვალებდით, - თქვა მოგონებებში ჩაძირულმა სანდრამ.

---

[15] სატელევიზიო არხი.

[16] ხელსაწყო, რომელიც ითვლის დროს.

- ოჰ, ეს ძალიან სიამოვნებდა. ახლაც ასეა, - დაამატა შარლოტმა და თავის თავს შეახსენა, რომ დედა და მამა უკვე იშვიათად ლაპარაკობდნენ, - დედა, გუშინ დამირეკე და გამომიცხადე, რომ ნიუ-იორკში მოდიოდი. ძალიან მიხარია შენი ნახვა, მაგრამ ვეჭვობ, იმიტომ არ გადმოგიფრენია ნახევარი ქვეყანა, რომ ლანჩზე ერთად წამოვსულიყავით.

- ეს ამანდას ეხება.

- რა თქმა უნდა, - ყველაფერი, რასაც მისი მშობლები ამბობდნენ, აკეთებდნენ ან ფიქრობდნენ, ამანდას შეეხებოდა. შარლოტმა იცოდა, რომ მის რეაქციას დედის სიტყვებზე, ცოტა არ იყოს, სისასტიკის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მის მშობლებს ყოველთვის ამანდა ერჩივნათ, მის გაუჩინარებამდეც კი. შარლოტმა ცხოვრების დიდი ნაწილი იმ გრძნობით გაატარა, რომ თავის უმცროს დაზე ნაკლებად განათლებული, ნაკლებად მიმზიდველი და ნაკლებად აღიარებული იყო.

ყველაფერი ბევრად გაუარესდა, როდესაც ამანდამ კოლეჯი დაამთავრა და „ლეიდიფორმში“ დაიწყო მუშაობა. შარლოტი მწარედ იხსენებდა, რომ ამანდას მოსვლამდე ოთხი წელი გაატარა კომპანიაში. მაგრამ ამანდა იმ იდეით მოვიდა, რომ ცნობილი ქალი ათლეტები დიზაინერებთან დაეწყვილებინათ და ქალების სპორტული სამოსი შეექმნათ. ამის შემდეგ მამა ისე ექცეოდა ამანდას, თითქოს მასში აინშტაინის სული ჩასახლებულიყო. შარლოტი უხალისოდ ფიქრობდა, რომ ამანდას იდეა მართლაც შესანიშნავი იყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ხუთი წელი თავისი დის სამუშაოსაც ასრულებდა და მეტსაც აკეთებდა, მის მოსიყვარულე მშობლებს არ შეუმჩნევიათ.

მიმტანს ანიშნა და როდესაც იგი მიუახლოვდა, უთხრა:

- „მარტინი“ არყით, თუ შეიძლება, - მერე კი დედამისს შეხედა, - კარგი, დედა, რა ხდება?

11

როგორც კი ბრეტის ოფისიდან გამოვიდნენ, ლორიმ ჯერის მეგობრულად დაარტყა ხელი მხარზე.

- შესანიშნავი იყავი. ვერ ვიჯერებ, რომ ამდენი რამე იცოდი ამ საქმეზე.

- კოლეჯში ვსწავლობდი, როდესაც ამანდა პირსი გაუჩინარდა. მთელი საერთო საცხოვრებელი გაგიჟებული იყო ამ ამბავზე. ორი დღე ლექციებსაც კი ვაცდენდი, ისე ვიყავი მიწებებული CNN-ს[17] სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება აქ მუშაობა იყო.

ჰარვიმ, წერილების განყოფილებიდან, მათ წინ ჩაიარა. ცალი ხელით წერილებით სავსე ურიკას მიაგორებდა, მეორეში კი ნახევრად შეჭმული კრუასანი ეჭირა.

- ლორი, დღეს ოფიციალურად ჩემი საყვარელი ადამიანი ხარ ამ სამსახურში.

- მიხარია ამის მოსმენა, ჰარვი.

როდესაც ჰარვი საკმარისად დაშორდა მათ, ჯერიმ თქვა:

- აი, მის ცოლს კი არ გაუხარდებოდა. როგორც გავიგე, უგლუტენო[18] დიეტაზე გადაუყვანია. მიხარია, რომ რაღაცებს მაინც ჭამს. წერილები მთელი კვირა არეული იყო.

ლორიმ გაიღიმა. ჯერიმ ყოველთვის ყველაზე ყველაფერი იცოდა.

---

[17] ამერიკული ახალი ამბების ტელეარხი.

[18] იგივე წებოვანა, მცენარეული წარმოშობის ცილა, რომელიც სხვადასხვა მარცვლეული კულტურის ქერქში შედის.

- როგორ მოხდა, რომ შენ არ შემოგითავაზებია გაქცეული პატარძლის საქმე შოუსთვის, თუ ასე ძალიან იყავი დაინტერესებული?

- არ ვიცი. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მოგეწონებოდა.

- გრეგის გამო? ჯერი, როდესაც გრეგის მკვლელი იპოვეს, სიმშვიდის განცდა დამეუფლა. არა დასასრულის, მაგრამ სიმშვიდის. ამიტომ, თუკი ჩვენი პროგრამა სხვა ადამიანებსაც მიანიჭებს ამ გრძნობას, ბედნიერი ვიქნები.

ეს სიმართლე იყო. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გრეგის სიკვდილთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხები იპოვა, მიხვდა, რომ რაღაცის ზუსტად ცოდნა სანუგეშო იყო. წესრიგის დამამყარებელი. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან შოუ „ეჭვქვეშ“ მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ წარმატებული ახალი ამბების პროგრამა ყოფილიყო, ახლა მას სხვა ოჯახების დახმარების შანსადაც მიიჩნევდა.

- სიმართლე გითხრა, ამანდას საქმის შემოთავაზებაზე მაშინ დავფიქრდი, როდესაც დამხმარე პროდიუსერად დამაწინაურეს. მაგრამ, როცა ლოს-ანჯელესში ვიყავით კონკიას მკვლელობის საქმეზე, იმ უზარმაზარ სახლში თქვი, ეს აუზი თითქმის იმხელაა, რამხელაც „გრანდ-ვიქტორიასიო“. ამაზე ფიქრის დროს დამწუხრებული მომეჩვენე და ვიფიქრე... - წინადადება აღარ დაუმთავრებია.

- სწორად იფიქრე, ჯერი. იქ გრეგთან ერთად ვიყავი, მაგრამ დარდი ნუ გაქვს, კარგად ვიქნები.

12

ლორი, ჯერი და გრეისი ლორის ოფისში შეიყარნენ. იმ პირების სია შეადგინეს, რომლებსაც უნდა დაჰკავშირებოდნენ, სანამ ოფიციალურად მოჰკიდებდნენ ამანდას საქმეს ხელს. გრეისმა არაფერი იცოდა გაქცეული პატარძლის, ამანდა პირსის შესახებ, ასე რომ, ლორიმ რამდენიმე წუთი მისთვის საქმის დეტალების ახსნასა და ამ ყველაფრის დილანდელ სტუმართან დაკავშირებაში გაატარა.

- ჰო, ახლა ყველაფერი გაცილებით ნათელია, - თქვა გრეისმა, - შეხვედრაზე რომ იყავით, სანდრამ დარეკა. მითხრა, გადაეცი, რომ ჩემი ყოფილი ქმარი, უოლტერი, - მის სიტყვებს ვიმეორებ - მთლიანად ჩვენიაო.

- შესანიშნავია, - თქვა ლორიმ და ამანდას მამა სიიდან ამოშალა, - სანდრამ იმ პირების სია მომცა, რომლებიც ამანდას გაუჩინარების დროს სასტუმროში იყვნენ. სიძე, ჯეფრი ჰანტერი, ისევ სახალხო დამცველია ბრუკლინში. დაქორწინებულია მეგან უაითზე, ამანდას საუკეთესო მეგობარზე, რომელიც მისი მეჯვარე უნდა ყოფილიყო.

გრეისს ამ სკანდალური ამბის გაგებისას ეჭვშერეული შეძახილი აღმოხდა. მოსწონდა იმაზე ფიქრი, რომ დამნაშავეს უცებ, ინსტინქტურად ცნობდა.

- ნაადრევად დასკვნებს ნუ გამოიტან. ჟურნალისტები ვართ, გახსოვს? - გაიცინა ლორიმ, - ჯეფის მხარეს მისი ორი მეგობარი იყო კოლეჯიდან - ნიკ იანგი და ოსტინ პრეტი. როგორც სანდრამ შეიტყო, ორივეს ფინანსისტობა მოუნდომებია და ამ ბოლო დროს აქ, ნიუ-იორკში მუშაობენ. ასე რომ, მათი მოძებნა იოლი

იქნება. მესამე მეჯვარე ამანდას უფროსი ძმა, ჰენრი იყო. ვფიქრობ, პირსების ოჯახში ის ერთადერთი ნონკონფორმისტია.[19]

ჯერი ყველაფერს გაშმაგებით იწერდა.

- ამანდას მხარეს რა ხდებოდა?

- მეჯვარე, მეგან უაითი...

- რომელმაც სიძე მოიტაცა, - თქვა გრეისმა.

- დიახ, ამჟამად ყოფილი სიძის ცოლია. ამანდას და, შარლოტიც, ყველაზე უფროსი ოჯახში, მეჯვარე იყო. ახლა იგი პირდაპირი მემკვიდრეა ოჯახის კომპანიისა, რომელიც, სხვათა შორის, „ლეიდიფორმია“.

- ვგიჟდები მაგათ რამეებზე, - თქვა გრეისმა ჩურჩულით, თითქოს საიდუმლო ყოფილიყოს, - ჩაიცვამ და ორი ზომით პატარას გაჩენს.

ლორიმ უკვე იცოდა, როგორ ახერხებდა ვნებიანი გრეისი თავის საყვარელ მოტკეცილ კაბებში ჩატევას.

- ვფიქრობ, გაუჩინარებამდე კორპორაციის კარიერულ კიბეზე ამანდა ადიოდა. შეგვიძლია დებს შორის მეტოქეობაც განვიხილოთ. და, საბოლოოდ, ქეით ფალტონი. სანდრას მასზე ბევრი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის, რომ უკვე ელაპარაკა და შოუში მონაწილეობაზე დაითანხმა. ამანდას და-ძმის გარდა, ყველანი მენში, კოლბის კოლეჯში სწავლობდნენ. სანდრა პირსს მტკიცედ სწამს, რომ ისინი დაეხმარებიან.

- შემიძლია ფეისბუკი და ლინკდინი[20] შევამოწმო, ვნახო, ონლაინსივრცეში თუ აქვთ კავშირი, - თქვა ჯერიმ. იგი სოციალური

---

[19] საზოგადოებაში დამკვიდრებული წესრიგის უარმყოფელი, განსხვავებული აზრის მქონე, ვინც პროტესტს უცხადებს თავს მოხვეულ შეხედულებებს.

[20] სოციალური ქსელები.

ქსელების გამოყენების ექსპერტი იყო ზოგადი ინფორმაციის შესაგროვებლად, - ყველას საკონტაქტო ინფორმაციასაც მოვიძიებ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ ქორწილის მონაწილე ჯგუფია. „გრანდ-ვიქტორიაში“ დარეკვაც დაგვჭირდება. ტელევიზიის მხრიდან თუ შევხედავთ, ამ საქმის მიმზიდველობას სწორედ ეს ადგილი განაპირობებს.

- მაგაზე ვნერვიულობ, - უპასუხა ლორიმ, - სასტუმრომ, შესაძლოა, არ მოინდომოს ხალხისთვის იმის შეხსენება, რომ ამანდა გაუჩინარდა.

- არასდროს არაფერი თქმულა იმაზე, რომ სასტუმრო რაიმე კავშირშია ამ დანაშაულთან. მე თუ მკითხავთ, ეს საქმე ადასტურებს, რომ წარმატებული, გემოვნებიანი ადამიანები სწორედ ამ ადგილს ირჩევენ საქორწინო ცერემონიისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საოცარ ხედებზე, რომლებსაც გადავიღებთ და გადაცემაში ჩავრთავთ.

- მშვენიერი ნათქვამია, ჯერი. როცა დრო მოვა, მაგ საქმეს შენ მოგანდობ. სანდრამ ფოტოგრაფიც ახსენა. სამწუხაროდ, მისი სახელი ვერ გაიხსენა, მაგრამ, შესაძლოა, სასტუმროს მენეჯერს ახსოვდეს.

- და სიძესაც, თუკი თანამშრომლობას გადაწყვეტს.

- თუკი? - თქვა ლორიმ, - არ დაგვთარსო. იგი სანდრასთვის ნომერი პირველი ეჭვმიტანილია. აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს.

13

შენობის გასასვლელში სანდრა კიდევ ერთხელ ჩაეხუტა ქალიშვილს.

- ძალიან ვამაყობ შენით, საყვარელო, - თქვა მან.

- დედა, რამდენიმე საათში ერთად ვსადილობთ. „მარეა“, რვა საათი. ხომ იცი, სადაც არის?

- უკვე ამიხსენი: სენტრალ-პარკის სამხრეთით უნდა ვიარო, პირდაპირ, თითქმის კოლუმბუს-სერკლამდე[21] მგონი, მოვახერხებ, რომ არ დავიკარგო. დიდი სიამოვნებაა დღეში ორჯერ შენი ნახვა.

სანდრა შარლოტთან გატარებული დროით ტკბებოდა. როდესაც როლიში ცხოვრობდა, შარლოტსა და ჰენრის ერთნაირი სიხშირით ნახულობდა, წელიწადში ორჯერ ან ოთხჯერ, რაც, მისი აზრით, საკმარისი არ იყო. როდესაც სიეტლში გადავიდა, თავს პირობა მისცა, რომ შარლოტს, სულ ცოტა, იმდენჯერვე მაინც ესტუმრებოდა, მაგრამ ჰენრის რომ ხშირად ნახულობდა, ამიტომ შარლოტი უფრო ენატრებოდა.

შვილი კარგად მოიქცა, მთელი შუადღე დედასთან რომ გაატარა. „ლა გრენუიში“ გრძელი ლანჩის შემდეგ, მეხუთე ავენიუზე ვიტრინების თვალიერებით აისეირნეს და ფეხით მივიდნენ „ლეიდიფორმის“ კორპორაციულ ოფისებთან, კარნეგი--ჰოლის(საკონცერტო დარბაზი ნიუ-იორკში.) გვერდით. იქ კი შარლოტმა ამაყად გააცნო დედამისს ახალი მოდელები.

---

[21] (კოლუმბის მოედანი) მანჰეტენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოედანი.

როდესაც სანდრა „პიერში“, თავის ოთახში დაბრუნდა, შარლოტის სახე გაიხსენა, როცა პირველად ახსენა ამანდას სახელი. ახლა რომ ფიქრობდა, ჯობდა, შარლოტისთვის გუშინ, ტელეფონშივე ეთქვა თავისი გეგმის შესახებ, გადაცემის „ეჭვქვეშ“ სტუდიაში მისვლას რომ აპირებდა. ასე დღევანდელი დღე მთლიანად სახალისო გამოვიდოდა.

უნდა სცოდნოდა, რომ ამანდას ხსენება სიტუაციას დაამძიმებდა. შარლოტი ყოველთვის ადარებდა ხოლმე თავის თავს პატარა დას. ამანდას გაუჩინარებიდან ხუთი წლის შემდეგაც კი მის მოგონებას ექიშპებოდა.

„როდესაც შარლოტს მოვუყევი ლორი მორენთან შეხვედრის შესახებ, გახარებული ჩანდა, - ფიქრობდა ქალი, - და მაშინვე დამთანხმდა მონაწილეობაზე, თუკი შოუში ამ საქმის გაშუქებას მოინდომებენ“. „ერთი დღეც არ ყოფილა, ამანდა არ მომნატრებოდა“, - თქვა შარლოტმა, მაგრამ თავისი დის სახელის ხსენებაზე სახე შეეცვალა და მაშინვე „მარტინი“ მოითხოვა.

„შარლოტი კარგი, წესიერი გოგოა, მაგრამ რატომ არის ასეთი მერყევი და ეჭვიანიც კი? - სანდრამ ამოიოხრა, - შურიანობა შარლოტს ცუდ სამსახურს უწევს. მეშვიდე კლასში სკოლიდან გამორიცხეს იმის გამო, რომ სამეცნიერო გამოფენაზე სხვა სტუდენტის ნაშრომი გაიტანა“.

მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად შურდა ამანდასი, შარლოტი არაფერს დაუშავებდა პატარა დაიკოს. თუ დაუშავებდა? სანდრამ, აღშფოთებულმა იმით, რომ ასეთმა ფიქრმა გაუელვა გონებაში, ყელში მომდგარი ბურთი გადაყლაპა.

14

როდესაც N6-მა მატარებელმა 96-ე ქუჩის გაჩერებას მიაღწია, ლორი ჯერისთან დიალოგს იხსენებდა. ამანდას გაუჩინარების შესახებ მან გაცილებით მეტი იცოდა ხუთი წლის განმავლობაში ახალი ამბების კითხვით, ვიდრე ლორიმ ორსაათიანი საუბრის დროს დედამისისგან გაიგო. აი, ასე კარგად იცოდა ეს საქმე, მაგრამ მაინც თავს იკავებდა მისი შემოთავაზებისგან იმ კომენტარის გამო, რომელიც ქალმა თვეების წინ ლოს-ანჯელესში გააკეთა. „ძალიან დამწუხრებული მომეჩვენე, - თქვა მან, - და ვიფიქრე...“

ჯერის წინადადება არ დაუსრულებია. ამის საჭიროება არც იყო, რადგან სწორად იფიქრა. ლორი ბოლოს „გრანდ--ვიქტორიას“ სასტუმროში გრეგთან ერთად იყო. ქორწინების მეორე წლისთავი ჰქონდათ. ნიუ-იორკში ძალზე სუსხიანი ზამთარი იდგა. თუმცა სიცივეზე მეტად ლორის ის უფუჭებდა ხასიათს, რომ კიდევ ერთი თვე გავიდა დაფეხმძიმების გარეშე. ექიმი ამბობდა, რომ ასეთი რამეები მაშინვე არ ხდებოდა, მაგრამ მას და გრეგს ძალიან უნდოდათ შვილები.

გრეგმა მისი შფოთი რომ იგრძნო, ხუთშაბათ საღამოს სიურპრიზი მოუწყო და გამოუცხადა, რომ უქმეებზე გათავისუფლდა მაუნთ-სინაის[22] გადაუდებელი დახმარების განყოფილებიდან, სადაც მუშაობდა. ოთხი შესანიშნავი დღე გაატარეს ცურვასა და სანაპიროზე კითხვაში, საღამოობით კი გრძელი სადილებით ტკბებოდნენ. ცხრა თვეში ტიმიც დაიბადა.

---

[22] ერთ-ერთი ძველი და დიდი სამედიცინო კომპლექსი ნიუ--იორკში.

როდესაც გრეგი გარდაიცვალა, ლორი ძალიან მარტოდ გრძნობდა თავს. ყოველთვის წარმოედგინათ, რომ ოთხი ან ხუთი შვილი ეყოლებოდათ. ტიმი უყვარდა, სიცოცხლეს ერჩივნა, მაგრამ არასდროს უფიქრია, რომ მისი ერთადერთი შვილი იქნებოდა.

მაგრამ ახლა, როცა თითქმის ექვსი წელი გასულიყო გრეგის სიკვდილიდან, გააცნობიერა, რომ ის და ტიმი არასდროს ყოფილან მარტონი. მამამისი, ლეო, ნიუ-იორკის პოლიციიდან წამოვიდა, ქალიშვილს შვილის გაზრდაში რომ დახმარებოდა.

მისი ოჯახი აქ არ წყდებოდა. გრეისს მისი ფიქრების წაკითხვა ერთი შეხედვით შეეძლო. ჯერიმ იცოდა, რომ შეიძლებოდა, მზად არ ყოფილიყო იმ საქმის შესასწავლად, რომელშიც ახალგაზრდა წყვილი სწორედ იქ აპირებდა დაქორწინებას, სადაც გრეგთან ერთად იყო. ჯერი და გრეისი თანამშრომლები იყვნენ, მაგრამ ოჯახის მაგივრობასაც უწევდნენ.

და არსებობდა ალექსიც. თუმცა ლორის ახლა ამაზე ფიქრი არ სურდა.

სწრაფად გაიარა რამდენიმე კვარტალი თავის ბინამდე მისასვლელად. როდესაც კარს გასაღები მოარგო, იგრძნო, როგორ ჩამოშორდა იმ დღის ყველა თავსატეხი. შინ იყო.

15

სახლში შესვლისთანავე შემწვარი წიწილის სუნი იგრძნო, მისაღები ოთახიდან კი ჩხუბის ნაცნობი ხმები გამოდიოდა. პოუ! ჰაჰ! ტიმი თავის Wii-ზე[23] Super Smash Bros-ს[24] თამაშობდა, ლეო კი სავარძელში იჯდა და რომელიღაც გაზეთის სპორტის რუბრიკას კითხულობდა. ლორი დიდხანს ცდილობდა, ტიმისთვის ასეთი თამაშები აეკრძალა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა.

- მარიოს შანსი არა აქვს, - თქვა ლორიმ, როდესაც დაინახა, როგორ ებრძოდა ერთ-ერთი პერსონაჟი მისი შვილის ვირტუალურ პერსონაჟს.

ტიმიმ სასიკვდილო დარტყმის შემდეგ კმაყოფილმა შესძახა: „აარიისსს!“ და დედის ჩასახუტებლად აბობღდა.

- როგორც იქნა, მოხვედი, - თქვა ლეომ და წამოდგა, - როგორ ჩაიარა ბრეტთან შეხვედრამ?

ლორის გაეღიმა, გაუხარდა - მამამისს ახსოვდა, რომ იმ დღეს ბრეტს უნდა შეხვედროდა.

- უკეთესად, ვიდრე მოველოდი.

- რა რეაქცია ჰქონდა იმ საქმეებზე, რომ ვერ ამოირჩიე?

- დაივიწყე ისინი. დღეს მართლაც შესანიშნავი რამ მოხდა, - და მოკლედ უამბო სანდრას სტუმრობის შესახებ, - გახსოვს ეს საქმე?

---

[23] სახლის ვიდეოთამაშების კონსოლი.

[24] ერთ-ერთი ვიდეოთამაში.

- ბუნდოვნად. მაშინ ჯერ კიდევ ვმუშაობდი, ნიუ-იორკში კი იმ-დენად ბევრი დანაშაული ხდებოდა, რომ თავისუფალი დრო სად მქონდა.

ლორიმ ის მუსიკა გაიგონა, რომელიც თამაშის დასასრულზე მიუთითებდა და ტიმიმაც დადო დისტანციური მართვის აპარა-ტი. აშკარად უფროსების საუბარს უსმენდა.

- ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ისევ წახვალ? - იკითხა ბიჭმა შეშფოთებული ხმით.

ლორიმ იცოდა, რომ ტიმი მის არყოფნას ძალიან განიცდიდა. წინა გადაცემისთვის სიუჟეტის გადაღებებისას გადაწყვიტა, ორი კვირით სკოლიდან გამოეყვანა და კალიფორნიაში წაეყვანა ბა-ბუასთან ერთად, რომელიც მოუვლიდა. თავად ყოველი გადაღე-ბის დროს ამას ვერ მოახერხებდა.

- ნახავ, ძალიან მოგეწონება, - უთხრა ბავშვს, - ამჯერად შორს არ მივდივართ. გადაღებები აქვე იქნება, ფლორიდაში, ორი-სამი საათის სავალზე. თუკი პროექტს მოიწონებენ, იმედია, მომავალ თვეს, სანამ სწავლა დაგეწყება, გადაღებას დავიწყებ.

- იქ აკვაპარკი არის?

ლორიმ გრეისს უხმო მადლობა გადაუხადა, რომელმაც უკვე მოიძია ამაზე ინფორმაცია.

- კი. ერთ-ერთში ძალიან მაღალი სასრიალოც ჰქონიათ.

- მაგარია. ალექსიც წამოვა? - იკითხა ტიმიმ, - დარწმუნებუ-ლი ვარ, ჩემთან ერთად ისრიალებს.

ხანდახან ლორი ნერვიულობდა, ტიმის ასე რომ უხაროდა ალექსის არსებობა მათ ცხოვრებაში. ქალს სურდა, ურთიერთო-ბა არ დაეჩქარებინათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტიმივით მანაც წარმოიდგინა თავი ალექსთან ერთად სანაპიროზე.

- კი, - უპასუხა შვილს, - ალექსი შოუს მნიშვნელოვანი ნაწი-ლია. უკვე დავუკავშირდი. მზადაა წამოსასვლელად. გრეისი და ჯერიც იქ იქნებიან.

- გრეისი, ალბათ, პირად თვითმფრინავს დაიქირავებს თავისი ფეხსაცმელებისთვის, - თქვა ლეომ.

- სულაც არ გამიკვირდება.

ორი საათის შემდეგ, როდესაც ლორიმ სამზარეულოს მაგიდა აალაგა, ჯერისგან შეტყობინება მიიღო. ისევ ოფისში იყო და შოუსთვის საჭირო ყველა პირის საკონტაქტო ინფორმაცია შეეგროვებინა. „ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებთ!“ - წერდა იგი.

მისი კოლეჯის დროინდელი გატაცება საცა იყო, ხორცს შეისხამდა. როდესაც ლორი შოუში მონაწილეებზე ფიქრობდა, იმაზე ღელავდა, რომ სიძე და მისი ახალი ცოლი აუცილებლად დასჭირდებოდათ. სანდრას დაპირების მიუხედავად, ორივენი ადვოკატები იყვნენ, რის გამოც, შესაძლოა, თანამშრომლობაზე არ დასთანხმებოდნენ.

საბედნიეროდ, ლორი იცნობდა ერთ ადვოკატს, რომელსაც მათი დარწმუნება შეეძლო. მაშინვე მისწერა ალექსს შეტყობინება, რომელიც ბოსტონში საპატიო სტუმრის სტატუსით სასამართლოსთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ კონფერენციას ესწრებოდა. „ორშაბათს საღამოს დრო გექნება? რამდენიმე საათს წაიღებს. შოუს ეხება. და გთხოვ, მანქანა წამოიყვანე. იმედია, ერთ-ორ მონაწილეს შევხვდებით“.

პასუხი მაშინვე მოვიდა: „შენთვის ყოველთვის მაქვს დრო“.

ლორიმ უპასუხა: „ორშაბათს დაგირეკავ და დეტალებს გაგაგებინებ. ღამე მშვიდობისა, ალექს“.

ქალმა ღიმილით შეაერთა მობილური დასატენად.

16

„ორგანიზებული ქაოსი“ - ასე ეძახდა ქეით ფალტონი იმ დროს, როდესაც თავის ოთხ შვილს საღამოსთვის ამზადებდა. სამი წლის ტყუპს, ელენსა და ჯარედს, ბანაობა ახალი დასრულებული ჰქონდათ და პიჟამებში გამოწყობილები ბარნის ვიდეოს უყურებდნენ. დღეს კარგი ღამე იყო. მათი სიმღერას აყოლილი ხმა მოწმობდა, რომ არ ჩხუბობდნენ.

რამდენჯერმე შეხსენების შემდეგ, ჯეინი, ბოლოს და ბოლოს, თავის ოთახში შევიდა, რათა დაძინებამდე წაეკითხა. უკვე ათი წლის იყო და გამოაცხადა, უფლება მაქვს, გვიანობამდე არ დავიძინოო.

- ჩემი ყველა მეგობარი უფრო გვიან იძინებს, - გააპროტესტა გოგონამ. ქეითი შეჰპირდა, რომ მის თხოვნაზე იფიქრებდა.

რვა წლის რაიანი ყველაზე იოლად მოსავლელი ბავშვი იყო. ტკბილი და მზიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, როგორც მის მკლავზე დამაგრებული თაბაშირი ადასტურებდა, ხიფათიანიც გახლდათ - ახალი ველოსიპედიდან ჩამოვარდა, რადგან უხელებოდ ცდილობდა მის ტარებას.

ჩვეულებრივ, ძილისწინა ხმაური მის სახლში უცნაურად კომფორტული იყო. მაგრამ ამ ღამით უბრალოდ სიჩუმე უნდოდა. ყურში უამრავი სხვა ხმა ჩაესმოდა.

სამი დღის წინ გაოცებულმა უპასუხა სანდრა პირსის ზარს. ქეითს მისგან აღარაფერი გაეგო ამანდას გაუჩინარების მეორე წლისთავის შემდეგ. დღეს კი, სადილობამდე, სანდრამ მესამედ დაურეკა და უთხრა, რომ შოუს „ეჭვქვეშ“ პროდიუსერი სიამოვნებით გააშუქებდა ამანდას საქმეს. რამდენიმე წამში ლორი მორენმაც, პროდიუსერმა, დარეკა და აუხსნა, რას მოიცავდა პროგრამაში მონაწილეობა.

სანდრამ ყველა ხარჯის დაფარვა შესთავაზა, ქეითს რომ ბილისა და ბავშვების წაყვანაც შესძლებოდა. თუ ეს არ მოხერხდებოდა, სანდრა მომვლელს დაიქირავებდა, რომელიც სახლში დარჩებოდა მისი არყოფნის დროს. ქეითმა უთხრა, რომ დედამისიც სიამოვნებით დარჩებოდა ბავშვებთან, მაგრამ მის წინადადებას დათანხმდა.

მაგიდიდან ადგა. ტყუპს ჩხუბი დაეწყო.

- სასწრაფოდ ზევით ადით. ყველანი, - თქვა მკაცრად.

„ჰოუმ დეპოს“ მაღაზია ყოველწლიურ აღწერას ატარებდა. მენეჯერი, ბილი, ჯერ კიდევ იქ იყო და ღმერთმა იცოდა, კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა.

ოცი წუთის შემდეგ, როდესაც ოთხივე შვილი დააბინავა და ჭურჭლის სარეცხი მანქანა ჩართო, ქეითი მშვიდად მიუჯდა მეორე ჭიქა ყავას. თუკი გადაღებები მართლაც დაიწყებოდა, როგორ იგრძნობდა თავს ისევ „გრანდ-ვიქტორიაში“?

გაიხსენა, როგორ გრძნობდა თავს ბოლო დროს. თითქოს მისი ადგილი არსად არ იყო. ამანდა, შარლოტი და მეგანი ძალიან განვითარებულები ჩანდნენ. ნიუიორკულები. მათ გვერდით თავს ულაზათო დიასახლისად გრძნობდა.

ქალი ფიქრობდა:

„ცამეტი წლიდან ბილი მიყვარდა, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, როგორ წარიმართებოდა ყველაფერი, კოლეჯის შემდეგ რამდენიმე წელი ნიუ-იორკში რომ მეცხოვრა, სხვებსაც შევხვედროდი და უფრო თავისუფლად მესუნთქა“.

ყავა მოსვა.

„არასდროს მიფიქრია, რომ პალმ-ბიჩში დავბრუნდებოდი. ხუთი წლის წინათ ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი. არავინ უნდა გაიგოს. გთხოვ, ღმერთო, გთხოვ, არავის გააგებინო“, - ლოცულობდა ჩუმად.

17

უოლტერ პირსმა შარლოტისგან გამოგზავნილი იმეილი გახსნა. „იმედია, შენც ისე ძალიან მოგეწონება, როგორც ჩვენ!“

ჩვენ. თავის ჯგუფს გულისხმობდა, ნიუ-იორკიდან. ათი წლის წინ ნებისმიერ ახალ პროდუქტს აქ, თავის ოფისში, ქარხანაში წარუდგენდნენ ხოლმე, საიდანაც საწარმოო დარბაზს გადასცქეროდა. მაშინ ახალი პროდუქტი ფურცელზე ფანქრით დახატული სკეჩები იყო. და სწორედ ის წყვეტდა, რამდენად შესაფერისი იყო ესა თუ ის პროდუქტი „ლეიდიფორმისთვის“.

ახლა დოკუმენტებს კომპიუტერში ხსნიდა. მაუსის ერთი დაწკაპუნებით შეეძლო, ციფრული ვერსია ყველა კუთხიდან დაეთვალიერებინა. ადამიანთა ჯგუფს კი, რომელთა სახელებსაც კი ვერ იმახსოვრებდა, უკვე მოსწონებიათ.

ათვალიერებდა იმ სამოსის სურათს, რომელსაც „კაპიუშონიანი ჯემპრი“ ერქვა, ახლა კი „ჰუდის“ ეძახდნენ. ამ მოდელს მიმაგრებული ჰქონდა ხელთათმანები, რომლებიც მაჯის ერთი გაქნევით ძვრებოდა.

ძველი უოლტერი ტელეფონს აიღებდა და ასეთი სულელური შემოთავაზების ავტორს იმის ახსნას მოსთხოვდა, თუ რატომ უნდა ნდომებოდა ვინმეს ჯემპრზე ჩამოკიდებული ხელთათმანები, მაგრამ ამის მაგივრად, პასუხად აკრიფა: „შესანიშნავია, შარლოტ“ და გაგზავნა.

ტელეფონმა დარეკა. ჰენრის ნომერი იცნო. სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ჩვეულებრივ, უოლტერი ურეკავდა ხოლმე.

- ვიცოდი, რომ სამსახურში იქნებოდი, - თქვა ჰენრიმ.

მხიარული ხმა ჰქონდა, მაგრამ უოლტერმა იცოდა, რომ სწორედ მისი თავდადება სამსახურის მიმართ იყო მიზეზი, რომ მისი

ვაჟი, ჰენრი, შვილიშვილები და ყოფილი ცოლი ახლა სანაპიროს მეორე მხარეს ცხოვრობდნენ.

- ახლა ვაპირებდი გასვლას. შენმა დამ შესანიშნავი ახალი მოდელი გამომიგზავნა. სენდი და მენდი როგორ არიან? - ჰენრის ორ გოგონას სანდრა და ამანდა ერქვათ, ბებიისა და მამიდის პატივსაცემად.

- რომ იცოდე, ორივე რა ახტაჯანაა.

უოლტერს გაეღიმა იმის მოსმენისას, თუ როგორ ლაპარაკობდა მისი ერთადერთი ვაჟი ამაყ მამასავით. სკამზე გადაწვა, თვალები დახუჭა და იმაზე დაფიქრდა, როგორი იქნებოდა მისი ცოლი, თვითონ რომ ჰენრისთანა ყოფილიყო. ჰენრი იმდენივე დროს ატარებდა თავის გოგონებთან, რამდენსაც მისი ცოლი, ჰოლი. მათი ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი იყო, მათ საცეკვაო კონცერტებს იღებდა და ყოველ შაბათს მათთან ერთად ამზადებდა საუზმეს, ჰოლის რომ გამოძინების საშუალება ჰქონოდა.

უოლტერი თავის თავს ეუბნებოდა, როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, ყველაფერი სხვაგვარად იყოო, მაგრამ იცოდა, რომ შეეძლო, უკეთესი მამა ყოფილიყო.

- უთხარი, რომ ბაბუა უოლტს ორივე ძალიან ენატრება, - თქვა მან, შემდეგ კი დაამატა, - შენი აზრით, დედაშენი ისევ კარგადაა სიეტლში?

საუბრისას სკამს აქანავებდა. მისთვის ჯერ კიდევ ძნელი წარმოსადგენი იყო მარტო მცხოვრები სანდრა. სახლი ინტერნეტში მოძებნა, წარმოდგენა მაინც რომ ჰქონოდა, მაგრამ შიგნით მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი, მადლიერების დღის სადილზე.

ჰენრი რამდენიმე წამი დუმდა.

- ცხადია, ეჩვევა. ამიტომ დავრეკე. იმ შოუზე გელაპარაკა?

- ძალიან გახარებული იყო. პროდიუსერმა გადაწყვეტილება მიიღო?

- ჯერ არა, მაგრამ ამანდას საქმე აშკარად მოსწონთ, - თქვა ჰენრიმ, - იმაში დარწმუნება მინდოდა, რომ მართლა კარგად გრძნობ თავს. ვიცი, რომ დედა გახარებულია, მაგრამ შენ ვალდებული არ ხარ...

- პირიქით. როგორც დედაშენსაც ვუთხარი, ვამაყობ, ამდენი წლის მერე ვიღაც რომ იპოვა, ვინც ამანდას საქმეს გააცოცხლებს. ამისთვის მთელი გულით მუშაობდა.

- მაგრამ შენყ თუ გინდა ეს?

- რა თქმა უნდა. თუკი დედა ფიქრობს, რომ რამეში დაგვეხმარება.

- მამა, სწორედ ამაზე ვღელავ. ამას დედას ან დანაშაულის გრძნობის გამო ნუ გააკეთებ. ნუ იფიქრებ, რომ ამით რამის გამოსწორებას შეძლებ. ვიცი, რომ თქვენ შორის სწორედ ის ჩადგა, რომ არ იცოდით, რა მოუვიდა ამანდას.

უოლტერმა ნერწყვი გადაყლაპა, ყელში გაჩხერილი ბურთი რომ მოეშორებინა.

- დედაშენი ყველაზე ძლიერი და ერთგული ქალია, ვისაც შევხვედრივარ. ამანდას პოვნა მისი ცხოვრების მიზანი გახდა. დამიჯერე, მე ყველაზე უკეთ მესმის, რომ რაღაც თუ გინდა, მთლიანად უნდა მიუძღვნა თავი.

- მამა, სამსახურზე არ ვლაპარაკობ. ვიცი, დიდად არ გიყვარს შენს გრძნობებზე საუბარი, მაგრამ ამანდაზე რატომ არასდროს არ ვლაპარაკობთ?

- შენს დაზე ყოველდღე ვფიქრობ.

- ვიცი, რომ გიყვარს და გენატრება. ყველა ასე ვართ, მაგრამ მასზე არასდროს ვლაპარაკობთ. რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ ამანდა ისევ ცოცხალია?

- დარწმუნებული არასდროს ვყოფილვარ. ეს ჩემი იმედია, - ყოველღამე უოლტერი წარმოიდგენდა ხოლმე თავის ლამაზ ქალიშვილს და იმ თავგადასავლებს, რომლებიც შეიძლებოდა,

ჰქონოდა. ხატვა ყოველთვის უყვარდა. იქნებ მხატვარია ამალ-ფის[25] სანაპიროზე? ან იქნებ პატარა, მყუდრო რესტორანი აქვს ნიცაში?

- ყველაფერი შესაძლებელია, - თქვა ჰენრიმ, - მაგრამ დედა ამბობს, რომ ამანდა არასდროს დაგვტოვებდა ასე, რაც ნაკლებად დამაჯერებელი ნამდვილად არ არის. როგორ მოხდა, რომ ასეთი განსხვავებული აზრები გაქვთ იმაზე, რაც მოხდა?

უოლტერმა პირი გააღო, მაგრამ სიტყვაც კი არ ამოუვიდა. ამის თავიდან გადატანა არ შეეძლო. მერე თქვა:

- ძალიან მიხარია, რომ დამირეკე, შვილო. მთელი გულით ვემხრობი ამ იდეას. კარგი იქნება თქვენი ნახვა ფლორიდაში.

- სამსახურის გაცდენა შეგიძლია?

„სასაცილოა, ისე დავთანხმდი შოუში მონაწილეობას, რომ კომპანიაზე არც კი მიფიქრია“, - გაიფიქრა უოლტერმა, მაგრამ შვილს ესღა უთხრა:

- იმდენი ხნით, რამდენი ხნითაც საჭირო იქნება.

სიმართლისთვის თვალის გასასწორებლად დიდი დრო დასჭირდა, რომ საშინელი მამა იყო და თავის შვილებთან საერთო ენის გამონახვა უჭირდა. „ჩემი ვაჟი, - ფიქრობდა ის, - დასავლეთ სანაპიროზე გადავიდა, როგორმე რომ გაჰქცეოდა „ლეიდიფორმის“ შესახებ საუბარს საუზმეზე, ლანჩსა და სადილზე. მერე კი ჩემი ორი გოგონა ერთმანეთს წავკიდე, რადგან მინდოდა, ორივე საოჯახო ბიზნესში ჩართულიყო, თუმცა არც ერთისთვის არ მიმიცია გარანტია, რომ მათ მუშაობას მოვიწონებდი“.

უნდოდა, ჰენრისთვის ეთქვა, რატომ სჯეროდა, რომ ამანდა ცოცხალი იყო და ახალი სახელითა და ახალი ცხოვრებით ცხოვ-

---

[25] ქალაქი იტალიაში, სალერნოს პროვინციაში.

რობდა. ეს იყო ერთადერთი გზა მისგან თავის დასახსნელად. მხოლოდ ამ გზით შეეძლო, ის ადამიანი ყოფილიყო, ვინც უნდოდა, მაგრამ ამის აღიარება უოლტერს არ შეეძლო.

- მალე შევხვდებით, - დაემშვიდობა ჰენრი, - კარგი, მამა, ნახვამდის.

ყურმილი რომ დაკიდა, უოლტერი იმაზე დაფიქრდა, ოდესმე სანდრა და მისი შვილები თუ შეამჩნევდნენ, რამდენად შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში.

18

ორშაბათი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯერი და გრეისი ლორის ოფისის წინ იყვნენ და შაბათ-კვირის შესახებ ჭორაობ-დნენ. ლორიმ გაიგონა, რომ გრეისი თავისი ბოლო კავალრის შესანიშნავ გარეგნობაზე ლაპარაკობდა.

- ეგ სადღა იპოვე? - ჰკითხა ჯერიმ.

- ისე ამბობ, თითქოს ათასობით კაცი მყოლია, - შეეწინააღ-მდეგა გრეისი, -სხვათა შორის, უბრალო ფლირტია, სერიოზული არაფერი. მარკი - ეგ, როგორც შენ უწოდე - ჩელსი-პირსში, გოლფის მოედანზე გავიცანი.

- შენ და გოლფი?

- ბევრი ნიჭი მაქვს, თანაც ლამაზი ფორმა აქვთ და შესანიშ-ნავი მოთამაშეები არიან. რა, არ უნდა მომწონდეს? გაოცებაზე გამახსენდა, ნუთუ ნამზეური გაქვს?

ლორი მიხვდა, რომ მათ საუბარს უფრო დიდ ყურადღებას აქ-ცევდა, ვიდრე სტუდიის მარკეტინგული ჯგუფისთვის შეტყობინე-ბის წერას. მანაც შეამჩნია ჯერის ჩვეულებრივ მკრთალ კანზე ცოტაოდენი ნამზეური.

- მეგობრებს ვესტუმრე ფაია-აილენდზე... და ნამზეური არ არის. შენგან განსხვავებით, ორი ვარიანტი მაქვს: ან ფერ-მკრთალი უნდა ვიყო, ან გარუჯული.

ლორიმ შეტყობინება შეინახა და მაგიდიდან ღიმილით წა-მოდგა.

- კარგი, მზად ხართ შეხვედრისთვის?

როდესაც თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ - გრეისი და ჯერი დივანზე, ლორი კი ნაცრისფერ სატრიალო სკამზე - იკით-ხა, რომელს სურდა დაწყება.

ერთი სული ჰქონდა, როდის მოისმენდა მათ ანგარიშებს. წესით, თვითონ ლაპარაკობდა ხოლმე ყველაზე მეტს, მაგრამ, როდესაც საქმე სოციალურ თემებს ეხებოდა, თითქმის არაფერი გაეგებოდა. კარგად არ ესმოდა განსხვავება ტვიტსა და სტატუსს, მოწონებასა და გაყოლას[26] შორის. მაგრამ ჯერი და გრეისი, მხოლოდ ათეული წლით ახალგაზრდები, ვირტუალურ სამყაროში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც სახლში.

უკეთესი ეფექტიანობისთვის, ლორიმ საქმე გაყო და ჯერის სთხოვა, ჯეფსა და მის მხარეზე მოეძიებინა ინფორმაცია, გრეისს კი ამანდას მხარე დაევალა.

ჯერიმ სიამოვნებით დაიწყო მოყოლა:

- ჯეფი არც ისე აქტიურობს სოციალურ ქსელში. მხოლოდ ლინკდინი აქვს - ეს პროფესიული ქსელია, - დაამატა ლორისთვის, - და უფერული ფეისბუკ-გვერდი. მაგრამ იმის დადგენა შევძელი, რომ კვლავ ახლოსაა ნიკ იანგსა და ოსტინ პრეტთან. ორივენი აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს და ნამდვილი ბფფ-ები[27] არიან.

საუკეთესო მეგობრები. ჯერის, გრეისისა და თავისი შვილის წყალობით ლორიმ კარგად შეისწავლა სლენგის ენა.

- ოსტინი და ნიკი კვლავ მარტოხელები არიან და აქეთ-იქით დაყიალებენ, ჯეფი კი ბრუკლინში დასახლდა ცოლთან, მეგანთან ერთად.

გრეისმა ისე შეხედა ჯერის, თითქოს აუცილებლად უნდა ჰქონოდა კიდევ რამე სათქმელი.

---

[26] სოციალური ქსელების - ტვიტერისა და ფეისბუკის - ფუნქციები.

[27] (ინგლ. Best Friends Forever) სამუდამოდ საუკეთესო მეგობრები.

- სულ ესაა? ნეტავ ჩემი სამუშაოც ასეთი იოლი ყოფილიყო.

- „გრანდ-ვიქტორიაშიც“ დავრეკე. ამასაც მოვყვე? - გააწყვეტინა ჯერიმ.

- სათითაოდ, მეგობრებო. გრეის?

- ჰოო, რადგან ჩემი სამუშაო უფრო რთული აღმოჩნდა, - თქვა ნასიამოვნები ღიმილით, - თითო-თითოდ ჩამოვყვები. მეგან უაითი, როგორც უკვე ახსენეს, ჯეფის ცოლია. არც ფეისბუკი აქვს და არც ტვიტერი, არაფერი პირადული. მეორე კოლეჯის მეგობარი ქეით ფალტონი იყო. ოთხი შვილი ჰყავს და ატლანტაში ცხოვრობს. მისი ქმარი მენეჯერია „ჰოუმ დეპოს“ მაღაზიაში. მის ფეისბუკ-გვერდზე რამდენიმე ძველი ფოტო ვიპოვე მეგანსა და ამანდასთან ერთად, მაგრამ, ვფიქრობ, ამჟამად ძველ ბანდასთან კონტაქტი აღარ აქვს. შარლოტი, ამანდას და, აქ, ნიუ-იორკში, „ლეიდიფორმის“ ოფისში მუშაობს. მისი ძმა, ჰენრი, სიეტლშია. ღვინის სახლის თანამესაკუთრეა, დაქორწინებულია და ორი გოგონა ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, მისი ონლაინამბების მიხედვით.

ლორი თავს აქნევდა. სამი კაცი კოლბის კოლეჯიდან. კვლავ მეგობრობენ. მეგანი ჯეფს მისთხოვდა. ამანდას ოჯახი მთელ ქვეყანაშია მიმოფანტული. ქეითი, კოლეჯის მეგობარი, დაქორწინებულია და ოთხ შვილთან ერთად ატლანტაში ცხოვრობს.

- ჯერი, „გრანდ-ვიქტორიადან“ გიპასუხეს? - ყველაზე მეტად იმაზე ნერვიულობდა, რომ სასტუმრო უარს ეტყოდა გადაღებებზე.

- დღეს ვესაუბრე მათი კორპორაციული ოფისის თანამშრომელს. სიამოვნებით ითანამშრომლებენ. ამანდას გაუჩინარება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფიასკო იყო, ასე რომ, ჩემი შთაბეჭდილებით, მზად არიან, ყველანაირად დაგვეხმარონ. იმ კამერების ჩანაწერების ასლებიც კი შენახული აქვთ, რომლებიც პოლიციას გადასცეს.

- მართლა? როგორმე შევძლებთ მათ ნახვას?

- ამ კვირაში გამოგვიგზავნიან.

ყველაფერი კარგად ეწყობოდა. ჯეფი კვლავ ახლოს იყო თავის მეჯვარეებთან და უფრო ახლოს ვერ იქნებოდა მეგანთან. თუკი ჯეფს დაითანხმებდნენ, ყველაფერი მზად იქნებოდა. და თუ სანდრას მაინც უარს ეტყოდა, ლორის გეგმა ჰქონდა მის დასარწმუნებლად. ალექსი.

19

როდესაც ლორი ექვს საათზე შენობიდან გავიდა, ალექსი უკვე ელოდებოდა თავისი შავი „მერსედესის“ გვერდით. „ზუსტად დროზე მოვიდა, - გაიფიქრა ქალმა, - ასეც უნდა მეფიქრა“.

- ერთი საათია, ვიცდი.

- რა თქმა უნდა!

უკვე ერთ წელზე მეტი იყო, რაც ლორი ალექსს იცნობდა, მაგრამ მისი დანახვა ისევ აფორიაქებდა. ყოფილი კოლეჯის კალათბურთის მოთამაშეს კვლავ ათლეტის აღნაგობა, მუქი, ტალღოვანი თმა, გამოკვეთილი ყბა და მოლურჯო-მომწვანო თვალები ჰქონდა, რომლებიც შავი მზის სათვალის უკნიდანაც კი ანათებდნენ. ალექს ბაკლი რაღაც მიზეზით გახდა ტელემაყურებლის საყვარელი სასამართლო კომენტატორი და ეს მხოლოდ მისი სასამართლო დარბაზში მიღწეული წარმატების დამსახურება ნამდვილად არ ყოფილა.

ქალმა სწრაფად აკოცა.

- არც კი მჯერა, ასეთი იღბლიანი რომ ვარ. დრო გამონახე ჩემთან ერთად წამოსასვლელად.

ალექსის ოფიციალური მოვალეობა შოუს წამყვანობა იყო. მისი გამოცდილება ჯვარედინი დაკითხვებისა, რომელიც სასამართლოში მიიღო, შოუს ფორმატს იდეალურად ეხამებოდა. წინა ეპიზოდებში გადაღებამდე ცოტა ხნით ადრე ჩაერთო შოუში. მაგრამ სამი თვის წინ, უკანასკნელი ეპიზოდის დროს, ძნელი შეიქნა ოფიციალურისა და არაოფიციალურის გარჩევა იქ, სადაც ლორი და ალექსი იყვნენ.

კაცმა ქალს მანქანის კარი გაუღო, შემდეგ მანქანას შემოუარა და მის გვერდით ჩაჯდა. სანამ კითხვას მოასწრებდა, ლორიმ ჯეფისა და მეგანის მისამართი გადასცა.

- მგონი, ადრეც მითქვამს, რომ შენთვის დრო ყოველთვის მაქვს, - თქვა კაცმა რბილად.

- ოჰ, კარგი რა! არ მახსოვს, ბოლოს როდის გამოხვედი შენი ოფისიდან ექვს საათზე ადრე. მართლა გაკვირვებული ვარ. როგორ მოხდა, რომ ასეთი მოკლე შეტყობინების შემდეგ დრო გამონახე?

- აი, რას ნიშნავს, რომ ჟურნალისტს ვხვდები - მესამე ხარისხს, - გაიცინა ალექსმა, - დაგეგმილი პროცესი აღარ ჩატარდა, რადგან თითქმის ყველა დამამტკიცებელი საბუთი გავაბათილე.

შეხვედრა. „რა თქმა უნდა, ვხვდებით, - ფიქრობდა ქალი, - ამას სხვა სახელს ვერ დავარქმევთ“.

- ნამდვილად არ მიკვირს, რომ მოიგე... და მადლიერი ვარ დახმარებისთვის, - თქვა ლორიმ, ამ დროს კი კაცი გადაიხარა და მისი ხელი ხელში მოიქცია. ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა.

- კარგი, ლორი, რა ხდება ბრუკლინში?

- გახსოვს გაქცეული პატარძლის საქმე?

ალექსმა თავი მაღლა ასწია და მეხსიერება დაძაბა.

- სადღაც თბილ ადგილას. ლამაზ სასტუმროში. ფლორიდა?

- ზუსტად. სასტუმრო „გრანდ-ვიქტორიაში“, პალმ-ბიჩში.

- რა მოხდა მაგ საქმეზე? როგორც მახსოვს, მაშინ ორი ვერსია იყო: ან წინასწარ განზრახული ბოროტმოქმედება, ან პატარძლის შიში და გაქცევა.

ლორი ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ თავის დროზე ამ საქმის მიმართ გულგრილობა ახლა ხელს უშლიდა.

- ხუთ წელზე მეტის გატარება დუმილში მეტისმეტად არარეალურია იმისთვის, რომ ვიფიქროთ, თავისი სურვილით წავიდაო.

- არაფერი უპოვიათ? არც ცხედარი?

ლორი ჟურნალისტი, პოლიციელის ქალიშვილი და გადაუდებელი განყოფილების ექიმის ქვრივი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებოდა ალექსის უემოციო დამოკიდებულებას დანაშაულების მიმართ.

- ამანდას დედის თქმით, ამ წლების განმავლობაში საქმე წინ არ წასულა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პოლიციის აზრი ორად გაიყო: ამანდა ან თავისი ნებით წავიდა, ან მოკლეს. და ორივე შემთხვევის გათვალისწინებით შეწყვიტეს ძიება. გაუხსნელი საქმეა.

- რაც იმას ნიშნავს, რომ იდეალურია შენთვის. და ბრუკლინში რა ხდება?

- სასიძო, ჯეფ ჰანტერი, - ლორიმ სწრაფად გააცნო კაცს ზოგადი ბიოგრაფია: კოლბის კოლეჯი, ფორდჰამის სამართლის სკოლა, სწავლის დასრულების შემდეგ კი სამსახური ბრუკლინის სახალხო დამცველის ოფისში.

- აი, აქედანაა საინტერესო, - და ქალმა უამბო ამანდას ანდერძის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სატრასტო ფონდს მთლიანად თავის საქმროს უტოვებდა, - ამანდას დედას მიაჩნია, რომ ჯეფი ნომერი პირველი ეჭვმიტანილია.

- იმაზე ნერვიულობ, რომ, რადგან კრიმინალური დაცვის ადვოკატია, ასე ვთქვათ, მეხუთეს აიღებს[28] და შოუში მონაწილეობაზე უარს იტყვის?

- ზუსტად. თანაც მისი ცოლიც ადვოკატია. მეგან უაითი. მართალია, იმიგრაციული სამართლის სპეციალისტია, მაგრამ მაინც...

---

[28] იგულისხმება მეხუთე შესწორება, რომლის მიხედვითაც, პირს აქვს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.

- ჯეფს რომც უნდოდეს, იმაზეც ნერვიულობ, რომ, შესაძლოა, ცოლმა შეაჩეროს.

- ან თავისი მიზეზები ჰქონდეს გასაჩუმებლად. დააკვირდი: მეგანი ამანდას საუკეთესო მეგობარი იყო. იმ დღეს ისიც იყო „გრანდ-ვიქტორიაში“, ამიტომ ისიც პოტენციური ეჭვმიტანილია. ცოლად გაჰყვე შენი საუკეთესო მეგობრის საქმროს მისი გაუჩინარებიდან თხუთმეტი თვის შემდეგ? ცოტა სწრაფად მეჩვენება. ვიფიქრე, რადგან კოლეგები ხართ, მათ დათანხმებაში დამეხმარებოდი.

- კი, მეუბნებიან, ადამიანების დარწმუნება კარგად გეხერხებაო. ის მაინც თუ ვიცით, სახლში თუ არიან?

- ორივეს დავუტოვე შეტყობინება ტელეფონზე. როგორც ჩანს, ერთმანეთთან ისაუბრეს და შემდეგ ჯეფმა დამირეკა. მისი დარწმუნება დამჭირდა, მაგრამ ბოლოს დამთანხმდა, რომ მათთან მივსულიყავით.

ალექსი ქალისკენ ისე გადაიხარა, რომ მათი მხრები ერთმანეთს შეეხო.

- პალმ-ბიჩი მშვენიერი ადგილია გადაღებისთვის, ასე არ ფიქრობ, მრჩეველო? - იკითხა მან.

- სრულიად გეთანხმები.

20

რეკონსტრუირებული ბრაუსტოუნი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც გუგლის რუკის ფოტოებში. ოთხსართულიანი, ულიფტო შენობა იყო, შვეიცარის გარეშე.

ქალმა იმ ღილაკს დააჭირა თითი, რომლის ქვემოთაც ეწერა „ჰანტერი/უაითი“. მიუხედავად იმისა, რომ ამანდას დედა მეგანს „ქალბატონ ჰანტერს“ ეძახდა, ლორიმ იცოდა, რომ მეგანმა თავისი გვარი დაიტოვა. ქალს უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორ უნდა წარედგინა თავი. რამდენიმეწამიანი სიჩუმის შემდეგ ნერვიულად გახედა ალექსს. კაცმა მეორედ დააჭირა ღილაკს თითი.

- აპარატი გაფუჭებულია, ქალბატონო მორენ, - ხმა მეორე სართულიდან მოდიოდა. ლორიმ ფანჯრიდან გამოყოფილ მამაკაცის თავში ჯეფ ჰანტერი ამოიცნო იმ ფოტოდან, რომელიც ჯერიმ აჩვენა, - თქვენ ალექს ბაკლი ხართ?

ლორიმ შეამჩნია, რომ ჯეფი აღფრთოვანებული იყო.

- ცოტა ხნის წინ თქვენი ჯეი. დი. მარტინის საქმის ბოლო არგუმენტი გამოვიყენე ახალი ადვოკატებისთვის გამართულ სემინარზე. ჩინებული იყო. უბრალოდ ჩინებული.

ალექსმა მეგობრულად დაუქნია ხელი.

- ძალიან სასიამოვნოა. გმადლობთ.

- ამოდით, - და ფანჯრიდან გადმოაგდო გასაღებების ასხმა, რომელიც ალექსმა ცალი ხელით დაიჭირა, - მშვენიერია.

როდესაც ალექსი კარს აღებდა, ლორიმ თქვა:

- დაინახე, როგორ გიყურებდა? თითქოს პატარა ბიჭი იყოს, რომელსაც დერეკ ჯეტერმა[29] ავტოგრაფი მისცა.

---

[29] პროფესიონალი ბეისბოლის მოთამაშე.

- სწორედ ეგ ვარ: სამართლის მოყვარულების დერეკ ჯეტერი.

- ხედავ? ვიცოდი, რომ გამოგვადგებოდი.

ჯეფი მათ მეორე სართულზე ელოდებოდა, ბინის ღია კართან. დაახლოებით ექვსი ფუტის სიმაღლის იყო, მუქი ყავისფერი თმითა და თაფლისფერი თვალებით.

- გთხოვთ, მობრძანდით. მე ჯეფ ჰანტერი ვარ, მაგრამ, ალბათ, ეს უკვე იცით, - ალექსს ხელი ჩამოართვა და ლორის მიესალმა.

როდესაც სტუმრებს მისაღებში მოკალათება შესთავაზა, ქალმა შვებით ამოისუნთქა, რადგან მიხვდა, რომ ჯეფი მეგობრულად იყო განწყობილი. პატარა, მაგრამ კომფორტული ბინა იყო ძველი და ახალი სტილის ავეჯის ნარევით. ტელევიზორის მაგიდაზე დაწყობილი ფოტოსურათების სწრაფი გადათვალიერებით ლორიმ მეგანის გარეგნობაზე წარმოდგენა შეიქმნა. მაღალი და გამხდარი, გრძელი, ხვეული შავი თმითა და მკვეთრი სახის ნაკვთებით, ამანდას სრული ანტიპოდი იყო.

- მეგანი ჯერ არ დაბრუნებულა სამსახურიდან, - აუხსნა ჯეფმა სტუმრებს, - და, სავარაუდოდ, კიდევ ერთი საათი მაინც არ დაბრუნდება.

ლორის იმედი ჰქონდა, რომ ორივეს შეხვდებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს ყოფილიყო ერთადერთი შანსი ჯეფთან პირისპირ საუბრისა.

- ტელეფონზე საუბრისას ახსენეთ, რომ ჩვენს შოუს იცნობთ, - დაიწყო მან, - მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ მხოლოდ ერთ პირს არ ვირჩევთ ეჭვმიტანილად. უფრო იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, როგორ წამლავს გაუხსნელი საქმე მასთან დაკავშირებული ადამიანების ცხოვრებას. ხომ გესმით? ეჭვი... დასასრულის არარსებობა...

- ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები, როდესაც ვიღაც ჩემს სახელს ცნობს, - თქვა ჰანტერმა მწარედ.

ლორიმ თავი დაუქნია.

- როგორც ჩანს, იცით, რაზეც ვლაპარაკობ.

- როგორ შეიძლება, არ ვიცოდე? ძალიან განცვიფრებული ვიყავი, როდესაც ამანდა გაქრა. ერთ დღესაც მოვახერხე, რომ პრესკონფერენციაზე წავსულიყავი, თანაც სხვადასხვა ფეხსაცმლით. როდესაც ბარგს ვალაგებდი, არც კი შემიმჩნევია, რომ ჩვენი საქორწინო ბეჭდები აღარ ჩანდა. ღმერთო, განცდა მქონდა, რომ ამანდას ვტოვებდი...

ალექსმა შეაწყვეტინა:

- ბეჭდები აღარ ჩანდა? ამანდას ჰქონდა? არ გამიგია, ვინმეს ქურდობა ეხსენებინოს ამ საქმეში.

- წარმოდგენა არა მაქვს, სად შეიძლება იყოს. ოთხშაბათს ჩემს ოთახში შევინახე, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩაკეტვით დიდად თავს არ ვიწუხებდი. ალბათ, სასტუმროს თანამშრომელმა აიღო, ვინ იცის? ღმერთო, ეს ყველაფერი წარსულს მახსენებს. ხუთი წლის წინათ ჩემთვის ყველაზე ძნელი თვითმფრინავში ასვლა იყო. ჩემი მეგობრები, ნიკი და ოსტინი, ჩალაგებაში მეხმარებოდნენ, თუკი ამას ჩალაგება ერქვა. ყველაფერი უაზრო მეჩვენებოდა. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ყველაფერი ჩემოდანში ჩავყარეთ. შესაძლოა, გაუაზრებლად ბეჭდებიც გადმოვყარე. გათიშული ვიყავი. ისიც არ მიფიქრია, რომ ეჭვქვეშ ვიყავი, როგორც თქვენ უწოდებთ, სანამ ნიკმა და ოსტინმა არ მითხრეს, რომ პოლიციელები მთავარ ეჭვმიტანილად მიმიჩნევდნენ.

ჯეფი თავს აქნევდა და იმ მომენტს იხსენებდა:

- დამარწმუნეს, თავს მიხედეო. მთელი ეს ამბავი ფულის ირგვლივ დატრიალდა - რომ ამანდას ოჯახს ფული ჰქონდა, ჩემსას კი - არა. რეპორტიორები ამანდას „ლეიდიფორმის“ მემკვიდრეს

ეძახდნენ. მასთან შედარებით, მე ოქროს მაძიებელს ვგავდი, რომელიც სრულიად სხვა ადგილას აღმოჩნდა.

- ამ დროს დაიქირავეთ ადვოკატი? - ჰკითხა ლორიმ.

- დიახ. ჩემი მეგობრებიც ეძებდნენ, დასამალი რა მქონდა?! იცით, როდესაც თქვენი შოუ პირველად ვნახე, თქვენთან დარეკვაზეც კი ვიფიქრე. კარგ გზად მომეჩვენა იმისთვის, რომ ხალხს ისევ დაეწყო ამანდაზე ლაპარაკი, მაგრამ არ მეგონა, თუ ამანდას მამა დათანხმდებოდა.

- რატომაც არა?

- ასეთი რამეები არ უყვარს. უოლტერი ძალიან წყნარი და სიმყუდროვის მოყვარულია... ძველი სკოლა... ასეთი რამ მისთვის მეტისმეტად... მყვირალა იქნებოდა.

- ეს სანდრას იდეა იყო, - აუხსნა ლორიმ, - მაგრამ უოლტერიც თანახმაა.

- მის საქციელს არ ჰგავს. იგი ოჯახის უფროსია, ყველა მხრივ.

ლორიმ ამ წინადადებაში რაღაც გულისწყრომა დაიჭირა, მაგრამ ამას შემდეგ გამოიკვლევდა, როცა დრო მოვიდოდა. თუ დრო მოვიდოდა.

- ერთად აღარ არიან.

ჯეფმა ფეხებს დახედა.

- არ ვიცოდი. სამწუხაროა. ჩვენ არ... მოდი, ასე ვთქვათ: კონტაქტი აღარ გვაქვს. არადა, ძალიან უცნაურია. როდესაც ამანდა ცუდად იყო, თითქმის მათი ოჯახის წევრი ვიყავი. ქორწინებამდე სანდრასა და უოლტერს დედასა და მამას ვეძახდი. ჰენრის ძმასავით ვყავდი. ასე ახლოს ვიყავით. შარლოტიც კი - ამანდას და - თბილად მექცეოდა. როცა გაიცნობთ, მიხვდებით, რომ ეს ბევრს ნიშნავს... მაგრამ როგორც კი ვთქვი, მეგანს ვხვდები-მეთქი... ალბათ, ეს იცით, არა?

ლორიმ თავი დაუქნია.

- არ მინდოდა, ეს ამბავი მათთვის დამემალა. როცა სანდრას ვუთხარი, მეგანი მიყვარს-მეთქი, გული გაუცივდათ. უკვე აღარ ვიყავი მათი „წმინდა ჯეფრი“... ასე მეძახდნენ. ეს მაშინდელი ხუმრობაა, როცა ამანდა ავად იყო.

- ავად იყო?

- ქორწინების დროს არა, მაგრამ ოცდაექვსი წლისას ჰოჯკინის ლიმფომა[30] დაუდგინეს. დაახლოებით ერთი წელი იყო, რაც ვხვდებოდით, მაგრამ სტაბილურად არა, როგორც ახალგაზრდობაში ხდება ხოლმე.

- მხოლოდ ერთი წელი? - იკითხა ალექსმა.

- როგორც წყვილი, დიახ. ახალ ამბებში ამბობდნენ, რომ კოლეჯშიც შეყვარებულები ვიყავით, მაგრამ კოლბიში მხოლოდ ნაცნობობა გვაკავშირებდა. სხვათა შორის, ხელახლა ერთმანეთს მეგანმა წარგვადგინა, როდესაც ყველანი ნიუ-იორკში გადმოვედით. მე და მეგანი ახალგაზრდა ადვოკატები ვიყავით, ამანდა კი ნიუ-იორკში მამამისის კომპანიისთვის ოფისის გასახსნელად ჩამოვიდა. ერთმანეთი მაშინვე ძალიან მოგვეწონა, მაგრამ ურთიერთობის დაწყებას არ ვჩქარობდით. ორივენი ბევრს ვმუშაობდით. მოკლედ, როდესაც ამანდას დიაგნოზი დაუსვეს, მივხვდი, რომ ერთი წამის გატარებაც კი არ მინდოდა ამ შესანიშნავი ქალისგან შორს. ხელი მაშინ ვთხოვე, როდესაც ისიც კი არ ვიცოდით, გადარჩებოდა თუ არა. ქიმიოთერაპია ისე ცუდად მოქმედებდა, რომ სანახავადაც კი საშინელი იყო, მაგრამ მაინც დაამარცხა. სწორედ მაშინ შემარქვეს „წმინდა ჯეფრი“. ყოველთვის, როცა ექიმთან მიდიოდა, ყოველთვის, როცა თავს ცუდად გრძნობდა, მის გვერდით ვიყავი.

---

[30] სიმსივნის ერთ-ერთი ტიპი.

ალექსმა ლორის შეშფოთებით გახედა. კაცი ფიქრობდა, რომ ეს ჯეფი სრულიად განსხვავდებოდა სანდრას მიერ დახასიათებული ჯეფისგან.

- ფიქრობთ, რომ ამიტომ სურდა ხალხს იმის დაჯერება, რომ ამანდას უბრალოდ შეეშინდა? შესაძლოა, თავი დამნაშავედ იგრძნო და ვერ შეძლო ყველაფრის გაუქმება მას შემდეგ, რაც მისთვის გააკეთეთ.

- ამანდა ასეთი არ იყო... აღარ იყო. როდესაც მკურნალობა დაამთავრა, ოცი გირვანქა ჰქონდა დაკლებული და ყველაზე ძლიერი ადამიანი იყო, ვისაც კი ვიცნობდი. თანაც, პოლიციამ ჩემი დაკითხვის შემდეგ ყველაფერი ამოატრიალა. მაგალითად, „წმინდა ჯეფრის“ დაქორწინება არ სურდა. როგორც ჩანს, მირჩევნია, ქალი მოვკლა, ვიდრე მასთან დაშორების სირცხვილი ავიტანო... ვფიქრობ, ანდერძის ამბავიც გეცოდინებათ.

- სანდრამ ესეც ახსენა. ამანდას ოჯახი ამან გააკვირვა.

- ფული რომ მანაღვლებდეს, სახალხო დამცველი ვიქნებოდი? ჩემზე რომ ყოფილიყო, - თქვა ჯეფმა ნაღვლიანად, - პატარა ქორწილი გვექნებოდა ნიუ-იორკში. ამანდასა და მის ოჯახს მოსწონდა დიდი, პომპეზური ცერემონიები. მათი ფული არასდროს მნდომებია და არც ახლა მინდა. მიუხედავად იმისა, არ მჯერა, რომ ამანდა ადგა და უბრალოდ მიატოვა თავისი მშვენიერი ცხოვრება, ვცდილობ, იმის იმედი არ დავკარგო, რომ კვლავ ცოცხალია.

- როდის მიხვდით, რომ აღარ ჩანდა? - ჰკითხა ლორიმ.

- პარასკევ დილას ლანჩზე არ გამოჩენილა. თავიდან ვიფიქრეთ, რომ ჩაეძინა. ოთახში დავურეკე იმის საკითხავად, ხომ არ უნდოდა, საუზმე საწოლში აგვეგზავნა. რომ არ მიპასუხა, მის სანახავად ავედი. მეგანიც ჩემთან ერთად წამოვიდა. ამანდას პასუხი არ გაუცია. ყველგან ვეძებეთ - სავარჯიშო დარბაზში, სანაპიროზე, აუზზე, ბოლოს კი დაცვას სასტუმროს ოთახის გასაღები

გამოვართვით. როდესაც საწოლზე გაშლილი საქორწილო კაბა დავინახე, შვებით ამოვისუნთქე. წარმოვიდგინე, როგორ მოიზომა კიდევ ერთხელ და როგორ დატოვა საწოლზე. მაგრამ მერე მეგანმა მითხრა, რომ ამანდამ კაბა წინაღამით, სადილამდე მოისინჯა, თან დაამატა, რომ არ დაუნახავთ, როგორ შევიდა ამანდა თავის ოთახში. ნათელი იყო, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა. დამლაგებელს იმ დილას საწოლი არ აელაგებინა. ხუთშაბათს იმ საწოლში არავის სძინებია.

როდესაც ჯეფმა ის პანიკური მომენტი აღწერა, როცა გაიაზრა, რომ ამანდას თავის ოთახში არ სძინებია, იმდენად ბუნებრივი იყო, რომ შეთხზულს არ ჰგავდა. მაგრამ ლორიმ თავს შეახსენა, რომ მას ხუთი წელი ჰქონდა თავის ისტორიაზე სამუშაოდ.

- ბატონო ჰანტერ, - თქვა მან, - ცხადია, ბევრი ადამიანი გადანაშაულებთ ამანდას გაუჩინარებაში და გსურთ, შანსი მოგეცეთ სახელის გასაწმენდად. ჩვენ გვინდა, ეს საქმე გავაშუქოთ და რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამის ნახვა გენდომებათ, საბუთი წამოვიღე, რომელზეც მონაწილეებს გადაღებამდე ვაწერინებთ ხელს, - ქალმა ჩანთიდან ხელშეკრულება ამოიღო და ჯეფს გადასცა.

- თუკი მონაწილეობას მივიღებ, ალბათ, პატიოსნად ვითამაშებთ, არა? ანდერძი... ჩემი ურთიერთობა ამანდასთან... ვიყავით თუ არა ბედნიერები. ვღალატობდი თუ არა... მიმატოვა თუ არა საკურთხეველთან... და რატომ დავქორწინდი მის საუკეთესო მეგობარზე.

ლორი მის მოტყუებას არ აპირებდა.

- დიახ, სწორედ ასეთ თემებს განვიხილავთ.

ჯეფი ნელა აქნევდა თავს და ფურცლებს ათვალიერებდა.

- კარგი.

- შემიძლია, წინა ეპიზოდების ჩანაწერები გამოგიგზავნოთ, თუ გსურთ მათი ხელახლა ნახვა და შემდეგ კითხვების დასმა.

- არა, ვიგულისხმე, რომ კარგი, მონაწილეობას მივიღებ, - სამზარეულოში გავიდა, მაგიდიდან კალამი აიღო და ხელის მოწერას შეუდგა.

- მშვენიერია, - ლორის ვერც კი გაეხსენებინა, ვინ დათანხმდა ასე იოლად. ალექსმა სწრაფად ჩაუკრა თვალი, როდესაც ჯეფი მათ არ უყურებდა.

- გაოცებული ხმა გაქვთ, - თქვა ჯეფმა და ხელმოწერილი ხელშეკრულება მიაწოდა.

- არა, უბრალოდ, ნასიამოვნები ვარ.

- შეიძლება ალექს ბაკლი არ ვიყო, ქალბატონო მორენ, მაგრამ კარგი ადვოკატი ვარ და შემიძლია, მოწმის გამომეტყველება გავარჩიო. გაოცებული ხართ, რადგან ამანდას მკვლელობაში მე მადანაშაულებთ. ამ შემთხვევაში კი ყველაზე ნაკლებად კამერების წინ ჯდომა და მის გაუჩინარებაზე საუბარი უნდა მსურდეს. ასე რომ, ალექს, ერთი სული მაქვს, როდის ვიქნები თქვენი ჯვარედინი დაკითხვის მონაწილე, რადგან ამანდასთვის არაფერი დამიშავებია, ამას არასდროს გავაკეთებდი.

- ეს თქვენი შანსია, რომ მთელ მსოფლიოს უთხრათ სიმართლე, - თქვა ლორიმ.

- ვინ რას ფიქრობს ჩემზე, ნაკლებად მნიშვნელოვანია. უბრალოდ, იმის ცოდნა მინდა, ამანდას რა მოუვიდა. ვიცი, რომ თავისი ნებით არ დატოვებდა სასტუმროს.

21

სახლში შესვლისას მეგან უაითს შემწვარი რაღაცის გემრიელი სუნი შეეფეთა. ჯეფი სამზარეულოში იყო და ის წინსაფარი ეკეთა, რომელიც ცოლმა გასულ წელს უყიდა. წინსაფარზე წარწერა იყო: „ორცხობილებს ნამდვილი მამაკაცები აცხობენ“.

- შესანიშნავი სუნია, - რა იღბლიანი იყო, ისეთ კაცს რომ გაჰყვა ცოლად, რომელმაც საჭმლის კეთება იცოდა. ჯეფის ყველა თვისება ბედნიერებას ანიჭებდა. თბილი და მხიარული იყო, თანაც ყველაზე მეტად ენდობოდა. მისი საუკეთესო მეგობარი იყო. შესაფერის მომენტს ელოდებოდა ახალი ამბის სათქმელად.

- რას ამზადებ, ჯეფ? - იკითხა ქალმა.

- ბატკნის დაბეგვილი ხორცი როზმარინითა და ნივრით. ამტკიცებ, რომ შენი საყვარელი საჭმელია.

კაცი ჩვეულებრივზე დიდხანს ჩაეხუტა ცოლს.

როდესაც გაუშვა, ისე შეხედა, თითქოს რაღაც მოხდაო.

- ყველაფერი რიგზეა? - იკითხა მეგანმა.

- დაჯექი.

- მაშინებ, ჯეფ.

- უბრალოდ დაჯექი. გთხოვ, - როდესაც დაჯდა, ქმარმა პროსეკო[31] დაუსხა და ელოდებოდა, როდის მოსვამდა, მაგრამ ქალს ჭიქისთვის პირი არ დაუკარებია.

- ღვინო არ მჭირდება საუბრისთვის, - თქვა მეგანმა, - შეხვედრამ როგორ ჩაიარა? ოფისიდან ვერ გამოვაღწიე.

- უნდა დამეცადა, სანამ დავილაპარაკებდით. ხელი მოვაწერე შოუში მონაწილეობაზე.

---

[31] იტალიური შუშხუნა ღვინო.

* * *

თხუთმეტი წუთის შემდეგ მეგანი საწოლის კიდეზე იჯდა და უყურებდა ტუმბაზე მდგარ ღვინის ჭიქას, რომელიც ისევ სავსე იყო. ტანსაცმელი გამოიცვალა: განიერი შარვალი და პულოვერი ჩაიცვა. ცოტა დრო სჭირდებოდა დასაფიქრებლად. გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. კაცი მის ნებართვას არ ელოდებოდა, უბრალოდ, ახალ ამბავს ეუბნებოდა: შოუში მონაწილეობას მიიღებდა. და მეგანმა იცოდა, რომ ორივეს მაგივრად იღებდა გადაწყვეტილებას. თვითონ როგორღა იტყოდა უარს? როგორ გამოჩნდებოდა, რომ ჯერ ამანდას საქმრო მიითვისა, შემდეგ კი მისი საქმის ხელახლა გამოძიებას უშლიდა ხელს?

ცრემლი ხელის ზურგით მოიწმინდა. როდესაც ამანდას საქმეს გამუდმებით ატრიალებდნენ, მეგანმა მოახერხა განზე გადგომა. ამანდას მშობლები იყვნენ წინაც და ცენტრშიც, გვერდით კი ჯეფი ჰყავდათ. მხოლოდ თვეების შემდეგ შეწყვიტეს რეპორტიორებმა ჯეფთან რეკვა მისი კომენტარისთვის.

როდესაც დაქორწინდნენ, ძალიან ეშინოდა, რომ მედია კვლავ გაშმაგდებოდა. ამიტომ წავიდნენ მალულად სასამართლოში, ამიტომ არ გადავიდა ქმრის გვარზე. არ უნდოდა, მის საქმეს ჩასძიებოდნენ.

მაგრამ ეს შოუ მათ მილიონობით განმსჯელი თვალის წინ დააყენებდა. მაყურებელს უთუოდ მოუნდებოდა იმის გაგება, თუ როგორ მოჰპარა ქალმა მეგობარს საქმრო, როგორ დაქორწინდა კაცი სხვა ქალზე თავისი საყვარელი ამანდას გაუჩინარების შემდეგ. ყველას შესზიზღდებოდა ისინი.

ჭიქა ასწია, მაგრამ უკან დადგა, საკუთარ თავს შეახსენა, რომ არ უნდა დაელია.

წარმოიდგინა, როგორ უხსნიდა ყველაფერს თავისი ქორწინების შესახებ უცნობებს კამერის წინ. „როდესაც მე და ჯეფს ერთმანეთი შეგვიყვარდა, ჩვენც ისეთივე გაოცებულნი ვიყავით,

როგორც სხვები“. კოლეჯის შემდეგ კონტაქტი აღარ ჰქონიათ, მაგრამ მათი გზები კვლავ გადაიკვეთა სამართლის სკოლაში, სადაც მეგანი ჯეფს დაეხმარა მისი კლიენტისთვის რთული საიმიგრაციო პრობლემის მოგვარებაში. მადლობის გადასახდელად კაცმა სადილზე დაპატიჟა. ორი უღიმღამო შეხვედრის შემდეგ კოლეგებად და მეგობრებად დარჩნენ. მერე კი ჯეფი მეგანს სასამართლოსთან ახლოს მდებარე ყავის სახლში გადააწყდა, სადაც ამანდას უნდა შეხვედროდა. მაშინვე დაინახა ნაპერწკალი მათ შორის. ამანდა რომ რამდენიმე წუთით გვიან გამოჩენილიყო, შესაძლოა, მათი გზები აღარ გადაკვეთილიყო.

მაშ, როგორღა აღმოჩნდნენ ერთად? ამ შეკითხვას შოუ, ალბათ, აუცილებლად დასვამს. ეს ამანდას გამო მოხდა. მისი გაუჩინარების შემდეგ ერთმანეთს ანუგეშებდნენ, რადგან ორივემ დაკარგა ქალი, რომელიც უყვარდათ. თავდაპირველად მეგობრობდნენ, მოგვიანებით კი უფრო ღრმა კავშირიც გაჩნდა. და სწორედ ამ კავშირის გამო მეგანმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

კვლავ სამზარეულოში დაბრუნდა. გზად საabაზანოში შეიარა და ღვინო ნიჟარაში ჩაასხა. ჯეფი მაგიდასთან იდგა, პამიდორს ჭრიდა. ქალმა მაგრად შემოხვია ხელები:

- კარგი, გავაკეთოთ ეს. ამანდასთვის... და ჩვენთვის.

კაცი შებრუნდა და ცოლს ლოყაზე აკოცა.

- ვიცოდი, რომ იმედს არ გამიცრუებდი. სამსახურში რა ხდებოდა? შინ რომ მოხვედი, თითქოს რაღაცის თქმა გინდოდა.

ჯეფი ყოველთვის ხვდებოდა მის ფიქრებს.

- ისეთი არაფერი. ქალბატონი ტრანსისთვის ვიზის გახანგრძლივება მოვახერხე.

- კარგია. ვიცი, რომ მაგაზე ნერვიულობდი.

რამდენიმე დღე მოითმენდა, სანამ ნამდვილ ახალ ამბავს ეტყოდა. არ უნდოდა, ამანდაზე საუბარს ის ფაქტი გადაეფარა,

რომ იმედი ჰქონდა, ორსულად იყო. საშინაო ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა. დამატებითი გამოკვლევებისთვის ექიმთან უკვე ჩაწერილიყო. თუ კარგი ამბავი იქნებოდა, იმაშიც სურდა დარწმუნება, რომ რეცეპტებთან დაკავშირებული ძველი პრობლემები ბავშვზე გავლენას არ მოახდენდა. ოჰო, ბავშვი. ამ ფიქრზეც კი ყელში ბურთი იგრძნო.

ჯეფმა კვლავ შემოხვია ხელები. ქალი თავს დაცულად გრძნობდა, თითქოს ყველაფერი კარგად იქნებოდა.

- ამ შოუზე არ ინერვიულო, - თქვა კაცმა, - უბრალოდ ავუხსნით, რომ ერთმანეთის მიმართ გრძნობა არ გვქონია, სანამ... ყველაფერი კარგად იქნება. ხალხი გაგვიგებს.

პირველი შემთხვევა არ იქნებოდა, როცა მათი ურთიერთობის დროზე საუბარი დასჭირდებოდა. მშობლები. მეგობრები. ამბავი, რომელსაც ჰყვებოდნენ, ის იყო, რომ გრძნობა ამანდას გაუჩინარების შემდეგ გაუჩნდათ. „თუმცა ეს სიმართლე არ არის, - ფიქრობდა ქალი, - მე ხომ ჯეფი უიმედოდ მიყვარდა“. მაგრამ ამის ცოდნა არავისთვის იყო აუცილებელი.

მეგანს ისევე კარგად შეეძლო ტყუილის თქმა, როგორც მის ძველ მეგობარს, ამანდას.

22

ჯეფის ბინიდან პირდაპირ რესტორან „გოთემისკენ“ გასწიეს. მეპატრონემ ალექსს მონდომებით ჩამოართვა ხელი.

- საღამო მშვიდობისა, ბატონო ბაკლი.

ალექსმა ლორის კაცი ჯოზეფის სახელით წარუდგინა. ქალი ამ რესტორანში რამდენჯერმე იყო ნამყოფი, მაგრამ სახელით არ მიმართავდა მის თანამშრომლებს და ისიც არ შეეძლო, მაგიდა ეშოვა მანქანიდან ათი წუთით ადრე დარეკვის შემთხვევაში.

როდესაც დასხდნენ, მათ სომელიე[32] მიუახლოვდა და ალექსს სამგვარი შავი ღვინო შესთავაზა ასარჩევად. აშკარად ხშირად დადიოდა აქ, მაგრამ ქალმა ეს უკვე იცოდა.

როდესაც ალექსის მიერ შერჩეულ ღვინოს უსხამდნენ, ლორიმ ტელეფონი შეამოწმა. მამამისს იმ შეტყობინებაზე ეპასუხა, რომელიც მანქანიდან გაუგზავნა: „ტიმი აღფრთოვანებულია პიცით, რომელიც შევუკვეთეთ. ნუ ნერვიულობ და კარგი დრო გაატარე სადილზე“.

ქალმა იცოდა, რომ მამამისი სიამოვნებით ატარებდა დროს შვილიშვილთან ერთად, მაგრამ მაინც დამნაშავედ იგრძნო თავი. ნამდვილად ვერ მივიდოდა სახლში იმ დროს, რომ ტიმისთვის ტკბილი ძილი ესურვებინა.

- სახლში ყველაფერი რიგზეა? - იკითხა ალექსმა. რა თქმა უნდა, მიხვდებოდა, რომ ქალის ფიქრები სახლს დასტრიალებდა.

---

[32] (ფრანგ. sommelier) რესტორნის თანამშრომელი, რომელიც პასუხს აგებს ღვინოების შეძენაზე, შენახვასა და კლიენტისთვის წარდგენაზე.

- კი, ყველაფერი კარგადაა. საოცარია, როგორ შეუძლია პეპერონის პიცას ცხრა წლის ბიჭის გაბედნიერება, - თქვა და მაშინვე გადაწყვიტა, მთელი საღამო ტიმიზე საუბარში არ გაეტარებინა და ალექსს ჰკითხა, რას ფიქრობდა ჯეფზე, - შენიშნე, რომ თვითონვე ახსენა ამანდას ანდერძი?

- ჭკვიან ტიპად მომეჩვენა, ასე რომ, იცის, რატომ აქვს ხალხს ეჭვი მასზე.

- აღიარე, ჭკვიანად იმიტომ მოგეჩვენა, რომ ალექს ბაკლი მისი კერპია.

- გიყვარს ჩემი წვალება, - თქვა ალექსმა და ეშმაკურად ჩაიღიმა, - აბა, დაუჯერე, როდესაც თქვა, ამანდას ფული არასდროს მნდომებიაო?

- მგონი, კი. ის ბინა ხომ ნახე. სადა, მაგრამ კომფორტულია. მეტი რომ ნდომებოდა, სავარაუდოდ, სახალხო დამცველის სამსახურს მიატოვებდა. ან ამანდას გარდაცვლილად გამოაცხადებდა და მემკვიდრეობას მიიღებდა, - სანდრასთან საუბრის შემდეგ ლორიმ გაიგო, რომ ჯეფს შეეძლო, სასამართლოში მოეთხოვა ამანდას გარდაცვლილად გამოცხადება შვიდწლიანი ლოდინის გარეშე. მოსამართლე გაუჩინარების ყველა დეტალს განიხილავდა და დაასკვნიდა, რომ თითქმის დარწმუნებით შეეძლოთ, ქალი გარდაცვლილად ჩაეთვალათ.

- შეიძლება, ეს არც კი იცოდეს, ლორი. კრიმინალური დაცვის ადვოკატებმა ყველაფერი არ იციან ანდერძების შესახებ.

გადაღების დაწყებამდე უნდა გაერკვიათ, იცოდა თუ არა ჯეფმა ამის შესახებ. როგორც წესი, შოუს მონაწილეებს თავდაპირველად მსუბუქად დაჰკითხავდნენ, როგორც ჯეფს. როდესაც ყველაფერს კარგად მოიძიებდნენ, ალექსი კამერის წინ დასვამდა რთულ შეკითხვებს.

- ალექს, კიდევ ერთხელ გმადლობ ბრუკლინში წამოყოლისთვის.

- ჩემი დახმარება არც კი გჭირდებოდა. ჯეფს ერთი სული ჰქონდა, როდის მოაწერდა ხელს, თანაც დარწმუნებული ჩანდა, რომ ცოლსაც დაითანხმებდა.

- იმაში კი მართალი იყო, რომ ძალიან გამიკვირდა. კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი.

- მხოლოდ იმიტომ ფიქრობდი, ჩვენთან არ ითანამშრომლებსო, იურისტი რომაა? ყველანი ასეთი რთულები არა ვართ, - კაცმა ცბიერად გაიღიმა.

- ამანდას დედის, სანდრას აღწერით, ფულზე გაგიჟებულ მექალთანეს ველოდი. მართალია, მისი საუკეთესო მეგობრები თავქარიანი მარტოხელები არიან, მაგრამ ჯეფი ძალიან საყვარელი და სერიოზული ჩანდა.

- სამწუხაროდ, უნდა გითხრა, რომ ძალიან ბევრ დამნაშავეს მოურგია უმანკო ნიღაბი, როცა ამის საჭიროება იყო. ჩემს ოფისში „ოსკარების“ გადაცემა უნდა დავიწყო.

- დარწმუნებული ვარ, მართალი ხარ, მაგრამ იქნებ სანდრა ცდება? ამიტომ ვეკიდები ფრთხილად იმ საქმეებს, რომლებსაც ოჯახები გვთავაზობენ. ძალიან იოლია ერთი ადამიანის აზრების გავლენაში მოქცევა.

- გიცნობ, ლორი. ცინცხალი გონება გაქვს.

ამ დროს მიმტანი გამოჩნდა და ახალ კერძებზე საუბარი დაიწყო. ლორი თავს უქნევდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გადაეწყვიტა, რის აღებას აპირებდა. იმედი ჰქონდა, რომ ალექსი მართალი იყო და ყველაფერს ნეიტრალურად უდგებოდა. მაგრამ მისთვის არ უთქვამს, რომ ჯეფმა გრეგი მოაგონა. მსგავსებაზე მაშინ დაფიქრდა, როცა ჯეფმა თქვა, პრესკონფერენციაზე სხვადასხვა ფეხსაცმლით წავედიო. ერთხელ გრეგი სახლში სხვადასხვა ფეხსაცმლით დაბრუნდა, არადა, საკმაოდ დიდხანს იყო სამსახურში. მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა საფუძველი.

იმ წამიდან, როდესაც ფანჯრიდან გასაღები ისროლა, ქალს ჯეფი უბოროტო, თბილ ადამიანად მოეჩვენა.

ამის გაყალბება ასე იოლად როგორ შეიძლებოდა? ლორის ეჭვი ეპარებოდა.

რას იზამდა ჯეფი, როდესაც ალექსი მის დაკითხვას დაიწყებდა?

23

ოცდაოთხი კვარტალის დაშორებით, ჩრდილოეთით, „კინი-- სტეიკჰაუსის“ მიმტანმა მაგიდასთან სამი გირვანქა შემწვარი ხორცი მიიტანა. ნიკ იანგმა ხორცის დაბრაწულობა შეამოწმა და მოწონების ნიშნად თავი დააქნია. როდესაც „მარტინის“ ჭიქები შეუვსეს და მიმტანი მათ მაგიდას მოშორდა, ნიკმა კიდევ ერთი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ასწია ჭიქა.

- ოჰ, რატომაც არა? - დაეთანხმა ოსტინ პრეტი.

- სიცილსა და იახტებს გაუმარჯოს! - ორივემ გაიცინა.

გასულ წელს ორივემ ხელი მოაწერა კონტრაქტზე მაღალი კლასის იახტების ჩარტერის[33] საერთაშორისო სამსახურთან. ამიერიდან, სადაც უნდა ყოფილიყვნენ წყალთან ახლოს, შეეძლოთ იახტა მოეთხოვათ, რომელიც მათ განკარგულებაში იქნებოდა. ორივეს ძალიან მოსწონდა პატარა იახტები საძილე კაბინებით, თანაც მათი მართვის ლიცენზიაც ჰქონდათ. გასული ზაფხულიდან ხშირად ქირაობდნენ იახტას, ხან ერთად, ხანაც ცალ-- ცალკე. უკვე სამჯერ იმოგზაურეს კარიბის ზღვაში.

ნიკმა აბრაც შეუკვეთა, რომელსაც იახტის კიდეზე კიდებდა. აბრაზე ეწერა: „ქალები პირველ რიგში“[34] და ამას გულისხმობდა კიდეც. კლიენტებზე ხშირად ნიკთან ერთად ქალები მგზავრობდნენ.

ოსტინმა აღმოაჩინა, რომ პოტენციური კლიენტების გასართობად მათი იახტაზე გამართულ ლანჩზე ან სადილზე დაპატიჟე-

---

[33] (ზღვ.) ნავების დაქირავება.

[34] ეტიკეტის წესი, რომლის მიხედვითაც, მამაკაცმა ჯერ ქალი უნდა გაატაროს და შემდეგ თვითონ გაიაროს.

ბა შესანიშნავი იდეა იყო. როდესაც კლიენტებს პატიჟებდა, გემის სამართავად კაპიტანს, საჭმლის მოსამზადებლად და სასმელების ჩამოსატარებლად კი მიმტანს ქირაობდა. ნიკის მსგავსად, მანაც შეუკვეთა აბრა, რომელზეც ეწერა „მარტოხელა მტრედი“.

ოსტინი უყურებდა თავის მეგობარს, რომელმაც ერთი მოყუდებით გამოცალა ჭიქა და ახალი მოითხოვა. ნიკის ვარსკვლავურმა გარეგნობამ აშკარად მიიქცია მეზობელ მაგიდასთან მსხდომი ახალგაზრდა ქალების ყურადღება, მაგრამ არ მოსწონდა, რომ ნიკი ძალიან ბევრს სვამდა.

იყო დრო, როდესაც მეგობრის სმაზე ბევრს არ ფიქრობდა. მაგრამ ის პატარა, მორცხვი, ასოციალური ბიჭი აღარ იყო, რომელიც მოპირდაპირე ქუჩაზე დასახლდა ბალტიმორში, როდესაც ორივენი შვიდი წლისანი იყვნენ. მიუხედავად თანატოლობისა, ნიკი მისთვის დიდი ძმა გახდა, იგი ზრუნავდა ოსტინზე სკოლაში, სადაც ბიჭი სხვა ბავშვებზე პატარა და დაუცველი იყო.

არავის გაჰკვირვებია, რომ როდესაც ნიკმა კოლბის კოლეჯში ჩააბარა, მანაც იგივე გააკეთა. ნიკი პოპულარული ხდებოდა ყველგან, სადაც ფეხს მიადგამდა, ხოლო ოსტინი სულ მასთან ერთად იყო. ნიკის მეგობრები ოსტინის მეგობრებიც გახდნენ.

და არც კი შეუმჩნევია, რომ ნიკი შურით უყურებდა.

ნიკის ფიქრით, ოსტინი ბუღალტერს ჰგავდა თავისი უჩარჩო სათვალითა და თხელი თმით. სადაც ქალს „ჩვეულებრივ ჯეინს“[35] დაუძახებდნენ, იგი „ჩვეულებრივი ჯო“ იყო.

„იმის ცდაში, ჩემნაირი გამხდარიყო, ჩემზე წინ წავიდა. ფინანსურად საკმაოდ კარგად ვარ, მაგრამ იგი ჩემზე უკეთესადაა.

---

[35] ასე უწოდებენ არაფრით გამორჩეულ, ჩვეულებრივ ქალებს.

ოსტინი უკვე მართავს ერთ-ერთი ჰეჯ-ფონდის[36] უდიდეს ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიას. სახლები აქვს მანჰეტენში, აღმოსავლეთ ჰამპტონსა და კოლორადოში. საკუთარი თვითმფრინავითაც კი დაფრინავს, - ნიკმა თავი დაიმშვიდა, - მაგრამ მე ბევრად უკეთ ვარ. მალე დავეწევი. მეტიც, გავასწრებ კიდეც“.

როდესაც ანგარიშს მოიტანდნენ, ოსტინს გადაახდევინებდა.

ნახევარი სტეიკი უკვე შეჭმული ჰქონდათ, როდესაც იმ სატელეფონო ზარის განხილვა დაიწყეს, რომელიც ორივემ მიიღო ჯეფისგან.

- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჯეფს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს, - თქვა ნიკმა მკაცრი კილოთი.

- მეც.

- ძმასავით მიყვარს, მაგრამ მისი არ მესმის. ძაღლივით მუშაობს და ფულს თითქმის არ იღებს. იმ მოცუცქნულ ბინაში ცხოვრობს ბრუკლინში, თანაც იცის, რომ ბევრი ადანაშაულებს ამანდას მკვლელობაში. რატომ უნდა ჩაერიოს ამ ამბავში?

- უნდოდა, მეთქვა, რომ აუცილებლად მივიღებ შოუში მონაწილეობას, თუკი პროდიუსერი დამირეკავს, - თქვა ოსტინმა.

- ვცადოთ, რომ გადავაფიქრებინოთ?

ოსტინმა მხრები აიჩეჩა.

- შენ ჯეფს ჩემზე უკეთ იცნობ. თვითონ თქვი, გადაწყვეტილი აქვსო.

ნიკი მართლაც კარგად იცნობდა ჯეფს. „როდესაც კოლბის კოლეჯში ერთ ოთახში შეგვასახლეს, მას შემდეგ ახლო მეგობრები ვართ, - ფიქრობდა იგი, - ორივენი ჭკვიანები და თავდაჯერებულები ვიყავით. გოგოებს მოვწონდით, მაგრამ ჩვენი მსგავ-

---

[36] საინვესტიციო ფონდი, რომელიც მაღალრისკიან პროექტებში და ა.შ. დებს ინვესტიციას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

სებები აქ მთავრდება. ჯეფი სწავლობდა და თავი გადადებული ჰქონდა, მე კი ერთი ლუდის კათხაც კი არ გამიცდენია ოთხი წლის მანძილზე. კოლეჯის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა გზით წავედით. ჯეფი სახალხო დამცველი გახდა, მე კი ფულის გასაკეთებლად უოლ-სტრიტს მივაშურე. სამართლის სკოლაში სწავლისას ჯეფი ლამაზ ამანდას დაუახლოვდა, გოგოს, რომელსაც კამპუსში ყველა ბიჭი დასდევდა. მე და ამანდასაც გვქონდა რამდენიმე პაემანი კოლეჯში, მაგრამ შემდეგ ეტაპზე აღარ გადავსულვართ". ნიკმა სცადა, არ ჩაჰღიმებოდა, როდესაც გაახსენდა, როგორ უთხრა ოსტინმა ბოლო წელს, ამანდას პაემანზე დაპატიჟებას ვაპირებო.

- თავს ნუ შეიწუხებ, მეგობარო, უიმედოა.

„დღემდე ვთამაშობ დაპყრობანას. როგორც კი გოგოს ხელში ჩავიგდებ, მაშინვე ვკარგავ ინტერესს", - ფიქრობდა ნიკი.

მაგრამ მიუხედავად მათი განსხვავებებისა, ჯეფი და ნიკი ყოველთვის მეგობრობდნენ.

ნიკმა ოსტინს გახედა.

- აბა, აპირებ შოუში მონაწილეობას?

- ცხადია, თუ შენც აპირებ. რა არჩევანი გვაქვს? ჯეფის გამოცდილებიდან ერთი რამის სწავლა ნამდვილად შეგვიძლია: ადამიანები ყველას ეჭვით უყურებენ, ვინც თავის დაცვას ცდილობს.

- შენ არ ურჩიე ჯეფს, ადვოკატი დაექირავებინა? - შეახსენა ნიკმა მეგობარს.

- მის დახმარებას ვცდილობდი. ამანდაზე დარდისგან ისე ჰქონდა გონება დაბინდული, რომ ვერც კი ამჩნევდა მედიის ცილისწამებას. ამანდა მდიდარი ოჯახიდან იყო, ის კი მუშათა კლასიდან გამოსული საქმრო. ბუნებრივი იყო, რომ პოლიციას მასზე ეჭვი ექნებოდა, - თქვა ოსტინმა ცხარედ.

- ჰეი, თავის დაცვა საჭირო არაა. ვიცი, რომ მასზე ზრუნავდი.

ოსტინს კარგი განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ ჭირდა მისი აზრების გამოცნობა. ყოველთვის ასეთი იყო. მდორე წყალი უფრო ღრმად მიედინება.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადანაშაულებდა ჯეფს ამანდას გაუჩინარებაში, არავის უფიქრია მისი კოლეჯის მეგობრების როლზე.

- იცი, - თქვა ოსტინმა, - შოუში შეიძლება ისეთი შეკითხვები დაგვისვან, რომლებზეც ჯეფს არ ენდომება, რომ პასუხები გავცეთ.

- იმას გულისხმობ, რაც იმ ღამეს თქვა ღვინის ბლომად დალევის შემდეგ?

- პოლიციისთვის არ გვითქვამს.

- სწორი შეკითხვა არ დაუსვამთ, - თქვა ნიკმა თვალთმაქცურად, - მათ მაგივრად ვერ გავაკეთებთ საქმეს.

როდესაც ნათელი გახდა, რომ შეიძლებოდა, ჯეფი ეჭვმიტანილად ჩაეთვალათ, ოსტინის რჩევას მიჰყვა და ადვოკატი დაიქირავა. ნიკმაც და ოსტინმაც გადაწყვიტეს, რომ ჯეფის გამო ტყუილს არ იტყოდნენ, მაგრამ არც თავიანთი ნებით გააკეთებდნენ ისეთ რამეს, რასაც მათგან არ მოითხოვდნენ.

სატელევიზიო შოუ, ალბათ, უკეთ იმუშავებდა, ვიდრე პოლიცია ხუთი წლის წინ. მათი დაკითხვიდან გამომდინარე მიხვდნენ, რომ გამოძიება ბევრად საფუძვლიანიც შეიძლებოდა, ყოფილიყო.

- ანუ თუ პროდიუსერები სწორ შეკითხვას დასვამენ, - თქვა ოსტინმა, - სიმართლე უნდა ვუთხრათ?

- შენ რას იტყვი, შენზეა დამოკიდებული. შენ მაგივრად გადაწყვეტილებას მე ვერ მივიღებ.

- ერთმანეთის საპირისპირო რამეს ვერ ვიტყვით.

- იმას ამბობ, რომ თუ გთხოვ, ჯეფის გამო ტყუილს იტყვი?

- სასწორზე ბევრი რამე დევს, ნიკ. ინვესტორებს არ ენდომებათ ისეთ ადამიანთან მუშაობა, რომელიც გაუჩინარებული ქალის საქმის გამოძიებისას ტყუილში გამოიჭირეს.

ნიკი მდუმარედ ჭამდა და შესაძლო ვარიანტებს განიხილავდა.

- დიდი არაფერია. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე ადამიანებს ხშირად იპყრობთ ხოლმე შიში. ჯეფს ყველანაირი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ ქორწილი ბოლომდე მიეყვანა.

ამანდას გაქრობის წინაღამეს ჯეფმა ნიკსა და ოსტინს უთხრა, დარწმუნებული არა ვარ, რომ ამანდასთან დაქორწინება სწორი გადაწყვეტილებაა. მხოლოდ ეს ფრაზა თქვა, მაგრამ როდესაც ნიკმა უთხრა, ჯერ კიდევ არ არის გვიანო, ჯეფმა სწრაფადვე დაარწმუნა, „ნერვიულობის“ ბრალიაო.

- შევთანხმდით, - თქვა ოსტინმა, - პროდიუსერებს ამ ფრაზას ვეტყვით.

ნიკმა თავი დაუქნია.

- მე კი ჯეფს ვეტყვი, რომ სიმართლის თქმას ვაპირებთ. თუკი ამაში ჩვენს ჩათრევას აპირებს, აუცილებლად უნდა დავიცვათ ჩვენი რეპუტაცია.

- უცნაურია, - თქვა ოსტინმა, - ისევ ერთად ვიქნებით, როგორც ადრე.

- კოლეჯივით იქნება. ბართან ორ გოგოს გავესაუბრებით და ორივეს მე მოვეწონები!

- კარგი, ეს უკვე საკმარისია, - გამოაცხადა ოსტინმა, - შენ იხდი.

- უი, ის იცოდი, „გრანდ-ვიქტორიამ“ შარშან პატარა ნავსადგომი რომ გააკეთა? იახტას დავჯავშნი. ბოკაში მყავს ორი კლიენტი, რომლებთან შეხვედრა მინდა.

- კარგი იდეაა. მეც დავჯავშნი იახტას. დარწმუნებული ვარ, კარგადაც დავისვენებთ.

როდესაც ნიკმა მიმტანს ანიშნა, ანგარიში მოგვიტანეთო, არ შეუმჩნევია, როგორ გაეღიმა ოსტინს.

24

მომდევნო შუადღეს ლორის, ჯერისა და გრეისს უკვე საკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ შეგროვებული და შეეძლოთ გადაღებების დაგეგმვა. იმავე დილით ჯეფმა დარეკა იმის სათქმელად, რომ ორივენი, თვითონაც და მისი ცოლი, მეგანიც, შოუში მონაწილეობას მიიღებდნენ. ლორის დაჰპირდა, რომ მეჯვარეები, ნიკი და ოსტინიც, ითანამშრომლებდნენ და მათი საკონტაქტო ინფორმაციაც მიაწოდა. ბრეტმაც შემოიარა. როგორც ყოველთვის, სურდა, შოუ გუშინვე ყოფილიყო მზად.

- როდის წახვალთ ფლორიდაში? - იკითხა მან.

ლორის ენის წვერზე ედგა სიტყვა „გუშინ“.

- ერთ კვირაში, - თქვა ბოლოს, - გადამღებ ჯგუფს შეუძლია, რამდენიმე დღით ადრე ჩავიდეს. გვინდა, გადაღება სასტუმროს სხვადასხვა ტერიტორიაზე მიმდინარეობდეს. ქორწილის მონაწილეები აუზითა და სანაპიროთი ტკბებოდნენ, ვერანდაზე სასმელებით გრილდებოდნენ. ფონად ყველაფერს გამოვიყენებთ.

ზაფხული ფლორიდაში იდეალური ნამდვილად არ იყო, სამაგიეროდ, ტიმის სკოლაში ტარება არ მოუწევდა.

ალექსმა უთხრა, რომ რადგან ასე ცოტა დრო ჰქონდათ, წინასწარ ინტერვიუებს, რომლებსაც ქალი „ფრთხილ და გაურკვეველ“ შეკითხვებს ეძახდა, ტელეფონით ჩაატარებდა.

ახლა ლორი, ჯერი და გრეისი ოფისში შეკრებილიყვნენ და იმ ჩანაწერების საყურებლად ემზადებოდნენ, რომლებიც ამანდას გაუჩინარებიდან სამი დღით ადრე იყო გადაღებული.

- მოდი, ქრონოლოგიას გადავხედოთ, - თქვა ლორიმ, - სანდრამ გვითხრა, რომ ქორწილის სტუმრები ოთხშაბათ დილას

ჩავიდნენ და მაშინვე სანაპიროზე გავიდნენ. იქვე, ოკეანისხედიან სასადილო ოთახში ჰქონდათ ლანჩიც. თვითონ უოლტერთან ერთად პარასკევს უნდა ჩასულიყო, სარეპეტიციო სადილზე[37] მაგრამ ხუთშაბათ ღამის შემდეგ ამანდა აღარავის უნახავს.

ლორი მაშინვე დაუკავშირდა ჯეფის კოლეჯის მეგობრებს, ნიკ იანგსა და ოსტინ პრეტს. მათი თქმით, ამანდას ძმა, ჰენრი, მალე, ნასადილევს წავიდა სიძისთვის მოწყობილი წვეულებიდან, ხუთშაბათს. ჯეფმა და დანარჩენმა მეჯვარეებმა კი დალიეს და ჯეფის ოთახში წავიდნენ, ცოტა კიდევ რომ გადაეკრათ. იქ დაახლოებით 40 წუთი გაატარეს და ღამის თერთმეტ საათამდე წამოვიდნენ.

ორივე, ნიკიც და ოსტინიც, სიამოვნებით ითანამშრომლებდა შოუსთან, თუკი ჯეფს უნდოდა. ორივემ დაადასტურა ჯეფის ადგილსამყოფელი ამანდას გაუჩინარებამდე. საინტერესო ის იყო, რომ ორივემ აღიარა, როდესაც ჯეფის ოთახში ბევრი დავლიეთ, მან თქვა, დარწმუნებული არა ვარ, რომ ამანდასთან დაქორწინება სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა ამ ფრაზას ორივე უწყინარს უწოდებდა, არც ისე გასაკვირს სიძისგან ქორწილამდე ორი დღით ადრე.

სხვა თუ არაფერი, ბრეტი ნამდვილად მოხარული იქნებოდა, რომ ორი წარმატებული მარტოხელა კაცი მიიღებდა შოუში მონაწილეობას. ლორის უფროსს სჯეროდა, რომ ზოგიერთი მაყურებელი მხოლოდ იმიტომ უყურებდა შოუს, რომ იგი მდიდარ ხალხსა და მათ პრობლემებზე იყო.

- სულ ესაა? - იკითხა გრეისმა, რომელიც ჯერის მხარზე დაჰყრდნობოდა. სხვა მამაკაცი, ალბათ, უხერხულად იგრძნობდა

---

[37] ამერიკულ კულტურაში ფართოდაა გავრცელებული ქორწილისწინა საღამოს სადილობა, რომელსაც სიძე, პატარძალი და მათი ახლობლები ესწრებიან.

თავს გრეისის ძლივს დაფარული სავსე მკერდი რომ ყურთან ჰქონოდა, მაგრამ ჯერი და გრეისი დედმამიშვილებივით იყვნენ.

ჯერიმ ნიკი და ოსტინი თავის ბლოკნოტში ჩამოწერილ სიას დაუმატა. სახელები ხმამაღლა წაიკითხა იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ერთ გვერდზე ეწერა.

- სანდრა, რა თქმა უნდა... და მის ყოფილ ქმარს, უოლტერსაც ვესაუბრე. თანახმაა, მაგრამ აშკარად ფიქრობს, რომ წყალს ვნაყავთ.

- არ უთქვამს, რატომ? - იკითხა ლორიმ.

- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ურჩევნია, სჯეროდეს, ჩემი ქალიშვილი კარგადაააო, - ლორიმ თავი დაუქნია. ჯერის ენდობოდა, მაგრამ მთლად მის „შთაბეჭდილებებს“ ვერ დაეყრდნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ასე ფიქრობდა.

ვერც კი იჯერებდა, ისე კარგად აეწყო ყველაფერი. მიუხედავად იმისა, რომ სანდრას სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ შეხვდა, შოუში ყველა მოვიდოდა, ვინც სჭირდებოდათ. და, ჯერჯერობით, ყველას შეეძლო თავიანთი გრაფიკის ისე შეცვლა, რომ პალმ-ბიჩში წასულიყვნენ.

- ვიდეო მზადაა? - ჰკითხა ჯერის.

„გრანდ-ვიქტორიამ“ ზიპ-ფაილი გამოგზავნა, სადაც ყველა ჩანაწერი იყო იმ დროიდან, როცა ქორწილის სტუმრებმა მოიყარეს თავი. როდესაც ჯერიმ ვიდეო ჩართო, დაინახეს ლამაზი, ახალგაზრდა ქალი უმკლავებო ყვავილებიან კაბაში, რომელიც სწრაფად მიდიოდა ფორთოხლის ყვავილებით მორთული ფანჩატურისკენ.

- ამას მოგვიანებით მივუბრუნდებით, - თქვა ლორიმ, - მოდი, ჯერ ხუთშაბათის ღამის ჩანაწერს ვუყუროთ.

ჯერიმ ვიდეო გადაახვია და იქ გააჩერა, სადაც სამი ქალი სასტუმროს ლიფტის წინ იდგა. ლორის უკვე შეეძლო მათი გარჩევა. ამანდა, შარლოტი და მეგანი. ვიდეო დააპაუზა. 22:55 იყო.

- ქეითი სადაა? - იკითხა ქალმა.

მისდა გასაკვირად, ჯერიმ იცოდა:

- პოლიციას უთხრა, რომ სხვებზე ადრე დაწვა. დანარჩენები ჯერ კიდევ გასათხოვრები იყვნენ, ქეითი კი დაქორწინებული იყო და ჩვილი ჰყავდა, რომელსაც მთლად კარგად არ ეძინა, ასე რომ, დანარჩენებთან ყოფნა ხშირად არ შეეძლო.

ლორიმ ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა და ვიდეო ჩართო. ეს კადრები ამანდას გაუჩინარების შემდეგ გამუდმებით ტრიალებდა ახალ ამბებში.

სამივე ქალი შევიდა ლიფტში, მაგრამ ამანდა უცებ გამოვიდა, სანამ კარები დაიხურებოდა. ამჯერად არა ყვავილებიანი, არამედ ლურჯი კაბა და მაღალქუსლიანი სანდლები ეცვა. ლორიმ კვლავ დააპაუზა.

- ამ დროს თქვა, რაღაც დავკარგეო? - იკითხა მან.

- ჰო, - უპასუხა ჯერიმ, - ცალ-ცალკე დაკითხვის დროს, შარლოტიც და მეგანიც დარწმუნებით ამბობდნენ ამას. ძალიან სწრაფად მომხდარა, თითქოს თავში რაღაცამ დაარტყაო. „რაღაც დამავიწყდა“, - აი, ის სიტყვები, რომლებსაც ორივე იხსენებს. მაშინ იფიქრეს, რომ, ალბათ, ლაუნჯში[38] დარჩა რაღაც, სადაც ნასადილევს შემდეგ ცოტა დალიეს, მაგრამ ისე უცებ გავიდა, რომ კითხვა ვერ მოასწრეს.

- მაგრამ ლაუნჯიდან არავის ახსოვს მისი დაბრუნება?

ჯერიმ თავი გააქნია.

- უბრალოდ გაქრა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ეს უბრალოდ გამოგონილი მიზეზი იყო, რეალურად კი ჯეფის საძებნელად წავიდა. ზოგი ფიქრობს, რომ წყვილი იმ უქმეებზე ჩხუბობდა.

---

[38] აქ: დასასვენებელი ოთახი.

- ვინ არის ის ზოგი ადამიანი, რომელსაც ამ ვერსიის სჯერა? - იკითხა ლორიმ.

გრეისმა მაგიდიდან საქაღალდე აიღო და ქალს გადასცა. მასში „პალმ-ბიჩ პოსტიდან“ ამონაჭრები ეწყო. ყველა სტატიის ავტორი „ჯენის კარპენტერი“ იყო.

- ჯენის კარპენტერი რეპორტიორია სამხრეთ ფლორიდაში. ამანდას გაუჩინარების საქმეს ყველაზე მეტად ის ქექავდა. თქვა, რომ ანონიმური ცნობა მიიღო, რომლის მიხედვითაც, ჯეფი და ამანდა სასტუმროში მთელი კვირა კინკლაობდნენ, - თქვა გრეისმა.

- ერთი ანონიმური ცნობა? კანონიერი წყაროების დროსაც კი, რეპორტიორმა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაბეჭდოს რაღაც, რაც ორი წყარო ექნება.

- არა მგონია, პულიცერისკენ მიმავალ გზაზე მიდიოდეს, - თქვა გრეისმა, - უფრო მეტად ბულვარული მწერალია.

შემდეგი ოთხი საათის განმავლობაში სამივენი ლორის საკონფერენციო მაგიდასთან ისხდნენ და იმაზე მეტი ჩანაწერი ნახეს, ვიდრე ლორი ვარაუდობდა. ჯერიმ ეკრანი ისე დააყენა, რომ ერთდროულად ოთხი ხედი ეჩვენებინა. სასტუმროს ცდა არ დაუკლია, რომ ყველაფერი შეენახა, რაც შეიძლებოდა, მნიშვნელოვანი ყოფილიყო.

ქალმა ტელეფონს მოჰკიდა ხელი და მეილებისა და შეტყობინებების პასუხების წერას შეუდგა. იმ ჩანაწერს უყურებდნენ, რომელიც სადილობამდე გადაეღოთ. სასტუმრო გადატვირთული იყო, ამანდას არაფერი ემუქრებოდა. უცებ ლორიმ ტელეფონი დადო, რადგან პერიფერიული მხედველობით რაღაც დააფიქსირა.

- მოიცა, - წამოიკივლა მან, - გადაახვიე.

ჯერი მის ნებას დაჰყვა.

- ისევ ამანდაა, - წამოიძახა ქალმა. მისი კაბა იცნო. ამანდა შიდა ეზოში იყო, იქ, სადაც სასტუმროს მაღაზიები მდებარეობდა. ცოტა ხნით ვიტრინასთან გაჩერდა, თითქოს რომელიღაც ტანსაცმელმა მოხიბლაო და გზა განაგრძო.

- ნამდვილად ისაა, - თქვა გრეისმა.

- რამდენიმე საათით ადრეა, სანამ ლიფტიდან გამოვა, - თქვა ჯერიმ.

- ვიცი, მაგრამ კიდევ ერთხელ გადაახვიე.

ამჯერად ლორიმ ბიჭს მაუსი გამოართვა და ფირი შეაჩერა.

- აი, აქ, - ბუნდოვან ფიგურაზე მიუთითა, რომელიც მამაკაცი უნდა ყოფილიყო, და ვიდეო კვლავ ჩართო.

კაცი ეკრანის მარჯვენა მხრიდან მარცხენა მხარეს გადავიდა. ამანდას ჩაუარა, რომელიც ვიტრინასთან გაჩერდა და კამერას ზურგი შეაქცია. როგორც კი გოგონა ეკრანიდან გაუჩინარდა, კაცი 90 გრადუსით შეტრიალდა და ვიტრინების საპირისპირო მხარეს წავიდა. თუმცა, სანამ კამერის თვალთახედვიდან გავიდოდა, ძლივს გაარჩიეს, რომ კვლავ შებრუნდა. ვიტრინას ჩაუარა და სვლა განაგრძო.

- დაინახეთ? - იკითხა ლორიმ, - ამანდასკენ მიდიოდა.

- მას მიჰყვება, - თქვა გრეისმა.

კიდევ ერთხელ უყურეს ჩანაწერს.

- ან რაღაც მიზეზით კვლავ თავის ოთახში აბრუნდა, - თქვა ჯერიმ.

- ხელში რაღაც უჭირავს, - ლორიმ კვლავ გადაახვია და ბუნდოვან გამოსახულებაზე შეაჩერა, - შეგიძლია, მოაახლოო?

ჯერიმ სცადა, მაგრამ გამოსახულება გაიდღაბნა.

- საფულეს ჰგავს, - თქვა გრეისმა. კაცს მხარზე რაღაც გადაეკიდა და პატარა ყუთი თეძოსთან გაჩერებულიყო.

- კამერას ჰგავს, - თქვა ჯერიმ.

ლორიმ თვალები მოჭუტა, თითქოს ეს რამეს უშველიდა. შეესაძლოა, ჯერი მართალი იყო. მართლაც ჰგავდა კამერის ჩასადებს.

- პროფესიონალურ კამერას ჰგავს, - თქვა მან, - ხუთი წლის წინ ბევრი ფოტოებს მობილურით იღებდა. ვიცით, ვინ იყო მათი ქორწილის ფოტოგრაფი? - თავისი და გრეგის ქორწილი გაახსენდა. ფოტოგრაფი სარეპეტიციო სადილზეც იყო. ალბათ, ამანდას ოჯახიც სთხოვდა ფოტოგრაფს რამდენიმე ფოტოს სადილის დროს.

ჯერი ფურცლების შეკვრას დასწვდა და მონიშნულ ნაწილზე გადაშალა. მისი ორგანიზებული მუშაობა შოუს წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო.

- ფოტოგრაფს რეი უოკერი ჰქვია. პოლიციამ დაჰკითხა - ყველა დაჰკითხეს, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ქორწილთან, - ჯერიმ სწრაფად გადახედა ანგარიშს, მაგრამ ლორი მიხვდა, რომ ბიჭმა უკვე იცოდა შინაარსი, - რა თქმა უნდა, ხუთშაბათს სასტუმროში იყო დაუგეგმავი ფოტოების გადასაღებად, მაგრამ ამბობს, რომ ხუთ საათზე წავიდა, რადგან იმ საღამოს სხვა ქორწილი უნდა გადაეღო.

მისი მზერა იმ კაცს დაუბრუნდა, რომელიც, როგორც ჩანს, ამანდას დასდევნებოდა.

- ეს ჩანაწერი 17:32-ზეა გადაღებული, ასე რომ, უოკერის თქმით, ამ დროს უკვე წასული იყო.

ლორიმ ეკრანზე გაშეშებულ გამოსახულებას შეხედა. მისი სიმაღლის განსაზღვრა ძნელი იყო, მაგრამ არც მაღალი ჩანდა, არც დაბალი. ცოტა დონდლო იყო.

- უოკერის ფოტოსურათი გვაქვს?

- არა, მაგრამ ამ ანგარიშის მიხედვით, ხუთი წლის წინ ორმოცდაათი წლის იყო.

ეკრანზე გამოსახული პიროვნება რატომღაც ახალგაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მეტისმეტად ბუნდოვანი იყო და ზუსტად ვერ იტყოდნენ. ლორიმ საათს გახედა და გაახსენდა, რომ ამანდას დას, შარლოტს უნდა შეხვედროდა.

- უნდა წავიდე. მოდი, უოკერის საქმეს გავყვეთ, - უთხრა ჯერის, - ყოველი შემთხვევისთვის. ალბათ, უბრალო ტურისტია, რომელსაც ფოტოგრაფია უყვარს.

- თუმცა, - შეჩერდა უცებ, - ამანდა საოცრად ლამაზი ქალი იყო. შესაძლოა, ვინმეს ყურადღება მიიქცია, რომელმაც მისი დევნა დაიწყო.

- მდევარს გულისხმობ? - იკითხა გრეისმა.

- ზუსტად.

25

„ლეიდიფორმის“ მოსაცდელი ოთახი ზედმიწევნით შეეფერებოდა მაღალი ხარისხის სამკერვალო კომპანიას. იგი ღვინისფერი ხავერდოვანი ავეჯითა და შავ-თეთრი მოდური ფოტოსურათებით იყო გაწყობილი. სანდრა ნამდვილად არ აჭარბებდა, როდესაც თქვა, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი იმუშავეს ბრენდინგზე.[39] როდესაც ლორი ჯერ კიდევ პატარა იყო, ბებიამისმა, „ლეიდიფორმის“ გრაცია[40] იყიდა. ლორი მეტისმეტად პატარა იყო იმისთვის, რომ მისთვის თავი და ბოლო გაეგო, ან მიმხვდარიყო, რატომ ხარჯავდა ბებიამისი ამდენ დროს იმ უცნაურ რაღაცაში ჩასაკვეტებლად, მაგრამ ახსოვს, რომ ეს პროცესი ძალიან აშინებდა. ახლა კი „ლეიდიფორმი“ ასოცირდებოდა ქალებთან, რომლებიც ბედნიერად და კომფორტულად გრძნობდნენ თავს ჯანმრთელ, ბუნებრივ სხეულებში.

დაახლოებით მისი ასაკის ქალმა ვესტიბიულში შემოსასვლელი კარი გააღო და ღიმილით მიესალმა. მაღალი იყო, დაახლოებით ხუთი ფუტი და ათი ინჩი იქნებოდა და ჩასკვნილი სხეული ჰქონდა. მხრებამდე ღია ყავისფერი თმა დაჰფენოდა და მაკიაჟი არ ეკეთა. ლორიმ იცნო შარლოტ პირსი, პირსების კომპანიის ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი „ლეიდიფორმში“, თუმცა ლორისთვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ იგი ამანდა პირსს უფროს დად ეკუთვნოდა.

---

[39] სავაჭრო მარკის შექმნისა და ბრენდად ქცევის ტექნოლოგია.

[40] ქალის სხეულის მაკორექტირებელი სხვადასხვა სტილისა და ფორმის ელასტიკური საცვალი.

- რით შემიძლია დაგეხმაროთ, ქალბატონო მორენ? - ჰკითხა შარლოტმა, როდესაც მის კაბინეტში დასხდნენ, - ჩემი დის საქმის აღება გადაწყვიტეთ?

ლორიმ შეხვედრა შარლოტის ასისტენტთან შეათანხმა, პირადად მასთან არ უსაუბრია.

- ჩვენ არ ვიღებთ საქმეს, როგორც ადვოკატები ან გამომძიებლები, თქვენი ოჯახი ჩვენი კლიენტი არ იქნება. მხოლოდ ის გვინდა, თქვენი დის გაუჩინარება ჩვენი შემდეგი ეპიზოდის თემა იყოს.

- მშვენიერია. როგორც დედაჩემს ვუთხარი, სიამოვნებით ვითანამშრომლებ, თუ დაგჭირდებით.

- ძალიან კარგი. დიახ, მითხრა, მაგრამ ყოველთვის ვამოწმებთ ხოლმე. დოკუმენტებიც წამოვიღე, რომ გადახედოთ, - ჩანთიდან კონტრაქტი ამოიღო და მაგიდაზე გააცურა. მისი იმეილით გაგზავნაც შეეძლო, მაგრამ აქ მოსასვლელად სხვა მიზეზიც ჰქონდა. როდესაც შარლოტი დოკუმენტს კითხულობდა, ლორიმ თითქოს უმნიშვნელო საუბარი გაუბა:

- როგორც მითხრეს, მეჯვარე იყავით.

- ჰმმ? - ყურადღება კითხვაზე ჰქონდა გამახვილებული, - აჰ, კი, მართალია. მგონი, პატარძალმა აუცილებლად უნდა სთხოვოს უფროს დას.

- მაგრამ თქვენ და ამანდა ახლოს იყავით, არა? არა მხოლოდ დები, არამედ თანამშრომლებიც.

- თვითონ, ალბათ, იტყოდა, რომ ხანდახან მეტისმეტად ახლოსაც კი. ყოველთვის იოლი არ არის ოჯახის წევრებთან ერთად პროფესიული მუშაობა.

ლორიმ თავი დაუქნია. ოსტინ პრეტმა და ნიკ იანგმა ახსენეს დებს შორის მეტოქეობა, უფრო მეტად შარლოტის მხრიდან. მათ თუ დაუჯერებდით, შარლოტი დიდად დაინტერესებული არ ყოფილა დის ქორწილით. პარასკევს, ლანჩის დროს, სადღეგრძე-

ლო უნდა წარმოეთქვა, მაგრამ ნიკს სთხოვა ამის გაკეთება. ამანდა ლანჩზე აღარ გამოჩენილა, ასე რომ, სადღეგრძელოც არ თქმულა. ამაზე ფიქრის დროს ლორი ეჭვობდა, შარლოტმა ხომ არ იცოდა, რომ ამანდა იქ არ იქნებოდაო.

- დედათქვენმა მითხრა, რომ ნიუ-იორკში ოფისის გახსნა ამანდას იდეა იყო. როგორც ჩანს, კომპანიაში ყველაფერი ძალიან კარგადაა.

შარლოტს სახე დაეღმიჭა.

- დიახ, ამანდას იდეა იყო, მე კი მისი არყოფნის დროს ყველაფრის სწორი მიმართულებით წაყვანა მოვახერხე, არადა, ვინ იცის, სად ვიქნებოდით, ისევ აქ რომ ყოფილიყო, - არც კი უცდია სარკაზმის დაფარვა.

- ბოდიში, იმის თქმა არ მინდოდა, რომ თქვენი დამსახურება ფუჭია, - თქვა ლორიმ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლე არ იყო.

- არაფერია, - ხელმოწერილი დოკუმენტი დაუბრუნა, - სულ ესაა?

- თქვენი აზრით, რა მოუვიდა თქვენს დას? - ჰკითხა ჯიქურ ლორიმ.

შარლოტმა ქალს თვალებში შეხედა.

- წარმოდგენა არა მაქვს. დედაჩემი დარწმუნებულია, რომ მოიტაცეს და, ალბათ, მოკლეს კიდეც. მამაჩემი ფიქრობს, რომ ახალი ცხოვრების დასაწყებად გაიქცა. მე კი ორივე ვარიანტი მესიზმრება - კოშმარები მაქვს...

ისეთი კილოთი საუბრობდა, როგორითაც საქმეზე ილაპარაკებდა.

- სხვა ცხოვრება რატომ ენდომებოდა? როგორც გავიგე, მას ყველაფერი ჰქონდა: მშვენიერი სამსახური, საქმრო, რომელსაც უყვარდა, მოსიყვარულე ოჯახი.

შარლოტმა ნერწყვი გადაყლაპა და წამით მართლაც დამწუხრებული ჩანდა.

- ამანდას მართლაც ყველაფერი ჰქონდა, ის, რისი იმედიც გვაქვს და რისთვისაც ვლოცულობთ. მაგრამ ხომ იცით, ხანდახან ადამიანებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ რაღაც განსხვავებულისკენ მიუწევთ გული. თითქმის ისე, როგორც ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სხვის სხეულში ცხოვრობენ.

ლორისთვის შარლოტის მიერ აღწერილი სცენარი ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა მას ამანდასთან.

- ვისი ცხოვრება უნდოდა ამანდას თავისის ნაცვლად?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

- მისი სიმსივნე - იცით ამის შესახებ?

ლორიმ თავი დაუქნია.

- ზოგიერთი სიკვდილს გადარჩენილი უფრო მადლიერი ხდება, მაგრამ არა ამანდა. მგონი, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე ეჭვობდა. ფიქრობდა, მარტივი გზა ხომ არ ავირჩიეო - სამსახური მამიკოს კომპანიაში. მოსიყვარულე, ერთგული საქმრო. მხოლოდ ოცდაშვიდი წლის იყო და უკვე იცოდა, რა ელოდა მომავალში.

- თქვენთვის ხომ არ უთქვამს, ქორწილის ჩაშლა მინდაო?

- არა, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მიზეზებს ეძებდა.

- მაგალითად?

- როგორც თქვა, ნერვიულობდა, რომ ჯეფმა მხოლოდ იმიტომ სთხოვა ხელი, ავად რომ იყო. მერე კი თქვა, რომ ჯეფს უფრო უნდოდა შვილები, ვიდრე თვითონ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თვითონ არ უნდოდა ქორწილის ჩაშლა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ამას ჯეფი გააკეთებდა.

- მართლა წავიდოდა და ამდენ წელს ნერვიულობაში გაგატარებინებდათ? - ლორის ვერ წარმოედგინა უფრო ეგოისტური საქციელი.

- ძველი ამანდა არა... მაგრამ სიმსივნის მკურნალობამ შეცვალა. უფრო ცივი გახდა. ნაკლებად მომთმენი და მეტის მომთხოვნი.

- უფრო ძლიერი? - იკითხა ლორიმ. ჯეფმა სწორედ ეს თქვა.

- ზუსტად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა ცოცხალი იყოს და თავისი ცხოვრება ჰქონდეს, ვერასდროს გავუგებ, თუკი მართლა გაიქცა და ჩვენი მშობლები ამხელა ტკივილის პირისპირ დატოვა. დედაჩვენი ისევ ატარებს იმ ყვითელბაფთიან სტიკერებს.

- დედათქვენს დიდხანს ვესაუბრე. მისი აზრით, თქვენი და ჯეფმა მოკლა მემკვიდრეობის მისაღებად.

- მაშინ რატომ არ სცადა მემკვიდრეობის მიღება?

- ალბათ, უნდოდა, ცხედარი ეპოვათ.

- არ ვიცი. ჯეფი კარგი ბიჭია. სიმართლე გითხრათ, მეცოდება კიდეც.

- სხვას ვის შეიძლებოდა ევნო თქვენი დისთვის?

შარლოტი წამითაც არ შეყოვნებულა:

- მეგან უაითს.

- იმიტომ, რომ ჯეფი თავისთვის უნდოდა? - ჰკითხა ლორიმ.

შარლოტმა თავი გააქნია.

- მგონი, ეგ მერე მოხდა, ან შეიძლება, უბრალოდ დაემატა. მაგრამ თუ ეს მეგანმა ჩაიდინა, მაშინ მიზეზი „ლეიდიფორმია“.

ლორი დაიბნა.

- მეგონა, მეგანი მაგ დროს უკვე იურისტი იყო. თქვენს კომპანიაში მუშაობდა?

- არა, მაგრამ არცთუ სახუმაროდ იჩხუბეს სასტუმროში გაფრენამდე. მაშინ ჯერ კიდევ რებრენდინგის პროცესში ვიყავით, მამას ვარწმუნებდით, რომ ბებიების ტრუსებზე მეტის წარმოებაც შეგვეძლო. ამანდას შესანიშნავი იდეა ჰქონდა ახალი ხაზისა, რომელსაც „იქს-ოცნება“ უწოდა: ეს იყო სავარჯიშო ტანსაცმე-

ლი, რომელსაც საგანგებო ჯიბე ექნებოდა მობილური ტელეფონების, აიპოდებისა თუ სხვა ტექნიკისთვის, რომელიც გვინდა თან გვქონდეს, მაგრამ ხელში არ გვეჭიროს ვარჯიშის დროს. მანამდე მხოლოდ განიერი ჯიბეები გვქონდა და სირბილის დროს ტელეფონი აქეთ-იქით ვარდებოდა.

- მახსოვს! - წამოიყვირა ლორიმ. გრეგმა მას სპორტული მაისური უყიდა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. მისი საყვარელი მაისური იყო, რადგან ვერც კი გრძნობდა ელვით დამაგრებულ აიპოდს, - ამას რა საერთო აქვს მეგანთან?

- როდესაც მოდელი მაღაზიაში ნახა, კომპანიაში მოვიდა და ამანდას უყვირა, იდეა მომპარეო. ისე ყვიროდა, ჰოლის ბოლოში მყოფთაც კი ესმოდათ.

- უცნაურია, - თქვა ლორიმ, - მეგანი იმიგრანტების საქმეების იურისტია. სპორტული ტანსაცმლის იდეასთან რა საქმე ჰქონდა?

- რა თქმა უნდა, არანაირი, მაგრამ ამას სულაც არ შეუჩერებია წილის მოთხოვნისგან. „იქს-ოცნებამ“ დიდი მოგება მოგვიტანა. შემიძლია გაყიდვების მრუდი გაჩვენოთ და თვითონ ნახავთ: მილიონები გავაკეთეთ. ამანდა ისე ნერვიულობდა, რომ კორპორაციულ მრჩეველს უთხრა, შესაძლო სარჩელისთვის მზად ყოფილიყო.

- ანუ მართლა მეგანის იდეა იყო?

- თუკი იდეას დავარქმევთ, როცა ორი კოლეჯის მოსწავლე გოგო სურვილს გამოთქვამს, ნეტავ ვარჯიშის დროს ტელეფონები არ გვივარდებოდესო. მთავარი სიტყვის საქმედ ქცევაა. ნაშას გამოცდილების მქონე ინჟინერი დავიქირავეთ, რომ ზუსტი გზა გვეპოვა, როგორ გაგვეხადა სამოსი კომფორტული, უსაფრთხო, ჯიბე ადვილად მისაგნები. თუ მეგანს რამე როლი ჰქონდა ამ ყველაფერში, მხოლოდ აზრის გამოთქმაა პროდუქტის საჭიროების შესახებ - ეს ხომ ათასობით ადამიანს გაუკეთებია.

- მეგანი ისევ გაბრაზებული იყო ამანდაზე, როდესაც ფლორიდაში ჩახვედით?

- ნამდვილად არაფერი ეტყობოდა, დამეთანხმებით, რამდენიმე დღით ყველას შეუძლია ემოციების დაფარვა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამანდამ მეგანი იმით გააჩუმა, შენ მაინც არავინ დაგიჯერებსო. გააფრთხილა კიდეც, როგორც ახალგაზრდა იურისტს კარიერის განადგურებაც შეგიძლია ასეთი უმნიშვნელო დავითო.

- ოჰო, - თქვა ლორიმ, - თქვენს დას არ ვიცნობდი, მაგრამ ნამდვილად ულმობელი სიტყვებია, განსაკუთრებით საუკეთესო მეგობრისთვის, თანაც ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე.

- როგორც გითხარით, გაუჩინარების დროს ამანდა სუსტი პიროვნება აღარ იყო. ხანდახან მეც ვფიქრობ, კარგად ვიცნობდი თუ არა.

26

ლორი მიხვდა, რომ ჩურჩულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში არ იყო.

- შენი ოფისი ასეთი ჩუმი არასდროს ყოფილა, - უთხრა ალექსს, რომელიც მის გვერდით იჯდა.

ალექსი ოფისს ხუთ ადვოკატთან იყოფდა, რომლებსაც თავიანთი თანაშემწეები ჰყავდათ. მათთანვე იყოფდა რვა დამხმარესა და ექვს გამომძიებელს.

- და მე არასდროს ვალოდინებდი ადამიანს ამდენ ხანს.

ლორიმ საღეჭი რეზინით გართულ მდივანს გახედა იმაში დასარწმუნებლად, რომ ალექსის ნათქვამი ვერ გაიგონა.

- არ დაგავიწყდეს, რომ აქ იმ დახმარების სათხოვნელად მოვედით, რომლის გაწევაც მას არ ევალება. ნამდვილად არ გვჭირდება მისი განაწყენება.

კაცი, რომელზეც ლაპარაკობდნენ, მიჩელ ლენდსი, კერძო ადვოკატი იყო. ლორი ტკბებოდა მისი ოფისის აბსოლუტური სიჩუმით, თანაც დრო იხელთა და ყავის მაგიდაზე დადებულ უაზრო ჟურნალს კითხულობდა.

ალექსი სულაც არ იყო ასეთი მომთმენი.

- კლიენტი რომ ვყოფილიყავი, ათ წუთში წავიდოდი.

- ფრთხილად, ალექს. მღელვარება გავნებს. რამონს უნდა ვუთხრა, რომ იოგა უფრო ინტენსიურად გჭირდება.

რამონი მოსამსახურე იყო. ალექსი ცდილობდა, მისთვის სხვა ტიტული მიენიჭებინა: თანაშემწე, სახლის მმართველი, ორგანიზატორი, მაგრამ ბრძოლა რამონმა მოიგო - იგი მოსამსახურე იყო. დავალებების შესრულებისა და საჭმლის მომზადების გარდა, ალექსზე ისე ზრუნავდა, როგორც შვილზე. როდესაც გაიგო, არტერიული წნევა მომატებიაო, მის საკვებში მარილი

და წითელი ხორცი შეამცირა. მაგრამ როდესაც სცადა, ალექსი ყოველკვირეულ „სტრესის შემამცირებელ“ იოგის სესიებზე ჩაეწერა, კაცი გაუძალიანდა.

- როგორც იქნა, - ჩაიბურტყუნა ალექსმა, როდესაც კარი გაიღო.

- ჩემმა გოგომ მითხრა, რომ ამანდა პირსის ანდერძის გამო მოსულხართ, - მიჩელ ლენდსი ტანდაბალი კაცი იყო, ჯაგარა ჭაღარა თმითა და მისი სახისთვის მეტისმეტად დიდი სათვალით. ლორიმ გაოცებისგან თვალები დაჭყიტა, როდესაც მიხვდა, რომ ლენდსი თანაშემწეს „ჩემს გოგოს“ ეძახდა.

სანამ ქალი რამეს იტყოდა, საქმეში ალექსი ჩაერთო. სხვა თუ არაფერი, სწორედ ლორი აფრთხილებდა, რომ აქ რაღაცის სათხოვნელად იყვნენ მოსული.

- ამანდას ოჯახისგან უკვე გვაქვს საკმარისი ინფორმაცია, - თქვა ალექსმა, - მაგრამ თქვენი დახმარება მაინც გვჭირდება.

მათ ანდერძის ასლიც ჰქონდათ და იმ წინასაქორწინო შეთანხმებისაც, ამანდამ და ჯეფმა რომ დადეს. როგორც ალექსმა თქვა, შეთანხმება ყველაზე ნაკლებად გულუხვი იყო ასეთი ტიპის დოკუმენტებს შორის. სანდრას თქმით, უოლტერ პირსმა დაიჟინა იმის უზრუნველყოფა, რომ ჯეფი ოჯახის კომპანიიდან რამეს არ მოითხოვდა.

მაგრამ ანდერძი სულ სხვა საქმე იყო. ამანდა მის არცთუ დიდ პირად საკუთრებას, ჩეკებსა და დაგროვებით ბარათებს იმ დროს ერთადერთ ძმისშვილს, სანდრას უტოვებდა, თუმცა მთლიან სატრასტო ფონდს - ჯეფს.

- უცნაურად ხომ არ მოგეჩვენათ, - ჰკითხა ლორიმ, - რომ ამდენ ფულს უტოვებდა საქმროს მანამ, სანამ დაქორწინდებოდნენ?

ლენდსმა გაიღიმა.

- თქვენი დახმარება მინდა, ამანდა ძალიან საყვარელი გოგო იყო, მაგრამ ადვოკატს არა აქვს უფლება, კლიენტის შესახებ ინ-ფორმაცია სხვებს გაუმხილოს.

- რა თქმა უნდა, - თქვა ლორიმ. ალბათ, სჯობდა, სხვა იურის-ტის დაკითხვა ალექსისთვის მიენდო, - მაინცდამაინც ამანდას არ ვგულისხმობ, მაგრამ ზოგადად, არაა უცნაური დაუქორწინე-ბელი ადამიანისთვის, რომ საქმრო ანდერძში ახსენოს?

- ნამდვილად კარგად დასვით შეკითხვა, - თქვა ლენდსმა, - არა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა ამ ინდივიდის ოჯახს დიდი ქონება აქვს, წყვილი მალე დაქორწინდება და ჯერ შვილები არა ჰყავთ. იმის თქმაც შემიძლია, რომ ძალიან ხშირია საცოლის ანდერძის ცვლილება იმ წინასაქორწინო შეთანხმების გასაბათილებლად, რომელსაც მისი ოჯახი ადგენს. მშობლები ქორწინებამდელ შეთანხმებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება მათი შვილები მანამ-დე გარდაიცვალონ. თუკი ყველაფერი იცით ამანდას ანდერძისა და შეთანხმების შესახებ, არ ვიცი, რა შეიძლება დავამატო.

- ჩვენ იმის გაგება გვინდა, - თქვა ლორიმ, - ჯეფმა თუ იცოდა ამანდას ანდერძის პირობები მის გაუჩინარებამდე.

ლორი ფიქრობდა, რომ ჯეფს აუცილებლად ეცოდინებოდა შეთანხმების პირობები, რადგან თვითონ იყო ერთ-ერთი წევრი და ხელიც მოაწერა მასზე. მაგრამ, შესაძლოა, „გრანდ--ვიქტორიადან“ დაბრუნებამდე წარმოდგენაც კი არ ჰქონოდა, რომ ამანდამ ანდერძიც დაწერა და სწორედ ის გამოაცხადა მთავარ მემკვიდრედ. თუკი ეს არ იცოდა, მაშინ მემკვიდრეობა ვერ იქნებოდა მკვლელობის მოტივი.

სწორედ ალექსმა შენიშნა, რომ ამანდას ანდერძიცა და შე-თანხმებაც ერთ დღეს იყო ხელმოწერილი. სწორედ ეს ფაქტი გა-ახსენა ახლა ლენდსს.

- ჩემი აზრით, ისინი ერთად მოვიდნენ ხელის მოსაწერად, - თქვა ალექსმა, - თუ ამანდას ანდერძის დეტალებზე ბატონ ჰანტერთან ისაუბრეთ, მაშინ კონფიდენციალურობის წესის დარღვევა გამოდის. ამანდა იყო კლიენტი და არა ჯეფი.

- გონივრულია, - თქვა ლენდსმა, - კი, სწორედ ეს მოხდა. ამანდას არ ერიდებოდა ამ ყველაფერზე საუბარი ჯეფის თანდასწრებით. ასეთ რამეებში ექსპერტი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ თავდავიწყებით შეყვარებულები ჩანდნენ. იმედია, მართლა არ ფიქრობთ, რომ ჯეფმა მოკლა, არა?

- ერთი კონკრეტული ვერსია არა გვაქვს, - თქვა ლორიმ, - მაგრამ თქვენ ოჯახებთან სამართლებრივ საქმეებზე მუშაობთ და უნდა გესმოდეთ, რატომ უნდა განვიხილოთ ჯეფი როგორც სავარაუდო ეჭვმიტანილი და რატომაა ამანდას ანდერძი მნიშვნელოვანი.

ლენდსმა ყოვლისმცოდნედ გაიღიმა.

- ოჰ, რა თქმა უნდა, მესმის, მაგრამ ჩემს კლიენტს ვიცნობდი. ვფიქრობ, სხვა ვარიანტი გეპარებათ მხედველობიდან.

კაცი სტუმრებს უყურებდა, ელოდებოდა, როდის ჩასწვდებოდნენ მის ნათქვამს, ერთობოდა მათი დაბნეულობით.

- როდესაც ამანდა გაუჩინარდა, ახალ ამბებში გაქცეულ პატარძალს უწოდებდნენ... ქორწილის წინ შიშიო და ასე შემდეგ. მაგრამ, ალბათ, თქვენი შოუ ფიქრობს, რომ უსიტყვო ხუთი წელი ნებაყოფლობით გაუჩინარებას საეჭვოს ხდის.

ლორიმ თავი დაუქნია.

- სწორი შენიშვნაა.

ყოვლისმცოდნე ღიმილი დაბრუნდა.

- ან იქნებ არც, - ამით კიდევ ერთი მინიშნება მისცა, - იქნებ ანდერძი იმ მხრიდან არის მნიშვნელოვანი, რა მხრიდანაც არ შეგიხედავთ.

როგორც ხშირად იცოდა სამართლებრივი პრობლემების წარმოშობის დროს, ლორიმ ალექსს გადახედა, თუმცა ამ საკითხში ქალს უფრო დიდი ცოდნა ჰქონდა - ეს სამართლებრივი გამოცანა არ ყოფილა, ადამიანურ მოტივებთან ჰქონდათ საქმე.

- ორივე, ჯეფიც და სანდრაც, ამბობს, რომ ამანდა უკვალოდ არ გაქრებოდა, მაგრამ თუ ყველაფრის თავიდან დაწყება სურდა და გრძნობდა, რომ ჯეფთან ვალში იყო...

ალექსმა ქალის ფიქრი დაამთავრა:

- ...ჯეფის დასახელება მემკვიდრედ და შემდეგ გაქრობა იყო გზა, რომლითაც თავისი ოჯახის სიმდიდრის ნაწილს საქმროს დაუტოვებდა, მიუხედავად მამამისის დაჟინებისა, შეთანხმებას ხელი მოაწერეთო.

ლენდსი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა, ნასიამოვნები, რომ თავისი ფიქრების გაზიარების საშუალება მიეცა.

- ალბათ, ყველაფერი გითხარით, რისი თქმაც შემეძლო ამანდას შესახებ, მაგრამ შემიძლია ზოგადად ვთქვა: ხანდახან, როდესაც ადამიანები ძალიან ავად არიან და სიკვდილს ძლივს გადაურჩებიან, სასტიკად ძლიერად შეიგრძნობენ თავიანთ მოკვდავობას. უნდათ, ყოველი დღით დატკბნენ. შეიძლება ოჯახის წევრების გულის გატეხა ღირს იმად, რომ დარჩენილი ცხოვრება სამყაროს მეორე მხარეს გაატარო და ზუსტად ის აკეთო, რაც გინდა.

27

იმავე ღამეს, რვის ნახევარზე, ალექსი სიხარულით შეკრთა, როდესაც გასაღების ხმა გაიგონა. მისმა ძმამ, ენდრიუმ, ისეთ დროს ჩამოაღწია ნიუ-იორკამდე, რომ სადილამდე მოწესრიგებასაც მოასწრებდა.

უკვე კარი უნდა შემოეღო, როდესაც იგრძნო, რომ ვიღაც შიგნიდან აწვებოდა.

- მიხარია სახლის ტერიტორიაზე უკეთესი გარეგნობის მქონე ბაკლის დანახვა, - თქვა ალექსმა სიცილით.

- ახალგაზრდა და უკეთესი გარეგნობის მქონე! - თქვა ენდრიუმ და ძმას გადაეხვია.

რამონი მის ჩემოდანს მოათრევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსს მოსწონდა მუშაობით გადატვირთული თავისი ცხოვრება, ყველაზე მყუდროდ მაშინ გრძნობდა თავს შინ, როდესაც ენდრიუც იქ იყო. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ამხელა ბინა იყიდა ბიკმან-ფლეისის ქუჩაზე - ექვსი ოთახი, პლუს მოსამსახურის ოთახი - ის იყო, რომ მის უმცროს ძმას ყოველთვის ჰქონოდა თავისი ოთახი და უქმეებზე სტუმრად ჩამოყვანილი ოჯახისთვისაც ყოფილიყო საკმარისი ადგილი. ენდრიუ კორპორაციული იურისტი იყო ვაშინგტონში და ნიუ--იორკში საქმეებზე ხშირად ჩამოდიოდა.

იმასაც ჰქონდა თავისი მიზეზი, რომ ალექსისთვის ძმასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ყოფნა ბუნებრივი იყო. დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ ორნი იყვნენ. ერთ მშობელს ორ წელში მიჰყვა მეორე. ოცდაერთი წლის ალექსი ენდრიუს მეურვე გახდა. ოისტერ-ბეიში მშობლების სახლი გაყიდა და ზემო ისტ-საიდში იყიდა ბინა, სადაც ერთად ცხოვრობდნენ, სანამ ენდრიუმ კოლუმბიის სამართლის სკოლა არ დაამთავრა. დიპლომების გა-

დაცემის ცერემონიაზე, მგონი, ყველა მშობელზე ხმამაღლა ყვიროდა.

ალექსი ბართან მივიდა კოქტეილის გასაკეთებლად, სანამ რამონი სამზარეულოში სადილს ამზადებდა. „მარტინიში“ ჯინის გარევისას ალექსმა ენდრიუს ჰკითხა, როგორ იყვნენ მერსი და ბავშვები. ცოლ-ქმარს ექვსი წლის ვაჟი და სამი წლის ტყუპი გოგონა ჰყავდა.

- ძალიან მიყვარს ქალაქში დაბრუნება, - თქვა ენდრიუმ, - მაგრამ, ძმაო, უფრო და უფრო რთული ხდება მათი დატოვება, თუნდაც რამდენიმე დღით. მერსი ამბობს, ბედნიერი ხარ, დასვენების შანსი რომ გაქვსო, მაგრამ გიჟივით მენატრებიან ხოლმე, როცა აქა ვარ.

ალექსმა გაიღიმა, დაფიქრდა, ნეტავ როგორი გრძნობააო. ენდრიუს „მარტინი“ მიაწოდა და ჭიქა მიუჭახუნა.

- შენზე რას იტყვი, ალექს? ვფიქრობდი, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ლორი გავიცნო-მეთქი. არ შემოგვიერთდება?

ალექსი უკვე ნანობდა, წინაღამით ენდრიუს რომ უთხრა, ამის შესაძლებლობა არისო.

- დავპატიჟე, მაგრამ ახალ საქმეზე მუშაობს. როდესაც ახალ საქმეში გადაეშვება, ძნელია მისი იქიდან ამოყვანა. არ უნდოდა სადილის გაფუჭება თავისი გაფანტული გონების გამო.

ენდრიუმ თავი დაუქნია.

- ცხადია, გასაგებია.

ალექსისთვის ცხადი იყო, რომ არაფერიც არ იყო გასაგები. როდესაც ლორიმ თქვა, ენდრიუს გაცნობა არ მინდა, სანამ ყურადღებას მთლიანად არ დავუთმობო, ალექსმა ეს არგუმენტი საკმარისად მიიჩნია, ახლა კი მას ისე უყურებდა, როგორც კიდევ ერთ კედელს მათ შორის.

- იმედია, შემდეგ ჯერზე.

ალექსმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც ოთახში რამონი გამოჩნდა „ორ დ'ოვრით"[41] ხელში. ამ მომენტამდე კარგად გააზრებული არ ჰქონდა, როგორ უნდოდა, ენდრიუსა და ლორის ერთმანეთი გაეცნოთ. ენდრიუ მისი ოჯახის ერთადერთი წევრი იყო. ნეტავ ოდესმე ლორიც თუ გახდებოდა ამ ოჯახის წევრი?

[41] კერძი, რომელსაც სადილობამდე მიირთმევენ.

28

- დახმარება ნამდვილად არ გჭირდება, მამა? - გასძახა ლორიმ სამზარეულოში.

- დღეს ჩემი და ჩემი დამხმარის ღამეა, - თქვა ლეომ და თავი გამოყო. ლორის გაეღიმა, როდესაც მამამისი მზარეულის ქუდში დაინახა, რომელიც ტიმიმ აჩუქა გასულ წელს მამის დღეზე.

წამით ტიმის ყურებამდე გაღიმებული, პამიდვრის სოუსით მოთხვრილი სახეც გამოჩნდა და კვლავ გაუჩინარდა სამზარეულოში.

მამამისი სადილად „ლეოს ლაზანიას“ ამზადებდა. ლორიმ იცოდა, რომ ინგრედიენტებში შედიოდა იტალიური სოსისი, მოცარელა და ახალი რიკოტა, მაგრამ ეს იმას არ ხსნიდა, რატომ იყო „ლეოს ლაზანია“ ნებისმიერ სხვა ლაზანიაზე ბევრად გემრიელი. მამამისი ისე საიდუმლოდ ინახავდა რეცეპტს, რომ ხუმრობდა კიდეც, ანდერძში ჩავწერო.

- ტიმისგან გავიგებ, - თქვა ქალმა, - რა ჰქვია იმ ვიდეოთამაშს, რომ მთხოვე?

- ყოჩაღ, კარგი მცდელობაა, დედა, - თქვა ტიმიმ, - ბაბუ, შენს საიდუმლოს არაფრის გულისთვის არ გავთქვამ.

- ლორი, მიკვირს კიდეც, შინ რომ ხარ. ალექსმა მითხრა, ენდრიუ ჩამოდისო. ვიფიქრე, ალბათ, მათთან ისადილებს-მეთქი.

მას შემდეგ, რაც ალექსი შოუში „ეჭვქვეშ“ მონაწილეობას დათანხმდა, ლეო მას დაუმეგობრდა. მას შემდეგ კი, რაც ლორისთან შეხვედრები დაიწყო, უფრო დაუახლოვდა. ქალს უხაროდა, რომ მამამისს მოსწონდა ალექსი და ვიღაც ჰყავდა, ვისთანაც სპორტზე ისაუბრებდა, მაგრამ ხანდახან ურთიერთობა კარგად ვერ ეწყობოდა.

- ძალიან დატვირთული ვიყავი, - თქვა ქალმა, - მოდუნება არ შემეძლო.

- ახლა ხომ შეგიძლია? - ჰკითხა მამამისმა, - შარდონე[42] თუ პინო-ნუარი?[43]

მამა და ტიმი სადილს აკეთებდნენ, ლორის კი ხელში ღვინის ჭიქა ეჭირა - იდეალური დრო იყო იმ პრობლემებზე დასაფიქრებლად, რომლებიც დღეს ამანდას საქმეში გამოჩნდა. პირველი შარლოტის ნათქვამი იყო, მეგანი ამანდას რამდენიმემილიონიანი იდეის მოპარვაში ადანაშაულებდაო. შარლოტი ამას არ მოიგონებდა, მაგრამ ის აზრი, რომ მეგანმა საუკეთესო მეგობარი ბიზნესდავის გამო მოკლა, სისულელედ ეჩვენებოდა. თანაც იდეის ავტორად ისევ „ლეიდიფორმი“ რჩებოდა, იქნებოდა თუ არა ამანდა იქ.

მაგრამ ლორისა და შარლოტის საუბარი სხვა რამის გამოც იყო მნიშვნელოვანი: უმცროსი დის პიროვნული თვისებების აღწერა. სანდრას აღწერით, ამანდა წარმოუდგენლად ბედნიერი იყო თავისი ცხოვრების ყოველი დეტალის გამო. მას არც კი უხსენებია სიმსივნე. აი, შარლოტი კი უფრო მუქ ფერებში ხატავდა დას. თითქოს ორივე ქალი მშობლების გადაჭარბებულ მეურვეობას შეებოჭა. ლორის იგივე შთაბეჭდილება დარჩა მიჩელ ლენდსისგანაც. თუ ადვოკატი მართალი იყო, მაშინ შეიძლებოდა, ამანდას მართლაც იმიტომ შეეცვალა ანდერძი, რომ ჯეფისთვის დაეტოვებინა ფული გაუჩინარების შემდეგ.

მეილის თვალიერება დაიწყო, სანამ ჯერის ის მეილი არ მოძებნა, სადაც შოუს მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია

---

[42] თეთრი ყურძნის ჯიში. იგულისხმება ამ ჯიშის ყურძნისგან დაწურული ღვინო.

[43] შავი ყურძნის ჯიში.

ეწერა. ქალმა მობილურზე ნომერი აკრიფა. ამანდას ძმამ, ჰენრიმ, ტელეფონი ორი ზარის შემდეგ აიღო.

ქალს ძლივს ესმოდა ჰენრის ხმა ბავშვის ტირილის ფონზე.

- ძალიან არ მინდა იმედი გაგიცრუოთ, მაგრამ მე უფრო ცოტა რამ ვიცი „ლეიდიფორმზე“, ვიდრე თქვენ. იცით, ოჯახში წითელი კოჭი ვარ. მამაჩემი მიყვარს, მაგრამ ნამდვილად არ მქონდა სურვილი, მთელი ცხოვრება ქალის საცვლები მეკეთებინა, მით უმეტეს, დებთან მეკინკლავა ამ უფლების მოსაპოვებლად. კოლეჯის მეგობართან ერთად დასავლეთით გადმოვედი და ვაშინგტონში ღვინის კომპანია გავხსენით. მე და უოლტერი ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, საერთო მხოლოდ ის გვაქვს, რომ ორივეს გვსურს, ჩვენ-ჩვენი ბიზნესები ვმართოთ. შეიძლება მეგანმა დაადანაშაულა კიდეც ამანდა იდეის მოპარვაში, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი. იმ ღამით ჯეფის ადგილსამყოფელზეც ვერაფერს გეტყვით, რადგან მალევე გავითიშე. ყველა ერთობოდა, მაგრამ მე და ჰოლის პირველი ბავშვი, სენდი, ახალშეძენილი გვყავდა და იმ კვირას მხოლოდ ძილი მინდოდა.

- მაგრამ დანარჩენებთან ერთად თქვენც იყავით „გრანდ-ვიქტორიაში“. ალბათ, მეგანსა და თქვენს დასთან ერთადაც გაატარეთ რაღაც დრო.

- ოჰ, რა თქმა უნდა. მათ საუბარში უკმაყოფილებისა არაფერი შემიმჩნევია. მაგრამ თუ კომპანიაზე ილაპარაკეს კიდეც, ალბათ, გამომრჩა, რადგან, გულახდილად რომ გითხრათ, ეს ჩემთვის ძალიან მოსაწყენია. შეიძლება შარლოტმა გააზვიადა, მაგრამ ჩემი აზრით, მეგანსა და ამანდას შორის ცუდი არაფერი ხდებოდა. თუ მეგანი აღელვებული არ იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია. შეიძლება იმიტომ, რომ იურისტია თუ რაღაც ამდაგვარი.

- რას გულისხმობთ, აღელვებული არ იყოო? - ჰკითხა ლორიმ. მისი ხელმოწერილი ხელშეკრულება მიიღო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შეტყობინებაც გაუგზავნეს ერთმანეთს, მეგანთან პირისპირ არ უსაუბრია.

- იცით, ძალიან მშვიდია. არასდროს შფოთავს. მეც ასეთი ვარ. მაგალითად, თავიდან, როდესაც ჯეფი მთელ სასტუმროში დარბოდა ამანდას მოსაძებნად, ვფიქრობდი, ალბათ, საცურაოდ წავიდა-მეთქი. მაგრამ როდესაც მივხვდით, რომ ღამე თავის ოთახში არ სძინებია, მეც შემეშინდა. მაგრამ მეგანი ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო.

- ფიქრობთ, რომ იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა?

- ოჰო, ეჭვიანი ყოფილხართ. არა, როგორც ვთქვი, უბრალოდ ასეთია. ადამიანებს განსხვავებული თავისებურებები აქვთ. ყველა დათანხმდა შოუში მონაწილეობაზე?

- კი, ყველა, ვისაც ვთხოვეთ.

- ქეით ფალტონი?

- ისიც. რამე უნდა ვკითხო მას? როგორც თქვით, ყველაზე მაქვს ეჭვი.

- არა, უბრალოდ მაინტერესებდა. ამანდას მეგობრებთან ურთიერთობა აღარ მაქვს. წარმოდგენა არა მაქვს, რა მოუვიდა ჩემს დას და ისევ გიჟივით მენატრება, მაგრამ გულწრფელი ვიქნები: არა მგონია, ამ შოუთი რამე ახალი აღმოაჩინოთ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ რამდენად მტკივნეულიც უნდა იყოს ჩემთვის, ყველაზე სავარაუდო ის ვარიანტი მგონია, რომ გვიან საცურაოდ ან სასეირნოდ გავიდა და ვინმე ნაძირალას გადაეყარა - ისეთს, ვისაც ვერ დაიჭერენ. პირადად მე ნამდვილად არა მაქვს ერთი სული, როდის დავბრუნდები იქ.

29

ლორი ცდილობდა, წარმოედგინა ამანდას საუკეთესო მეგობარი, რომელიც მშვიდად იყო მაშინ, როცა ყველა ნერვიულობდა. შეიძლება ჰენრი მართალი იყო. ყველა ერთნაირად ხომ არ გამოხატავს შეშფოთებას. შეიძლება ამანდას საუკეთესო მეგობარი, მეგანი, მომხდარს ვერ იჯერებდა.

ქალმა საათს დახედა. საღამოს რვის ნახევარი იყო, არც ისე გვიანი ატლანტაში დასარეკად. ტელეფონი აიღო და ქეით ფალტონს დაურეკა.

ლორიმ ქეითს თავი გააცნო და ჰკითხა, თუ შეეძლო რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა. ქეითმა დაუდასტურა, რომ ატლანტაში ცხოვრობდა, დიასახლისი იყო, სკოლის დროინდელ შეყვარებულზე, ბილზე იყო დაქორწინებული და ოთხი შვილი ჰყავდა. ლორის გაუხარდა, ქეითის ბიოგრაფია მათ მიერ მოპოვებულ ცნობებს რომ დაემთხვა. ყველაფერი ისე სწრაფად მიდიოდა, ეშინოდა, რამე მნიშვნელოვანი არ გამორჩენოდათ, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მონაწილეები მთელ ქვეყანაში რომ იყვნენ გაფანტულნი და ზოგიერთის დაკითხვა ტელეფონით რომ უწევდა.

- რა იგრძენით, როდესაც მიხვდით, რომ ამანდა არ ჩანდა? - ჰკითხა ლორიმ.

- შევძრწუნდი. არც კი ვიცი, როგორ გამოვთქვა. თითქოს დრო გაჩერდა და ყველაფერი წაიშალა. ვგრძნობდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა. ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ახლა რომ ვფიქრობ, ალბათ, ამანდას მშობლებს დისკომფორტს ვუქმნიდი.

- მეგანზე რას იტყვით? ისიც ასე იქცეოდა?

- ოჰ, ღმერთო, არა. მეგანი? სრულიად საწინააღმდეგოა. ცუდი ამბის გაგებისას მის გამოსწორებას ცდილობს. კოლეჯში ყვე-

ლაფრის მომგვარებელს ვეძახდით, დაგეგმვა და ფიქრი უყვარს, მაგრამ ამანდას გაუჩინარება ისეთი რაღაც იყო, რისი გამოსწორებაც მეგანსაც კი არ შეეძლო. არ იცოდა, რა გაეკეთებინა, მაგრამ არა, მტირალა არ არის.

- გაგიკვირდათ, როდესაც ჯეფთან დაიწყო ურთიერთობა?

ქეითი ცოტა ხნით გაჩუმდა.

- რა თქმა უნდა, ყველას გაგვიკვირდა. არც კი ვიცოდი, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ. მეგანმა ქორწილის - როგორც თვითონ ამბობს, არაქორწილის - შემდეგ დამირეკა. მხოლოდ ფიცი წარმოთქვეს.

- დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ ამანდას გაუჩინარებამდეც ხვდებოდნენ ერთმანეთს?

ამჯერად ქეითს პასუხის გაცემამდე დაფიქრება არ დასჭირვებია:

- წარმოუდგენელია. ჯეფს თავდავიწყებით უყვარდა ამანდა. მეგანმა მანამდე სცადა მისი ყურადღების მიპყრობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვფიქრობ, ამანდას სიყვარულმა დააახლოვა ისინი.

ლორიმ გაიგონა, როგორ უთხრა მამამისმა ტიმის, ფრთხილად იყავი ცხელ ღუმელთანო, და ძლივს შეიკავა თავი, სამზარეულოში არ გასულიყო და მათთვის არ დაეხედა.

- რას გულისხმობთ იმაში, რომ მისი ყურადღების მიპყრობა სცადა?

- რამდენჯერმე პაემანზე იყვნენ. მეგანს კოლეჯშიც კი მოსწონდა ჯეფი. თუ გინახავთ, გეცოდინებათ, რომ ძალიან მიმზიდველია, თანაც ორივეს საჯარო სამსახური აინტერესებდა. კარგი წყვილია, მაგრამ რატომღაც პირველ ჯერზე არ გამოუვიდათ. მგონი, მეგანი იმედგაცრუებულიც იყო.

- მეგანმა გაურიგა ამანდა და ჯეფი ერთმანეთს? გონივრულია.

- არა. ჯეფი სამეზობლოში შეხვდა მეგანს და ისე დაემთხვა, რომ ამანდაც იქ იყო.

ეს უკვე საინტერესო ჩანდა. ლორის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მეგანმა განზრახ გაურიგა ისინი ერთმანეთს. ქალი დეტალების განხილვას აპირებდა, როცა ქეითმა სიტყვა ისევ ამანდას გაუჩინარებაზე გადაიტანა:

- ბატონი პირსის გარდა, ყველასგან განსხვავებით, მეგანს უნდოდა იმის დაჯერება, რომ ამანდა თავისი სურვილით გაქრა. სულ ვფიქრობდი, რომ ეს ამ ამბავთან შეგუების გზა იყო.

ლორიმ გაღიზიანებით გააქნია თავი. ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, როგორი ადამიანი იყო მეგანი. მას შემდეგ, რაც ალექსთან ერთად ჯეფს შეხვდა, ორჯერ დაურეკა მეგანს შეხვედრის დასანიშნად, მაგრამ ორივეჯერ ავტომოპასუხე ჩაირთო. მეგანმა მხოლოდ მეილზე უპასუხა, სწერდა, სამსახურში დაკავებული ვარო, მაგრამ „ერთი სული ჰქონდა“, როდის ისაუბრებდნენ.

- ჩვენ კი ასე არ ვფიქრობთ, - თქვა ლორიმ, - უფრო სავარაუდოა, რომ ამანდას რაღაც ცუდი შეემთხვა. რატომ უნდა გაუჩინარებულიყო ამდენი წლით?

- ამანდა ამას არ იზამდა... მაგრამ მაშინ ამდენი წელი არ იყო გასული და ყველანი თავს ვირწმუნებდით, რომ რაღაც ახსნა არსებობდა. ქორწილის წინადღე იყო და ამანდას ეჭვები ჰქონდა.

- მართლა? - შარლოტმაც თქვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემს დას ეჭვები ტანჯავდაო, მაგრამ პირველად ადასტურებდა ვიღაც იმას, რომ ამანდამ ეს გამოთქვა.

- ეჭვი, ალბათ, გაზვიადებული ნათქვამია, მაგრამ როცა მარტონი ვიყავით, მეკითხებოდა, ბედნიერი თუ ხარო, თუ გინდოდა, ბილს უფრო ადრე შეხვედროდიო. მქონდა თუ არა თავგადასავლები დაოჯახებამდე... რომ მეფიქრა, ქორწილის გაუქმება უნდა-მეთქი, ასე არ შევძრწუნდებოდი, როდესაც გაქრა. სანდრასთვის ამის სათქმელად გამბედაობა არ მყოფნის, მაგრამ,

ვფიქრობ, ჩემი მეგობარი მკვდარია. თავის ოჯახს ასეთ რამეს არ გაუკეთებდა.

- ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?

- როდესაც კოლბიში ვსწავლობდით, ერთი გოგო, კარლი რომანო, გაუჩინარდა. თითქმის ორი კვირა იყო გასული, მისი ცხედარი რომ მესალონსკის ტბაში იპოვეს. ამ ისტორიით მიხვდებით, რა განსხვავებულნი იყვნენ მეგანი და ამანდა. კარლის არ ვიცნობდით, მაგრამ მისმა ამბავმა მთელი კოლეჯი შეაძრწუნა. ამანდამ ლოცვების სესიები და სანთლებით ღამის თევა მოაწყო, მეგანი კი ერთ-ერთი იყო, ვინც კამპუსში სამძებრო რაზმები შექმნა და ფარნები და სასტვენები დაარიგა. ამანდა ყველაზე ზრუნავდა, მეგანი კი პრაგმატისტი იყო. მოკლედ, ერთ ღამეს, როცა კარლის ჯერ კიდევ ვეძებდით, ამანდამ მითხრა, კინაღამ ტირილი წამსკდა, როდესაც მისი მშობლები ვნახეო. თქვა, მინდოდა, ცხედარი ეპოვათო, იმიტომ, რომ არ წარმოედგინა არაფრის ცოდნაზე საშინელი რამ.

ლორიმ გაიხსენა, რა ჯოჯოხეთში გაატარა ის ხუთი წელი, როცა გრეგის მკვლელობის საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელი იყო. ვერც კი წარმოედგინა, რას იგრძნობდა, მისი ქმარი ერთ დღეს სახლში რომ აღარ დაბრუნებულიყო. როგორ ცხოვრობენ ადამიანები გაურკვევლობაში?

30

საჭმლის კეთების დროს ლეო ლორის სამზარეულოში არ უშვებდა, მაგრამ სიამოვნებით დაიხმარა დალაგებაში. ტიმი მზარეულის დახმარებისთვის დაჯილდოვდა, ამიტომ თავის ოთახში იყო და უკრავდა საყვირზე, რომელიც ლეომ გასულ თვეს უყიდა. დიდი მონდომებით სწავლობდა, მაგრამ ლორისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ გაკვეთილები დროზე ესწავლა.

როდესაც დარჩენილ ლაზანიას კონტეინერში დებდა, საიდუმლო ინგრედიენტის გამოსაცნობად ახალ ხერხს მიმართა:

- პროვოლონე?

- არა.

- გაუდა?[44]

მამამისმა თავი გააქნია:

- არ გეტყვი.

- ის მაინც მითხარი, რძის ნაწარმია?

- არა, - ეს იყო ყველაზე დიდი მინიშნება, რაც მამამისს მიუცია.

- ისპანახი?

- ლორი, ვიცი, რომ მსოფლიოში ყველაზე კარგი მზარეული არა ხარ, მაგრამ შეამჩნევდი, საჭმელში ისპანახი რომ ყოფილიყო, თანაც იცი, რომ ჩემი შვილიშვილის თვალწინ მაგას ვერ შევძლებდი.

---

[44] ყველის სახეობები.

ტიმი პრეტენზიული მჭამელი არ იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბაღ-ში გადაწყვიტა, რომ „პაპაის[45] საჭმელი“ არ მოსწონდა. ამბობ-და, კბილებში მეჩხირებაო.

- მამა, ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ ამანდა პირსის საქმე-ზე ვერ დაგელაპარაკე. მასზე ფიქრი არ მშორდება.

- პირველად რომ ახსენე, ეს საქმე იდეალური ჩანდა შენი შო-უსთვის, - უპასუხა ლეომ და ჭურჭლის სარეცხი მანქანა ჩართო.

- თავიდან იმიტომ მომეწონა, რომ ვიცოდი, მაყურებელს მიიზიდავდა, მაგრამ რაც უფრო მეტს ვიგებ ამანდაზე, მით უფრო საინტერესო ხდება. უბრალოდ მდიდარი ოჯახის ლამაზი ქალიშ-ვილი არ ყოფილა, ალბომისთვის განკუთვნილი ქორწილით. საკმაოდ რთული პიროვნება და ჯერ კიდევ საკუთარი თავის ძიებაში იყო. მიუხედავად ახალგაზრდობისა, მძიმე დაავადება ჰქონდა გადატანილი. ზოგიერთი რამ, რაც მასზე გავიგე, ჩემს თავს მაგონებს, მაგალითად, ლოცვის სესიების მოწყობა, რო-დესაც კოლეჯში ვიღაც გოგო დაიკარგა, მაგრამ ამანდა იდეალური ნამდვილად არ ყოფილა.

ლორი მაგიდას ალაგებდა და თან ლაპარაკობდა. როდესაც მოყოლა დაამთავრა, სამზარეულო მოათვალიერა.

- მგონი, მოვრჩით, - მამას გადახედა, - ის, რომ მეგანი აიძუ-ლა, სიტყვა უკან წაეღო, სისასტიკე იყო, მაგრამ როგორ ფიქ-რობ, ამ ამბავს რამე კავშირი ექნება მის გაუჩინარებასთან?

სანამ ლეო უპასუხებდა, ლორის ტელეფონი აწკრიალდა.

- მოსვენება აღარ გაქვს დაქანცულს, - თქვა ლეომ.

უცნობი ნომერი იყო, მაგრამ ლორიმ პალმ-ბიჩის რაიონის კოდი, 561 იცნო.

---

[45] მულტფილმის პერსონაჟი, რომელიც ენერგიის მოსამატებ-ლად ისპანახს ჭამს.

როდესაც უპასუხა, მამაკაცის ხმამ თქვა, იმედია, ძალიან გვიან არ ვრეკავო.

- შუადღისას თქვენს თანაშემწეს, ჯერის ვესაუბრე. მითხრა, რომ თქვენთვის დამერეკა, თუ კიდევ გავიხსენებდი რამეს ამანდას შესახებ.

- ვინ ბრძანდებით?

- ოჰ, მაპატიეთ. რეი უოკერი ვარ. ამანდა პირსისა და ჯეფ ჰანტერის ქორწილი უნდა გადამეღო.

- დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო უოკერ. ჯერიმ მოკლედ გადმომცა თქვენი საუბრის დეტალები.

ფოტოგრაფმა დაადასტურა, რომ ჩანაწერებში ნანახი მამაკაცი არ იყო - ის, რომელსაც კამერა ეჭირა და თითქოს ამანდას მისდევდა. უოკერის თქმით, იმ დროისთვის სასტუმროში აღარ იმყოფებოდა, რადგან სხვა კლიენტთან უნდა ემუშავა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯერიმ გაიგო, რომ კაცი ხუთი წლის წინაც და ახლაც ექვსი ფუტი და ოთხი ინჩი იყო, თანაც გამხდარი, ის კაცი კი, ჩანაწერებში, ოდნავ სიმსუქნეშეპარული და საშუალო სიმაღლის გახლდათ.

- როდესაც მასთან საუბარი დავასრულე, იმ კვირაზე დავფიქრდი. ძნელია ყველაფრის გახსენება ამდენი წლის შემდეგ, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებულია იმის გამო, რაც მოხდა. მანამდეც გაუუქმებიათ ქორწილი, მაგრამ არა იმიტომ, რომ პატარძალი გაქრა. ძალიან საწყენი იყო.

- ძალიან დავაფასებთ ნებისმიერ დახმარებას, რომელსაც გაგვიწევთ, ბატონო უოკერ. ალბათ, ჯერიმ აგიხსნათ, რომ სასტუმროს ჩანაწერებში ნანახი მამაკაცის ამოცნობას ვცდილობთ.

- დიახ. სწორედ ამან დამაფიქრა. ამანდას გაუჩინარების ღამეს სხვა ქორწილში ვიყავი, ამიტომ ვიფიქრე, პოლიციას ვერაფრით დავეხმარები-მეთქი, მაგრამ როდესაც ჯერიმ დამირეკა,

მითხრა, რომ ჩანაწერი უფრო ადრე, საღამოს ექვსის ნახევარზეა გადაღებული.

- მართალია.

- უცებ თავში დამარტყა, რომ მაშინ თანაშემწე მყავდა. ჯერემი კეროლი ერქვა. თვითნასწავლი, მაგრამ საკმაოდ კარგი ფოტოგრაფი იყო. დაუგეგმავ ფოტოებს ძალიან კარგად იღებდა, ამიტომ ისიც გამოვიყოლე. ხანდახან თანაშემწეები უფრო ხელს გიშლიან, ვიდრე გეხმარებიან. მოკლედ, იმ დღეს „გრანდ--ვიქტორიაში“ გამოვიყოლე. დაახლოებით ორი საათი ქორწილის მონაწილეებს ფოტოებს ვუღებდით. ჯერემის კამერაც ექნებოდა და დაახლოებით იმ გარეგნობის იყო, რომელიც ჯერიმ აღმიწერა.

მამაკაცის სახელი ანგარიშებიდან არ ეცნობოდა.

ლორიმ სალათის ჯამის წმენდა დაიწყო.

- ხომ არ იცით, პოლიცია დალაპარაკებია თუ არა ჯერემის იმ ღამის შესახებ?

- ეჭვი მეპარება. როგორც ვთქვი, ვიფიქრე, რომ ისიც ჩემსავით ხუთ საათზე წამოვიდოდა, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ზუსტად ვერ ვიტყვი. და კიდევ, რამდენიმე თვის შემდეგ ჯერემი დავითხოვე. კლიენტები უკმაყოფილონი იყვნენ.

ლორიმ ყურადღება დაძაბა.

- რატომ?

- ურთიერთობის თვალსაზრისით. ამბობდნენ, დაუკრეფავში გადადისო. როდესაც ისეთ პირადულ მოვლენას იღებ, როგორიც ქორწილია, შეიძლება გეგონოს, რომ მათ წრეს ეკუთვნი, მაგრამ ასე არაა. მოკლედ, მასზე ბევრი არ მიფიქრია, სანამ თქვენი შოუდან არ დამირეკეს. ახლა ვფიქრობ, იქნებ დარჩა კიდეც. ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება არ იყოს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მეთქვა.

ლორიმ ბლოკნოტი მოძებნა და ჯერემი კეროლის სახელი ჩაიწერა. უოკერს მისი საკონტაქტო ინფორმაცია არ ჰქონდა, მაგრამ ქალს უთხრა, დაახლოებით ოცდახუთი წლის იყო, როცა ჩემთან მუშაობდაო. ლორიმ უოკერს მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა.

- როგორ ჩანს, რაღაც საინტერესო გითხრეს, - თქვა ლეომ.

ლორიმ მოკლედ უამბო მათი საუბრის შინაარსი.

- თუ ჯერემი ჩანაწერების კაცია, აუცილებლად უნდა გავესაუბრო. მართლა ისე ჩანდა, რომ ამანდას გაჰყვა, მაგრამ მხოლოდ გავრცელებული სახელი და დაახლოებითი ასაკი მაქვს.

- არა, უფრო მეტი. მამა გყავს, რომელმაც ჯერ კიდევ იცის პოლიციელის საქმე, - ლეომ ფურცელი აიღო და ლორი მიხვდა, რომ პოლიციის კომისარი ფარლი საქმეში ჩაერთო.

31

მეორე დილას ლორი მიუახლოვდა თუ არა თავის მაგიდას, ტელეფონმაც დარეკა. იფიქრა, ბრეტი იქნებაო. „ვფიცავ, როცა ისაა, ზარიც კი ბრაზიანად რეკავს“, - გაიფიქრა ქალმა.

თითები გადააჯვარედინა და ყურმილი აიღო. ბრეტი იყო. როგორც ყოველთვის, მისალმების გარეშე დაიწყო:

- ლორი, ძალიან ნაწყენი ვარ, - დაიღრიალა მან.

აშკარად დღის იღბლიანი დასაწყისი იყო.

- შეგიძლია, მითხრა, რატომ მირეკავს პალმბიჩელი რეპორტიორი და რატომ მთხოვს კომენტარის გაკეთებას იმის შესახებ, ვაპირებთ თუ არა „გრანდ-ვიქტორიაში“ გაქცეულ პატარძალზე ეპიზოდის გადაღებას? ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეგვენახა.

- ბრეტ, ყველანაირად ვეცადეთ. ჩვენ მხოლოდ სასტუმროს მმართველთან, დაცვის უფროსსა და სხვა პერსონალთან გვაქვს კავშირი. როგორც ჩანს, ვიღაცამ ილაქლაქა რეპორტიორთან.

- ვის რაში აინტერესებს, ვინ ილაყბა? მთავარი ისაა, შენი ძვირფასი საქმე ისევ პოპულარულია. ლორი, ხარჯებზე ნუ იდარდებ. გუშინვე წაიყვანე შენი ჯგუფი გადაღების ადგილას. არ მინდა, „60 წუთმა“ რეპორტაჟი გააკეთოს გაქცეულ პატარძალზე და გადაგვისწროს.

ხმა, რომელიც ყურმილის დახეთქებამ გამოსცა, იმის მანიშნებელი იყო, რომ საუბარი დასრულდა.

32

გუშინ ექვსი დღის შემდეგ აღმოჩნდა.

ექვსი დღე. ადრე ლორი კვირებს ხარჯავდა საქმის შესასწავლად, სანამ გადაღებას დაიწყებდნენ, მაგრამ უკვე „გრანდ--ვიქტორიაში“ იყვნენ და რამდენიმე საათში კამერებიც ჩაირთვებოდა. უარესი - ეს ექვსი დღე მთლიანად ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებაში გაატარეს. ლორის ეგონა, ერთი თვე მაინც მჭირდება ფაქტების მოსაქექადო, მაგრამ დაჩქარებული განრიგი სხვა გზას არ უტოვებდა - წინ უნდა წასულიყო.

იგრძნო, როგორ მოეშვა გულზე, როდესაც სასტუმროს შესასვლელს მიადგა. უეცრად ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს წარსულში დაბრუნდა. გაახსენდა, როგორ დასწვდა გრეგი მის ხელს. „გილოცავ კიდევ ერთ წლისთავს, ლორი“. ეგონა, კიდევ, სულ მცირე, ორმოცდაათი წლისთავი ექნებოდათ.

- დედა! - ტიმი უკვე აუზისკენ მიემართებოდა, - ძალიან მაგარი ადგილია!

დაჩქარებული განრიგის ერთადერთი უპირატესობა ის იყო, რომ ტიმის ჯერ კიდევ საზაფხულო არდადეგები ჰქონდა, ასე რომ, ბაბუასთან ერთად დაისვენებდა. აქ ტენიანი ჰავა და ოთხმოცდაათი გრადუსი იყო, მაგრამ თუ ტიმი პალმებს ხედავდა და აუზი ეგულებოდა, სადაც სხვა ბავშვებთან ერთად იჭყუმპალავებდა, სიამოვნებით დარჩებოდა მთელი წელი.

სასტუმრო იმაზე ლამაზი იყო, ვიდრე ქალს ახსოვდა - თანამედროვე, მაგრამ იტალიური რენესანსის შთაგონებით შექმნილი. ორმოცდაათიოდე წლის პოპლინის პიჯაკში გამოწყობილი მამაკაცი პირდაპირ მისკენ მოდიოდა.

- შემთხვევით ქალბატონი ლორი მორენი ხომ არ ბრძანდებით? ირვინ რობინსი, გენერალური მმართველი.

ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი. ლორიმ მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რომელიც უკვე გაუწიეს. რობინსი ნამდვილად არ ხუმრობდა, როცა თქვა, სასტუმრო ყველაფერში დაგეხმარებათო. ამანდას მშობლებისა და დანარჩენი მონაწილეებისთვის უფასო ნომრები გამოყვეს, გადამღებ ჯგუფს კი დიდი ფასდაკლება გაუკეთეს.

- ეს ახალგაზრდა კაცი ვინაა? - იკითხა ირვინმა და ტიმისკენ ანიშნა თავით, - თქვენი ნომერი პირველი გამომძიებელი?

- არავის უთხრათ, - თავი ამოყო ტიმიმ, - მაგრამ საიდუმლოდ ვმუშაობ. ამისთვის აუზი დამჭირდება.

ორი საათის შემდეგ გრეისი ალექსის უზარმაზარ ოთახს წრეს უვლიდა და ყველაფერს პირღია ათვალიერებდა.

- ეს ოთახი ჩვენი ყველა ოთახისხელაა.

ცხოვრებაში პირველად გრეისი არ აჭარბებდა. ალექსის ნომერი დიდ ბინას ჰგავდა უზარმაზარი მისაღები ოთახით. თუმცა გულუხვობა გამოიჩინა და თავისი ნომერი მისაღებ გუნდს საკონფერენციო ოთახად შესთავაზა.

ოთხი საათი იყო. საბოლოოდ ერთმანეთს ხვდებოდნენ სადისკუსიოდ, ვიდრე საღამოს პირველი გადაღება ექნებოდათ - ქორწილის მონაწილეები კოქტეილების წვეულებაზე შეიკრიბებოდნენ იმ დარბაზში, სადაც ამანდასა და ჯეფს ქორწილის შემდეგ სადილი უნდა გაემართათ.

- ალექს, მისაღების თანამშრომელმა, ალბათ, ცოტა წაგახალისა, როდესაც ეგ ლამაზი თვალები დაინახა, - თქვა გრეისმა.

ალექსმა გაიცინა. მიჩვეული იყო, გრეისი რომ ეარშიყებოდა და ლორიმ იცოდა, რომ კაცს ეს სიამოვნებდა.

- ლორი, ჯეფის კოლეჯის მეგობრებს უკვე შეხვდი? - იკითხა მან.

- პირადად არა, მაგრამ ტელეფონით ვესაუბრე. სანდრას თქმით, ორივე მდიდარი მარტოხელა მამაკაცია.

- მაღალი, ნიკი, ნამდვილი მაჩოა, - ჩაერია გრეისი, - მაგრამ მეორე? ოსტინი? გაუმართლა, მდიდარი რომაა. და ჯეფი? - ხელით ჰაერი დაინიავა, - ისეთი საყვარელი და ნეტარია. წარმოდგენა არა აქვს, რა მომხიბლავია. არადა, მაგ სამიდან ყველაზე კარგი ჯეფია.

- მჭირდება იმის შეხსენება, რომ შესაძლოა, მკვლელი იყოს? - იკითხა ჯერიმ.

ტიმი ტერასიდან დაბრუნდა, საიდანაც ოკეანის ხედი მოჩანდა.

- ალექს, საცურაო კოსტიუმი წამოიღე? აქ აკვაპარკია, სადაც ოთხსართულიანი სახლისხელა სასრიალოა!

ლორი შვილს ჩაეხუტა.

- მე და ალექსმა უნდა ვიმუშაოთ. ხომ გითხარი, ბაბუა წაგიყვანს. და არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა, მაგრამ ჯერისაც ძალიან უნდა, შემოგიერთდეთ. თუ რამდენიმე საათით გავათავისუფლებ, შეიძლება შენთან ერთად ჩამოსრიალდეს.

- ერთად ვერ ჩამოვსრიალდებით, დედა, - ტიმიმ ისე შეუსწორა შეცდომა, თითქოს ეთქვას, იანკები[46] ფეხბურთის გუნდიაო, - მხოლოდ ერთ ადამიანს იტევს, თანაც ალექსს პასუხის გაცემაც არ დააცადე. თუ ჯერის შეუძლია ცოტა დასვენება, ალექსმა რა დააშავა?

- დაკავებულია, - თქვა ლეომ, - წამოდი, მეგობარო. აუზზე ჩავიდეთ. სადილობამდე ცოტა ხანი გვაქვს საცურაოდ.

როგორც კი ლეო და ტიმი წავიდნენ, ლორი სამუშაოდ განეწყო. ელოდებოდა, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა, რაკი ასე იჩქარეს გადაღებების დაწყება.

- ჯერი, დარწმუნდი, რომ ყველა აქაა?

---

[46] ამერიკის ბეისბოლის გუნდის სახელწოდება.

- აბსოლუტურად, - თქვა ჯერიმ მხიარულად, - გადამღებ ჯგუფთან ერთად დარბაზშიც გავიარე. სასტუმრომ ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც იმ ღამეს უნდა ყოფილიყო. ულამაზესია. ყველგან თეთრი ყვავილები და სანთლებია. დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველაზე, ვინც ოთახსა და ერთად შეკრებილ ქორწილის წევრებს ნახავს.

როდესაც კიდევ ერთხელ გადახედეს მონაწილეების სიას და მოკლედ გამოთქვეს, რის კითხვას აპირებდნენ თითოეულთან ინდივიდუალურ ინტერვიუებში, ლორი ადგა და ბლოკნოტი ჩანთაში ჩააგდო იმის ნიშნად, შეხვედრა დამთავრებულიაო.

- და მე რა როლი მაქვს ამ საღამოს? - იკითხა ალექსმა ღიმილით. საღამოს შეხვედრაზე არ იქნებოდა ინტერვიუები, რაც ალექსს ძალიან კარგად გამოსდიოდა.

- უბრალოდ ისეთივე მომხიბლავი იყავი, როგორიც ყოველთვის, - შოუ კარგი მაშინ გამოდიოდა, როდესაც მონაწილეები ალექსთან თავს კომფორტულად გრძნობდნენ და გულწრფელად ლაპარაკობდნენ. წინასწარი ინდივიდუალური ინტერვიუების გარეშე, ალექსს სხვა გზის მოძებნა მოუწევდა მონაწილეთა გულის მოსანადირებლად.

- და სმოკინგი არ დაგავიწყდეს, - შეახსენა გრეისმა თვალის ჩაკვრით, როდესაც ჯერისთან ერთად ოთახიდან გადიოდა.

- ბოდიშს გიხდი ჩემი კაცებზე გადარეული თანაშემწის მაგივრად, - თქვა ლორიმ, როდესაც მარტონი დარჩნენ, - მგონი, მომიწევს, ადამიანური რესურსების განყოფილებაში დარეკვა, დამატებითი კურსი რომ ჩაუტარონ სექსუალური შევიწროების შესახებ.

ალექსმა ქალისკენ ნაბიჯი გადადგა და მკლავებში მოიქცია.

- ჩვენ რა, ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ჯგუფის წევრებს შორის გაბმულ რომანზე ვიწუწუნოთ?

ქალმა კაცს ახედა, როდესაც იგი მის საკოცნელად გადმოიხარა.

- არა, მრჩეველო, არა ვართ.

ლორიმ მამა და ვაჟი სასტუმროს ოთხი აუზიდან ყველაზე ხალხმრავალ აუზთან იპოვა. ტიმი ტივტივას ჩასჭიდებოდა, რომელიც მასზე ოდნავ უმცროს ბიჭს ეჭირა. ასეთი იყო: რამდენიმე წუთში შეეძლო ნებისმიერთან დამეგობრება. მამამისსაც ასეთივე მსუბუქი ხასიათი ჰქონდა. ბიჭი გრეგს ძალიან ჰგავდა.

ლეო იქვე, სკამზე იჯდა. ცალი თვალით შვილიშვილს აკონტროლებდა, მეორით კი ჰარლან კობენის ახალ თრილერს კითხულობდა. წლების წინ, წიგნის ხელმოწერის დროს, მწერალს თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა, შესთავაზა, დამიკავშირდი, თუკი პოლიციასთან დაკავშირებული კითხვები გექნებათო. ლორის არასდროს უნახავს მამამისი ისეთი ბედნიერი, როდესაც თავისი საყვარელი ავტორის შემდეგი წიგნის სამადლობელში თავისი სახელი ამოიკითხა.

ლორი მის გვერდით მოკალათდა.

- სიტუაციას ვაკონტროლებ. შეგიძლია, ორივე თვალით წაიკითხო ეგ წიგნი.

- ამ ბოლო დროს ტიმისთვის თვალის დევნება ადვილია. ალბათ, თვითონ უფრო გადამარჩენს დახრჩობისგან, ვიდრე პირიქით. უი, მართლა, კიდევ ერთხელ დავრეკე აქაურ პოლიციაში იმ ფოტოგრაფის, ჯერემი კეროლის შესახებ.

- გამოვიდა რამე?

- მგონი. ერთი ჯერემი კეროლი იპოვეს, ოცდათერთმეტი წლის, დიდი ხანია, აქ ცხოვრობს. მისი სიმაღლე და წონა, რომელიც მართვის მოწმობაზეა მითითებული, აღწერას ემთხვევა. სუფთა წარსული აქვს, გარდა ერთი უმნიშვნელო ნასამართლობისა სასამართლო წესრიგის დარღვევის გამო. სასამართლოს მოხელეს ვთხოვე, ასლი გადმოეგზავნა. ვნახოთ, რა იქნება.

- გმადლობ, მამა. ბრეტს უნდა დაველაპარაკო, რომ შენც გადაგიხადოს ხელფასი.

- ვერანაირი თანხა ვერ მაიძულებს ბრეტ იანგის ბრძანებებზე დამორჩილებას. ისე, დიდი წვეულებისთვის გამოპრანჭვას არ აპირებ?

- არ მიცნობდე მაინც, ჩემი გამოპრანჭვა თმის დავარცხნასა და პომადის წასმას ნიშნავს, - ლორიმ იცოდა, რომ მიმზიდველი ქალი იყო, მაგრამ მაკიაჟის ფენებითა და თმის სპრეიდასხურებული კომფორტულად თავს ვერასდროს გრძნობდა. თაფლისფერ თმას სადად იკრავდა ხოლმე და მხოლოდ იშვიათად ისვამდა ტუშს თაფლისფერი თვალების უკეთ გამოსაკვეთად, - თანაც ახალი კაბაც მაქვს, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა, მაგრამ ვიცი, რომ მიხდება.

- გამოუპრანჭავიც ლამაზი ხარ, - უთხრა ლეომ, - ვიცი, რომ დაძაბული ხარ ბრეტის გიჟური ტემპის გამო, მაგრამ თავს გართობის უფლებაც მიეცი. შენ და ალექსი შესანიშნავად იქნებით ჩაცმული. ტიმისთან სიამოვნებით დავრჩები, თუ ღამის გაგრძელება მოგინდებათ. ვინ იცის? შეიძლება მთელი ეს საუბარი ქორწილზე, რომელიც ვერ შედგა, მოტივაციურიც კი აღმოჩნდეს.

ლორი გაოცებული იყო მამამისის შემოთავაზებით.

- მამა, ძალიან შორს ვართ ეგეთი რამისგან. გთხოვ, მაგ ფიქრს ტიმის თავში ნუ ჩაუდებ... და ნურც ალექსს.

- კარგი, კარგი, ვიხუმრე. დამშვიდდი.

- კარგია. უცებ შემაშინე.

მამა ქალიშვილს უყურებდა, გვერდით კი დახურული წიგნი ედო.

- ლორი, ქორწილის შესახებ ვხუმრობდი, მაგრამ ერთი რამის თქმა მინდა - ვხედავ, რომ ალექსს ახლოს არ უშვებ. თითქმის ყოველთვის ოფიციალური ხარ მასთან. საუბარი სულ სამ-

სახურზე გადაგაქვს და როდესაც ტიმიმ ალექსს ჰკითხა, აკვა-პარკში თუ წამოხვალო, მანამდე უთხარი უარი, სანამ თვითონ უპასუხებდა.

- მამა, რის თქმას ცდილობ?

- პირდაპირ გეტყვი - თითქოს გეშინია, მან ნამდვილი ლორი არ გაიცნოს.

- ალექსი კარგად მიცნობს, მამა, მაგრამ პატარები აღარ ვართ, ყველაფერი რომ მივატოვოთ და სადმე გავიქცეთ. ყველა-ფერი ნელ-ნელა ხდება.

- მშვენიერია. ვიცი, რომ ზრდასრული ხარ და მამაშენი არ უნ-და გეუბნებოდეს, როგორ მოიქცე, მაგრამ ნება მომეცი, ერ-თხელ მაინც გითხრა ეს, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის - ვიცი, როგორ გიყვარდა გრეგი. ყველას გვიყვარდა, - ლეოს ხმა ჩაუწ-ყდა, - თქვენ შესანიშნავი ხუთი წელი გაატარეთ ერთად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრების ბოლომდე მარტო უნდა იყო. გრეგს ეს ნამდვილად არ ენდომებოდა.

- მარტო არა ვარ, მამა. შენ და ტიმი მყავხართ. გრეისი და ჯე-რი. და ჰო, ალექსიც. შენ გინდა, უფრო სწრაფად მოხდეს ყველა-ფერი, მაგრამ, დამიჯერე, საჩქარო არაფერია.

კაცმა რაღაცის სათქმელად კვლავ გააღო პირი, მაგრამ ლო-რიმ შეაწყვეტინა:

- მამა, მე ხომ არ გეკითხები, რატომ არ ხვდები ვინმეს დედას სიკვდილის შემდეგ-მეთქი? რამდენიმე სიმპათიური ქვრივი ვი-ცი, რომელთა გაცნობა ეკლესიაში შეგიძლია. ყოველთვის მე-კითხებიან, როგორ არისო.

მამამ ნაღვლიანად გაუღიმა.

- კარგი, გამაჩუმე.

- ჩემზე ნუ ნერვიულობ. ვიცი, რომ ალექსს ვუყვარვარ. რაც მოსახდენია, თავისთავად მოხდება. არაა საჭირო ამაზე ბევრი ფიქრი.

ლორის თავში ისევ თავისი სიტყვები უტრიალებდა, როდესაც ოთახში ადიოდა.

გრეგთან ბევრი ფიქრის დრო არ ჰქონდა. მაშინ გაიცნო, როდესაც ტაქსი დაეჯახა. ხუმრობდნენ, ერთადერთი წყვილი ვართ, რომელსაც სხვადასხვა ლეგიტიმური ვერსია აქვს იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთიო. როდესაც გრეგმა პირველად ნახა ლორი, ქალს გონება დაკარგული ჰქონდა. როდესაც ლორიმ პირველად ნახა გრეგი, კაცი თვალებში ანათებდა, რომ ენახა, თვალის დახამხამება თუ შეეძლო. სამი თვის შემდეგ დაინიშნენ.

„თუ მოსახდენია, თავისთავად მოხდება“, - უთხრა ლორიმ მამას, მაგრამ ამ დროს გრეგზე ფიქრობდა და არა ალექსზე.

33

ჯერიმ კი თქვა, რომ დარბაზი ლამაზად გაეწყოთ, მაგრამ მაინც, სიტყვებით შეუძლებელი იყო ამის აღწერა - ზღაპარს ჰგავდა. ყველგან თეთრი ვარდები და შროშანები იყო, ჭერზე კი ისე ციმციმებდნენ პატარა თეთრი ნათურები, როგორც ღამით ვარსკვლავები. გრეისი და ჯერი შესაფერისად გამოწყობილიყვნენ. გრეისს, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გულდახურული, ლურჯი კაბა ეცვა, ჯერი კი კოხტად გამოწკეპილიყო სმოკინგში.

- ორივე შესანიშნავად გამოიყურებით, - აღნიშნა ლორიმ, - მშვენიერია. შოუს გახსნისთვის კარგი ჩანაწერი გამოგვივა.

ქალმა გადამღებ ჯგუფს გახედა. წამყვანმა ოპერატორმა ცერა თითი აუწია იმის სანიშნებლად, მზად ვარო. ხმების ჩაწერას არ აპირებდნენ, მაგრამ უნდოდათ, ის მომენტი გადაეღოთ, როდესაც ოთახში შემოსვლისას მონაწილეები პირველად დაინახავდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით ალექსის ხმას დაადებდნენ, რომელიც მაყურებლებს მონაწილეებს გააცნობდა.

პირველად დარბაზში სანდრა და მისი შვილები, ჰენრი და შარლოტი, შემოვიდნენ. ელეგანტური აბრეშუმის შარვლისა და პიჯაკის მიუხედავად, სანდრას მაინც ეპოვა ადგილი ამანდას ყვითელბაფთიანი სტიკერის მისაკრავად საყელოზე. ლორი სანდრას და შარლოტს გადაეხვია, შემდეგ კი ამანდას ძმას, ჰენრის გაეცნო.

- ოჰ, ამანდა გაგიჟდებოდა ამ დარბაზზე, - სანდრამ ცრემლი მოიწმინდა, - ყველაფერი ისეა, როგორც მას სურდა.

შარლოტმა დედას ხელი მოხვია.

- როგორც მახსოვს, აქ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც შენ გინდოდა, დედა.

- ვიცი. წვეულებების დაგეგმვა მიყვარს, ვაღიარებ. იმ დღის დაგეგმვის სიხარული კი... მინდოდა, ყველაფერი იდეალურად ყოფილიყო.

- იქნებოდა კიდეც, დედა, - ჰენრიმ მისი დარწმუნება სცადა. მერე კი თავის ბაფთას დაუწყო წვალება. სიმპათიური იყო, მაგრამ მუქი, გაბურძგნილი თმითა და რამდენიმე დღის გასაპარსი წვერით, საგარეო ტანსაცმელში მთლად კომფორტულად ვერ გრძნობდა თავს.

შარლოტმა იდაყვი გაჰკრა დედამისს.

- ჯეფი შემოვიდა.

სანდრამ თვალი გააპარა და სწრაფად შემოტრიალდა.

- მეგანთან ერთად, რა თქმა უნდა, - საყვედურნარევი კილო ჰქონდა, - ვიცი, რომ ეს მე მოვინდომე, ლორი, მაგრამ ახლა, აქ რომ ვართ, წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მოვიქცე. მართლა მჯერა, რომ ერთ-ერთი ან ორივეა დამნაშავე ამანდას გაუჩინარებაში. მინდოდა, აქ ყოფილიყვნენ, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ასე აუტანელი იქნებოდა ერთ დარბაზში მათთან ერთად ყოფნა.

ლორიმ სანდრას მხარზე დაადო ხელი.

- უბრალოდ, ბუნებრივად მოიქეცი, სანდრა. თუ არ გინდა, საერთოდ ნუ დაელაპარაკები, - რეალითიშოუს მთელი ღირსება ის იყო, რომ ადამიანების ბუნებრივ ქცევას იღებდნენ და არა წინასწარ დაგეგმილს.

- ოჰო, - წამოიყვირა შარლოტმა, - ქეითი გადასარევად გამოიყურება. სულ არ ეტყობა ასაკი.

ლორი შეტრიალდა, ჯეფსა და მეგანთან მდგომი მესამე პიროვნება რომ დაენახა, რომელიც ორივეს ჩაეხუტა. ლორიზე ოდნავ დაბალი იქნებოდა, ნიკაპამდე შეჭრილი ნათელი ქერა თმითა და მრგვალი, მოვარდისფრო ლოყებით. კოლეჯის ფოტოებში, რომლებიც ლორიმ ნახა, ქეითი თავის ორ მეგობართან

შედარებით უფერული გოგონა იყო. აშკარად ძალ-ღონე არ დაუშურებია, რომ ამ დღისთვის კარგ ფორმაში ყოფილიყო.

- ოჯახიც ჩამოიყვანა? - იკითხა ჰენრიმ.

- დედამისი უვლის მის შვილებს, - უპასუხა სანდრამ, - არა მგონია, ნამდვილ დანაშაულზე დაფუძნებული შოუ საუკეთესო საოჯახო მოგზაურობის მიზეზი იყოს.

„ჩემი ოჯახის გამოკლებით“, - გაიფიქრა გამხიარულებულმა ლორიმ. ოჯახს მოუბოდიშა და კოლბის ყოფილი სტუდენტებისკენ გაეშურა. ახლომახლო გაჩერდა და მათ საუბარს დაუგდო ყური. გაიგონა, როგორ თქვა ჯეფმა, სიურრეალისტურია ჩემი ქორწილის დარბაზის ნახვა სულ სხვანაირ ამანდასთან ერთადო.

- ჩვენი ქორწილისგან ნამდვილად ძალიან განსხვავდება, - თქვა მეგანმა, - „მარგარიტა“ და ბარბექიუ შეკვეთით ჩვენს გემოვნებას უფრო ესადაგება.

ლორი ვერ მიხვდა, იგრძნობოდა თუ არა გულისწყრომა მეგანის კილოში. თუ ქეითს ოდნავი ეჭვი მაინც ჰქონდა, რომ ჯეფი და მეგანი გარეულნი იყვნენ ამ საქმეში ან თუ მათი ქორწინება არ მოსწონდა, ამას ნამდვილად არ გამოხატავდა. ისე საუბრობდნენ, როგორც სამი ძველი მეგობარი.

- ბოდიში ხელის შეშლისთვის, - თქვა ლორიმ, - მაგრამ მინდა, გაგიცნოთ, - მეგანმა ლორისთან პირადად საუბრისთვის დრო ვერ გამონახა, ქეითს კი მხოლოდ ტელეფონით ელაპარაკა. მეგანმა თითქოს უკან დაიხია, როდესაც ქეითმა და ჯეფმა თქვეს, ძალიან გვიხარია, ამანდას გაუჩინარების შესახებ ახალი ფაქტების აღმოჩენის შესაძლებლობა რომ გაჩნდაო.

ქეითი უცებ შემოსასვლელისკენ შეტრიალდა.

- შეხედეთ, ბავშვებო, ნიკი ოდნავადაც კი არ შეცვლილა, მაგრამ ჩვენი პატარა ოსტინი როგორ გაზრდილა!

ქეითი ლორისკენ გადაიხარა და მათ ამბავს მოკლედ მოჰყვა:

- ნიკი ყოველთვის პოპულარული იყო ქალებში, კოლეჯშიც კი. ოსტინი ნიკთან მეგობრობდა, მაგრამ მის ჩრდილში ცხოვრობდა. მისი ურთიერთობა ქალებთან ნამდვილი კატასტროფა იყო, ყველას მეტისმეტად აგრესიული ეგონა.

- არ ვიცი, ახლა რამდენად მშვიდი პაემნები აქვს, - თქვა ლორიმ, - მაგრამ მეეჭვება, ამ ბოლო დროსაც ნიკის ჩრდილქვეშ ცხოვრობდეს. ისინი სწორედ ოსტინის პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ.

კაცები პირდაპირ კოლეჯის მეგობრებისკენ წამოვიდნენ.

- ოოო, - წამოიყვირა ქეითმა, როდესაც ოსტინი მიუახლოვდათ, - ანუ პირადი თვითმფრინავი. ვინ იფიქრებდა, რომ ოსტინი, რომელსაც კოლეჯში ვიცნობდით, ამდენს შეძლებდა?

- ფრთხილად, ქეით, - გააპროტესტა კაცმა მხიარულად, - ალბათ, შევძლებ შენი ფოტოების ამოქექვას, როცა გვიანობამდე რჩებოდი ბარში.

მეგობრები აშკარად შეჩვეულნი იყვნენ უწყინარ ხუმრობებს.

ლორიმ შენიშნა, რომ ნიკმა მეგობარს მუჯლუგუნი გაჰკრა.

- მოემზადე, ქალების ყურადღების მიპყრობაში, მგონი, კონკურენტი გვეყოლება.

ლორიმ დაინახა, როგორ შემოვიდა ალექსი დარბაზში და სუნთქვა შეეკრა. სახე უკვე მსუბუქად გარუჯოდა, სმოკინგი კი ძალიან უხდებოდა. ლორიმ მაშინვე დახედა თავის კაბას და გაუხარდა, რომ ფული არ დაენანა, ოღონდ უკეთესი იქნებოდა, ცოტა მეტ მაკიაჟს თუ გაიკეთებდა.

- როგორც ყოველთვის, ლამაზად გამოიყურები, - უთხრა ალექსმა, როდესაც ქალი მიუახლოვდა.

- შენ კი, რა თქმა უნდა, მამაკაცის ჭეშმარიტი არსის განსახიერება ხარ, - საუბრის დროს ქალმა იგრძნო სითბო, რომელიც მათი სხეულების ახლოს ყოფნით იყო გამოწვეული.

ბოლოს უოლტერ პირსი, ოჯახისთავი გამოჩნდა. ყოფილი ცოლისგან, სანდრასგან განსხვავებით, პირდაპირ ჯეფთან მივიდა და მაგრად ჩამოართვა ხელი. მასსა და მეგანს დაქორწინებაც კი მიულოცა და სამუდამო ბედნიერება უსურვა.

როდესაც ლორი მონაწილეებს უყურებდა, შენიშნა, როგორ შეიცვალა დინამიკა, როდესაც უოლტერი შემოვიდა. ამანდას ყოფილ საქმროსა და მათ მეგობრებთან მისალმების შემდეგ, იგი პირდაპირ თავისი ოჯახისკენ წავიდა, რომელსაც მთელი საღამო აღარ მოშორებია. სანდრასა და მისი შვილების სიტყვები ნაკლებად ბუნებრივი იყო. პირსის ოჯახის ყველა წევრი ახლა უოლტერზე იყო გადართული. კარგად იფრინა? თავისი ოთახი მოეწონა? კიდევ უნდოდა დალევა? მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც მოხდა, იგი მაინც ოჯახისთავად რჩებოდა.

იყვნენ ისეთი შვილები, რომლებსაც არ ანაღვლებდათ, რას იფიქრებდა მამა მათზე? ლორიმ თავის შეკითხვას თვითონვე გასცა პასუხი - „არასდროს“.

ათი წუთის შემდეგ მთავარ ოპერატორს მიუახლოვდა.

- ქორწილის მონაწილეებს ვთხოვე, ჯგუფური ფოტოსურათისთვის გაემზადონ, - უთხრა ქალმა, - ამით დავასრულებთ.

როდესაც კამერის წინ დადგნენ, ნათელი იყო, რომ ჩვეულებრივ საქორწილო ფოტოს არ იღებდნენ. ყალბი თავაზიანობა გამქრალიყო. ჯეფს მეგანისთვის ისე მოეხვია ხელი, თითქოს რაღაცისგან იცავდა. სანდრას თვალები ცრემლებით ავსებოდა. არც ერთი მათგანი არ ცდილობდა გაღიმებას.

ნუთუ მართლა შესაძლებელი იყო, რომ ამ ქორწილის მონაწილეებისგან რომელიმეს ისე შესზიზღებოდა ამანდა, რომ მისთვის სიცოცხლე წაერთმია? თუ ჩანაწერების მამაკაცი ან შემთხვევითი უცნობი არ აღმოჩნდებოდა მკვლელი, ამის შანსი ძალიან გაიზრდებოდა.

მაგრამ რომელი მათგანი იქნებოდა ამანდას მკვლელი?

34

დილის ათ საათზე კამერები მზად იყო 217-ე ოთახში შესასვლელად. ჯერიმ ეს ოთახი სანდრა და უოლტერ პირსების ინტერვიუსთვის აარჩია. სწორედ ეს იყო მათი ოთახი, როდესაც პალმ-ბიჩში ქალიშვილის ქორწილისთვის ჩამოვიდნენ, მაგრამ მისმა ძებნამ მოუწიათ.

ლორისა და ალექსის გეგმის მიხედვით, თავდაპირველად სანდრა ისაუბრებდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იგი შვილის ძებნის დამსახურებით საზოგადოებისთვის ცნობილი პირი გახდა, ხშირად ჩნდებოდა ტელეეკრანზე და ხალხს დახმარებას სთხოვდა.

შესამჩნევად ანერვიულებული, ხელებმომუშტული სანდრა ალექსის მოპირდაპირედ მდგარ სასიყვარულო სკამზე[47] მოკალათდა. ფირუზისფერი ტილოს ბლუზა და თეთრი შარვალი ეცვა. სწორედ ასე ეცვა მაშინაც, როდესაც შვილის გაუჩინარების ამბავი გაიგო. ლორის უთხრა, რომ ამ ტანსაცმლის გადაყრა ვერ შეძლო.

ღრმად ჩაისუნთქა და ლორის თავი დაუქნია, მზად ვარო.

ალექსმა სანდრას სთხოვა, ის მომენტი აღეწერა, როდესაც პირველად გაიაზრა, რომ ამანდა დაიკარგა.

- თითქოს მთელი სხეულით ვგრძნობდი ამას იმ წამიდან, როცა ფოიეში შემოვედი. ჯეფი, მეგანი და ქეითი მიმღების მაგიდასთან იდგნენ და მივხვდი, რომ რაღაც რიგზე არ იყო. მერე ჯეფმა მითხრა, ამანდა არ ჩანსო და ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. და-

---

[47] ორადგილიანი სავარძელი, რომელიც განკუთვნილია შეყვარებულებისთვის.

ნარჩენებიც ნერვიულობდნენ, მაგრამ იმაში არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ გაუჩინარებას რამე ახსნა ექნებოდა. მაგრამ მე არა. მე ვიცოდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა.

- რომელიმე მომენტში თქვენი შიში დადასტურდა? - ჰკითხა ალექსმა.

ქალმა თავი გააქნია.

- სწორედ ეგ არის ყველაზე საშინელი ნაწილი იმისა, რომ არ ვიცი, რა მოხდა. ენაჩავარდნილი, შეძრწუნებული და შეცბუნებული ვიყავი, მაგრამ მომენტი, როდესაც ამანდას გაუჩინარება მთელი სიცხადით გავიაზრე, ის იყო, როდესაც პოლიციამ ამანდას ტანსაცმელი ითხოვა, ძაღლებს რომ სუნი აეღოთ. იმის წარმოდგენა, რომ ძაღლები გაუყვებოდნენ ჩემი ბავშვის სუნს... - ხმა ჩაუწყდა.

- ძებნის პირველ დღეებში მედიაში თქვენს შვილს ხშირად გაქცეულ პატარძალს უწოდებდნენ...

სანამ ალექსი წინადადების დასრულებას მოახერხებდა, სანდრამ ზიზღით გააქნია თავი.

- საშინელება იყო. კომედიანტები მკითხაობდნენ, ნეტავ რამდენ ხანში გამოჩნდებოდა მაიამიში საცეკვაო მოედანზე მთვრალიო. ჩემი შვილი თავქარიანი და ქარაფშუტა გოგო არ არის. ძლიერი და ჭკვიანია.

- თქვენ მასზე ახლანდელ დროში ლაპარაკობთ, - თქვა ალექსმა.

- დიახ, ვცდილობ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მის ძებნას არასდროს შევწყვეტ. სადღაც არის, ამანდა პირსი სადღაც არის, მკვდარი ან ცოცხალი და მოძებნა სჭირდება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ალექსმა ლორის გახედა, რამის დამატება ხომ არ უნდა, სანამ გავაგრძელებთო. ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- სანდრა, - უთხრა ალექსმა, - თუ წინააღმდეგი არა ხართ, ამანდას მამასაც გავესაუბრებით.

წუთზე ნაკლებ დროში უოლტერი ოთახში შემოვიდა და უხერხულად დაჯდა სანდრას გვერდით. ლორიმ შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი იყო და ორივეს შეეძლო კომფორტულად დაჯდომა, უოლტერი მაინც ყოფილ ცოლთან ახლოს დაჯდა. ქალმა თბილად გადაუსვა კაცს ხელი მუხლზე.

ალექსმა დაიწყო:

- უოლტერ, ჩვენი მაყურებლის დიდი ნაწილი იცნობს სანდრას. თავიდან თქვენც ჩანდით კამერებში, მაგრამ ჩემი გამოთვლით დაახლოებით სამი თვის შემდეგ ძებნას სათავეში სანდრა ჩაუდგა. თქვენც დარწმუნებული ხართ, რომ ამანდას გაუჩინარების საღამოს რაღაც საშინელება მოხდა?

უოლტერმა ჯერ დაბლა დაიხედა, შემდეგ კი სანდრას გახედა.

- არაფერში ვყოფილვარ დარწმუნებული ამანდასა და ჩემი ოჯახის სიყვარულის გარდა. სანდრას, როგორც ამბობს, მართლაც დედაშვილური კავშირი აქვს ამანდასთან. სხეულით გრძნობს, რომ იმ ღამით ამანდას რაღაც ცუდი დაემართა. მე ნამდვილად არა მაქვს მეექვსე გრძნობა, მათ კი მართლაც საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ - ამანდას პატარაობაში სანდრას შუაღამისას ეღვიძებოდა და ნახავდა, რომ ამანდასაც დაეჭყიტა თვალები. გახსოვს?

სანდრამ თავი დაუქნია და ნაზად თქვა:

- კი.

ალექსმა განაგრძო:

- როგორც მივხვდი, ამანდამ თქვენს ოჯახურ ბიზნესს, „ლეიდიფორმს“, დიდი მოგება მოუტანა.

- რა თქმა უნდა, - დაადასტურა უოლტერმა ამაყად.

- ზოგის აზრით, მოლოდინი, რომ შვილებს თქვენი საქმე გაეგრძელებინათ, პირსების ახალგაზრდა თაობისთვის ცოტა შე-

მაბრკოლებელი იყო. ამანდამ ოცდაშვიდი წლის ასაკში უკვე იცოდა, როგორი კარიერა ექნებოდა, თან სულ მალე დაქორწინებასაც აპირებდა. შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი მისთვის დიდი ზეწოლა ყოფილიყო? ფიქრობთ, რომ ამანდა გაიქცა და ახალი ცხოვრება დაიწყო?

- როდესაც ამანდას გაუჩინარებაზე მიდგება საქმე, მეც ისე ვვარაუდობ ყველაფერს, როგორც თქვენი ნებისმიერი მაყურებელი. მაგრამ მინდა რაღაც ვთქვა, ყოველი შემთხვევისთვის, თუ ჩემი ქალიშვილიც უყურებს - გთხოვ, დაბრუნდი, საყვარელო. მხოლოდ ერთი სატელეფონო ზარიც კი საკმარისი იქნება, დედაშენმა იცოდეს, რომ კარგად ხარ. და თუ ჩვენი შვილი ვინმეს ჰყავს, გთხოვთ, ყველაფერს გავაკეთებთ, ყველაფერს გადავიხდით მის დასაბრუნებლად.

უოლტერი ცრემლებს ძლივს იკავებდა. ლორიმ შენიშნა, რომ ალექსი უკმაყოფილო იყო, კაცი შემდეგ შეკითხვაზე რომ გადახტა. ლორის ისღა დარჩენოდა, იმედი ჰქონოდა, რომ ეს ყველაფერი მათ რაღაც კარგთან მიიყვანდა.

- ბოდიში, ამას რომ ვამბობ, - თქვა ალექსმა, - მაგრამ, რადგან ჩვენი შოუ დანაშაულსა და მის შედეგებზეა, უნდა ვთქვა, რომ ოცდათორმეტწლიანი ქორწინების შემდეგ დაახლოებით ორი წლის წინ ერთმანეთს დაშორდით. თქვენი ქორწინების დასრულებაზე ამანდას გაუჩინარებას ჰქონდა გავლენა?

უოლტერი სანდრასკენ შებრუნდა.

- შენ უპასუხებ? - ჰკითხა ნერვიული ღიმილით.

- მე და უოლტერს არასდროს გვიფიქრია, რომ განვქორწინდებოდით. ასეთი რამეების არ გვჯეროდა. ხალხი გვეკითხებოდა, რა არის თქვენი მტკიცე კავშირის საიდუმლოო, უოლტერი კი პასუხობდა, ის, რომ არც ერთი არ მიდისო! მაგრამ კი, ამანდას გაუჩინარებამ ჩვენც შეგვცვალა, ცალ-ცალკე და ერთადაც. სხვადასხვა გზაზე დავდექით. უოლტერს უნდოდა - არა, სჭირდე-

ბოდა - ნორმალურ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა. კომპანია ჰქონდა სამართავი, კიდევ ორი შვილი და შვილიშვილები გვყავდა, მათი ცხოვრებაც ხომ უნდა გაგრძელებულიყო. მეც ვცდილობ ჰენრისა და შარლოტის ხათრით ცხოვრების გაგრძელებას, მაგრამ ვხვდები, რომ ერთ ადგილას ვარ გაყინული. ასე ვიქნები, სანამ ამანდას არ ვიპოვი. ამან ძალიან დაძაბა ჩვენი ურთიერთობა.

- უოლტერ, - ჰკითხა წყნარად ალექსმა, - რამის დამატება გსურთ?

- თუკი გაგიმართლებს და ჩვენს ასაკამდე მოხვალ, აუცილებლად ინანებ რაღაცებს. მე კი ყველაზე მეტად იმას ვნანობ, სანდრა რომ ისე გრძნობდა თავს, როგორც ამწუთას აღწერა. მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ჩემი ცხოვრება ნორმალური არ გამხდარა და არც გაგრძელებულა, - ყოფილ ცოლს გახედა, - იმიტომ, რომ ამაზე არასდროს დაფიქრებულხარ: მე არ ვყოფილვარ ძლიერი. შენ - ხარ. მე ვერ გამოგყევი ამანდას ძებნის გზაზე, რადგან ძალა არ მეყო. არც იმის გაგება მინდოდა, რომ მკვდარია და არც იმის გაფიქრება, რომ ჩემ გამო მთელი ოჯახი მიატოვა. ამიტომ სამსახურს ამოვეფარე და თავი მოგაჩვენე, თითქოს ცხოვრება უნდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ დამალვას აღარ ვაპირებ. შენთან, ჰენრისა და შარლოტთან ვარ. მზად ვარ სიმართლისთვისაც, სადაც უნდა მიგვიყვანოს მან.

ლორიმ ოპერატორს ანიშნა, გადაღება შეეწყვიტა. ოთახში სიჩუმე ჩამოდგა. ქალი შებრუნდა, როდესაც დაინახა, როგორ მოიწმინდა უოლტერმა ცრემლი. პირსები ნამდვილად იმსახურებდნენ ხანმოკლე დუმილს. ეს ამანდასთვის მიძღვნილი სიჩუმე იყო.

35

როდესაც ლორი თავის ოთახში დაბრუნდა, მამამისი დივანზე იჯდა და ახალ ამბებს უყურებდა. კაცმა ტელევიზორს ხმა ჩაუწია, ქალმა კი ფეხზე გაიხადა და მის გვერდით დაჯდა.

- ძალიან მძიმე იყო, - ამოიოხრა მან.

მასსა და ლეოს ერთმანეთში გამავალი ოთახები ჰქონდათ, თითო ორ-ორი საწოლით. კარი ღია იყო და ქალმა დაინახა ტიმი, რომელიც ბაბუის ოთახში თამაშობდა.

სანდრასა და უოლტერთან სულშემძვრელი საუბრის შემდეგ, იმაზე ფიქრობდა, რა იღბლიანი იყო, მამამისი რომ გვერდით ჰყავდა.

ლეომ შვილს ხელი მოხვია.

- დარწმუნებული ვარ, მძიმე იქნებოდა, მაგრამ, მგონი, შენთვის კარგი ამბავი მაქვს. ჩანაწერებში ნანახი მამაკაცი უთუოდ დაგაინტერესებს.

ლორი მოუთმენლად ელოდებოდა, რას აჩვენებდა მამა, რომელიც ოთახის კუთხეში მდგარ მაგიდას მიუახლოვდა.

- გახსოვს, რომ ვახსენე, ფოტოგრაფის დამხმარეს მხოლოდ ერთი ბრალდება ჰქონდა-მეთქი? - ჰკითხა მამამ.

- ცხადია. სასამართლო წესრიგის დარღვევის გამო. რა გააკეთა? ჯარიმის გადაუხდელობის გამო დაიბარეს და არ გამოცხადდა?

- ეგ სულაც არ იქნებოდა ისეთი დამაინტრიგებელი, როგორიც ეს, - ლეომ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით გადასცა შვილს საქაღალდე, - პირველი დოკუმენტით დაიწყე. სასამართლოს ბრძანებაა.

პირველ გვერდზე სათაურად ეწერა „დაცვითი სასამართლო ბრძანება“. დოკუმენტი შევსებული იყო მოსარჩელეების, პატრი-

სია ენ მანსონისა და ლუკას მანსონის, ასევე მოპასუხის, ჯერემი კეროლის მიერ. პირველ თავში ეწერა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით კეროლმა „სერიოზული ემოციური ზიანი“ მიაყენა მოსარჩელეებს განმეორებითი დევნითა და შევიწროებით „კანონიერი მიზეზის გარეშე“. სასამართლომ კეროლს მანსონებთან 840 ფუტზე ახლოს მისვლა და მათთან ურთიერთობა აუკრძალა.

- ანუ დასდევდა, - თქვა ლორიმ და კითხვა გააგრძელა, - რატომ 840 ფუტი? უცნაური რიცხვია.

- მანსონები მისი კარის მეზობლები იყვნენ. ალბათ, კეროლის კარიდან მათ სახლამდე ამხელა მანძილი იყო. სასამართლო ვერ აიძულებდა, სახლი დაეტოვებინა.

შემდეგი დოკუმენტი იყო ლუკას მანსონის წერილობითი ჩვენება, რომელშიც ფიცით ადასტურებდა იმ ყველაფერს, რაც სარჩელს საფუძვლად ედო.

- ოჰო, - თქვა ლორიმ, - მგონი, ცოტა შეშლილია. არ მიკვირს, კლიენტები რომ ამბობდნენ, დაუკრეფავში გადადისო.

ქალმა სწრაფად გადაიკითხა დანარჩენი ფურცლებიც. მანსონების თქმით, რომლებიც სამოც წელს იყვნენ გადაცილებულნი, თავდაპირველად სიხარულით შეხვდნენ კეროლის გულთბილ მეზობლობას, მეზობლებს პროდუქტების შინ შეტანაში ეხმარებოდა, ბოლოს კი უქმეებზე თავად მიჰქონდა მათთვის ბოსტნეული. მაგრამ მერე შეამჩნიეს, როგორ ირხეოდა კაცის ფარდები, როდესაც გაზონს თიბავდნენ ან მზის ჩასვლისას უკანა ეზოში კოქტეილით გრილდებოდნენ. ლუკასი დარწმუნებით ამბობდა, რომ ორჯერ ფარდებს შორის კამერაც შეამჩნია.

როდესაც ლუკასმა ჯერემის ჰკითხა, უღებდა თუ არა მათ ფოტოებს, ის შინ შევიდა და ალბომით ხელში დაბრუნდა. ალბომი სავსე იყო ფოტოსურათებით: პატრისია სხლავს ვარდის ბუჩქებს, ლუკასი უკანა ეზოში ბარბექიუსთვის ცეცხლს ამზადებს.

ცოლ-ქმარი სასტუმრო ოთახში ტელევიზორს უყურებს. ლუკასი იმდენად თავზარდაცემული იყო, რომ არ იცოდა, რა ეთქვა და უბრალოდ წამოვიდა. საყვედური რომ არ უთხრეს, ჯერემიმ აშკარად მოწონებად მიიღო და ყოველ შაბათს კართან ფოტოსურათების დატოვება დაიწყო. მათზე ის მომენტები იყო აღბეჭდილი, რომლებიც, ცოლ-ქმრის აზრით, საკმაოდ პირადული იყო. უკანასკნელი ბიძგი, რომელმაც მანსონებს სარჩელის შეტანა აიძულა, ის იყო, რომ ჯერემიმ მათ დედა და მამა დაუძახა. როდესაც ლუკასმა ძალა მოიკრიბა და ამის მიზეზი იკითხა, ჯერემიმ მხოლოდ ესღა უპასუხა, ბიოლოგიურ მშობლებს ჩამოშორებული ვარო.

როდესაც ლორიმ კითხვა დაამთავრა, ლეომ მას ძალიან განსხვავებული ფოტოსურათის ასლი გაუწოდა. კაცს ხელში აბრა ეჭირა, რომელზეც ეწერა „ჯერემი კეროლი“ და მისი დაბადებისა და დაპატიმრების თარიღები. იგი ხუთი თვის წინ დაუპატიმრებიათ. ეჭვმიტანილის უკან გაკრული საზომის მიხედვით, ლორიმ გამოთვალა, რომ ჯერემი ხუთი ფუტი და ათი ინჩი იქნებოდა. თხელი, ყავისფერი თმა, ფერმკრთალი, პუტკუნა ლოყები და ჩამოცვენილი მხრები ჰქონდა.

- ეს ნამდვილად შეიძლება იყოს ის მამაკაცი, რომელიც ჩანაწერებში ვნახეთ, - თქვა გახარებულმა ქალმა, - როგორც ჩანს, ბრძანება დაარღვია.

- შედარებით მცირე დარღვევა იყო. მანსონების საფოსტო ყუთში ჩარჩოში ჩასმული ვარდისფერი ჟეროს[48] ფოტოსურათი და პატარა მოსაბოდიშებელი ბარათი დატოვა, სადაც მომხდარს „გაუგებრობას“ უწოდებდა.

- ვარდისფერი ჟერო? ეგ რაღა ჯანდაბაა?

---

[48] ლაკლაკისნაირთა რიგის დიდი ზომის ფრინველი.

- ფრინველია. ვარხვს[49] ჰგავს. ძალიან საყვარელია.

- არ ვიკითხავ, საიდან იცი.

- ტიმიმ დაგუგლა.

- არადა, რა აღარ ვიფიქრე. ცოცხალი ჩიტის ფოტოსურათი? ძალიან უცნაურიც არ უნდა იყოს.

- ცალკე არა. ეგ არის დევნის მთავარი ხიბლი. კონტექსტია მნიშვნელოვანი. მოკლედ, მანსონები ძალიან შეაშინა და მოსამართლემაც არ დაინდო ჯერემი. სასამართლოს უპატივცემულობაში დაადანაშაულა და ორწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა დევნის გაგრძელების გამო, თან გააფრთხილა, რომ კიდევ ერთი დარღვევა და ციხეში ჩასვამდა.

- მამა, თუ ამ ჯერემიმ კარის მეზობლებში მშობლების შემცვლელები დაინახა, რა სახის ურთიერთობა უნდა წარმოედგინა ულამაზეს ამანდასთან?

---

[49] დიდი ფრინველი.

36

ლორი ისე გაერთო ლეოსთან საუბრით, რომ კინაღამ შემდეგი ინტერვიუს გადაღებაზე დააგვიანდა. ამჯერად ამანდას ძმას, ჰენრის იღებდნენ სასტუმროს კიდეში, ოკეანესთან. როდესაც ქალმა იმ ადგილამდე მიაღწია, კამერები უკვე გამზადებული იყო, მაკიაჟის სტილისტს კი უკანასკნელი შტრიხები შეჰქონდა ჰენრის მზით დამწვარი სახის დაფარვაში.

წინაღამით ლორიმ იგრძნო, რომ ჰენრი ოფიციალურ ტანსაცმელში თავს უხერხულად გრძნობდა. ალღომ არ უმტყუნა - დღეს კაცს ხაკისფერი შარვალი და მოკლესახელოიანი მაისური ეცვა და სულ სხვა ადამიანს ჰგავდა.

- ბოდიში დაგვიანებისთვის, - უჩურჩულა ქალმა ჯერის, რომელიც ჰენრის მაისურზე უსადენო მიკროფონს ამაგრებდა.

- ვიცოდი, რომ დროზე მოხვიდოდი. არასდროს იგვიანებ.

ჰენრი სკამზე ცქმუტავდა, თითქოს კომფორტულ პოზას ეძებდა.

- მართლა ფიქრობთ, რომ ეს შოუ დაგვეხმარება იმის გაგებაში, რა მოუვიდა ამანდას?

- გარანტიას ვერ მოგცემთ, - უპასუხა ლორიმ, - მაგრამ წინა ორ ეპიზოდში ნამდვილად ასე მოხდა.

ალექსსაც თავისუფალი სტილი აერჩია. ლორიმ შეამჩნია, რომ მწვანე მაისური უფრო კარგად გამოკვეთდა მის მოლურჯო-მომწვანო თვალებს.

- ყველაფერი რიგზეა? - ჰკითხა მან.

როგორც წესი, ლორი პირველი მოდიოდა გადაღების ადგილას.

- კი არ მომწონს აუხსნელად რომ გეუბნები, მაგრამ შეგიძლია ჰენრის ფოტოგრაფსა და მის თანაშემწეზე, ჯერემი კეროლზეც ჰკითხო რამე? მოგვიანებით ყველაფერს აგიხსნი.

- ჰენრი, - თქვა ალექსმა, როგორც კი გადაღება დაიწყო, - იმ მომენტით დაიწყეთ, როდესაც უკანასკნელად ნახეთ თქვენი და.

- ხუთშაბათი, დაახლოებით შუადღის ხუთი საათი იყო. რვანი - ამანდა, ჯეფი და ქორწილის დანარჩენი მონაწილეები - ფოტოგრაფს შევხვდით დაუგეგმავი ფოტოსესიისთვის. როდესაც დავამთავრეთ, ყველანი ოთახებში წავედით, რომ დაგვესვენა და სადილისთვის მოვმზადებულიყავით.

- თქვენ ჯეფსა და მისი კოლეჯის მეგობრებს, ნიკსა და ოსტინს რვა საათზე შეუერთდით, არა?

- მართალია. ვფიქრობდი, სისულელეა ბიჭებსა და გოგონებს ცალ-ცალკე რომ გვექნება წვეულება-მეთქი, მაგრამ მეც სხვებს ავყევი. მეშინოდა, რომ ნიკი და ოსტინი რამე საშინელ გასართობს მოიფიქრებდნენ ნახევრად ჩაცმული მოცეკვავეების მონაწილეობით, მაგრამ ჯეფმა დაიჟინა, რომ ცივილიზებული საღამო გვქონოდა.

- მაგრამ მაინც ადრევე წამოხვედით მათგან.

ჰენრიმ თავი დაუქნია.

- სახლში ახალშობილი გვყავდა, ამიტომ ჩემი ცოლი არ წამოსულა. ჩემი მოგზაურობის საუკეთესო ნაწილი მთელი ღამის განმავლობაში გაუღვიძებლად ძილი იყო, თანაც მათთან თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი. სამივენი ახლო მეგობრები იყვნენ, მე კი მხოლოდ ჯეფს ვიცნობდი. მოკლედ, იქ ამანდას ძმის სახელით ვიყავი.

- ფოტოგრაფი ახსენეთ, - თქვა ალექსმა, - რეი უოკერი იყო, არა?

ჰენრიმ მხრები აიჩეჩა.

- მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ ძალიან მაღალი იყო. მგონი, თქვენზე მაღალიც კი.

- მისი თანაშემწე გახსოვთ? ჯერემი კეროლი ერქვა.

ლორის გაეღიმა. ალექსი ყველა შეკითხვას ისე სვამდა, თითქოს ეს-ესაა თავში მოუვიდაო.

ჰენრიმ თვალები მოჭუტა და სახეზე შეეტყო, რომ რაღაც გაახსენდა.

- უი, ჰო, ეგ ტიპი. მახსოვს. მისი იდეა იყო, ყველანი აუზთან დავმდგარიყავით, ვითომ ვხტებოდით. მაღალმა ფოტოგრაფმა ფოტოსურათები დედაჩემს საჩუქრად გადასცა და ეგ ჩემი საყვარელი ფოტო იყო.

- ფოტოგრაფებთან რამდენი დრო დაჰყავით?

- დაახლოებით 40 წუთი.

- გადაღების შემდეგ სასტუმროში ხომ არ შეგიმჩნევიათ?

- არა, მაგრამ დიდად მეც არ გამოვსულვარ გარეთ. ჩემს ოთახში ვიყავი, სანამ რვა საათზე ბიჭებს არ შევხვდი. ჯიტნის მანქანით[50] გოლფის სათამაშო მოედნის გვერდით მდებარე სტეიკის რესტორანში წავედით. მე მაშინ წამოვედი, როდესაც ნასადილევს სასმელებს უკვეთდნენ. ისევ ოთახში დავბრუნდი და დავიძინე.

- ჯიტნის მანქანით? - იკითხა ალექსმა, - რომელიმეს დაქირავებული მანქანა გყავდათ?

ლორი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ისეთ საზრიანობას იჩენდა ალექსი ინტერვიუებში. ჰყავდათ თუ არა ქორწილის მონაწილეებს დაქირავებული მანქანები ის დეტალი იყო, რომელ-

---

[50] მოზრდილი ტრანსპორტი, რომელსაც მგზავრები იაფად მიჰყავს დანიშნულების ადგილამდე.

ზეც ლორის გადაღების დაწყებამდე უნდა ეფიქრა, მაგრამ ალექსმა მაშინვე დაიჭირა ეს დეტალი ავტობუსის ხსენებისას.

- მე არა, - თქვა ჰენრიმ, - და არც შარლოტს. მაგრამ ვიცი, რომ ამანდამ და ჯეფმა დაიქირავეს. ამანდას უნდოდა, ტაქსის გარეშე წასულიყო საყიდლებზე.

- ნაქირავებ მანქანაში მჯდარხართ? - ჰკითხა ალექსმა.

ჰენრიმ თავი დაუქნია და გაიცინა.

- შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ბიჭებსაც მოგვიწია საყიდლებზე წასვლამ. ყველამ მოვახერხეთ, რომ რაღაც დაგვრჩენოდა - ქამარი, წინდები, საპარსი ქაფი. ჩვენ ოთხნი ქალაქში ოთხშაბათს შუადღისას წავედით.

- ეს ის მანქანა იყო, რომელიც ამანდას გაუჩინარებისას გაქრა?

- კი.

- სხვასაც ჰყავდა ნაქირავები მანქანა?

- არა მგონია.

- კვლავ ფოტოგრაფის თანაშემწეს რომ დავუბრუნდეთ, რამე არაბუნებრივი ხომ არ შეგიმჩნევიათ მისთვის?

- მაგალითად?

ყოველთვის ცდილობდნენ, მოწმეებისთვის გზა არ ეჩვენებინათ, მაგრამ გაუხსნელი საქმეების დროს ხშირად საჭირო იყო ადამიანის მახსოვრობის გამოცოცხლება.

- პროფესიონალურად იქცეოდა?

- კი, მე ასე ვიტყოდი, მაგრამ ახლა რომ ახსენეთ, გამახსენდა, რომ ქეითმა თქვა, ზედმეტად ფამილარულიაო.

- რას გულისხმობდა?

- ისეთს არაფერს. დაახლოებით ჩვენი ასაკის იყო, განსაკუთრებით მთავარ ფოტოგრაფთან შედარებით, და ჩვენთან ყოფნა მოსწონდა, თითქოს ჩვენი ჯგუფის წევრი იყო. მე არაფერი შე-

მიმჩნევია, სოციალური ეტიკეტის ექსპერტი ნამდვილად არა ვარ.

- ოპტიმისტი ჩანხართ, - თქვა ალექსმა.

- დიახ, ვფიქრობ, ვარ.

- ეგეც ხომ არ იყო იმის მიზეზი, რომ თქვენი გზა აირჩიეთ და არა ოჯახის ბიზნესში მუშაობა? ჩემი წარმოდგენით, როდესაც დედმამიშვილები ცდილობენ, ერთად მართონ კომპანია, ცოტა დაძაბული სიტუაცია იქმნება.

- ჩემი გზა იმიტომ ავირჩიე, რომ ღვინის დაყენება უფრო მომწონს, ვიდრე ქალების „ძირითადი სამოსის“ - ჰენრიმ ეს სიტყვები ხელებით ჩასვა ბრჭყალებში, - სხვა თუ არაფერი, პროდუქციის გასინჯვა შემიძლია.

- მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ დებს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო მეტოქეობა.

ლორი ხედავდა, რომ ჰენრის შეკითხვა დიდად არ მოეწონა, მაგრამ წინა კვირას ტელეფონით საუბრისას, კაცმა ორჯერ ახსენა სამუშაოს გამო უთანხმოება დებს შორის. ახლა ამას ვერ უარყოფდა.

- დედმამიშვილები ყოველთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს მშობლების სიყვარულის მოსაპოვებლად, მამაჩემის გულამდე მისასვლელი გზა კი მისი ბიზნესი იყო. თანაც, ცხადია, ყველას უნდა, რომ მის სამუშაოს პატივს სცემდნენ. არც ჩემი დები ყოფილან გამონაკლისები.

- მაგრამ მეტოქეობა ყოველთვის ორმხრივი არ ყოფილა, არა? - იკითხა ალექსმა.

- ამანდა უფრო თავდაჯერებული იყო, ვიდრე შარლოტი.

- სწორი იქნება იმის თქმა, რომ შარლოტს ხანდახან ამანდასი შურდა? - ალექსი ჯვარედინ დაკითხვაზე გადადიოდა. ყველაფერს აკონტროლებდა.

- შეიძლება.

- ბრაზდებოდა კიდეც მასზე?

- ხანდახან.

- შარლოტს ისიც ხომ ეწყინა, მამათქვენმა ამანდას ნიუ-იორკში ოფისის გახსნისა და კომპანიის გაფართოების ნება რომ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ შარლოტს ეეჭვებოდა? - ლორიმ რაღაცების გაგება ამანდას ყოფილი თანაშემწისგანაც მოახერხა.

- კი, ძალიან განაწყენებული იყო, მაგრამ თუ იმას უშვებთ, რომ შარლოტმა ჩვენს დას რამე დაუშავა, გიჟები ხართ. აი, ამიტომ არ მინდოდა ამ სულელური შოუს გაკეთება.

- ჩვენ არავის ვადანაშაულებთ, ჰენრი. უბრალოდ გვინდა, უკეთ გავიგოთ...

ჰენრი უკვე მიკროფონს იხსნიდა.

- თქვით, რომ ოპტიმისტი ვარ, არა? ეგ იმიტომ, რომ ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ. აქ კი, აი, რას ვხედავ: თქვენ ყველასკენ იშვერთ თითს, ვინც ამანდას იცნობდა და უყვარდა, რეალურად კი აქაურ შეშლილებს უნდა ეძებდეთ. მე მივდივარ.

ალექსმა მხრები აიჩეჩა, როდესაც მიხვდნენ, რომ ჰენრი დაბრუნებას არ აპირებდა.

- ხანდახან ასეც ხდება.

შოუს ხასიათიდან გამომდინარე, ლორი მიჩვეული იყო, რომ ხშირად ადანაშაულებდნენ არასწორად ეჭვის შეტანაში, მაგრამ ამჯერად ჰენრის სიტყვებს გამართლება ჰქონდა. შოუში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც ამანდას ისე უყვარდა, რომ თავის ქორწილში წამოიყვანა. ხშირად მსხვერპლს ახლო ადამიანები კლავენ, მაგრამ დასაშვები იყო, რომ ამანდასთვის ისეთ ადამიანს მიეყენებინა ზიანი, რომელსაც ქალი ამ ლამაზ ადგილას ჩამოსვლამდე არც კი იცნობდა.

იქნებ ეს ადამიანი ჯერემი კეროლიც კი იყო.

37

ლორი სასტუმროს დასასვენებელ ოთახში იჯდა და ყურადღებით კითხულობდა სასმელების სარისკო სახელებს. მენიუს მიხედვით, ყველა სასმელი სასტუმროს ბარმენის შექმნილი იყო. ოცდაათიანების სტილში გადაწყვეტილ ოთახში მჯდარ ქალს თავი „ბრმა ღორში“[51] ეგონა.

ქალმა იგრძნო, როგორ შეეხო მხარზე ვიღაც ნაზად. აიხედა და ალექსი დაინახა. კაცმა სწრაფად აკოცა და უთხრა:

- იმედია, დიდხანს არ გალოდინე.

- მე თვითონ დავჯექი. აბა, ვინ მოიგო?

ალექსი და ლეო სპორტულ ბარში გაიპარნენ იანკების თამაშის დიდ ეკრანზე საყურებლად. ლეომ დაიფიცა, რომ არ დაარღვევდა დიეტას, რომელსაც შარშანდლის შემდეგ იცავდა, როცა მარჯვენა პარკუჭში ორი სტენტი ჩაუდგეს, მაგრამ ლორის შეეძლო, დარწმუნებით ეთქვა, რომ რამდენიმე ქათმის ფრთის შეჭმის ცდუნებას ვერ გაუძლებდა.

- „რედ სოქსმა“, - ამოიოხრა ალექსმა, - ცხრით ერთი, ნამდვილი სიგიჟე იყო. დედა-შვილის სადილმა როგორ ჩაიარა?

- შესანიშნავად. ტიმიმ სპაგეტითა და დაბრაწული გუფთით სავსე თეფში გადასანსლა და ჩემი ლაზანიის ნახევარიც დააყოლა. ჩემს პატარა ბიჭს დიდი მადა აქვს. ისევ მეჩიჩინება, რომ სასრიალოზე გაჰყვე.

---

[51] დაწესებულება ამერიკაში, სადაც მშრალი კანონის მოქმედების დროს (1920-1933 წწ.) არალეგალურად ყიდდნენ ალკოჰოლს.

- სიამოვნებით წავიყვან, - თქვა ალექსმა, - დილაადრიან წავალთ, სანამ გადაღებას დავიწყებთ.

- და იდეალურ ვარცხნილობას გაიფუჭებ?

- ჯერ გრეისი, ახლა შენ, - გაიღიმა მან, - თუკი შენ ფიქრობ, რომ იდეალურია...

მათ მიმტანი მიუახლოვდა ორი ჭიქა წყლითა და ზეთისხილით სავსე ლანგრით. ლორიმ არყით შეზავებული „მარტინი“ შეუკვეთა, ალექსმა კი ლუდი.

- მე და მამაშენმა უკვე გადავკარით რამდენიმე ჭიქა. ხომ არ გინდა, ხვალ, კამერაში, გაწითლებული თვალებით გამოვჩნდე? - მაგიდის გადაღმა ლორის ხელს დასწვდა. თბილი ხელი ჰქონდა. კარგი გრძნობა იყო.

- მე კი სადილობისას წვეთი არ დამილევია. როდესაც ცხრა წლის ბავშვთან ერთად სადილობ, შენ გიწევს საჭესთან დაჯდომა. თემა შევცვალოთ. ჰენრის ნათქვამი ნაქირავები მანქანის შესახებ რამენაირად დაგვეხმარება?

ალექსმა ამოიოხრა.

- არც ისე. ცოტა ხნის წინ ფოიეში ოსტინს გადავეყარე. ჰენრის ნათქვამი დაადასტურა, მართლაც გამოუყენებიათ მანქანა ქალაქში ჩასასვლელად. დარწმუნებული ვარ, ქეითი, შარლოტი ან მეგანიც დაადასტურებენ, რომ გოგონებმაც გამოიყენეს მანქანა საყიდლებზე წასვლისთვის.

- პოლიციის ანგარიშსაც გადავამოწმებ დაქირავებული მანქანის ძებნის თაობაზე, - თქვა ლორიმ, - როგორც ჯერიმ თქვა, იქ მნიშვნელოვანი სამხილი არ უპოვიათ, მაგრამ მაინც დავრწმუნდები.

- ჰენრისთან ინტერვიუს შემდეგ გადავიკითხე, - კაცმა სასმელი მოსვა და ჩაიცინა, - ხნიერმა ჯენტლმენმა მანქანა ამანდას გაუჩინარებიდან სამი დღის შემდეგ იპოვა და პოლიციას შეატყობინა. როდესაც პოლიციამ ჰკითხა, რას აკეთებდა მიტოვებუ-

ლი ავტოგასამართი სადგურის უკან, აღიარა, რომ ტუალეტი სჭირდებოდა, ფიქრობდა, რომ სახლამდე მისვლას ვერ მოასწრებდა.

ლორიმ გაიღიმა.

- პოლიციაში რატომ დარეკა?

- არ აპირებდა, მაგრამ მძღოლის მხარეს, კართან ახლოს დაგდებული გასაღები შენიშნა. იფიქრა, ალბათ, მანქანა მოიპარეს და მიატოვესო და სახლიდან პოლიციაში დარეკა.

- დე-ენ-ემი ან თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს? - ჰკითხა ლორიმ.

- პოლიციამ ორივე შეამოწმა. მხოლოდ ამანდასა და ჯეფის თითის ანაბეჭდების აღება მოახერხეს საჭიდან. ამანდას ანაბეჭდები ოთახიდან წაღებულ მის პირად ნივთებზე გადაამოწმეს, ჯეფმა კი ნებაყოფლობით გასცა თავისი. ორივე იჯდა საჭესთან, ასე რომ, შედეგი გასაოცარი სულაც არ ყოფილა. არც დე-ენ-ემის ანალიზს უჩვენებია რამე. ექვსივე ქორწილის მონაწილე მანქანაში იჯდა, ასე რომ, მათი დე-ენ-ემის აღმოჩენა ახალს არაფერს ამბობდა. თან, ხომ გახსოვს, დაქირავებული მანქანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან გაქირავებამდე ასუფთავებდნენ, მაინც სავსე იყო ყოფილი დამქირავებლების დე-ენ-ემებით. პოლიციამ ნაპოვნი დე-ენ-ემი დამნაშავეებისასაც შეადარა, მაგრამ არაფერი დაემთხვა.

- ანუ მანქანა არაფერს გვეუბნება, - თქვა ლორიმ.

- მთლად ეგრეც არაა, - უპასუხა ალექსმა, - სისხლი ან თმის ბღუჯა რომ ენახათ, ძალადობის ნიშანი იქნებოდა, მაგრამ არ უნახავთ. და კიდევ, მანქანის პოვნის წინაღამეს ძალიან მაგრად იწვიმა. ამანდას ან მასთან ერთად მყოფი ადამიანის თითის ანაბეჭდებიცა და სხვა მანქანის სავარაუდო კვალიც ჩამოირეცხებოდა.

- ჩიხი, - გაიცინა ლორიმ.

- უი, არ გაიხედო, მაგრამ ბართან ნაცნობებს ვხედავ, - თქვა ალექსმა ხმადაბლა.

ლორიმ ბარისკენ თვალი გააპარა. ოსტინი და ნიკი სკოჩის მსგავს სასმელს სვამდნენ. მათი თავები ერთდროულად შებრუნდა, როდესაც ბარში საღამოს კაბებში გამოწყობილი გოგონები შემოვიდნენ.

- როგორც ჩანს, სანადიროდ არიან, - თქვა ლორიმ.

- ნამდვილად.

- შენი აზრით, ხომ არ გაბრაზდებიან, ხელს თუ შევუშლი? მინდა, ვკითხო, ჯერემი კეროლი თუ ახსოვთ.

- შუადღისას მაგაზე ვფიქრობდი, - თქვა ალექსმა, - დარწმუნებული ვარ, პოლიციას არც კი უფიქრია მისი დაკავშირება ამანდასთან.

- მეც ასე მგონია. ფოტოგრაფ რეი უოკერსაც არ უფიქრია მასზე, სანამ ჯერიმ არ დაურეკა. მხოლოდ ამანდას გაუჩინარების შემდეგ უჩივლეს კლიენტებმა, მეზობლებს კი შარშანდლამდე არ დასჭირვებიათ დაცვითი სასამართლო ბრძანება. პოლიცია ნამდვილად ვერ იფიქრებდა, რომ ჯერემი ამანდას საქორწილო ფოტოსურათებს იღებდა.

- მასთან დაკავშირებას აპირებ?

- მისი უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ შეგვიძლია. ნეტავ ვიცოდე, ის არის თუ არა, ვინც ამანდას გაჰყვა. ვნახოთ, ნიკსა და ოსტინს რა ახსოვთ.

- გინდა, წამოგყვე? - ჰკითხა ალექსმა და წამოდგომა დააპირა.

- არა, მგონი, დააფრთხობ. ძალიან დიდი კონკურსია საუკეთესო გარეგნობის მქონე მამაკაცის ადგილზე „გრანდ-ვიქტორიაში“.

კაცი ღიმილით უყურებდა მისგან მიმავალ ქალს.

- ქალბატონო მორენ, - წამოიყვირა ნიკმა, - სასმელზე დაგპატიჟებთ.

ლორიმ შენიშნა, რომ ოსტინი დიდად არ მოუხიბლავს ამ წინადადებას. ალბათ, ლორი არ იყო ის ქალი, ვისთან ერთადაც საღამოს გატარების იმედი ჰქონდა.

- გთხოვთ, ლორი დამიძახეთ. გმადლობთ, მაგრამ უკვე მაქვს, - ალექსისკენ ანიშნა, რომელმაც მსუბუქად დაუქნია მათ ხელი, - არ მინდა, დიდი ხნით შეგიშალოთ ხელი. გამოძიებაში რაღაც ამოტივტივდა. ხომ არ გახსოვთ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ამანდასა და ჯეფის ქორწილის ფოტოგრაფს ეხმარებოდა? ჯერემი კეროლი ერქვა.

- სტაჟიორი, - მაშინვე თქვა ოსტინმა, - ცნობისმოყვარე, უცნაური ახალგაზრდა. როგორც მახსოვს, კარგ ფოტოებს იღებდა.

- ანუ გახსოვთ!

- ოსტინს ყველა ახსოვს, - თქვა ნიკმა, - ხალხის ყურება უყვარს. მე ისიც კი არ მახსოვს, ქორწილს ფოტოგრაფი თუ ჰყავდა.

ოსტინმა დაწვრილებით აღწერა აუზთან ჩატარებული ფოტოსესია, მაგრამ ნიკს კვლავ უტყვი სახე ჰქონდა.

- რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ მისთვის? - იკითხა ლორიმ.

- თქვენი აზრით, შეიძლება ეჭვმიტანილი იყოს? - იკითხა ოსტინმა დაძაბული ხმით, - ამდენი წელია ხალხს ვუმტკიცებთ, რომ ჯეფი ამანდას არაფერს დაუშავებდა. ჰენრი თავიდანვე ამბობდა, ალბათ, სასეირნოდ გავიდა და საშიშ ტიპს გადაეყარაო. და დასაშვებია, რომ სტაჟიორი იყოს ასეთი ტიპი?

- ჯერჯერობით, მხოლოდ იმას ვცდილობთ, რომ ყველა იმ პირის სახელი გვქონდეს, ვისაც ამანდა აქ შეხვდებოდა.

- ახლა რომ ვფიქრობ, ეგ ტიპი მეტისმეტად ცნობისმოყვარე ჩანდა, - თქვა ოსტინმა, - ვიფიქრე, უბრალოდ მონდომებულია-- მეთქი, ისევე, როგორც ყველა სტაჟიორი.

- ამანდას მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ხომ არ იჩენდა?

- მგონი, კი, - ამჯერად ღრმად შეძრწუნებული ხმა ჰქონდა, - მაშინ ეს ჩვეულებრივად მეჩვენებოდა. სხვა თუ არაფერი, პატარძალი იყო. ალბათ, ვინმეს ეს ფაქტი პოლიციისთვისაც უნდა გაეზიარებინა.

- დიდი მანძილია სამსახურში მონდომებულობიდან ვინმესთვის რამის დაშავებამდე, - ქალს არ უხსენებია ჯერემის ახლანდელი სამართლებრივი პრობლემები.

ნიკმა ბოლომდე გამოცალა თავისი სკოჩი და ანგარიში მოითხოვა.

- ამჟამად მხოლოდ ამით შეგვიძლია თქვენი დახმარება, ლორი? - აშკარად ერჩივნათ, უფრო საინტერესო დიალოგი ჰქონოდათ თავისუფალ ქალებთან.

- კიდევ ერთი შეკითხვა, სანამ აქა ხართ: იმის გარკვევას ვცდილობდით, ვის ჰყავდა დაქირავებული მანქანა იმ კვირას. ვიცით, რომ ჯეფმა და ამანდამ დაიქირავეს. კიდევ ვინმე იყო ასეთი?

- არა, მხოლოდ ჯეფი. ჩვენ იახტების ხალხი ვართ, - თქვა ნიკმა და საკუთარ ხუმრობაზე თვითკმაყოფილად გაიღიმა. ოსტინმა ლორის დეტალურად უამბო იახტებით მათი ახალი გატაცების შესახებ და არც აბრების ხსენება დავიწყებია.

- სულ ესაა? - იკითხა ნიკმა.

ლორის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ნიკი ან ახლავე უნდა წასულიყო, ან კიდევ ერთი სასმელი შეეკვეთა.

- დიახ... და გთხოვთ, ამას ჩემს თავზე ავიღებ, - თქვა და ჩეკს დასწვდა, - ეს ყველაზე ცოტაა, რისი გაკეთებაც შემიძლია.

ნიკმა ნაზად შეახო ხელი იდაყვზე. ნამდვილად კარგად შეეძლო ფლირტი.

- ძალიან არ მინდა ამის თქმა, ლორი, მაგრამ იმაზე ბევრად მეტს იღებთ თავზე, ვიდრე ეს ჩეკია. ყველაფერი ოთახის ანგარიშს მივაბით.

„ბრეტ იანგი აღფრთოვანდება“, - გაიფიქრა ლორიმ.

38

- აბა, როგორ ჩაიარა? - ჰკითხა ალექსმა, როდესაც ქალი მაგიდასთან დაბრუნდა.

ლორიმ ახალი ინფორმაცია გაანდო.

როგორც ყოველთვის, კაცმა ყველაფერი სწრაფად გადაამუშავა.

- კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ჯერემი კეროლი ცოტა ვერაა.

ჯეფმა, ოსტინმა და ნიკმა პოლიციას ერთი და იგივე დრო დაუსახელეს. სამივე მეგობრის თქმით, ნასადილევს ჯეფის ოთახში წავიდნენ დასალევად. დაახლოებით თერთმეტი საათისთვის ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ნიკი და ოსტინი თავ-თავიანთ ოთახებში წავიდნენ დასაძინებლად.

- ალექს, დაფიქრდი, თერთმეტი საათისთვის ოთხივენი თავიანთ ოთახებში იყვნენ, მარტონი. ჰენრი ამტკიცებს, რომ უფრო ადრე, ათი საათისთვის დაწვა დასაძინებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოთხი ადამიანის ადგილსამყოფლის დადასტურება არავის შეუძლია თერთმეტი საათის შემდეგ, იმ ღამეს, როცა ამანდა გაუჩინარდა.

- მართალია, - დაეთანხმა ალექსი.

- ამანდა დაახლოებით თერთმეტი საათისთვის გამოვიდა ლიფტიდან.

- ვითომ ამ ოთხიდან ერთ-ერთს ხვდებოდა?

- არ ვიცი. საინტერესო ის არის, ჯერემი თუ იყო სასტუმროში იმ დროს. თუ იყო, შესაძლოა, ამანდა დაენახა და მას გაჰყოლოდა.

- მამაშენმა ჯერემის მისამართი გაიგო. აქედან შორს არ არის.

- მეც სწორედ ამას ვფიქრობდი. ხვალ, გადაღების შემდეგ, მინდა, ბატონ კეროლს ვესტუმრო.

- ლორი, გთხოვ, არ მითხრა, რომ მარტო აპირებ წასვლას.

- ნუ ნერვიულობ. შეიარაღებული კომისარი ლეოც ჩემთან ერთად იქნება.

- კიდევ კარგი. სხვა თემაზე გადავალ - ხვალ საღამოს ერთად ვივახშმოთ? ქალაქში ახალი რესტორანია, ძალიან აქებენ.

- მართლა? მხოლოდ ჩვენ ორმა?

- რომანტიკულ ვახშამზე ყველაფერს მომიყვები ჯერემი კეროლთან შეხვედრის შესახებ.

ლორიმ გაიცინა და თქვა:

- რა შეიძლება იყოს უფრო რომანტიკული? თანახმა ვარ.

ნახევარ საათში უკვე ლიფტისკენ მიდიოდნენ. ლორიმ ჯერემი კეროლზე დაიწყო ფიქრი. ბარის გარეთ, უკვე ჩაბნელებულ ადგილს გახედა. ქალმა წარმოიდგინა იქ დამალული კეროლი, რომელსაც ცალ მხარზე კამერა ჰქონდა გადაკიდებული. წარმოიდგინა, როგორ ჩაუარა ამანდამ წინ, რომელსაც არც კი შეუმჩნევია ახალგაზრდა ფოტოგრაფი, რომელიც მას უყურებდა... და დაედევნა.

39

ადგილი, სადაც ჯერემი კეროლი ცხოვრობდა, რანჩოებისა და ბუნგალოების სტილის სახლების ნარევი იყო და მშვენივრად შემონახულიც. ერთადერთი გამონაკლისი იყო მისი სახლი, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა კედლების შეღებვაცა და გაზონის გაკრეჭაც. მეზობლებმა ჩივილის დროს აღნიშნეს, რომ ჯერემიმ ეს სახლი სამი წლით ადრე მემკვიდრეობით მიიღო დიდი დეიდისგან.

ლორი ტროტუარზე შეჩერდა.

-აქ რომ მოვედით, ახლაღა ვიფიქრე, პოლიციისთვის ხომ არ უნდა დაგვერეკა-მეთქი.

- სამი ათწლეული ვმუშაობდი მანდ, ლორი. ვიცი, როგორ მუშაობს პოლიცია. ჩვენი ეჭვები რომ გაგვემხილა, მთელ დღეს ყველაფრის არევ-დარევას მოუნდებოდნენ. ალბათ, უბნის იურისტის თანაშემწესაც კი დაურეკავდნენ რჩევისთვის. ჯერემი მაშინვე აიყვანდა ადვოკატს, როგორც კი ამანდას შესახებ დაუსვამდნენ შეკითხვებს. ჩვენ კი უბრალოდ ორი მოქალაქე ვართ ნიუ-იორკის სატელევიზიო შოუდან. მის ასალაპარაკებლად ამის გამოყენებას შევძლებთ.

- უბრალოდ მისვლა და კარზე დაკაკუნება უსაფრთხოა?

- რადგან მეც აქ ვარ, კი.

ლორიმ დაინახა, როგორ შეაცურა ლეომ ხელი ქურთუკის ქვეშ, სადაც იარაღს ინახავდა. ამდენი წლის პოლიციაში გატარების შემდეგ მის გარეშე თავს ბუნებრივად არ გრძნობდა.

ლორის გულისცემა აუჩქარდა, როდესაც მამამისმა ზარი დარეკა. ახლა ამანდას მკვლელისთვის უნდა ჩაეხედათ თვალებში?

როდესაც კარი ნელა გაიღო, ქალმა მაშინვე იცნო ჯერემი დაკავების დროს გადაღებული ფოტოდან. იგივე ხაფანგში გაბმული, შეშინებული გამომეტყველებაც კი ჰქონდა.

- აქ რას აკეთებთ?

ინსტინქტურად ლორიმ მის ხელებსა და ტანსაცმელს შეხედა, რომ დაენახა, შეიარაღებულია თუ არაო. ხელში არაფერი ეჭირა და მაისური და საშინაო შარვალი ეცვა. სულაც არ იყო იდეალური ტანსაცმელი იარაღის დასამალავად. ქალს გულისცემა დაუწყნარდა.

მაგრამ მერე მზერა ჯერემიდან მის სახლზე გადაიტანა. მისაღებში მხოლოდ ყავისფერი გაცვეთილი დივანი და ტელევიზორი იდგა. მის უკან, სასადილო ოთახში, მაგიდა და ორი სკამი შენიშნა. ავეჯის ნაკლებობის მიუხედავად, სახლი გადატვირთული იყო: ძველი კომპიუტერები, ვიდეოაღჭურვილობები და პრინტერები მთელ სახლში მიმოფანტულიყო. ჟურნალებისა და გაზეთების დასტები ხუთი ფუტის სიმაღლემდე ასულიყო. და ყველგან, საითაც ლორიმ გაიხედა, ფოტოები იყო - იატაკზე, მაგიდაზე, კედლებზე.

გაფართოებული თვალებით ლეოს გახედა.

კაცმა თქვა:

- ჩვენ ფიშერ ბლეიკის სტუდიიდან ვართ და საუბარი გვინდა თქვენი ფოტოგრაფიული ნამუშევრების შესახებ.

ჭკვიანური იყო. მათი შოუს სახელი ჯერემის შეაშინებდა. ფიშერ ბლეიკის სტუდია კი ფოტოგრაფიის კომპანიის სახელს ჰგავდა. მიუხედავად ამისა, ჯერემი ჯერ კიდევ ეჭვით უყურებდა მათ.

- სამხრეთ ფლორიდაში ყველა ცნობილ ფოტოგრაფთან გავგზავნე ჩემი ნამუშევრები, მაგრამ თქვენზე არაფერი მსმენია, ბატონო ბლეიკ.

- ოჰ, ბატონი ბლეიკი არა ვარ. ლეო მქვია, - კაცმა ხელი გაუწოდა, - ეს კი ლორია. ჩვენ აქაურები არა გახლავართ. ნიუ-იორკიდან ვართ.

„დიდი ვაშლის“ ხსენებაზე ჯერემის თვალები გაუნათდა, თუმცა მაშინვე ჩაუქრა, როდესაც ლეომ ფოტო მიაწოდა „გრანდ-ვიქტორიას“ ვიდეოდან. ლორი მიხვდა, რომ კაცმა თავისი თავი იცნო. დარწმუნდა: სწორედ ჯერემი იყო ის კაცი, ვინც ამანდას გაუჩინარების დღეს, ექვსის ნახევარზე, მას დაედევნა.

- ეს „გრანდ-ვიქტორიადან“ არის, - თქვა ლეომ, - ხედავთ თარიღს სურათის ქვეშ? გახსოვთ ის ღამე?

ჯერემიმ ნელა დაუკრა თავი. არც კი უარყოფდა, რომ ეს კაცი თვითონ იყო.

- რეი უოკერმა, ფოტოგრაფმა, რომელმაც დაგიქირავათ, გვითხრა, რომ ხუთ საათზე დაასრულეთ გადაღება. თუმცა თქვენ ნახევარი საათის შემდეგაც იქ იყავით. და როდესაც ამანდა დაინახეთ, მას დაედევნეთ. ყველაფერი გადაღებულია.

- ვერ ვხვდები. თქვენ ვინ ხართ?

ლორიმ გადაწყვიტა, რომ ჯერემის უფრო მეტად შეშინება ღირდა და უთხრა, გადაცემიდან „ეჭვქვეშ“ ვართ, ამანდა პირსის გაუჩინარებას ვიძიებთო, - შეიძლება, შემოვიდეთ? - და პასუხს არ დალოდებია, ისე შევიდა, ლეოც მას შეჰყვა. ქალს უკვე აღარ ეშინოდა. ეს კაცი ლაჩარი იყო, ძალა მხოლოდ ჩრდილში, კამერის უკან ჰქონდა. მამამისს ვერაფერს გაუბედავდა.

- პოლიციას რატომ არ უთხარით, რომ გადაღების შემდეგ ამანდა დაინახეთ? - ჰკითხა ლეომ მკაცრად.

- იმიტომ, რომ არავის უკითხავს... და კიდევ, ვიცოდი, თუ ვეტყოდი, ჩემზე მოიტანდნენ ეჭვს. ყველას ყოველთვის ჩემზე მოაქვს ეჭვი.

- თქვენ მოგწონთ ფოტოების გადაღება მაშინ, როდესაც არ გიყურებენ, - ლორიმ ფოტოსურათებზე მიუთითა. უცებ თვალის

გადავლების დროსაც კი შეამჩნია, რომ უმეტესობა დიდი მანძილიდან იყო გადაღებული და სუბიექტებმა არც კი იცოდნენ, რომ ვიღაც უცნობი უყურებდა მათ.

- ეს ჩემი ხელოვნებაა. ყვავილებსა და პეიზაჟებს არ ვიღებ. ხალხს ვუღებ, მაგრამ არა მაშინ, როდესაც პოზიორობენ და ხელოვნურები არიან. მე მათ რეალობას ვიჭერ. ყველას ეს არ უნდა? გადახედეთ ინტერნეტში გაზიარებულ ფოტოებს. ხალხს უყვარს, როდესაც სურათებს უღებენ.

- თქვენს მეზობლებსაც? - თქვა ლეომ, - დიდად ბედნიერები არ ჩანდნენ თქვენი ხელოვნებით.

- ეგ გაუგებრობა იყო. ახსნა ვცადე. როდესაც მივხვდი, რომ არ მოსწონდათ, მათი ყველა ფოტოსურათი მოვიშორე. მათი შენახვა არასწორი იქნებოდა.

- ამანდაზე რას იტყვით? - ჰკითხა ლორიმ, - მისი ფოტოსურათები გაქვთ? ისეთები, რომელთა შესახებაც არ იცოდა? - ლორი სასადილო ოთახში შევიდა და მაგიდაზე დაყრილ ფოტოებს დაუწყო თვალიერება.

- გაჩერდით! - დაიგუგუნა ჯერემის ხმამ. ლეო ლორისკენ გაექანა და მასსა და ჯერემის შორის ჩადგა, - გთხოვთ, - თქვა ჯერემიმ დაბალი ხმით, - უნდა წახვიდეთ. აქ ყოფნის უფლება არა გაქვთ. ჩემს სახლში იჭრებით. გადით.

ლორიმ მამამისს გახედა.

- პოლიციაში დავრეკავ, თუ არ წახვალთ, - დაემუქრა მათ ჯერემი.

ლეომ ლორის ხელი მოჰკიდა და კარისკენ წაიყვანა. სხვა გზა არ ჰქონდათ.

- მამა, - თქვა ქალმა, როდესაც მანქანაში ჩასხდნენ, - ამანდას ფოტოები აქვს. ვიგრძენი. ახლა მათ გაანადგურებს.

- არა, ამას არ იზამს, - თქვა ლეომ მკაცრად და მანქანის ძრავა ჩართო, - ეს ფოტოები მისთვის მეტისმეტად ბევრს ნიშნავს. მისი მოგონებებია ამანდაზე.

40

როდესაც ლორი ალექსის ოთახში შევიდა, კაცი მას ჩაეხუტა.

- არ მინდოდა, გცოდნოდა, როგორ ვნერვიულობდი. მადლობა ღმერთს, ორივენი უვნებელი დაბრუნდით. როგორი იყო?

ლორი დივანზე დაჯდა და ხელები სახეზე აიფარა.

- საშიში.

- დიდი უცნაური ვინმეა, - თქვა ლეომ, - ნამდვილად გიჟია.

- კოლექციონერივით ცხოვრობს, - აუხსნა ლორიმ, - იატაკიდან ჭერამდე, ყველგან, ფოტოები აქვს. საშინელებათა ფილმში მეგონა თავი. როდესაც ჩავაჟინდი, ამანდას ფოტოები გაქვს თუ არა-მეთქი, სახლიდან გამოგვყარა. მამა, ახლა უნდა დავრეკოთ პოლიციაში?

- და რა ვუთხრათ? - თქვა ლეომ, - სამხილი არა გვაქვს, მაგრამ გეუბნები: ისაა, ვინც პოლიციას წლების წინ გამორჩა. საქმესთან მისი დაკავშირება ნამდვილი საოცრება იქნება.

- ვერ ვხვდები, - ჩაერთო ალექსი, - ახლახან თქვი, რომ სამხილი არა გაქვთ. რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული, რომ დამნაშავეა?

ლეომ თავი გააქნია.

- ხანდახან მავიწყდება, რომ ადვოკატი ხარ. მენდე, იქ ვიყავით. ჯერემი კეროლმა ნამდვილად იცის რაღაც.

- ლეო, დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეგ ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეა. ხშირად მყოლია ისეთი კლიენტი, რომელსაც პოლიცია მხოლოდ იმიტომ ეკიდება, რომ ნერვიულობდა ან უწყინარი საიდუმლოს შენახვას ცდილობდა.

- არავინ არავის ეკიდება...

- კარგი, გთხოვთ, ნუ იკამათებთ, - სთხოვა ლორიმ, - ალექს, მამა მართალია. შენ არ ყოფილხარ იმ სახლში. უეჭველია, ჯე-

რემი... - ქალი გაჩერდა, შესაფერის სიტყვას ეძებდა, - ძალიან უცნაურია. არც კი უარუყვია, რომ ვიდეოში თვითონ იყო. ამანდას დაედევნა... და ნასამართლებიცაა ადამიანების შევიწროებისთვის.

- კი, მაგრამ თქვენ ბევრად უარეს რამეს აბრალებთ, - დააზუსტა ალექსმა.

ლორი მამისკენ შებრუნდა:

- მამა, ალექსი მართალია. სანამ სამხილი არ გვექნება, დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ.

- რისი გაკეთება გინდა? - ჰკითხა ალექსმა, - ყველაფერი შენი გადასაწყვეტია.

- მამა, - დაიწყო ლორიმ, - შენს გამოცდილებაზე დაყრდნობით ფიქრობ, რომ ჯერემი არც გაიქცევა და არც სამხილებს გაანადგურებს, თუ ამჯერად არაფერს გავაკეთებთ?

ლეომ მხრები აიჩეჩა. - არ ვიცი, მაგრამ ადამიანს, რომელიც ძველ გაზეთებსაც კი ვერ ყრის, გაუჭირდება იმ ფოტოების გადაყრა, რომელსაც ხუთ წელზე მეტხანს ინახავდა, თანაც ის სახლი, ალბათ, მისი ერთადერთი ქონებაა. იმ ტიპის ადამიანი ნამდვილად არაა, ვინც თავის თვითმფრინავზე დაჯდება და მსოფლიოს სხვა მხარეს გაიქცევა.

- ესეც არ დაგავიწყდეთ, - თქვა ალექსმა, - ის ფაქტი, რომ რაღაც იცის ამანდას გაუჩინარების შესახებ, მას დამნაშავედ არ ხდის.

ლორიმ თავი დაუქნია.

- შენ რას ფიქრობ ამაზე? ჯერი დაურეკავს და ეცდება, ყველაფერი გამოასწოროს. ეტყვის, რომ ყველას ვუკავშირდებით, ვინც იმ დღეებში „გრანდ-ვიქტორიაში“ იყო და მის პირად სივრცეში შეჭრა არ გვინდოდა. შეიძლება ამან დაამშვიდოს.

- კარგი იდეაა, - თქვა ალექსმა.

- და, ალექს, არავის გვინდა ნაადრევად დასკვნის გამოტანა. ცივ გონებას შევინარჩუნებთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, სხვები ცეცხლთან ახლოს გვყავდნენ. არავინ არ უნდა დავინდოთ.

- არავის დანდობას არ ვაპირებ, - ალექსს თვალები აენთო.

- შემდეგი მეგანია. ერთი სული მაქვს, გავიგო, როგორ დაქორწინდა საუკეთესო მეგობრის საქმროზე, - თქვა ლორიმ, ადგა და კარისკენ წავიდა.

41

- მზად ხართ, ქალბატონო უაით? კამერები ამჟამინდელი განათების მიხედვით გვაქვს დაყენებული, გარეთ კი ჩრდილები მალე იცვლება.

მეგან უაითმა თითი ასწია. უკეთესი სატელეფონო სიგნალი რომ ჰქონოდა, აქამდე დაამთავრებდა კიდეც. როდესაც ჯეფს უთხრა, რომ ამ საშინელ შოუში მონაწილეობას მიიღებდა, ეგონა, მისი სამსახურის განრიგს გაითვალისწინებდნენ, ნაცვლად ამისა, მოულოდნელად იხმეს, თითქოს მეგანს ღილაკზე თითის დაჭერით შეეძლო ყველა საქმის შეჩერება.

ცდილობდა, ყველაფერი ინტერნეტით მოეგვარებინა, მაგრამ სასტუმროს ინტერნეტი სამარცხვინოდ მუშაობდა, ამიტომ თავისივე ტელეფონის ინტერნეტს იყენებდა. ქალი უყურებდა, რა ნელა იწერდა კომპიუტერი სააპელაციო საქმეს. თანაშემწე - ჰო, რა ჰქვია? ჯერი, არა? - წრიალებდა. უნდოდა, მისთვის ეთქვა, თუ დროს ამხელა მნიშვნელობა აქვს, შიგნით გადავიღოთო, - ერთი წამიც, გპირდებით.

როდესაც გადმოწერა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა, მეგანმა ლეპტოპი დახურა და ჯერის როტანგის[52] სავარძლებისკენ გაჰყვა, რომელიც ლორი მორენმა მთავარი შენობის უკან, სანაპიროსთან დააწყო. თავს ძლივს იკავებდა, რომ მაკიაჟი არ ჩამოერეცხა. ქალი, რომელმაც გაალამაზა, დაჰპირდა, რომ ეკრანზე ბუნებრივად გამოჩნდებოდა, მაგრამ მეგანს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტალახი ესვა. კამათი მაშინ შეწყვიტა, როდესაც ვიზაჟისტმა უთხრა:

---

[52] როტანგის პალმა ტროპიკული მცენარეა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ხარობს, იყენებენ ავეჯის მასალად.

- ეკრანზე სახეწაშლილი თუ არ გამოჩნდები, კარგი იქნება. შეშინებულს დაემსგავსები.

მეგანს ეშინოდა, მაგრამ არ უნდოდა, ეს შესტყობოდა. ამიტომ ითხოვა, ლოყები უფრო შეეწითლებინათ.

ლორი მორენი, ქალი, რომელმაც გასულ კვირას მისი ტელეფონი აიკლო, სანდომიანი ჩანდა, მაგრამ მეგანმა თითქოს სარკაზმი შენიშნა, როდესაც ქალმა უთხრა, მოხარული ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, პირადად შევხვდებითო. მეგანი უფრო მეტად ალექს ბაკლისთან საუბარზე ნერვიულობდა. მისი ჯვარედინი დაკითხვის უნარი კარგად იყო ცნობილი.

ლეპტოპი უკვე დახურა, ასე რომ, გადადების მიზეზი აღარ ჰქონდა. „კარგი, - უთხრა თავის თავს, - მოდი, ესეც გავაკეთოთ, მერე კი მე და ჯეფი შინ დავბრუნდებით და ცხოვრებას ძველებურად გავაგრძელებთ“.

როდესაც შესავალი დაასრულეს, ალექს ბაკლიმ მეგანს სთხოვა, მისი და ჯეფის არშიყობის დროზე ესაუბრა.

„აშკარად არაფერს ერიდება, - გაიფიქრა მეგანმა, - პირდაპირ შეტევაზე გადმოდის“.

- უნდა გცოდნოდათ, რომ ზოგს არ მოეწონებოდა თქვენი ურთიერთობა, როდესაც ამანდა - მისი საცოლე და თქვენი საუკეთესო მეგობარი - ჯერ კიდევ დაკარგული იყო.

მეგანმა ათასჯერ გაივარჯიშა პასუხის გაცემაში, მაგრამ ახლა, როდესაც აქ იყო, მხოლოდ მისკენ მოშვერილ კამერებსა და განათებაზე ფიქრი შეეძლო. ბევრი იშრომა იმისთვის, რომ ეს ყურადღება თავიდან აეცილებინა.

მაინც მოახერხა და დაზეპირებული პასუხი ამოთქვა:

- ჩვენც ისეთივე გაკვირვებულნი ვიყავით, როგორც სხვები, ალექს.

- წლების განმავლობაში ბევრისთვის გითქვამთ, რომ ამანდა და ჯეფი ერთმანეთს ხელმეორედ თქვენ წარუდგინეთ.

- ნამდვილად. ბრუკლინში, ყავის სახლში. ამანდა გიჟდებოდა იქაურ ორცხობილებზე, - თქვა სევდიანად.

- მაგრამ ეს გააზრებულად არ გაგიკეთებიათ, არა? - ჰკითხა კაცმა თანაგრძნობით, - ჯეფი ხომ შემთხვევით შეგხვდათ?

- დიახ, მართალია.

- ჯეფი ჯერ კიდევ კოლეჯში მოგწონდათ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

-კოლეჯის გატაცებები წარმავალია.

- მაგრამ ნამდვილად მოგწონდათ... და ისიც ძალიან გაგიხარდათ, სამართლის სკოლის შემდეგ ორივენი ნიუ-იორკში რომ აღმოჩნდით და პაემანზე დაგპატიჟათ.

- დიახ, ასე იყო.

- თქვენ უთხარით, რომ მისი ნახვა აღარ გინდოდათ თუ მისი გადაწყვეტილება იყო?

- ასე არ ყოფილა. მაგაზე არც კი გვისაუბრია. უბრალოდ, მესამე პაემანზე აღარ წავსულვართ.

- იმიტომ, რომ ჯეფმა აღარ დაგპატიჟათ?

- დიახ.

მეგანი ხვდებოდა ამ შეკითხვების არსს. შოუს მის წინააღმდეგ ერთი ქულა ჰქონდა. მთელი ეს წლები ყველას ეგონა, რომ ამანდასა და ჯეფის კუპიდონის როლს ასრულებდა. ახლა ყველა გაიგებდა სიმართლეს? ეცოდინებოდათ, რომ მთელი ეს დრო ჯეფი უყვარდა? რომ იტირა კიდეც, როდესაც ყავის სახლში შეხვედრის მეორე დღეს ამანდამ დაურეკა და უთხრა, ჯეფმა საღილზე დამპატიჟაო? მეგანი მაშინვე მიხვდა, რომ თავისი შანსი ხელიდან გაუშვა. ამანდას კონკურენციას ვერ გაუწევდა.

ახლა კი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, ცდილობდა, ყველაფერი შეეტრიალებინა.

- მილაკოვანი მხედველობა გაგიგიათ? - ძლივს წარმოთქვა, - აგიხსნით. ეს იმას ჰქვია, როდესაც გამომძიებელს ერთ ადამი-

ანზე უჩნდება ეჭვი და ყველა სამხილს ამ მხრიდან განიხილავს. შემიძლია, ქორწილის ნებისმიერ წევრს დავადო ხელი და შეკითხვების დასმა დავიწყო. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე ჩვენგანი ამ საქმეში გარეულია. მაგალითად, ქეითი. იმ ღამით, როდესაც ამანდა გაუჩინარდა, ქეითმა თქვა, ძალიან ბევრი დავლიე და ოთახში უნდა წავიდეო, მაგრამ როდესაც მის მოსაკითხად მივედი, პასუხი არ გაუცია, მიუხედავად იმისა, რომ კარზე მაგრად ვაბრახუნებდი. დილით კი მითხრა, კაკუნი არ გამიგიაო, მიუხედავად იმისა, რომ ქეითს ჩემს ნაცნობებს შორის ყველაზე ფხიზელი ძილი აქვს. კოლეჯში, თუ ვინმე ორი ოთახის იქით თამაშობდა, ეღვიძებოდა. ვიცი, სად იყო ქეითი იმ ღამით? არა. მაგრამ ქეითი რამე კავშირშია ამანდას გაუჩინარებასთან? თავს დავდებ, რომ არა. თქვენ გინდათ, ყველანი დამნაშავეები გამოვჩნდეთ?

მეგანმა იცოდა, რომ კარგად ისაუბრა, მაგრამ გაახსენდა, რომ პროდიუსერებს შეეძლოთ, ყველაფერი ამოეჭრათ, რაც არ მოეწონებოდათ. როდესაც მონტაჟს დაასრულებდნენ, შეიძლება თავდამცველი გიჟი გამოჩენილიყო.

ალექსმა სიჩქარე შეცვალა.

- დაემუქრეთ თუ არა ამანდას, რომ უჩივლებდით, რადგან პროდუქტის იდეა მოგპარათ?

მეგანის საშინელი შიში მართლდებოდა. ყველაზე საშინელი შიში არა, მაგრამ ინტერვიუ კარგად არ მიდიოდა. იგრძნო, რომ გული ერეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გრძნობას წინა კვირას შეეჩვია. საიდან გაიგეს ამ ჩხუბის შესახებ „ლეიდიფორმის“ ოფისში? ეგონა, ამანდას გაუჩინარებამ მათი კამათი დაჩრდილა. ალბათ, შარლოტმა თქვა. ეგ ქალი ჯავრს არასდროს ივიწყებდა.

- არ დავმუქრებივარ, უბრალოდ, ვუთხარი, რომ გული მატკინა. კოლეჯში მოვიფიქრეთ გზა, რომ გასაღებები და აიპოდები

გაგვეჩერებინა ვარჯიშის დროს. სავარჯიშო ტანსაცმელს რეზინის ჯიბეები მივაკერეთ. ასე ნივთები მშრალადაც ინახებოდა და ჯიბიდანაც არ ცვიოდა, თანაც, ვფიქრობდით, რომ საყვარლობა იყო. როდესაც მაღაზიებში „ლეიდიფორმის“ „იქს-ოცნების“ კოლექცია ვნახე, ისე გავნაწყენდი, რომ ამანდას ოფისში წავედი. იმაზე ვიკამათეთ, თუ ვისი იდეა იყო. მე ვფიქრობდი, რომ ჩემი იყო, სულ მცირე, ორივესი მაინც. ის კი დაჟინებით მიმეორებდა, რომ ნახელავიცა და საკუთრებაც მისი და კომპანიის იყო. თუ არ ფიქრობდა, რომ არასწორად იქცეოდა, ამის შესახებ წინასწარ მეტყოდა.

- ისე ყვიროდით, რომ მთელ დერეფანს ესმოდა. თქვენს ბრაზს ისიც ხომ არ დაემატა, რომ ამანდა იმ კაცს მიჰყვებოდა ცოლად, ვინც ჯერ ისევ მოგწონდათ?

მეგანი უკვე ნანობდა, რომ ჯეფს აქ წამოსვლა არ გადააფიქრებინა. მახეში გაება. სხვა გზა არ ჰქონდა, ლაპარაკი უნდა გაეგრძელებინა:

- ვაღიარებ, მართლაც ძალიან ვიკამათეთ ოფისში. მაგრამ მეორე დღეს დამირეკა. ერთად ვისაუზმეთ. ამიხსნა, რამდენი ექსპერიმენტი და მუშაობა დასჭირდა იმას, რომ ჩვენი პატარა, მარტივი ეშმაკობა წარმატებულ პროდუქტად ექცია. მომიბოდიშა, რომ წინასწარ არ მითხრა, მე კი ვუთხარი, ყველაფერს დავივიწყებ, თუ ამ შესანიშნავი შამპანურის ფასს გადაიხდი და სავარჯიშო ტანსაცმელსაც გამომიგზავნი-მეთქი, - ამ მოგონებამ ქალს ღიმილი მოჰგვარა, - საბოლოოდ ის კამათი მხოლოდ მცირე უთანხმოებად დარჩა მეგობრებს შორის. ყველაფერი იმ საუბრის დროს დამთავრდა. სწორედ ამის გამო მჯერა, რომ ამანდა თავისი ნებით წავიდა სასტუმროდან.

ალექსი წინ გადაიხარა. მეგანი ლოცულობდა, რომ კაცს მისთვის დაეჯერებინა. ჯეფის გარდა, ეს არავისთვის უთქვამს:

- ავადმყოფობამ ამანდა მთლიანად შეცვალა. მითხრა, რომ აღარაფერს გააკეთებდა ერთგულებისა და ვალდებულების გამო. თავისი თავისთვის აპირებდა ცხოვრებას. ამის გამო არ მახსენა „იქს-ოცნების“ გამოშვების დროსაც. გულის სიღრმეში არ ფიქრობდა, რომ ვიმსახურებდი, ჩემი ხსენება კი მის წარმატებას შეამცირებდა.

- და ეგ რა კავშირშია მის გაუჩინარებასთან? - ჰკითხა ალექსმა.

- სრულიად განსხვავდებოდა იმ ამანდასგან, რომელსაც ავად გახდომამდე ვიცნობდი. ახლა რომ ვფიქრობ, ალბათ, იმის თქმას ცდილობდა, რომ კარგი გოგო აღარ იქნებოდა... კარგი შვილი, კარგი მეგობარი, კარგი ცოლი. თავისუფლება, ძალა უნდოდა და არ უნდოდა, დამნაშავედ ეგრძნო თავი იმის გამო, რომ ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი გახდა. მაგრამ ამ ყველაფერს ოჯახისა და მეგობრების ჩრდილქვეშ და მოახლოებული ქორწილის გამო ვერ გააკეთებდა.

- მეგობრები ამბობდნენ, რომ როდესაც ამანდა გაუჩინარდა, თქვენ სხვებზე ნაკლებად ნერვიულობდით. აქამდე რატომ არ გითქვამთ ეს ყველაფერი არავისთვის?

- მოგვიანებით ჯეფს ვუთხარი, სხვისთვის ამის თქმა სწორად არ მიმაჩნდა. თითქოს ვაკრიტიკებდი, ვამბობდი, რომ სიმსივნემ გააეგოისტა. საშინლად არ ჟღერს? მაგრამ მე ყველაფერს ასე სულაც არ ვუყურებდი. ბედნიერი ვიყავი მის გამო. ვფიქრობდი, რომ ყველაფრის თავიდან დასაწყებად გზა მოძებნა. ამიტომ არ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ, როცა მე და ჯეფი დავახლოვდით. იცით, რომ ბეჭდებიც დაიკარგა?

იმედი ჰქონდა, რომ ალექსს გააოცებდა, მაგრამ კაცი მზად იყო შეკითხვისთვის:

- კი, ჯეფმა გვითხრა, რომ არც დაფიქრებულა ბეჭდებზე, სანამ ნიუ-იორკში არ ჩამოვიდა. აღიარა, რომ ყოველთვის არ კე-

ტავდა სასტუმროს სეიფს. ფიქრობს, რომ რომელიმე თანამშრომელმა მოიპარა.

სკამზე დაჯდომის შემდეგ მეგანი პირველად გრძნობდა, რომ მართვის სადავეები ხელთ ჰქონდა. მართლა სჯეროდათ, რომ ბეჭდები შემთხვევით გაქრა პატარძალთან ერთად?

- რა დამთხვევა იქნებოდა, - თქვა მან, - თუ შეამოწმებთ, ნახავთ, რომ აქ ქურდობა ძალიან იშვიათად ხდება. უზადო მომსახურება აქვთ. მეეჭვება, რომელიმე თანამშრომელმა ეს გაბედოს.

- თქვენი ვერსია როგორია? - ჰკითხა ალექსმა.

- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამანდამ ბეჭდები სამახსოვროდ წაიღო. შეიძლება ახალი ცხოვრება უნდოდა, მაგრამ ჯეფი მართლა უყვარდა. უბრალოდ, მე უფრო მეტად მიყვარდა და ეს დანაშაული არ არის, - ქალმა პირდაპირ შეხედა კამერას, - ამანდა, მე ბედნიერი ვარ და იმედია, შენც.

ეს იყო საუკეთესო, რისი გაკეთებაც მეგანს შეეძლო. როდესაც ჯერიმ მიკროფონი მოხსნა, თითქოს გულიდან ოცდაათგირვანქიანი ტვირთი ააცალა. შინ დაბრუნება უნდოდა. „გთხოვ, ჯეფ, - ფიქრობდა ქალი, - სახლში წავიდეთ. რაღაც უნდა გითხრა“.

42

- თუ იმ ქალს დაუჯერე, ნამდვილად გულუბრყვილო ყოფილხარ, - გრეისმა ფრანგული მანიკიურით შემკული თითი გაიშვირა.

გუნდი ალექსის ოთახში შეკრებილიყო და მეგანის ინტერვიუს განიხილავდა. პირველად დაიწყეს გადაღება ისე, რომ ადამიანთან კამერების გარეშე საუბარი არ ჰქონიათ.

ჯერისა და გრეისს მეგანზე სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ.

- რა ცინიკური ხარ, - უთხრა ჯერიმ გრეისს, - მე ძალიან პირდაპირი მომეჩვენა. ამანდას და-ძმამაც ამისთვის შეგვამზადეს. უემოციოა. ფაქტებს მშრალად ჰყვება. ყველაფერი, რაც თქვა, შესაძლებლად მომეჩვენა.

გრეისს თითქოს კანიდან ამოხტომა უნდოდა, სანამ ჯერი საუბარს დაასრულებდა.

- ეტყობოდა, რომ ყველაფერი დაზეპირებული ჰქონდა, პაუზებიც კი დადგმულს ჰგავდა.

- ეგ იმას არ ნიშნავს, რომ იტყუება, - შეეპასუხა ჯერი.

- არა, მაგრამ იმას ნიშნავს, რომ ფიქრობდა, რაღაც უნდა დავმალოო. საქმე ისაა, ალექსმა ყველაფერი ათქმევინა თუ კიდევ დარჩა რამე. სხვა თუ არაფერი, წლების განმავლობაში მალავდა, ჯეფი რომ უყვარდა. ამანდას ხელმეორედაც არ გააცნო, ყოველ შემთხვევაში, გააზრებულად. ალბათ, ფიქრობს, ნეტავ არასდროს შეხვედროდნენ ერთმანეთსო. ალბათ, ჯეფს კოლეჯიდანვე დასდევდა. შეიძლება იმიტომაც წავიდა ნიუ-იორკში სამართლის სკოლის დამთავრების შემდეგ და ვითომ შემთხვევით ბრუკლინში, მასთან ახლოს დასახლდა.

ლორი საუბარს მიჰყვებოდა, მაგრამ ყურადღება ეფანტებოდა, რადგან თავისი აზრები ჰქონდა მეგანთან დაკავშირებით.

ალექსმა შავჩარჩოიანი სათვალე გაისწორა მას შემდეგ, რაც თავის ჩანაწერებს გადახედა.

- გრეის, იმაში გეთანხმები, რომ ჯეფით ამანდას გაუჩინარებამდე იმაზე მეტად იყო დაინტერესებული, ვიდრე აღიარებს, მაგრამ იმისიც მჯერა, რომ თქვა, ოფისში კამათის შემდეგ მე და ამანდამ ყველაფერი დავივიწყეთო.

- მართლა? - იკითხა გრეისმა, - დიდ ფულზე თქვა უარი ერთი შამპანურისა და სავარჯიშო ტანსაცმლის სანაცვლოდ?

- თუ მართლა ნაჩხუბრები იყვნენ, მეგანი ისევ მეჯვარე იქნებოდა? - ალექსი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, - შენ რა იფიქრე, ლორი? რამდენიმე ადამიანმა ახსენა ამანდას ავადმყოფობა, მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იმის ახსნა სცადეს, როგორ შეიცვალა ამის შემდეგ.

სწორედ ამაზე ფიქრობდა ლორი უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში. მეგანის მიერ აღწერილი ცვლილება ნამდვილად ბუნებრივი ჩანდა. და როგორც მეგობარს, შესაძლოა, მას უკეთ შეემჩნია ეს ცვლილება, ვიდრე ამანდას ოჯახის რომელიმე წევრს ან თუნდაც მის საქმროს. ლორიმ პირველად დაიჯერა, რომ ამანდას, შესაძლოა, მართლაც ნდომებოდა გათავისუფლება. იქნებ მართლაც გაიქცა, როგორც მეგანი ფიქრობდა. ან იქნებ ჯეფს უთხრა, რომ ქორწილი არ უნდოდა. და თუ ეს მოხდა, მაშინ ისევ საწყის წერტილს უბრუნდებოდნენ: თითი ჯეფისკენ ჰქონდათ გაშვერილი.

- დაკარგული ბეჭდები, - თქვა უეცრად ლორიმ, - მათზე ბევრი არ მიფიქრია, როდესაც ჯეფმა ახსენა, მაგრამ, მეგანის თქმის არ იყოს, მართლაც უცნაური დამთხვევაა, რომ სასტუმროში ყოფნის დროს დაიკარგა. ჯეფმა თქვა, ალბათ, თანამშრომელმა აიღო ქაოსის დროსო, მაგრამ ეს ძალიან გაბედული საქციელი

იქნებოდა. რომელიმე მათგანი დაკარგული ქალის ნიშნობის ბეჭდებით რომ დაეჭირათ, მის გაუჩინარებაში მთავარი ეჭვმიტანილი იქნებოდნენ.

- თანაც ნიშნობის ბეჭდები სულაც არ იქნებოდა ისეთი ძვირფასი, როგორიც სეიფებში შენახული სხვა სტუმრების რამეები, - დაამატა ჯერიმ, - მეგანი მართალია, ალბათ, უფრო სამახსოვროდ წაიღეს, ვიდრე ნადავლად. საოცარი გრძნობა დამეუფლა, როდესაც მეგანმა კამერას შეხედა და თქვა, ამანდა მიყვარდაო. რა მაგარი იქნება, ამანდამ რომ ჩვენი შოუ ნახოს და თავის ოჯახს დაუკავშირდეს, არა?

- ო, ღმერთო, - თქვა გრეისმა, - რა მარტივად გადაყლაპეთ მისი სატყუარა!

„უკვე ორი დღეა, რაც გადაღება მიდის, - ფიქრობდა ლორი, - მაგრამ ნაბიჯითაც არ მივახლოებივართ სიმართლეს“.

43

- ბაბუ, შემოგვიერთდი! - ტიმი და კიდევ ოთხი ბავშვი „მარკო პოლოს“[53] თამაშობდნენ, -ჯეიკის მამამ თქვა, მეც ვითამაშებო, თუ კიდევ ერთ დიდს დავითანხმებთ.

ლეომ აუზის გარშემო ტერიტორიას თვალი მოავლო. ორმოც წელს გადაცილებულმა მამაკაცმა თხოვნით სავსე თვალებით შეხედა და თავი გააქნია. ჯეიკის მამა, როგორც ლეომ იფიქრა, ცდილობდა, როგორმე ბავშვთა ჯგუფი თავიდან აერიდებინა.

- მგონი, ისედაც დიდ ადგილს იკავებთ აუზში.

„მარკო პოლო“, „მარკო პოლოს“ რიტმული შეძახილები გაგრძელდა, ლეომ კი ღიმილით მოსვა „პინა-კოლადა“.[54] ლორის არ მოეწონებოდა, ასეთ კალორიულ სასმელს რომ სვამდა, მაგრამ ლეო რაღაცას აღნიშნავდა. როდესაც ტიმისთან ერთად ალექსის ოთახიდან გამოვიდა, ლორი, ალექსი, ჯერი და გრეისი ისევ სხვადასხვა ვერსიას განიხილავდნენ იმის შესახებ, თუ რა მოუვიდა ამანდას.

მაგრამ ლეო მზად იყო, საქმე დაეხურა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, უფრო რწმუნდებოდა, რომ ჯერემი კეროლი დამნაშავე იყო. ლეოს კვლავ დაეუფლა ის ძველი შეგრძნება მუცელში, როდესაც გამოძიებაში გამოტოვებულ დეტალს აღმოაჩენდა ხოლმე. როგორც წესი, ეს დეტალი პირველივე ოცდაოთხ საათში ტივტივდება: მეუღლეს ტყუილში გამოიჭერენ ან მსხვერპლის რომელიმე კოლეგა მეორე დილას სამსახურში

---

[53] დახუჭობანას მსგავსი თამაში.

[54] ტკბილი კოქტეილი. მზადდება რომით, ქოქოსის კრემითა და ანანასის წვენით.

ვერ მივა. მაგრამ, როდესაც დანაშაულის მთავარი გმირი მსხვერპლის ცხოვრების დიდი ნაწილი არ არის - გაზონის მკრეჭავი, სურსათის მაღაზიის გამყიდველი ან სტაჟიორი, რომელიც ფოტოგრაფს ქორწილის გადაღებაში ეხმარება - შეიძლება წლებიც კი დასჭირდეს კავშირის აღმოჩენას.

ჯერიმ თქვა, რომ ჯერემისთან საუბარმა კარგად ჩაიარა. ბოდიში მიიღო და ჯერის ახსნასაც დასჯერდა იმ დილის სტუმრობის თაობაზე. უთხრა, რომ ეს უბრალო, გეგმით გათვალისწინებული ვიზიტი იყო, ორმა მეტისმეტად მონდომებულმა თანამშრომელმა კი ზღვარი გადალახა. რადგანაც ჯერემი უსაფრთხოდ იყო, ლორისა და ალექსს შეეძლოთ, შოუს მონაწილეების დაკითხვა დაესრულებინათ, მაგრამ შემდეგ ლეო ქალიშვილს დაარწმუნებდა, რომ პოლიციაში წასულიყვნენ და ყველაფერი ეთქვათ. ლეოს უკვე დაგეგმილი ჰქონდა, როგორ დაეხმარებოდა ჯერემის პირობით სასჯელზე პასუხისმგებელი ოფიცერი სახლის გაჩხრეკაში. თუ ამანდას ფოტოებს იპოვიდნენ, - და ლეომ იცოდა, რომ ასეც მოხდებოდა - კარგი დეტექტივი მათი საშუალებით აღიარებასაც მოიპოვებდა.

ლეო გრძნობდა, როგორ აუმუშავდა ძველი პოლიციელის კუნთები. უკვე წარმოედგინა, როგორ დალაგდებოდა ყველაფერი. არასდროს ინანებდა გადადგომას იმის გამო, რომ ლორის ტიმის გაზრდაში დახმარებოდა, მაგრამ სამსახურის მონატრებასაც ვერაფერს მოუხერხებდა.

„ტიმი უკვე დიდი ბიჭია, - ფიქრობდა კაცი, - შემიძლია, კერძო დეტექტივად დავიწყო მუშაობა. კარგად გამომივა“. თვალები დახუჭა და მზის თბილი სხივები შეიგრძნო. ფიქრებში ჩაძირულს გაახსენდა, ლორიმ რომ ახსენა, ამანდამ კოლეჯში ლოცვის სესიები გამართა მოკლული გოგოს გამოო. დაინტერესდა, გახსნეს თუ არა ეს საქმე. იქნებ ეს გამხდარიყო ლორის შემდეგი შოუს თემა.

ტიმის ჩანთიდან აიპედი ამოიღო და სასტუმროს ინტერნეტს დაუკავშირდა. გოგონას სახელი ვერ გაიხსენა, ამიტომ საძიებო ველში ჩაწერა „კოლბის კოლეჯის დაკარგული სტუდენტი“.

მას კარლი რომანო ერქვა და 21 წლის სოფომორი იყო. გაუჩინარების დროს ამანდასა და მის მეგობრებზე ერთი კურსით დაბლა სწავლობდა. მიჩიგანელი იყო. ბოლოს კამპუსისგან მოშორებულ წვეულებაზე ნახეს. წასვლისას არავის დაუნახავს, მაგრამ ივარაუდეს, რომ კამპუსამდე მარტო მისვლა ჰქონდა განზრახული. ორი კვირა იყო დაკარგული, სანამ მის ცხედარს მესალონსკის ტბაში იპოვიდნენ.

ლეომ ტიმის გახედა. დარწმუნებული იყო, რომ ბავშვები მანამდე ითამაშებდნენ, სანამ ქანცი არ გაუწყდებოდათ.

მონაცემების თვალიერება განაგრძო. ცნობებიდან გამომდინარე, არავინ დაუპატიმრებიათ და პოლიციას ეჭვმიტანილიც არ ჰყოლია.

მეინის, უოთერვილის პოლიციის განყოფილების ტელეფონის ნომერი მოძებნა და სახელთან, კარლი რომანოსთან ერთად თავის მეილზე გაგზავნა. „შეიძლება კერძო დეტექტივის საქმის წამოწყებისთვის ჯერ მზად არ ვიყო, - ფიქრობდა ლეო, - მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება არ შემიძლია“.

44

- მართლა მივცემთ სკოჩის დალევის უფლებას ინტერვიუს ჩაწერის დროს? - ჯერი ბარის მაგიდას აწყობდა. სწორი კუთხით გადაღებისას სასტუმროს ბარის მუქი ავეჯიც გამოჩნდებოდა და გარეთ მომლოდინე მზე და პალმებიც.

- დამიჯერე, - თქვა ლორიმ, - ყველაზე თავისუფლად თავს ნიკი და ოსტინი სწორედ აქ იგრძნობენ. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ სასმელიც უნდა მივცეთ.

ლორიმ გადაწყვიტა, მეგობრები ერთად დაეკითხა. ერთმანეთის თანდასწრებით უფრო გულწრფელნი იყვნენ, ქალს კი სწორედ ეს უნდოდა.

რაც შეეხება ჩაცმულობას, ლორის უკეთესის მოლოდინი მაშინაც კი არ ექნებოდა, თუ თვითონ შეურჩევდა ტანსაცმელს. ორივეს საზაფხულო პიჯაკი ეცვა ღია ლურჯ მაისურზე. ერთადერთი განსხვავება ჯიბის ფორმა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის იდენტურად ეცვათ, ერთმანეთს სრულიად არ ჰგავდნენ. ნიკი ძალიან სიმპათიური და მოხდენილი იყო, ისეთი, პიჯაკები რომ უხდებათ. ოსტინი კი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, ოდნავ ღიპიც კი დასტყობოდა. უნაკლოდ შეკერილი პიჯაკი ეცვა, მაგრამ მის გარეგნობას ესეც ვერ აუმჯობესებდა. ქალს გაახსენდა, რა თქვა თავისი მეგობრის დედამ შვილის მეწყვილეზე: „ჯერ კიდევ ვერ გრძნობს თავს კომფორტულად პოლ სტიუარტის პიჯაკში“.

- მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, - თქვა ალექსმა, როდესაც კამერა ჩაირთო, - ყველა გაგებით, თქვენ ორნი წარმატებული, სასურველი სასიძოები ხართ. ჩვენი შოუს ასისტენტიც ამბობს, რომ ყველა ქალს ეარშიყებით. როგორც ამბობენ, მითხა-

რი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო. თქვენი მეგობარი, ჯეფი, მზად იყო ამანდასთან ოჯახის შესაქმნელად?

ლორის არ გაჰკვირვებია, როდესაც საუბარი ნიკმა დაიწყო. ამ წყვილში აშკარად ის იყო დომინანტი.

- რა თქმა უნდა, - თქვა დარწმუნებით, - მე და ჯეფი მაშინვე დავმეგობრდით, როცა კოლეჯში ერთ ოთახში მოგვათავსეს, მაგრამ უინგმენი არასდროს ყოფილა.

- შეგიძლიათ, მაყურებელს აუხსნათ, რას ნიშნავს ეგ? - სთხოვა ალექსმა.

- კი, რა თქმა უნდა, - ნიკმა და ოსტინმა ერთმანეთს მხიარულად შეხედეს, - შენი დამხმარე, როცა ქალებს ელაპარაკები. ასე ვთქვათ, პარტნიორი ნადირობაში.

ლორის უნდოდა, ორივე მთლიანად ამოეჭრა შოუდან. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ყოველთვის თავს არიდებდა მამაკაცების გარემოცვაში ყოფნას.

- ჯეფი ასეთი არ ყოფილა? - იკითხა ალექსმა.

- ნამდვილად არა, - ჩაერთო ოსტინი, - კოლეჯში მთლიანად სწავლაზე იყო ორიენტირებული. ძირითადად, ჯგუფებთან ერთად ატარებდა ხოლმე დროს.

- მოგვიანებით? როდესაც ნიუ-იორკში იურისტი გახდა?

ოსტინმა აშკარად არ იცოდა პასუხი. ჯეფთან ნიკი უფრო ახლოს იყო.

- დროდადრო პაემნებზე დადიოდა, - თქვა მან, - მაგრამ სერიოზული არაფერი ჰქონია. მე კი მქონდა ერთი სერიოზული ურთიერთობა...

- მელისა, - თქვა ოსტინმა, - დიდხანს არ გაგრძელებულა.

- მართალია. ერთხელ შევცდი რაღაც წვეულებაზე. მელისამ გაიგო და წავიდა. მეტჯერ აღარ მიცდია, მაგრამ, ზოგ--ზოგიერთისგან განსხვავებით ერთხელ მაინც ვცადე. რაც შეეხე-

ბა ჯეფს, როდესაც ამანდასთან შეხვედრა დაიწყო, სულ მასზე ლაპარაკობდა.

- ჰო, მაგრამ ხანდახან ხომ შორდებოდნენ ხოლმე?

- თავიდან, - თქვა ნიკმა, - ერთ-ერთი ისეთი დაკავებული იყო სამსახურში, რომ ურთიერთობას უკან სწევდა. მაგრამ, როდესაც სერიოზულად მიუდგნენ ერთმანეთს და ამანდა ავად გახდა, ჯეფი ყოველ წუთს, როცა სამსახურში არ იყო, მასთან ატარებდა. ამანდამ რომ უთხრა, სიმსივნე მაქვსო, მეორე დღესვე შესთავაზა ცოლობა.

- ავადმყოფობის შემდეგ? - ჰკითხა ალექსმა, - ჩხუბობდნენ ხოლმე?

- ისე კამათობდნენ, როგორც სხვა წყვილები, - თქვა ოსტინმა, - მაგრამ ჯეფი მას არასდროს ატკენდა გულს.

ნიკმა უკმაყოფილო მზერით გახედა მეგობარს.

- დამიჯერეთ: რაც უნდა მოსვლოდა ამანდას, ჯეფი არაფერ შუაშია. განადგურებული იყო, როდესაც ამანდა დაიკარგა.

- სანამ მეგანთან დაიწყებდა ურთიერთობას, - თქვა ალექსმა.

ნიკს სახეზე ბრაზმა გადაურბინა.

- უსამართლობაა. რა, სიცოცხლის ბოლომდე ბერივით უნდა ეცხოვრა? ასეთი გასაკვირია, რომ ის შეუყვარდა, ვინც ამანდასაც უყვარდა და პატივს სცემდა?

- აპატიეთ ნიკს, - თქვა ოსტინმა, - როდესაც საქმე ჯეფს ეხება, გიჟდება.

ლორიმ ოსტინის ხმაში შური შენიშნა.

- ორივემ თქვით, რომ ამანდა ბოლოს დაახლოებით ხუთ საათზე ნახეთ, როდესაც ფოტოსესია დასრულდა.

ორივემ დაადასტურა. გადაღების შემდეგ ერთი საათით ბარში წავიდნენ, შემდეგ კი თავიანთ ოთახებში. რვა ხდებოდა, როდესაც ფოიეში შეიკრიბნენ და სასადილოდ გაეშურნენ. ჰენრი მაშინ წავიდა, როცა სასმელები შეუკვეთეს. იქიდან ათი საათის-

თვის დაბრუნდნენ და ჯეფის ოთახში შევიდნენ დასალევად, თერთმეტი საათისთვის კი თავიანთ ოთახებში იყვნენ.

- ანუ დაახლოებით იმ დროს წამოხვედით, როდესაც ამანდა და მისი მეგობრები სასტუმროში დაბრუნდნენ. სადმე ხომ არ გადაეყარეთ ერთმანეთს?

ნიკმა თავი გააქნია.

- არა, გადაღების შემდეგ ამანდა აღარ მინახავს.

ოსტინსაც იგივე პასუხი ჰქონდა.

ლორი გაფაციცებით უსმენდა ალექსის შეკითხვებსა და მათ პასუხებს.

- ანუ თქვენ, ორი მხიარულების მოყვარე მარტოხელა კაცი, თერთმეტ საათზე დაწექით დასაძინებლად? ცოტა ადრე არ არის თქვენთვის?

- წინაღამით გვიანობამდე გარეთ ვიყავით. შემდეგ მთელი დღე მზეზე გავატარეთ. სადილამდე, სადილობისას და ნასადილევს, ჯეფის ოთახში საკმაოდ ბევრი დავლიეთ, - ნიკი ოსტინისკენ შებრუნდა, - შენი არ ვიცი, მაგრამ მე გათიშული ვიყავი.

როგორც ყოველთვის, ოსტინი მაშინვე დაეთანხმა:

- ჩემთვისაც საკმარისი იყო. ეგრევე დავწექი.

- კარგი, იმ დროს დავუბრუნდეთ, როდესაც ჯეფის ოთახში იყავით. ორივემ მითხარით, რომ ჯეფი ცოტას ჭოჭმანობდა ამანდაზე დაქორწინებაზე. ზუსტად რა თქვა?

- ხუმრობით ვკითხე, ხომ არ გეშინია-მეთქი, - თქვა ნიკმა, - ორივენი გავოცდით, როცა გვიპასუხა, კიო.

- მაგის შემდეგ რა თქვა?

ამჯერად პასუხი ოსტინმა გასცა:

- ჯეფმა თქვა, ამანდას უნდა, სამსახური შევიცვალოო. მეტისმეტად კარგი ადვოკატი იყო იმისთვის, რომ საჯარო დაცვის სამსახურში დაეხარჯა დრო. ჯეფმა კი უპასუხა, რომ ეს საქმე და ხალხის დახმარება მოსწონდა, თანაც კარგად გამოსდიოდა.

- თქვენ რა უპასუხეთ? - იკითხა ალექსმა.

- უბრალოდ გავიცინეთ, - თქვა ნიკმა, - ვუთხარი, დაქორწინება იმას ნიშნავს, რომ შენი ცხოვრების მოწყობას დაიწყებს და შეეგუე-მეთქი.

- ჯეფმა რა გიპასუხათ?

- ჩვენთან ერთად იცინოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება დაგვრჩა, თითქოს ამ საუბრის წამოწყებას ნანობდა. სწორედ ამის შემდეგ დავემშვიდობეთ.

- ანუ დაახლოებით თერთმეტ საათზე თქვენს ოთახებში შეხვედით და ამტკიცებთ, რომ მთელი ღამე იქ გაატარეთ, არა?

- კი, - უპასუხა ორივემ.

- ჯეფი სადმე წასვლას ხომ არ აპირებდა?

- ჩვენთვის არაფერი უთქვამს.

- სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვერავინ დაადასტურებს თქვენს ოთახებში ყოფნას თერთმეტი საათისთვის, ანუ იმ დროისთვის, როდესაც უკანასკნელად ნახეს ამანდა?

ამჯერად ოსტინის სახეზე გადაირბინა ბრაზმა.

- დიახ, - ნიკმაც თავი დააქნია.

- იმ დროს იცოდით, რომ ამანდამ ანდერძით ჯეფს ორმილიონიანი სატრასტო ფონდი დაუტოვა?

- არა, ეს მისი გაუჩინარების შემდეგ გავიგეთ, - თქვა ნიკმა.

- თქვენი აზრით, ამანდა ჯეფს ეტყოდა მისი პოტენციური მემკვიდრეობის შესახებ?

ერთმანეთს შეხედეს.

- სრულიად შესაძლებელია, - ჩაილაპარაკა ოსტინმა.

ლორი ხედავდა, როგორი თავგამოდებით ცდილობდა ორივე მეგობრის გამართლებას, მაგრამ არ შეეძლოთ. ერთი ფაქტი ცხადი იყო: ამანდას გაუჩინარებით ჯეფი ყველაზე მეტს იგებდა.

45

- დედა, ის ქალბატონები ლურჯ „მარტინის“ სვამენ, - ტიმი ოთხი ქალისკენ იშვერდა ხელს. მათ სასმელს ჭურჭლის სარეცხი საშუალების ფერი ჰქონდა, - შენ არ გენდომება. მშრალი „მარტინი“ გიყვარს.

ალექსს აღფრთოვანებისგან თვალები აუციმციმდა.

- ტიმი ნამდვილად იცნობს დედამისს.

ლორიმ და ალექსმა სადილობა გადადეს მას შემდეგ, რაც ტიმი მათ შეეხვეწა, სასტუმროს სუშის რესტორანში წავიდეთო. ლეო ვერ იტანდა ცოცხალ თევზს - ზღვის ლორწოს ეძახდა.

ტიმი კი ლორიზე გამბედავადაც კი იქცეოდა, მაგრამ ქალი ეჭვობდა, რომ ბიჭის აღელვება ზღვის პროდუქტზე მეტად ბართან მდებარე ორმა აკვარიუმმა გამოიწვია, რომლებშიც ფერადფერადი თევზები დაცურავდნენ.

ალექსი სასტუმროს მფლობელთან გასაუბრებას აპირებდა, როდესაც ტიმიმ ითხოვა, ბართან დავსხდეთო.

- ყოველთვის ამბობ, რომ ახალი რამეები უნდა გამოვცადოთ, - თქვა მან, - სახლში ასეთი რაღაც არ გვექნება.

ალექსმა ბიჭს ცუდი ამბავი უთხრა:

- ცოტა ახალგაზრდა ხარ ბარისთვის, მეგობარო. დაახლოებით თორმეტ წელში სცადე.

- ერთი სული მაქვს, როდის გავხდები იმხელა, ბართან ჯდომა რომ შევძლო.

- სწორედ ამის მოსმენა უნდოდა დედას, - მშრალად თქვა ლორიმ, - არ მინდა, იმ ორ მსმელს, ოსტინსა და ნიკს, დაემსგავსოს.

როდესაც მაგიდას მიუსხდნენ, ალექსმა თქვა:

- ორ რომეოზე გამახსენდა, რას ფიქრობ მათ ინტერვიუზე?

ლორიმ მხრები აიჩეჩა.

- სწორედ ისეთები არიან, როგორებადაც სანდრამ აღწერა. პირადად მე დიდად არ ვიხიბლები, მაგრამ ვიცი, რომ ბრეტს გაუხარდება. მაყურებელს გაართობენ.

- გვეყოფა მათზე საუბარი, - ამოიოხრა კაცმა, - ლეო დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში ფოტოგრაფის თანაშემწეა გარეული.

ახალი ფაქტების არარსებობის გამო ლორის ამ თემის ხელახლა განხილვა არ სურდა.

- ვიცი, ფიქრობ, რომ არასწორი დასკვნები გამოაქვს. მგონი, ჯობს, ცოტა ხნით თავი დავანებოთ.

მოგვიანებით, ფოიეში შესვლისას, ტიმიმ ლორის სთხოვა, დღეს ბაბუს ოთახში დავიძინებო. ქალს გაუხარდა, რომ ალექსთან მეტ დროს გაატარებდა.

46

მეორე დილას ლორი გაოცდა, როდესაც შარლოტ პირსი სასტუმროს უკან, გადასაღებ მოედანზე გამოჩნდა. უზადოდ შეკერილი თეთრი პიჯაკი და შავი აბრეშუმის მაისური ეცვა. თმა და მაკიაჟი იდეალურად გაეკეთებინა. სულაც არ ჰგავდა იმ ქალს, „ლეიდიფორმის“ ოფისში რომ შეხვდა.

- ასეთი გაოცებული სახე ნუ გაქვთ, - თქვა შარლოტმა და მისთვის გამზადებულ სასიყვარულო სკამზე მოკალათდა, - გეგონათ, ტელევიზორში მახინჯი იხვის ჭუჭულივით გამოვჩნდებოდი?

ალექსმა თავისი ადგილი დაიკავა, თავი დაიქნია და გადაღება დაიწყო.

ხუთი წუთის შემდეგ ლორიმ საათს დახედა. შარლოტმა უკვე გაიმეორა ის ყველაფერი, რაც ლორის ნიუ-იორკში შეხვედრისას უთხრა. ბიზნესში ტრიალებდა და კომუნიკაციას მიჩვეული იყო.

მაგრამ ალექსის ნიჭს ისეთი შეკითხვების დასმა წარმოადგენდა, რომლებსაც სუბიექტები არ ელოდებოდნენ.

- როგორი გრძნობა იყო ამანდა პირსის დობა? - ჰკითხა უბრალოდ.

- წარმოდგენა არა მაქვს, რას გულისხმობთ. იგივე იქნებოდა, რომ გეკითხათ, როგორი გრძნობაა სუნთქვაო. ჩემი ერთადერთი და იყო.

- მე კი ისეთი ქალი მგონიხართ, რომელიც იმასაც კი აღწერს, როგორი გრძნობაა სუნთქვა, თუ ჰკითხავენ.

ქალმა ცალყბად გაუღიმა. ლორიმ იგრძნო, როგორ გადაწყვიტა მან თამაშში აყოლა.

-კარგი. ეს ჰგავდა სარეველად ყოფნას ვარდის გვერდით. ნებისმიერ სხვა ოჯახში ნამდვილი ვარსკვლავი ვიქნებოდი. ჩრდი-

ლოეთ კაროლინის უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე. საკმაოდ სასიამოვნო პიროვნება ვარ. ბევრს ვშრომობ, მაგრამ ამანდა განსაკუთრებული იყო. მამაკაცებს მასზე დაქორწინება სურდათ, ქალებს უნდოდათ, ამანდა ყოფილიყვნენ. იცოდა, როგორ ესიამოვნებინა ადამიანებისთვის.

- ჯეფის მეგობრები მიხვდნენ, რომ ქორწილი დიდად არ გიხაროდათ. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, დიდად დაინტერესებული არ იყოო.

- ჯერ ერთი, - შარლოტმა ხელები აიქნია, - ჯეფის მეგობრები იდიოტები არიან... და ინტერესის ნაკლებობასაც არ განვიცდიდი. ვღელავდი... და არა ამანდაზე. ვფიქრობდი, რომ ჯეფი შეცდომას უშვებდა. ჩემი და მიყვარდა, მაგრამ, ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც მართლა იცნობდა. ზღაპრის პრინცესას ჰგავდა, რომელსაც ფრინველები ვარცხნიდნენ თმას. რეალურად კი ცბიერი და ამბიციური იყო. თუმცა ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, ამ ყველაფერს იდეალური, კეთილშობილი ფასადის უკან მალავდა.

ლორი მოხიბლა ასეთმა აღწერამ. შარლოტი საოცრად გულწრფელი იყო.

- ჯეფზე რატომ ნერვიულობდით? - ჰკითხა ალექსმა.

- იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რაში ყოფდა თავს. შეხვედრა რომ დაიწყეს, ამანდა მალევე გახდა ავად. სუსტი... - დაამატა ნაღვლიანად, - ეს იყო ერთადერთი დრო მის ცხოვრებაში, როდესაც სუსტი იყო, მაგრამ ამ გამოცდილებამ უფრო გააძლიერა. ამაში დარწმუნებული ვარ. ჯეფს ცხოვრებას გაურთულებდა. მასაც ისევე შეცვლიდა, როგორც „ლეიდიფორმი“ შეცვალა. მისთვის წარმატებული ქმარი სახალხო დამცველი არ იყო.

ალექსი შარლოტისკენ გადაიხარა.

- ჯეფ ჰანტერი თქვენი დის გაუჩინარებაში ეჭვმიტანილად მიგაჩნიათ?

სანამ პასუხს გასცემდა, დიდხანს ფიქრობდა.

- გააჩნია.

- რას?

- მიხვდა თუ არა, რომ ამანდასთან დაქორწინების შემთხვევაში ისიც ისევე მოექცეოდა მის გავლენაში, როგორც მე.

47

ლეომ დასვენებულმა გაიღვიძა. „გადასარევი საწოლია“, - გაიფიქრა მან. ათი წელი გავიდა, რაც აილინი გარდაიცვალა. მას შემდეგ, მხოლოდ ლორისთან ერთად მოგზაურობის დროს ეძინა სხვაგან, თავისი საწოლისა და ლორის სტუმრების ოთახის გარდა. ალბათ, ახალი მატრასის ყიდვის დრო იყო. აუცილებლად იფიქრებდა ამაზე ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ.

საათს გახედა. უკვე ათი ხდებოდა. ლორისა და ტიმის ოთახში გასასვლელი კარის ქვეშ ბარათი შენიშნა. როდესაც მის ასაღებად დაიხარა, მყესებში ტკივილი იგრძნო. სამოცდაოთხი წლის ასაკში კარგ ფორმაში იყო, მაგრამ მეტი ვარჯიში სჭირდებოდა. „გადავწყვიტე, თქვენთვის გამოძინების საშუალება მომეცა“, - ეწერა ბარათში.

ტიმი იზრდებოდა. თუ არ გააღვიძებდი, შეეძლო, შუადღემდე ეძინა.

ლეო კუთხეში მდგარ მაგიდას მიუახლოვდა და დაბადების დღეზე ლორის ნაჩუქარი ლეპტოპი გახსნა. სანამ შვილიშვილს გვიანი საუზმისთვის გააღვიძებდა, ცოტას თავის პროექტზე წაიმუშავებდა. საძიებელ ველში ორი თითით ჩაწერა ფეისბუკის ლინკი. გრეისი ასწავლიდა, როგორ გაეგო ადამიანებზე რამე ვირტუალურად. მუშაობისას ზოგადი ინფორმაციის შესაგროვებლად კარებზე კაკუნი და ტროტუარებზე სიარული უწევდა. დღევანდელ დღეს კი ადამიანები თავიანთ მთელ ცხოვრებას, საუზმის ჩათვლით, სოციალურ ქსელზე ტვირთავდნენ.

ფეისბუკის საძიებო ველში „კარლი რომანო“ ჩაწერა. სადღაც წაიკითხა, რომ ოჯახის წევრები და მეგობრები გარდაცვლილთა გვერდებს არ აუქმებდნენ და მოგონებებს იქ აზიარებდნენ. გოგონას გვერდიც იპოვა. უკანასკნელი შეტყობინება ორი თვის

წინ ჯენა რომანოსგან იყო: „გილოცავ დაბადების დღეს, დაიკო. ისევ ჩემს გულში ხარ. გკოცნი“.

უოთერვილის პოლიციაში დარეკა, სადაც დაუდასტურეს, რომ კარლის საქმე კვლავ გაუხსნელი იყო. დეტექტივმა თქვა, რომ მთავარი ეჭვმიტანილი მისი მიჩიგანელი შეყვარებული იყო. სიშორის მიუხედავად, წყვილი პირველი წლის განმავლობაში ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ მეორე წელს, კამპუსში დაბრუნებისას, კარლი შეყვარებულს დაშორდა. ბიჭს ეს ამბავი კარგად არ მიუღია. მაგრამ პოლიციას მის წინააღმდეგ სამხილი არ ჰქონია.

ლორის შოუსთვის კარგი საქმე იყო.

ლეომ კარლის ფოტოები დაათვალიერა, უნდოდა, შეყვარებული მოეძებნა. თარიღს დააკვირდა. ჯერ კიდევ კოლეჯის წლები იყო, უფრო ღრმად უნდა წასულიყო სკოლის წლების სანახავად.

კაცმა შეამჩნია, რომ კარლი ყველა სურათში მხიარული და ბედნიერი ჩანდა. სქელი, მუქი თმა და დიდი ყავისფერი თვალები ჰქონდა. ყოველთვის იღიმოდა. კაცი ისე სწრაფად ათვალიერებდა ფოტოებს, რომ კინაღამ ნაცნობი სახე გამორჩა.

ფოტოს აღწერაში ეწერა: „დიჯეის ღამე ბობ-ინში!“ კარლი პირდაპირ კამერას უყურებდა. მის გვერდით მჯდარ კაცს მისთვის ხელი გადაეხვია. უფრო ახალგაზრდა იყო, მაგრამ ლეოს არ ეშლებოდა.

ახალგაზრდა, მაგრამ ნაცნობი. ეს მამაკაცი იმავე დღეებში გადაღებულ სხვა ფოტოებზეც ჩანდა.

ლეომ ჯერის გამოგზავნილი გადაღებების განრიგი შეამოწმა. ცხრა საათზე ალექსს სასტუმროს უკანა ეზოში შარლოტთან ჰქონდა ინტერვიუ, თერთმეტის ნახევარზე კი ქეითთან. თუ იჩქარებდა, ლორის შესვენების დროს ნახავდა.

ლეო იცდიდა, სანამ შარლოტმა გადაღების ადგილი არ დატოვა. ლორიმ მამას გაუღიმა, მაგრამ უეცარმა შიშმა სახე შეუცვალა.

- მამა, ტიმი სადაა?

- კარგადაა. გავაღვიძე. ახლა შენს ოთახშია, სასაუზმედ ემზადება, - ხუთი წელი მკვლელის მუქარის შიშში ცხოვრობდნენ. შიშში, რომ იგი ლორისა და მისი შვილის მოსაკლავად დაბრუნდებოდა. ასეთი შიში უცებ არ ქრება.

- მგონი, ალექსი მართალი იყო, როცა თქვა, ჯერემი კეროლზე ნაადრევი დასკვნები გამოგაქვსო. ეს უნდა ნახო, - ლეომ ლეპტოპი გახსნა.

ლორიმ გაოცებისგან პირი დააღო.

- ეს... ღმერთო ჩემო, ისაა.

მამას დანარჩენი ფოტოებიც აჩვენა.

- აქ ხელი აქვს გადახვეული. და შეხედე, აქ როგორ უყურებს. მგონი, ჯეფი კარლი რომანოს ხვდებოდა. შესაძლოა, ამანდა მისი პირველი მსხვერპლი არც არის.

48

ჯერი ლორის ხელს უქნევდა.

- ყველაფერი კარგადაა? ჩვენ მზად ვართ, - გეგმის მიხედვით, შარლოტ პირსის შემდეგ ქეით ფალტონთან უნდა ჩაეწერათ ინტერვიუ.

- ერთი წამი, - ლეოსკენ შებრუნდა და უთხრა, - მამა, მოდი, ამ აღმოჩენას ჯერ ნუ გავამხელთ. თუ ჯეფი გაიგებს, რომ კარლისთან მისი კავშირის შესახებ გავიგეთ, შეიძლება შეშინდეს. შუადღისას უნდა დავკითხოთ.

ლეომ თავი დაუქნია.

- გეთანხმები.

ლორი გადასაღებ მოედანს მიუახლოვდა, ქეითს მშვიდად გაუღიმა და აუხსნა, რომ სანამ დაიწყებდნენ, ალექსს უნდა დალაპარაკებოდა.

ალექსი ქალს კარგად იცნობდა და მიხვდა, რომ რაღაც მოულოდნელი მოხდა. სხვებისგან მოშორებით გავიდნენ.

- გახსოვს, რომ მოგიყევი, როდესაც ყველანი კოლეჯში სწავლობდნენ, კამპუსთან ახლოს გოგო მოკლეს-მეთქი? - ჰკითხა ქალმა.

კაცმა თავი დაუქნია.

- მამამ ინტერნეტში კარლის ფოტოები იპოვა ჯეფთან ერთად. მგონი, ერთმანეთს ხვდებოდნენ.

- როგორ მოხდა, რომ ეგ არავის უხსენებია? - სწრაფად იკითხა ალექსმა.

ლორიმ მხრები აიჩეჩა. ამ ახალ ინფორმაციას ჯერ კიდევ გონებაში ამუშავებდა.

- გოგონებმა, ალბათ, არ იცოდნენ. ქეითმა თქვა, რომ კარლის არ იცნობდნენ, მაშინ არც ჯეფთან ყოფილან ახლოს, მაგრამ ჯეფის მეგობრებს უნდა სცოდნოდათ.

- ქეითს ვკითხო? ან იქნებ დავიცადოთ, სანამ თვითონ ჯეფს დავკითხავთ?

- ქეითს არაფერი ჰკითხო. მინდა, ჯეფი გამოვიჭიროთ.

გრეისი მათკენ მოდიოდა, საოცრად მოკლე ქვედაკაბიდან გარუჯული ფეხები მოუჩანდა.

- რა ხდება? ჯერის ვუთხარი, დამშვიდდი-მეთქი, მაგრამ ცოტა აღელვებული ჩანხართ, - გრეისის უნარი ლორის ფიქრების წაკითხვისა უკვე საშიშიც კი იყო.

- მზად ვართ, - თავდაჯერებულად თქვა ალექსმა და ლორის ხელი ხელზე მოუჭირა. „დამშვიდდი, ალექსი პროფესიონალია, - შეახსენა ლორიმ საკუთარ თავს, - ყველაფერს მშვენივრად გაართმევს თავს“.

- ქეით, თქვენ თქვით, რომ ამანდას ეჭვები ჰქონდა დაქორწინებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ, მითხრათ, ზუსტად რა თქვა? - ხაზგასმით ჰკითხა ალექსმა.

ქეითმა ტუჩები მოკუმა და სცადა, გაეხსენებინა.

- ყოველი სიტყვა არ მახსოვს, მაგრამ მარტონი ვიყავით აუზში და მკითხა, ოდესმე თუ მიფიქრია, რომ ძალიან ახალგაზრდა დავქორწინდი. იმის გაგება უნდოდა, ვნანობდი თუ არა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ვერ გამოვცადე - რაღაც ასეთი. ისიც კი მკითხა, შენი აზრით, ყველაფრის გაუქმება ძალიან გვიანააო?

- ეგ ყველაფერი უფრო სერიოზულია, ვიდრე ბოლო წუთებში ნერვიულობა. ქორწილის გაუქმების შესახებ მართლა თქვა რაღაც?

- არ უთქვამს, რომ უნდოდა, მაგრამ კი, მახსოვს, როგორ თქვა, ძალიან ცუდი იქნება, ახლა რომ გავაუქმო ყველაფერიო? ვუთხარი, ნერვიულობა ნორმალურია-მეთქი, ისიც ვუთხარი,

მხოლოდ სხვა ადამიანების განაწყენების თავიდან აცილების გამო ნუ დაქორწინდები-მეთქი.

- თუ ეს სიმართლეა, ქეით, თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც ამანდამ თავისი ორჭოფობა აღიარა. ბოდიში ამის თქმისთვის, მაგრამ მეგანი უფრო ახლოს არ იყო მასთან? სხვა თუ არაფერი, მისი მეჯვარე იყო. მას რატომ არ გაუმხელდა თავის წუხილს?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

- შეიძლება იმიტომ, რომ მეგანი ჯეფის მეგობარიც იყო? შეიძლება ნერვიულობდა, რომ მეგანი ჯეფს ეტყოდა.

- დარწმუნებული ხართ, რომ ეს ერთადერთი ახსნაა? - ჩააცივდა ალექსი, - მეგანის საუბრიდან გამომდინარე, ის და ამანდა ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. ნუთუ ამანდა იმდენად არ ენდობოდა, რომ ასეთი სერიოზული რამ ეთქვა?

ქეითმა ყელი ჩაიწმინდა.

- შესაძლოა, წლების განმავლობაში წამომცდენოდა, რომ კი, ვფიქრობდი, ადრე ხომ არ დავქორწინდი-მეთქი. წარმოვიდგენდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ცოტა ხნით ჩემს გემოზე რომ ვყოფილიყავი. მაგრამ როდესაც მკითხა, ჩემი ქმარი და შვილები თუ მიყვარდა, ვუთხარი, რომ შეუძლებელი იყო სინანული მაშინ, როცა ისინი მყავდნენ. როდესაც მოგვიანებით ვკითხე, ქორწინებასთან დაკავშირებული სერიოზული ეჭვები ხომ არა გაქვს-მეთქი, არაპირდაპირი პასუხი გამცა.

- რას გულისხმობთ? - ჰკითხა ალექსმა.

ლორი წინ გადაიხარა, არ უნდოდა, ქეითის სახის რომელიმე გამომეტყველება გამორჩენოდა.

- თქვა, რომ რაღაც მოხდა - ძალიან ბუნდოვნად ლაპარაკობდა - და სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კარგად უნდა გაერკვია ყველაფერი.

- მაინც რა უნდა გაერკვია?

- წარმოდგენა არა მაქვს. მხოლოდ ეს მითხრა.

- ჯეფთან დალაპარაკებას აპირებდა?

- ნამდვილად არ ვიცი, - თქვა ქეითმა.

ალექსმა ლორის გახედა. ლორიმ თავი გააქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ალექსს აღარ უნდა გაეგრძელებინა. ქალს არ უნდოდა, ქეითს ჯეფისთვის ეთქვა, რომ ისევ მისკენ იხრებოდნენ.

ალექსი უკვე ინტერვიუს ამთავრებდა, როდესაც ლორიმ დაინახა, როგორ მიიჩქაროდა სანდრა პირსი სასტუმროს ფოიეს მხარეს, ხელში ცხვირსახოცით, უკან კი ქმარი მიჰყვებოდა. რა ხდებოდა? რამდენიმე წამის შემდეგ იმავე კარიდან ჰენრი გამოვარდა და ლორისკენ გამოქანდა.

- დედამ თქვენი მოძებნა მთხოვა. პოლიციამ თქვა, რომ იპოვეს ცხედარი, რომელიც შეიძლება ამანდასია.

49

დეტექტივის სახელი მარლინ ჰენსონი იყო. ლორის გაახსენდა, რომ სანდრამ ეს სახელი პირველი შეხვედრის დროს ახსენა. დაბალი იყო, ხუთი ფუტი ძლივს იქნებოდა, გრძელი, წითელი თმა და მრგვალი, სავსე ლოყები ჰქონდა. ფეხები თეძოების სიგანეზე გაედგა და ტანკივით გაბოჯიჯგებული იდგა.

- სანდრა, დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა, მხოლოდ ოჯახის წევრები დაესწრონ? - იკითხა დეტექტივმა. ლორიმ მის ხმაში მსუბუქი სამხრეთული აქცენტი შეიცნო.

პირსების მთელი ოჯახი უოლტერის ოთახში შეკრებილიყო. ყველამ ლორისა და ალექსს შეხედა, რომლებიც კართან იდგნენ. სწორედ ისინი იყვნენ უცხონი.

- მინდა, ლორი და ალექსი აქ იყვნენ, - დაადასტურა სანდრამ, - მათი შოუ, შესაძლოა, ამანდას პოვნის მიზეზიც კი იყოს. ვიცი, რომ ჩვენი დახმარება უნდათ.

- მაგრამ რეპორტიორებიც არიან, სანდრა. ზოგი რაღაცის ხალხისთვის გამხელა გამოძიების გარეშე არ შეგვიძლია.

- ჩვენ ჩვეულებრივი რეპორტიორები არ ვართ, - თქვა ლორიმ, - ნებისმიერი რამ, რასაც ამ ოთახში იტყვით, ჩვენ შორის დარჩება. სიტყვას გაძლევთ.

- და პოლიციისგან განსხვავებით, - თქვა ალექსმა, - ჩვენ გვაქვს ყველას თანხმობა და ქორწილის ყველა მონაწილე თავისი სურვილით გვესაუბრება. არანაირი დაპატიმრება, არანაირი მირანდას უფლება.[55]

---

[55] დუმილის უფლება, რომელიც პირს დაპატიმრების დროიდანვე ენიჭება.

დეტექტივმა ჰენსონმა კიდევ ერთხელ გახედა სანდრას და დაკმაყოფილდა. ქალს ნამტირალევი თვალები კვლავაც დაწითლებული და დასივებული ჰქონდა, მაგრამ დეტალების მოსასმენად მზად იყო. უოლტერმა მხარზე ხელი მოხვია.

სანდრამ საოცრად მშვიდი ხმით იკითხა:

- დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი ქალიშვილის ცხედარი იპოვეთ?

- ნება მომეცით, აგიხსნათ ის ყველაფერი, რამაც დღეს აქ მოგვიყვანა. გუშინ ღამით, შუაღამემდე რამდენიმე წუთით ადრე, პოლიციის განყოფილებაში დარეკეს. მოსაუბრეს ხმა დახშული ჰქონდა. ისიც კი არ ვიცით, კაცი იყო თუ ქალი. მან შეგვატყობინა თქვენი ქალიშვილის ცხედრის ადგილსამყოფელი. რა თქმა უნდა, დამრეკავის ადგილმდებარეობის დადგენა ვცადეთ, მაგრამ ისეთი ტელეფონიდან რეკავდა, რომლის ყიდვა და გადაგდებაც შეიძლება.

უოლტერმა ტუჩები მკაცრად მოკუმა.

- ეს თითქმის თორმეტი საათის წინ მოხდა. არავის უფიქრია ჩვენთვის რამის თქმა?

- განყოფილებას სურდა, ყველაფერი კარგად შეესწავლა. არ მინდოდა თქვენი განერვიულება, თუ ეს ზარი ცრუ აღმოჩნდებოდა, მაგრამ მაშინვე დავიწყეთ მოქმედება. მისამართმა, რომელიც დამრეკავმა წარმოადგინა, ავტოსადგომზე მიგვიყვანა, წმინდა ედუარდის ეკლესიის მოპირდაპირე ქუჩაზე, აქედან ორი მილის დაშორებით. ყველაფერი შევამოწმეთ. იმ ავტოსადგომს ხელახლა აგებდნენ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც თქვენი ქალიშვილი გაუჩინარდა. საკმაოდ ზუსტი ინსტრუქციები გვქონდა, თუ სად უნდა მოგვეძებნა ცხედარი. მიწაში შემღწევი რადარი გამოვიყენეთ. რადარის მონაცემებზე დაყრდნობით ავტოსადგომის თხრა დილით დავიწყეთ და, სამწუხაროდ, იმ ადგილას გვამის ნაწილებიც აღმოვაჩინეთ. რა თქმა უნდა, შევამოწმებთ, ნამ-

დვილად თქვენს ქალიშვილს ეკუთვნის თუ არა გვამის ნაწილები, მაგრამ მარცხენა ხელზე ეს ეკეთა.

დეტექტივმა ჰენსონმა სანდრას ორი თეთრი ოქროს ბეჭდის ფოტოსურათი მიაწოდა: ტიფანის ბრილიანტის ნიშნობის ბეჭედი და ბეჭედი სიძისთვის. ორივე ტალახით იყო დასვრილი.

- მგონი, მისია, - თქვა სანდრამ, - ნიშნობის ბეჭედზე ამოტვიფრული იყო: ა. და ჯ.

დეტექტივმა ჰენსონმა ფრაზა სანდრასთან ერთად დაასრულა:

- Semper amemus.

- ესაა „ყოველთვის გვეყვარება“ ლათინურად, - ახსნა სანდრამ, რომელიც ქვითინს ძლივს იკავებდა, - ნამდვილად ჩვენი შვილია. ჩემი გოგონა. ამანდა.

უოლტერმა ორივე ხელი შემოხვია, ქალმა კი მას მხარზე მიაყრდნო თავი.

- ძალიან ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიწევს, - რბილად თქვა დეტექტივმა, - ცოტა ხნით ოჯახს მარტო დაგტოვებთ. ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა.

50

ლიფტისკენ მიმავალმა ლორიმ დეტექტივ ჰენსონს ჰკითხა, ცოტა დრო თუ ჰქონდა.

- დეტექტივო, რაღაც უნდა იცოდეთ იმ ბეჭდებზე, რომლებიც ამანდას ცხედარზე იპოვეთ. ჯეფმა გვითხრა, რომ როდესაც ნიუ-იორკში დაბრუნდა, ბეჭდები ვერ იპოვა. მან თქვა, რომ ამანდას გაუჩინარებით გამოწვეული სტრესის გამო ვერც კი შენიშნა, რომ გაქრა.

- მაინტერესებდა, რატომ ეკეთა ბეჭდები დაქორწინებამდე?

- არ უნდა ჰკეთებოდა, - თქვა ალექსმა, - ნახეთ: ორივე, სიძი-სა და პატარძლის ბეჭდები ცერემონიამდე ჯეფის სეიფში ინახე-ბოდა. ამანდას ერთ-ერთმა მეგობარმა გვითხრა, რომ ამანდას თავისი არჩევანის სისწორე აეჭვებდა. უთქვამს, რომ რაღაც უნ-და გაერკვია, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა.

დეტექტივმა ჰენსონმა წარბები აზიდა.

- ეს ნამდვილად საინტერესოა. სანდრამ უკვე მითხრა ანდერ-ძის შესახებ. ახლა, როდესაც მისი ცხედარი ვიპოვეთ, ჯეფი ფულს ისე მიიღებს, რომ ყურადღებასაც კი არ მიიპყრობს ქალის გარდაცვლილად გამოცხადების მოთხოვნით.

ლორიმ დაინახა, როგორ ეწყობოდა ყველაფერი ერთმა-ნეთს.

- თუ ამანდა იმ ღამით ჯეფის ოთახში შევიდა, შესაძლოა, ბეჭ-დების მოსინჯვა მოენდომებინა. იქნებ აინტერესებდა, როგორ იგრძნობდა თავს? თუ აზრი შეიცვალა და ყველაფრის გაუქმება გადაწყვიტა, შესაძლოა, წყვილმა იჩხუბა კიდეც. ჯეფმა ქალი მოკლა და ისე დამარხა, რომ ბეჭდების მოხსნა დაავიწყდა.

როგორც ყოველთვის, ალექსი მის ლოგიკას ფეხდაფეხ მიჰ-ყვებოდა.

- როდესაც თავის შეცდომას მიხვდა, შეეძლო, სადაზღვევო ანაზღაურება მოეთხოვა და ამით მიზეზი გამოეძებნა იმისთვის, თუ რატომ იყო ამანდას ბეჭედი დაკარგული, მაგრამ სარჩელი არ შეუტანია.

დეტექტივმა გაიღიმა.

- ვაფასებ ამ ინფორმაციას, მაგრამ დანარჩენი პოლიციას მიანდვეთ.

- დარწმუნებული ხართ, დეტექტივო? - სწრაფად ჰკითხა ალექსმა, - იმიტომ, რომ ნახევარ საათში თქვენი ნომერი პირველი ეჭვმიტანილი უნდა დავკითხოთ, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რომ ამანდას ცხედარი იპოვეთ თითზე ჩამოცმული ბეჭდით. და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის შესახებ ვკითხავ.

51

საზაფხულო პიჯაკსა და ბაფთაში ჯეფი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. სთხოვეს, რამე ისეთი ჩაეცვა, რის ჩაცმასაც ქორწილში აპირებდა. იგი ალექსს აჩვენებდა სანაპიროზე მდებარე ხეივანს, სადაც ოჯახის წევრებისა და უახლოესი მეგობრების თანდასწრებით ფიცი უნდა წარმოეთქვათ.

- ნამდვილად ლამაზი ადგილია, - თქვა ალექსმა, - აუცილებლად უნდა გკითხოთ ფეხსაცმლის უცნაურ არჩევანზე.

ერთ-ერთი ოპერატორი კამერით ხელში წინ წამოვიდა, რომ ჯეფის სანდლები დაეფიქსირებინა.

- ამანდას ძალიან მოსწონდა სანაპიროზე ქორწილის გამართვის იდეა, - თქვა მოგონებებში ჩაძირულმა, - მაგრამ ნერვიულობდა, სილაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები როგორ ჩავიცვაო. აღფრთოვანდა, როდესაც შევთავაზე, ორივემ სანდლები ჩავიცვათ და სტუმრებსაც ვუთხრათ, ასე მოიქცნენ-- მეთქი. მოგვიანებით, სადილისთვის, ჯიმი ჩუს თეთრ ფეხსაცმელებს ჩაიცვამდა.

ლორიმ შეთქმულივით გაუღიმა ქალს, რომელმაც მოთხოვნილი წყლის ბოთლი მიაწოდა. დეტექტივი ჰენსონი ნამდვილად ჰგავდა პოლიციის დეტექტივს, როდესაც პირსების ოჯახს ცუდ ახალ ამბავს ეუბნებოდა, მაგრამ ლურჯ ჯინსს და გადაცემის სახელობის მაისურში გამოწყობილი ქალი გუნდის სხვა წევრებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ალექსმა დაარწმუნა იგი, რომ პოლიციის ინტერესებში იქნებოდა, თუ გადაღების განრიგს არ დაარღვევდნენ. ჯერჯერობით, პოლიცია ახერხებდა, რომ ცხედრის პოვნის ამბავი მედიამდე არ მისულიყო.

თუ პოლიციას ჯეფმა მიაწოდა ანონიმური შეტყობინება, მაშინ, ალბათ, ეცოდინებოდა, რომ გათხრა დაიწყეს. მაგრამ და-

ნამდვილებით არ ეცოდინებოდა, რომ ამანდას ცხედარი და ბეჭ-დები იპოვეს. მასზე ჯერ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ იყვნენ.

ჯეფი კამერასთან თავს მშვენივრად გრძნობდა. კიდევ ერ-თხელ უთხრა ალექსს, როგორ აღაფრთოვანებდა მისი, რო-გორც იურისტის უნარები.

- ვნახოთ, ინტერვიუს დასრულებისასაც ამ აზრზე თუ დარჩე-ბით, - ცბიერად უთხრა ალექსმა, - თავდაპირველად, მოდი, ერ-თი რამ გავარკვიოთ. თქვენ დაქორწინდით ამანდას საუკეთესო მეგობარზე, მეგანზე, მხოლოდ თხუთმეტი თვის შემდეგ. უნდა გცოდნოდათ, რომ ეს ფაქტი უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

- რა თქმა უნდა, ვიცოდით, ალექს. სწორედ ამიტომ არ გა-დაგვიხდია დიდი ქორწილი და ეს ამბავიც მხოლოდ ახლობ-ლებს გავაგებინეთ. მაგრამ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. და-ქორწინებით ჩვენს თავებს შევახსენეთ, რომ ცხოვრება გრძელ-დებოდა. გვინდოდა, ერთად გაგვეგრძელებინა.

- არ ფიქრობთ, რომ გულცივი ნათქვამია?

- შესაძლოა, მაგრამ ჩვენთვის ასე არ იყო. ორივეს გვიყვარ-და ამანდა. სწორედ მისმა დაკარგვამ დაგვაახლოვა. ერთმა-ნეთს წუხილის გადატანაში დავეხმარეთ.

- ანუ ამბობთ, რომ თქვენსა და მეგანს შორის ამანდას გაქ-რობამდე არაფერი ხდებოდა?

- ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს, - თქვა მან და ფიცის წარმოთქმი-სას ხელი შემართა.

- თქვენმა ცოლმა გვითხრა, რომ ავადმყოფობის შემდეგ ამანდა შეიცვალა. უფრო გაძლიერდა. ნაკლებად მომთმენი გახ-და. მგონი, სიტყვა „ეგოისტიც“ კი იხმარა. ამანდას დამაც იგივე გაიმეორა. ამან, ალბათ, თქვენს ურთიერთობაზეც მოახდინა გავლენა.

- ვეჭვობ, მეგანს მაგ სიტყვის თქმა არ უნდოდა, მაგრამ კი, ნამდვილად უნდა ითქვას, რომ ამანდა სულ სხვა პიროვნება

გახდა, როდესაც მკურნალობა დაასრულა. ვისზე არ მოახდენდა გავლენას სიკვდილის პირისპირ დგომა ასეთ ასაკში? მე კი უფრო მეტად ვაღმერთებდი მას. გადაწყვიტა, რომ ბოლომდე დამტკბარიყო ცხოვრებით.

- თქვენი მეგობრებისგან გავიგეთ, რომ ხანდახან კამათობდით.

- დიახ, რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერი წყვილი, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული. დიახ, მართალია, რომ ჩვენი ურთიერთობა იდეალური არ ყოფილა და ეს მის ავადმყოფობასთან გამკლავებას უკავშირდება. ჩვენ ერთმანეთი მაშინ შეგვიყვარდა, როდესაც ავად იყო. როდესაც უკეთ გახდა, ჩემზე დამოკიდებული აღარ იყო და ხანდახან ვერ ერგებოდა ერთმანეთს ჩვენი ცხოვრება. სიგიჟეა ამის თქმა, მაგრამ თითქოს სიცარიელე შეიქმნა ავადმყოფობის გარეშე.

- ამანდა ქეითს იმაზეც კი ელაპარაკა, რომ ქორწილი გაეუქმებინა.

ჯეფი გაოცებული ჩანდა.

- ვერ წარმომიდგენია, რატომ. ორივეს ძალიან გვიხაროდა, ცოლ-ქმარი რომ ვიქნებოდით.

- ამანდამ უთხრა, რომ რაღაც მოხდა და უკეთ უნდა გაერკვია ყველაფერი. დარწმუნებული ხართ, რომ იმ ღამით, წვეულებებზე წასვლის შემდეგ, ამანდა აღარ გინახავთ?

- რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ.

- ახლა კი მინდა ნიშნობის ბეჭდებზე გკითხოთ. ცერემონიამდე თქვენ ინახავდით?

ჯეფი ამ შეკითხვას სრულიად არ აუღელვებია.

- დიახ, სასტუმროში, ჩემი ოთახის სეიფში იყო, მაგრამ მოიპარეს.

- ბოლოს როდის ნახეთ?

- ჰმმ... მგონი, იმ დღეს, როდესაც ამანდა გაუჩინარდა. ფოტოგრაფი სურათებს იღებდა და ჩემს ოთახში ბეჭდებსაც გადაუღო რამდენიმე ფოტო.

- და შემდეგ სეიფში დააბრუნეთ?

- დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ.

- მაგის შემდეგ ამანდა თქვენს ოთახში აღარ ყოფილა?

- არა. ძალიან ბევრ შეკითხვას მისვამთ ბეჭდებზე. ძალიან ძვირფასი არ ყოფილა. ძვირად ღირებული ბეჭდის ყიდვას ვერ გავწვდებოდი. რაიმე მიზეზი აქვს თქვენს ინტერესს?

ლორის გააჟრჟოლა. ჯეფი მათ გამოცდას ცდილობდა? როდესაც ლორიმ ალექსის სახეს შეხედა, გადაწყვიტა, არასდროს ეთამაშა მასთან ერთად პოკერი. სახეზე სრულიად არაფერი ემჩნეოდა.

- მეგანმა თქვა, რომ, შესაძლოა, ამანდამ ისინი სახსოვრად წაიღო.

ჯეფმა თავი დააქნია, ახსნამ დააკმაყოფილა.

- ეს აზრი ჩემთანაც ახსენა. მგონი, ძალიან უნდა იმის დაჯერება, რომ ამანდა მონტანაში, რომელიმე ფერმაში კარაქს დღვებს. რა კარგი იქნებოდა, არა?

- ამანდა არ არის ერთადერთი ქალი, რომელსაც იცნობდით და რომელიც გაუჩინარდა, არა?

- ეს რანაირი შეკითხვაა? რა თქმა უნდა, არის.

- კარლი რომანოს მკვლელობის საქმეს გადავხედეთ. სოფომორი იყო კოლბის კოლეჯში. ორი კვირა იყო დაკარგული, სანამ მის ცხედარს იპოვიდნენ. ექსპერტმა თქვა, დაიხრჩოო. ამ ფოტოზე თქვენ და კარლი არა ხართ მის სიკვდილამდე სამი თვით ადრე?

ჯეფს ბრაზისგან სახე წამოუწითლდა.

- შეუძლებელია, იმას ამტკიცებდეთ...

- მხოლოდ შეკითხვა დავსვი, ჯეფ.

- სიგიჟეა. კოლბი პატარა კოლეჯია, ჯამში ათას რვაასი სტუდენტით. თითქმის ყველა ყველას იცნობდა.

- მაგრამ ამ ფოტოზე კარლისთვის ხელი გაქვთ გადახვეული. მისით საკმაოდ მოხიბლული ჩანხართ.

- ყველაფერი აურ-დაურიეთ. ალბათ, ეს ბობ-ინია, ახლომდებარე ბარი. ნიკი მის ერთ-ერთ მეგობარს ეარშიყებოდა. მე მას არ ვხვდებოდი.

- თქვენი ერთად გადაღებული სხვა ფოტოებიცაა.

- ალბათ, იმ რამდენიმე მომენტში გადაღებული, როცა რომელიმე ბარში ვიყავით ერთად. კარლი კამპუსში ერთ-ერთი ულამაზესი გოგონა იყო. წვეულებებზე მას ყველა ეფლირტავებოდა, მაგრამ ჩემთან სერიოზული არაფერი ჰქონია, უბრალოდ, ვერთობოდით. სასაცილოა... ამდენი წელია ადამიანები მადანაშაულებენ, რომ ზიანი მივაყენე ქალს, რომელიც მიყვარდა. თქვენ რა, სერიოზულად ფიქრობთ, რომ სერიული მკვლელი ვარ?

ალექსი ცოტა ხნით ჩუმად იყო. როდესაც ლაპარაკი დაიწყო, ჯეფს სახეზე ფერი არ ედო.

- რაღაც უნდა გითხრათ, ჯეფ. პოლიციამ დღეს დილით ავტოსადგომის ქვეშ ქალის ცხედარი იპოვა. ამანდას გაუჩინარების დროს ავტოსადგომს ხელახლა აგებდნენ.

ჯეფმა მარიონეტივით გააღო და დახურა პირი.

- ამანდას ცხედარია?

- ჯერ არ ვიცით, მაგრამ მისი ნიშნობის ბეჭედი კი იპოვეს.

- Semper amemus? - ჩაიბურტყუნა მან, - ეს იყო ამოტვიფრული.

- დიახ, - თქვა ალექსმა, - იგივე ბეჭედია. მასთან ერთად პოლიციამ მეორე ბეჭედიც იპოვა. ის, რომელიც, თქვენი თქმით, ბოლოს სასტუმროს ოთახში ნახეთ.

ჯეფი სკამიდან ადგა, მიკროფონი მოიგლიჯა და სწრაფად გავიდა გადასაღები მოედნიდან.

52

ერთი საათის შემდეგ ლორი ალექსის ოთახში წინ და უკან დადიოდა.

- ლორი, - თქვა შეწუხებულმა ალექსმა, - ასეთი ანერვიულებული არასდროს მინახავხარ. ასე თუ გააგრძელებ, სასტუმროში ორმოს გათხრი.

ოთახში ქალის მამა და დეტექტივი ჰენსონიც იყვნენ. ჯერი გადამღებ ჯგუფთან ერთად სასტუმროს შემოგარენს იღებდა ინტერვიუებს შორის თხრობის ფონისთვის. ლორიმ გრეისს სთხოვა, ტიმისთვის მიეხედა, რათა მამამისი დეტექტივ ჰენსონთან შეხვედრის დროს მათთან ყოფილიყო.

- მართალი ხარ, - თქვა ლორიმ, - ნერვებად გადავიქეცი. სანდრასა და უოლტერს არ უნდა ვუთხრათ, რაც მოხდა?

ჯერჯერობით, მხოლოდ გადამღებმა ჯგუფმა და ჯეფმა იცოდნენ ამანდას ცხედართან ერთად ნაპოვნი ბეჭდებისა და კარლი რომანოსთან ჯეფის კავშირის შესახებ.

როდესაც ლორიმ მის სკამთან ჩაიარა, ლეომ სწრაფად წაავლო ხელი.

- ნუღარ დადიხარ. დეტექტივმა იცის, რასაც აკეთებს, და მეც ასე ვფიქრობ. როდესაც საქმეზე მუშაობ, ოჯახს ყველაფერს ვერ ეტყვი.

ალექსმა ჯეფს მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოწურა. მან აღიარა, რომ კარლის იცნობდა და ნიშნობის ამბავიც გაიმეორა, მაგრამ დეტექტივი ჰენსონი მას ვერ დააპატიმრებდა, სანამ ექსპერტი გვამის გაკვეთას არ დაასრულებდა, რასაც, შესაძლოა, ფიზიკური სამხილის პოვნაც მოჰყოლოდა.

დეტექტივ ჰენსონს კვლავ შავი კოსტიუმი ჩაეცვა.

- სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები მთელ სასტუმროში არიან, ჯეფ ჰანტერის სახელი კი ყველა ავიაკომპანიას, მანქანების გაქირავების სერვისსა და სადგურს გადავეცი. თუ დაგეგმილზე ადრე ეცდება გაქცევას, გავიგებთ.

- და მერე რა მოხდება, ნიუ-იორკში რომ დაბრუნდება? - იკითხა ალექსმა.

- ამაზე მერე ვიფიქრებთ, მაგრამ დამიჯერეთ, ვერ გაგვეპარება.

- კარგია, - თქვა ლეომ, - თუ არაფერში ვცდებით, ჯეფი ძალიან ბევრი დანაშაულისთვისაა დაუსჯელი.

- ერთი რამ ჯერ კიდევ არ მესმის, - თქვა ლორიმ, რომელსაც აქეთ-იქით სიარული კვლავ განეახლებინა, - მართლა ჯეფმა დარეკა პოლიციაში? რატომ შეგვატყობინებდა ცხედრის ადგილმდებარეობას? უნდა სცოდნოდა, რომ ბეჭდების აღმოჩენა კვლავ მასზე მიგვატანინებდა ეჭვს.

- მაგაზე მეც ვიფიქრე, - თქვა ალექსმა, - მაგრამ ბევრი კლიენტი მყოლია, რომლებიც თავიანთი გადაწყვეტილებების დანახარჯებსა და მოგებებს ზუსტად ითვლიან. ჯეფი, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ბეჭედი საკმარისი სამხილი არ იქნებოდა მსჯავრის დადებისთვის. მაგრამ ახლა, როდესაც ამანდას ცხედარი იპოვეს, შეუძლია მემკვიდრეობა მიიღოს, თანაც ისე, რომ არ მოუწევს სარჩელის შეტანა ქალის გარდაცვლილად გამოცხადებაზე, რაც ხალხის თვალში მას ცუდ ადამიანად გამოაჩენდა.

- ანგარიში ხუთი წლის წინ ორ მილიონ დოლარს შეადგენდა, - თქვა ჰენსონმა.

ლეომ დაუსტვინა.

- ალბათ, ახლა ბევრად მეტია.

- ხმას ვერ გავშიფრავთ, რომ ვნახოთ, ჯეფია თუ არა? - იკითხა ლორიმ.

ჰენსონმა თავი გააქნია.

- ხმის დამხშობის ყიდვა ბევრგან შეიძლება. როგორც ადრეც გითხარით, დამრეკავი, შესაძლოა, ქალიც იყოს. ზარი ისეთი ტელეფონიდან შემოვიდა, რომელსაც პატრონი არა ჰყავს. ის ვიცით, რომ ზარი აქედან ორი კვარტალით დაშორებული სასიგნალო კოშკიდან შემოვიდა. ასე რომ, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, დაერეკა. ეს ინფორმაცია ვერაფერში დაგვეხმარება, - განაგრძო ჰენსონმა, - შემიძლია, თქვენ სამს გენდოთ, რომ ამ ყველაფერს არსად იტყვით? იმედია, ამას არ ვინანებ.

ლორიმ ქალი დაარწმუნა, არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ პოლიციას ჯეფზე აქვს ეჭვიო, მაგრამ როდესაც დეტექტივი ოთახიდან გავიდა, ვერ წარმოიდგინა, როგორ უნდა დაერეკა ჯეფს. აშკარად რაღაც გამორჩათ.

როდესაც ქალი მამასთან ერთად ალექსის ოთახიდან გამოვიდა, ჰკითხა, ტიმისთან ერთად აკვაპარკიდან დაბრუნების შემდეგ სადღაც თუ გაჰყვებოდა.

- მოცდა საჭირო არ არის, - უპასუხა ლეომ, - ახლახან ვნახე ჯერი, ამაყობდა, გადაღება მალე დავასრულეო. ჩემდა გასაოცრად თქვა, ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი იმ ოთხსართულიან სასრიალოს, რომელზეც ტიმი გაუჩერებლად ლაპარაკობსო.

- ვნახავ, ჯერი ხუმრობს თუ მართლა დარჩება ტიმისთან, სანამ შენ ჩემთან იქნები.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილიშვილი ძალიან მიყვარს, სამოცდაოთხი წლის ასაკში წყლის სასრიალოზე ნამდვილად ვერ ავალ. მაგრამ, ლორი, ცოტა ხნით დაისვენე და თავისუფალი დრო ალექსთან ერთად გაატარე. ვიცი, რომ დღეს გადაღება აღარ არის.

- კი, მაგრამ რაღაცის გაკეთება მინდა და თავს უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობ, თუ შენც ჩემთან ერთად იქნები, მაგრამ უნდა

დამპირდე, რომ ამჯერად ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც მე ვიტყვი.

53

ლორიმ მესამედ დააკაკუნა კარზე.

- ვიცი, რომ სახლში ხართ, - ჯერემი კეროლის სახლის წინა ფანჯარაში შეიხედა, მაგრამ სასტუმრო ოთახში ვერავინ დაინახა. ყოველ შემთხვევაში, თავისი ფოტოკოლექცია მაინც არ ჰქონდა გადაყრილი.

სახლის კუთხესთან მივიდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მამამისი ქუჩის გადაღმა, ნაქირავებ მანქანაში იჯდა. უნდოდა, ახლოს ჰყოლოდა, ყოველი შემთხვევისთვის, თუ ყველაფერი ცუდად განვითარდებოდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ჯერემის ნდობას უფრო იოლად მოიპოვებდა, თუ მარტო დაელაპარაკებოდა.

დაინახა, როგორ შეირხა ფარდა. სანამ ჯერემის არ დაელაპარაკებოდა, აქედან წასვლას არ აპირებდა.

- ვიცი, რომ ამანდასთვის არაფერი დაგიშავებიათ, - დაიყვირა ქალმა, - ბოდიშს გიხდით, რომ მაშინ საშინლად მოვიქეცით, მაგრამ, მგონია, რომ დახმარება გინდათ. გთხოვთ!

შემოსასვლელი კარი ოდნავ გაიღო. შუბლზე ჩამოყრილი უსუფთაო ყავისფერი თმის ქვემოდან ჯერემის თვალები გამოჩნდა.

- მართლა მარტო ხართ? - იკითხა შიშით.

- დიახ, პირობას გაძლევთ.

კარი ბოლომდე გააღო და განზე გადგა, რათა ლორი შეეშვა. ქალს იმედი ჰქონდა, რომ გამოუსწორებელ შეცდომას არ უშვებდა.

- თქვენთან ერთად რომ მამაკაცი იყო, არ მომეწონა, - თქვა, როდესაც სასტუმრო ოთახში მდივანზე ჩამოსხდნენ, - პოლიციელს ჰგავდა.

- მამაჩემია, - უთხრა ქალმა პასუხად, - მართალი იყავით, რომ ნერვიულობდით, ჩემზე ეჭვს მოიტანენ, თუ გაიგებენ, რომ ამანდასა და მის მეგობრებს შორიდან ფოტოებს ვუღებდიო, მაგრამ ახლა მესმის. ფოტოებს იმიტომ იღებთ, რომ ადამიანები თქვენთვის მნიშვნელოვანი არიან. გინდათ, ისინი უშუალონი დაინახოთ და არა მაშინ, როდესაც კამერას უღიმიან.

- დიახ, სწორედ ასეა. იმ ნიღბების დანახვა არ მინდა, ადამიანები რომ ირგებენ. რეალობა მაინტერესებს.

- თქვენ თქვით, რომ, როგორც კი მიხვდით, თქვენი მეზობლები ნაწყენები იყვნენ, მაშინვე გაანადგურეთ მათი ფოტოები. ამანდას ფოტოებზე რას იტყვით?

კაცმა პირდაპირ შეხედა. ჯერ კიდევ არ ენდობოდა.

- სასტუმროს კამერების მიერ გადაღებულ ჩანაწერში გნახეთ. წინ ჩაგიარათ, თქვენ კი შებრუნდით და უკან გაჰყევით. კამერაც თან გქონდათ. ხელოვანი ხართ. უცებ რამდენიმე კადრს გადაიღებდით.

- უცებ გადაღებული კადრები არაა, როგორც ინსტაგრამის[56] დამწყები მომხმარებელი გადაიღებდა. ეს ხელოვნებაა.

- ბოდიში, ჯერემი, არასწორი სიტყვები გამოვიყენე... ამანდა, ლამაზთან ერთად, ჭკვიანი და რთული ხასიათის ქალი იყო. იცოდით, რომ მძიმე დაავადება გადაიტანა?

ჯერემიმ თავი გააქნია.

- ჰოჯკინის ლიმფომა. ძალიან ავად იყო. ოცი გირვანქა დაიკლო. ზოგჯერ საწოლიდანაც კი ვერ დგებოდა.

- საშინელებაა, - თქვა ჯერემიმ ნაღვლიანად.

---

[56] სოციალური ქსელი, სადაც შესაძლებელია ფოტოების განთავსება.

- იმუნური სისტემის სიმსივნეა. სხეული ინფექციას ვეღარ ებრძვის. ძალიან იღბლიანი იყო, გამოჯანმრთელება რომ შეძლო, და იცოდა კიდეც ეს. მეგობრებს უთხრა, რომ ცხოვრებით ბოლომდე დატკბობა სურდა.

კაცმა თავი დაიქნია.

- ვიცოდი, რომ განსაკუთრებული იყო.

- უნდა გქონდეთ... - ლორი სწორი სიტყვის შესარჩევად ცოტა ხნით შეყოვნდა, - მისი პორტრეტები. ინახავდით, არა?

კაცმა ნელა დაუკრა თავი. ლორი ნელ-ნელა მის ნდობას იმსახურებდა.

- ისინი რაღაც მიზეზით შეინახეთ. ფიქრობთ, რომ შეიძლება ამანდაზე სიმართლის გარკვევაში დაგვეხმაროს?

- მპირდებით, რომ რაღაც ხრიკი არაა?

- ვფიცავ, ჯერემი, მხოლოდ თქვენი დახმარება გვჭირდება, - ცოტა ხანში რეპორტიორები გაიგებდნენ, რომ ამანდას ცხედარი იპოვეს, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს ამბავი საიდუმლოდ რჩებოდა, - ახალი სამხილი გვაქვს, რომლის თქმაც არ შემიძლია. იმ სამხილზე დაყრდნობით, ვფიქრობ, არავის მოუვა აზრად, რომ მას რამე ავნეთ.

ჯერემის სუნთქვა ისე გაუხშირდა, ქალს შეეშინდა, პანიკის შეტევა არ დაეწყოსო. როდესაც მხარზე ხელი შეახო, თბილი და წებოვანი იყო.

- ყველაფერი კარგადაა, ჯერემი, - დაარწმუნა ქალმა, - შეგიძლიათ, მენდოთ.

კაცი სწრაფად ადგა, თითქოს უნდოდა, მანამდე გაეკეთებინა რაღაც, სანამ აზრს შეიცვლიდა. სასადილო ოთახში შევიდა და გაზეთებისა და ჟურნალების გროვაში დაიწყო ქექვა. სუნთქვაშეკრული ლორი ოთახში შეჰყვა. გროვის ძირიდან კაცმა დიდი კონვერტი გამოათრია და ქალს გადასცა. კონვერტზე დიდი

ასოებით ეწერა: „გრანდ-ვიქტორია“, თარიღი კი ამანდას გაუჩინარების თარიღს ემთხვეოდა.

- შეიძლება, გავხსნა? - იკითხა ქალმა.

კაცმა თავი დაუქნია. სახეზე ტკივილი გამოხატოდა, თითქოს ელოდებოდა, რომ ქალი რამეს დაუშავებდა.

ლორიმ კონვერტიდან ფოტოები ამოიღო და სასადილო მაგიდაზე გაშალა. ასი სურათი მაინც იქნებოდა. რამდენიმე ფოტოზე ადამიანები პოზირებდნენ. ესენი, ალბათ, რეი უოკერთან ერთად იყო გადაღებული, მაგრამ უმრავლესობა აშკარად მათზე გამოსახული ადამიანების თანხმობის გარეშე გადაეღოთ.

ერთ-ერთ ფოტოზე ლორიმ აუზთან ახლოს მდგარ მაგიდასთან თავმოყრილი ქორწილის სტუმრები დაინახა. აშკარა იყო, რომ ფოტო შორიდან, მიახლოების დახმარებით იყო გადაღებული. ჯერემი საკმაოდ კარგი ფოტოგრაფი იყო. ფოკუსი იდეალურად ჰქონდა გასწორებული. გაოცებულმა შენიშნა, რომ მაგიდის ქვეშ ორ ადამიანს ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდა. ზუსტად იცოდა, ვინც იყვნენ. უშფოთველი გამომეტყველებით ეს ფოტო სხვებისგან გამოარჩია.

- შეიძლება, დავიტოვო? - იკითხა მან.

- კი.

ლორი ცოტა ხანს ყოყმანობდა, ბოლოს კი თქვა:

- ჯერემი, მინდა, დაგიქირაოთ და ისევ ის გააკეთოთ, რაც წინა ჯერზე გააკეთეთ. სასტუმროში დაბრუნდით და ადამიანები გადაიღეთ ისე, რომ არ იცოდნენ, ამას რომ აკეთებთ.

- სიამოვნებით ვიმუშავებდი თქვენთვის. ეგ ფოტო ამანდასთან რამე კავშირშია?

- რაღაც მხრივ, კი, - თქვა ქალმა, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო, ფოტოს ამანდას მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონდა. უბრალოდ, იცნობდა ადამიანს, რომელსაც ენდომებოდა, რომ ეს ფოტო არავის ენახა.

შეამჩნია, რომ ჯერემის ფოტოები თანამიმდევრულად დაეწ-ყო. ნელ-ნელა მზის შუქი მცირდებოდა. ერთ-ერთზე შეაჩერა მზერა - მასზე ამანდა ზურგით იყო აღბეჭდილი. იმ კაბაში, რომე-ლიც ფოტოგრაფთან სესიის დროს ეცვა, უკან კი სასტუმროს ბა-რი მოჩანდა.

ლორიმ ფოტო ჯერემის აჩვენა.

- ეს ის მომენტია, როდესაც სეირნობისას შეამჩნიე და უკან გაჰყევი?

კაცმა თავი დაუქნია.

- ჯერემი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც შენ თქვი, მართლაც ისეა. შენ შეგეძლო ადამიანების დაფიქსირება მათი ყალბი სახეების მიღმა. ხომ არ დაგინახავს ამანდასა და მისი საქმროს ჩხუბი? შესაძლებელი იყო, რომ ქალს ქორწილის ჩაშ-ლა მონდომებოდა?

კაცმა თავი გააქნია, ქალს მიუახლოვდა და თვითონ დაიწყო ფოტოების დახარისხება. ქალი ლოყაზე მის სუნთქვას გრძნობ-და.

- მოდი, დაგეხმარებით, - უკვე გადაწყობილი ფოტოებიდან რამდენიმე ამოარჩია, - ხედავთ, როგორ უყურებენ ერთმანეთს? წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ვუღებდი. ადამიანები ასეთ გრძნობას ვერ აყალბებენ.

ჯერემი მართალი იყო. ფოტოებზე მართლაც საოცარი სიყვა-რული ჩანდა. ჯეფს ამანდასთვის წელზე შემოეხვია ხელი, ქალი კი აუზში მიაბიჯებდა; ამანდა აღფრთოვანებული მზერით შეჰყუ-რებდა ჯეფს, რომელიც რესტორანში მის გვერდით ჯდებოდა; ხე-ლები ერთმანეთისთვის ჩაეკიდათ სანაპიროზე ყოფნისას. ამან-დას და ჯეფს წარმოდგენა არ ექნებოდათ, რომ უღებდნენ, მაგ-რამ ეტყობოდათ, რომ თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი.

- მაგრამ, აი, - თქვა ჯერემიმ და თავისი კოლექციიდან სხვა ფოტოსურათი გამოაცალკევა, - არა მგონია, რომ მხოლოდ

სიძე-პატარძალი და ის გვრიტები, რომელთაც ერთმანეთისთვის მაგიდის ქვეშ ჩაეკიდათ ხელი, იყვნენ შეყვარებული.

ლორის ახლა კარგად ესმოდა, რას გულისხმობდა კაცი, როცა თქვა, ჩემი ფოტოები ადამიანებზე სიმართლეს ასახავსო.

- შეიძლება ესენიც დავიტოვო?

- დიახ, ყველაფერი, რაც დაგეხმარებათ, - თქვა ჯერემიმ.

ლორი მიხვდა, რომ მისი მასპინძელი აღარ უფრთხოდა.

მან უკანასკნელი ფოტო აჩვენა.

- ვიცი, რომ ესეც დაგჭირდებათ.

ფოტოზე ორი ადამიანი იყო აღბეჭდილი - ერთ-ერთი ამანდა. იგი ცდილობდა, ხელი გამოეგლიჯა მეორე ადამიანისგან. ქალს პირი გაეღო. გაბრაზებული ჩანდა. გულნატკენი. ორივენი აშკარად აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ მეორე პიროვნება ჯეფი არ იყო.

- ეს რა დროა?

- დაახლოებით ექვსი საათი, სანამ ყველანი სასადილოდ წავიდოდნენ.

- ამის შემდეგ რა მოხდა?

- მათ შესახვედრად სხვა კოლეჯის მეგობარი ჩამოვიდა. ქეითი ერქვა, არა? როდესაც ქალი დაინახეს, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს ყველაფერი კარგად იყო.

- ამის შემდეგ ხომ არ გადაგიღიათ რამე?

კაცმა თავი გააქნია.

- არა, უკვე ყალბ ნიღბებს ატარებდნენ. აზრი არ ჰქონდა.

- ამის შემდეგ სასტუმროდან წახვედით?

- არა. დავრჩი. „გრანდ-ვიქტორია“ ლამაზი ადგილია. სასიამოვნო იყო სეირნობა და ადამიანებისთვის ფოტოების გადაღება.

- იმ ღამით ამანდა კიდევ ნახეთ?

- კი, ვნახე.

ლორი ყურებს არ უჯერებდა.

- როდესაც გაუჩინარდა, სულ იმ ჩანაწერს აჩვენებდნენ, სადაც მეგობრებთან ერთად ლიფტიდან გამოდის და მერე ბრუნდება.

- რა თქმა უნდა. ეს იყო ბოლო მომენტი, როდესაც ნახეს.

- არა. მე ამის შემდეგაც ვნახე.

- რაო? - ლორი ლამის კიოდა, ისეთი აღელვებული იყო.

- მარტო იყო და ავტოსადგომისკენ მიდიოდა.

- დაინახეთ, როგორ ჩაჯდა მანქანაში?

- არა, მხოლოდ კიბემდე გავყევი და შევჩერდი.

- რატომ? რატომ არ გაჰყევით ბოლომდე?

- იქ სიწყნარეა. ყველა ხმა ექოს გამოსცემს. შემეშინდა, რომ ჩემი ფეხის ხმას გაიგონებდა. არ მინდოდა, შემეშინებინა.

ლორიმ წარმოიდგინა, რა სხვანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო ყველაფერი იმ ღამეს. თუ მკვლელი ავტოსადგომზე იმალებოდა, ჯერემის ნაბიჯების ხმას, შესაძლოა, სწორედ ის შეეშინებინა.

54

ლეო ფარლი ცალი თვალით ჯერემი კეროლის პარმაღს შეჰ-ყურებდა, მეორე თვალით კი თავისი მობილურის ეკრანს. სამ წუთში ოცდაათჯერ მაინც შეამოწმა მეილი.

კომპიუტერები თან უყვარდა და თან სძულდა. ხანდახან ფიქ-რობდა, როგორ გაუადვილდებოდა მუშაობა, ეს ტექნოლოგიები ადრეც რომ ყოფილიყო მისთვის ხელმისაწვდომი. ხანდახან კი, როგორც ახლა, უნდოდა, ძველი ყაიდის მობილური ტელეფო-ნის უკან ნამდვილი ადამიანი მდგარიყო.

კაცმა შეამჩნია, როგორ ნერვიულობდა ლორი, როდესაც მანქანიდან გადადიოდა. მის შოუს, ჯერჯერობით, ფენომენური წარმატება ჰქონდა. ორივე შემთხვევაში, მკვლელობის გახსნის საქმეში შოუმ მთავარი როლი ითამაშა.

ლორის მუშაობა „გრანდ-ვიქტორიაში“ ნამდვილად ხელშემ-წყობი იყო საქმისთვის, მაგრამ შეიძლებოდა პირველი შემთხვე-ვა გამხდარიყო, როდესაც ბურთს გააგორებდნენ, მაგრამ გოლს მაინც ვერ გაიტანდნენ. ლეო თითქმის ოცდაათი წელი იყო პო-ლიციელი, უკვე იცოდა განსხვავება შეგრძნებასა და სამხილს შორის, ლორისთვის კი გაურკვევლობის გრძნობა ახალი იყო. მეტი სამხილი სჭირდებოდათ, სანამ ჯეფის დაპატიმრებას შეძ-ლებდნენ. ლეომ გადაწყვიტა, ეს სამხილები მოეძებნა.

კაცი ფიქრობდა, შეცდომა ხომ არ იყო, შიგნით რომ არ შევ-ყევიო. ცდილობდა, ლორი გადაერწმუნებინა, მაგრამ ქალმა დაიჟინა, ჯერემის მარტო დაველაპარაკებიო. სიმართლის გაგე-ბა ძალიან უნდოდა. სხვა თუ არაფერი, აქ მარტო მაინც არ წამო-სულა. მამას ნება მისცა, გამოჰყოლოდა.

ყურადღება რომ სხვა რამეზე გადაეტანა, კოლბიში, სტუდენ-ტთა მართვის ოფისში დარეკა და ითხოვა ალბომების დათვა-

ლიერება ინფორმაციის გაგებისთვის კარლი რომანოს შესახებ. ჯეფს თუ დავუჯერებდით, კამპუსთან მოკლული ქალის ნაცნობი იყო. თუ ლეო დაამტკიცებდა, რომ კარლისა და ჯეფს შორის რაღაც ხდებოდა, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრასთან ერთი ნაბიჯით ახლოს იქნებოდნენ.

როდესაც ლეომ აუხსნა, რომ ნიუ-იორკის პოლიციის გადამდგარი კომისარი იყო, რომელიც თავისუფალ დროს კარლის საქმეს უთმობდა, მდივანმა შესთავაზა, ყველა გვერდს, რომელზეც კარლის სახელი იქნებოდა ნახსენები, დავასკანერებ და მეილზე გამოგიგზავნითო. ეს იყო ერთადერთი, რაზე ფიქრიც შეეძლო მანქანაში მოუსვენრად ჯდომისას.

ლორიმ დაინახა, როგორ შეყო მამამისმა თავი მანქანაში, როდესაც სახლიდან გამოვიდა. იფიქრა, ნეტავ რამდენჯერ დააპირა მანქანიდან გადმოსვლა ჩემს შესამოწმებლადო.

- ლორი, ეს, ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი ოცი წუთი იყო, - თქვა ლეომ, როდესაც ქალი მანქანაში ჩაჯდა.

- მამა, მოიცადე, სანამ მოგიყვები, - ქალმა პაკეტი ძირს დაადგდო და ღვედი გაიკეთა. მისმა მობილურმა დაიზუზუნა. ალექსი წერდა.

„ადგილობრივმა ტელევიზიამ უკვე გააშუქა ამანდას ცხედრის პოვნის დეტალები. ჩნნ-იც უერთდება. ტიმი აუზზე მიმყავს, მაგრამ ახალ ამბებსაც თვალს ვადევნებ“.

ჯერ კიდევ შეტყობინებას კითხულობდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ბრეტ იანგი იყო.

მაშინვე უპასუხა:

- ბრეტ, ვიცი. დიდი ამბებია.

- უზარმაზარი! გთხოვ, მითხარი, რომ უკვე თითქმის მორჩით გადაღებას.

- კი, ვინც მნიშვნელოვანია, ყველა ჩაწერილი გვყავს.

ქალმა წარმოიდგინა, როგორ ხსნიდა ბოსი შამპანურის ბოთლს.

- რამდენ ხანში დაამთავრებთ? მინდა, რეკლამები გავუშვა.

- ბრეტ, ჯერ პასუხები არა გვაქვს.

- სანამ ამბავი ცხელია, უნდა ვისარგებლოთ. მინდა, მაქსიმალურად სწრაფად გავიდეთ ეთერში. მოამთავრე. სწრაფად!

- პატარა პრობლემაა. ჯერ მხოლოდ შეკითხვები გვაქვს, პასუხები კი - არა.

ქალი მიხვდა, რომ ბრეტი მის პასუხს აღარ დალოდებია.

ლეომ მანქანა დაქოქა.

- მგონი, ბრეტს ჰგონია, რომ ლარი ჰუდინი[57] ხარ.

- ამანდას ცხედრის პოვნის ამბავი მედიამ გაიგო. შენც მოისმინე?

- არა, რადიო გამორთული მქონდა. სადღაც დავრეკე.

- უნდა, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავრო.

- როგორ უნდა დაამთავრო? - გააპროტესტა კაცმა, - ჯერჯერობით, არავინ იცის, ვინ მოკლა ამანდა.

ქალი ჯერემის მოცემულ ფოტოებზე დაფიქრდა. ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, იცოდა, ვინ მოკლა ამანდა?

შესაძლოა.

---

[57] უნგრელ-ამერიკელი ილუზიონისტი (1874-1926).

55

ლეომ ლორი სასტუმროს შესასვლელთან ჩამოსვა, რათა ალექსთან წასულიყო, თვითონ კი სასტუმროს თანამშრომელს ელოდებოდა, რომელიც მანქანას წაიყვანდა. ქალი ფოიეში შევიდა თუ არა, დაინახა, როგორ მოდიოდა ქეით ფალტონი პირდაპირ მისკენ.

- ოჰ, ლორი, მადლობა ღმერთს. ყველგან გეძებდით. საშინლად ვგრძნობ თავს, ამანდას გარდა სხვა რამეზეც რომ ვფიქრობ, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერის უკვე ვესაუბრე, მაგრამ მითხრა, მე ვერაფერს დაგპირდებითო. ვიცი, რომ შეთანხმებას ხელი მოვაწერე, მაგრამ არ მინდა, ჩემი ინტერვიუ გამოიყენოთ.

ლორის ახლა ამისთვის ნამდვილად არ ეცალა. ბრეტის სუნთქვას კისერთან გრძნობდა და სასწრაფოდ ალექსს უნდა დალაპარაკებოდა. ჩანთაში ჩაწყობილი სურათები თავისკენ ქაჩავდნენ. მამა-შვილი ფიქრობდა, რომ ისინი დეტექტივ ჰენსონთან უნდა მიეტანა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ალექსის აზრის გაგებაც უნდოდა.

- ქეით, მგონი, ვიცი, რატომაც გინდათ ეს, - თქვა ლორიმ, - მაგრამ, გთხოვთ, შეიძლება ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ? დარწმუნებული ვარ, იმ ნაწილის ამოჭრას შევძლებთ, რომელზეც ნერვიულობთ.

- მოიცადეთ, თქვენ იცით? ჰენრიმ გითხრათ რამე?

ლორიმ ჩანთიდან ფოტოსურათი ამოიღო. დისტანციის მიუხედავად, ჯერემიმ მოახერხა, დაეფიქსირებინა ჰენრისა და ქეითის ჩაკიდებული ხელები.

- ქორწილის ფოტოგრაფის თანაშემწეს ჰქონდა, - თქვა ლორიმ და ქეითს ერთადერთი ეგზემპლარი გაუწოდა, - და მერწმუ-

ნეთ, აუცილებლად ამოვჭრით იმ ნაწილს, სადაც ამბობთ, რამდენჯერმე მიფიქრია, ადრე ხომ არ დავქორწინდიო. ამის ცოდნა არავის სჭირდება.

ქეითი იმ ღამით პირველი იყო, რომელიც წვეულებიდან წავიდა. იგივე შეიძლება ითქვას ამანდას ძმაზე, ჰენრიზე. მაშინ მხოლოდ ისინი იყვნენ დაქორწინებული. ორივეს პატარა შვილები ჰყავდა და ცოტა დასვენება სჭირდებოდათ. როდესაც თავიანთ კომპანიონებს გამოემშვიდობნენ, ღამე ერთ-ერთის ოთახში ერთად გაატარეს.

- ჩემი ქმარი მიყვარს, - თქვა ქეითმა, - მხოლოდ ერთი ღამე... საშინელი შეცდომა იყო, ჰენრისთვისაც.

- ახსნა საჭირო არაა.

ქეითი ლორის გადაეხვია.

- თავს საშინლად ვგრძნობდი, ჩემს თავზე რომ ვფიქრობდი, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ამანდა იპოვეს. საცოდავი სანდრა და უოლტერი. ოსტინმა ოჯახს თავისი თვითმფრინავი შესთავაზა, თუ სახლში წასვლა მოუნდებოდათ, მაგრამ თქვეს, აქ დარჩენა გვირჩევნიაო.

- ყველაფერს კარგად უძლებენ, - თქვა ლორიმ, - ამდენი წლის შემდეგ სიმართლისთვის მზად იყვნენ. შეგიძლია, კიდევ ერთ რამეში დაგვეხმარო?

- ნებისმიერ რამეში.

- აქ ყოფნისას მეგანი და ამანდა კამათობდნენ?

- მე არაფერი გამიგია, - თქვა ქალმა, - მაგრამ, როგორც იცით, სხვა რამეებზე ვფიქრობდი. რა ხდება?

- ამანდამ გითხრათ, რომ ეჭვები ჰქონდა და რაღაცის გარკვევა სჭირდებოდა. იქნებ მიხვდა, რომ მეგანს ისევ უყვარდა ჯეფი?

- არ ვიცი, შესაძლოა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამანდა მეგანმა მოკლა?

- ოჰ, რა თქმა უნდა, არა, - სწრაფად თქვა ლორიმ, - უბრალოდ, ვცდილობთ, ყველაფერი შევამოწმოთ.

უყურებდა, როგორ მიდიოდა ქეითი ლიფტისკენ და იცოდა, რომ იმ ფოტოს გაანადგურებდა. ფოტოები, რომლებიც ლორისთვის მნიშვნელოვანი იყო, ჩანთაში ჰქონდა. ხუთ მათგანში მეგანი სიყვარულით სავსე სახით უყურებდა ჯეფს, როდესაც ის თავის საცოლეს თავს დასტრიალებდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ბოლო ფოტოსურათი იყო: ამანდა ცდილობდა, ხელი გამოეგლიჯა მეგანისთვის გახურებული კამათის დროს.

56

ლეო ოთახში ახალი შესული იყო, როდესაც კაკუნი და ნაცნობი ხმა გაიგონა.

- ლორი ვარ. მამა, აქა ხარ?

ქალს აღელვებული ხმა ჰქონდა. კაცი სკამიდან წამოხტა და ქალიშვილი ოთახში შემოიყვანა.

- ალექსი და ტიმი ხომ არ გინახავს? - ჰკითხა მაშინვე, - ვერსად ვპოულობ.

- ტიმიმ ბარათი დაგვიტოვა, სადაც წერს, რომ ალექსი მასსა და ჯერისთან ერთად აკვაპარკში წავიდა. ხუთი ძახილის ნიშანი მიაწერა.

შვილის ფრთხილად დაწერილმა სიტყვებმა „გრანდ-ვიქტორიას“ ფურცელზე მხოლოდ ნაწილობრივ დააწყნარა ქალი.

- ალექსმა რომ მომწერა, ტიმისთან ერთად აუზზე მივდივარო, ვიფიქრე, სასტუმროს აუზს გულისხმობდა.

ლეოსთვის მოსალოდნელი იყო, რომ ლორი იმაზეც ინერვიულებდა, ტიმი ძალიან ეჩვევა ალექსსო, მაგრამ ქალი ისევ საქმეს დაუბრუნდა.

- მამა, ვერ გადავწყვიტე, წავუღო თუ არა ეს ფოტოები დეტექტივ ჰენსონს, - ამ სიტყვებით ფოტოები ჩანთიდან ამოალაგა და საწოლზე გაშალა. ლეომ მანქანაში მათი კარგად შესწავლა ვერ მოასწრო.

- შეხედე, - თქვა ქალმა და უკან მდგარ მეგანზე ანიშნა. წინ ჯეფი და ამანდა, აუზთან ახლოს, მარმარილოს თაღის ქვეშ პოზირებდნენ, - ეტყობა, რომ ჯეფი თავდავიწყებით უყვარს, ჯეფს კი წარმოდგენაც არა აქვს. ბოლო ფოტოში კი ცხადია, რომ ამანდა

და მეგანი ჩხუბობენ. „ლეიდიფორმის“ ოფისის ინციდენტის გარდა, მეგანს არაფერი უხსენებია.

- შენი აზრით, ჯეფის შესახებ კამათობდნენ? - იკითხა ლეომ.

- შესაძლოა, ამანდამ გაიგო, რომ მეგანს ჯეფი უყვარდა. შეიძლება ეგონა, რომ ეს გრძნობა ორმხრივი იყო. ქეითს ხომ უთხრა, რაღაც უნდა გავარკვიო ქორწილამდეო. ამ ფოტოს გადაღებისას, შესაძლოა, მეგანს უთხრა, რომ ყველაფერი იცოდა. მგონი, კამათი მალევე დაასრულეს, რადგან სადილისთვის უნდა მომზადებულიყვნენ, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ მოგვიანებით შეხვდებოდნენ. შეიძლება ამიტომ მიდიოდა ამანდა ავტოსადგომისკენ. ნეტავ ჯერემი მანქანამდე გაჰყოლოდა.

- მახსოვს, მითხარი, რომ მეგანი და შარლოტი ერთად ავიდნენ ლიფტით, როდესაც ამანდამ თქვა, რაღაც დამრჩაო.

- კი, მაგრამ, როდესაც მეგანი თავის ოთახში შევიდა, მარტო იყო. სასტუმროს პერსონალს უნდა ვკითხოთ, მაგრამ მეგანს ისეც შეეძლო ოთახიდან გასვლა, რომ ვერავის დაენახა. ჩანაწერები ცუდი ხარისხისაა. თუ კაბის მაგივრად ჯინსი ჩაიცვა და ბეისბოლის ქუდი დაიფარა, მამაკაცშიც აერეოდათ... თან კარლი რომანოზეც ვფიქრობ. თუ ის და ჯეფი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მეგანს კი ჯეფი მოსწონდა, მასაც შეეძლო კარლისთვის რამის დაშავება. ჯეფი ხომ თავისთვის უნდოდა.

ამ დროს ლეოს ლეპტოპმა ხმა გამოსცა. ახალი მეილი მოსვლოდა. ყურადღების მიქცევას არ აპირებდა, მაგრამ თვალი მაინც გააპარა. კოლბის კოლეჯიდან იყო.

- კარლის ხსენებაზე, - თქვა მან, - კოლეჯს შევეხმიანე, უფრო მეტი დეტალი რომ გაგვეგო კარლისა და ჯეფის კავშირზე. ყველა გვერდი დაასკანერეს, სადაც კარლის სახელია ნახსენები.

ლეომ ახალ შეტყობინებას მიბმული დოკუმენტი გახსნა.

- ჯეფი არსად არის ნახსენები, - თქვა კაცმა, - მაგრამ ამას შეხედე.

ლორიმ კარლის სოფომორის წლის ალბომი გადაათვალიერა. გოგონა დებატების გუნდის პრეზიდენტი ყოფილა.

„კარლის გარეშე კლუბი იძულებული გახდა, ახალი პრეზიდენტი აერჩია. კარლის სიკვდილი დიდი ტრაგედია და დანაკარგი იყო ჩვენი გუნდისთვისა და მთელი კოლბის კოლეჯისთვის. იმედია, რომ იმის ნახევარს მაინც გავაკეთებ, რასაც ის აკეთებდა“, - ამ სიტყვების ქვეშ დებატების გუნდის ახალი პრეზიდენტის, კოლბის იუნიორის, მეგან უაითის მოღიმარი სახე მოჩანდა.

როდესაც ლეოს ლეპტოპში ახალი მეილი შემოვიდა, ჯეფ ჰანტერის მობილურმა დარეკა. მოულოდნელი ზარი იყო ნიუ-იორკიდან. ჯეფი გააოცა დამრეკავის ვინაობამ და იმან, რაც კაცმა მეგანის შესახებ უთხრა.

57

როდესაც ჯეფმა ლაპარაკი დაასრულა, ოსტინმა მიმტანს ანიშნა, მოდიო, და სკოჩი შეუკვეთა.

- აქამდე რომ მოვა, ხუთი საათი იქნება. ვის ვატყუებ? ლანჩზე დავიწყე. რამე გინდა, ძმაო?

ჯეფმა თავი გააქნია და არაფერი უთქვამს. როდესაც მიმტანი წავიდა, ოსტინმა თქვა:

- ბოდიში, ვერც კი წარმომიდგენია, რა მდგომარეობაში ხარ. თითქმის ყველას გვეგონა, რომ ამანდა... ხომ იცი... მაგრამ ძნელი ასატანი იქნება სიმართლის გაგებაც. რაზე დაგირეკეს? ნაწყენი ხმა გქონდა.

ჯეფმა ოსტინს უთხრა, კარგად ვარო და მალევე შეცვალა თემა.

- ნიკი სადაა? - იკითხა მან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი, რომლის ნახვაც ძალიან უნდოდა, მისი ცოლი იყო. მეგანი ქეითთან ერთად სასტუმროს სპა-სალონში იყო. სატელეფონო ზარის შემდეგ ჯეფს მოუნდა, სპა-სალონში შევარდნილიყო და ყველაფრის ახსნა მოეთხოვა. მაგრამ ალექს ბაკლისთან საუბრის შემდეგ, იცოდა, რომ ყველას მასზე ჰქონდა ეჭვი. ისიც იცოდა, რომ გადაცმული პოლიციელები მთელ სასტუმროში იყვნენ და მის თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. ნამდვილად არ სჭირდებოდა ხალხში სცენების გამართვა, მაგრამ გულნატკენი და დაბნეული იყო და ძალიან უნდოდა მეგანთან საუბარი. ღრმად ჩაისუნთქა და სცადა, დამშვიდებულიყო.

- ნიკი თავის იახტას ამზადებს. ხომ იცნობ, რამდენი ხანი უნდება, - „ოსტინი და ნიკი

ყოველთვის ერთმანეთს ეჯიბრებიან“, - გაიფიქრა ჯეფმა. საათს დახედა.

- ეჭვი მეპარება, თქვენ ორმა სადილამდე კოქტეილის კრუიზის მოწყობა მოასწროთ, - კოლეჯის მეგობრები საღამოს ერთად სადილობას აპირებდნენ. ამანდას ცხედრის პოვნის შემდეგ ქეითმა ჯავშანი შვიდის ნახევრამდე გადასწია. ნაადრევი, მოღუშული საღამო იქნებოდა და არა ისეთი, როგორის იმედიც ჰქონდათ. ჯეფს წასვლა არც კი უნდოდა, მაგრამ მეგანი ქეითს მარტოობაში მოსაწყენად ვერ იმეტებდა.

- კოქტეილის კრუიზი არაა, - გაუსწორა ოსტინმა, - ნიკი ადრიანად მიდის მილიარდერთან საარშიყოდ, გახსოვს? ბოკა-- რეტონში კლიენტს ხვდება.

მართალია. ამ ყველაფრის გამო ჯეფს გონებიდან ამოუვარდა.

- ძაღლი ახსენეო, - წამოიძახა ოსტინმა. შორტსა და მაისურში გამოწყობილი ნიკი მათკენ მოდიოდა. თავზე მეზღვაურის ქუდი ეფარა, ხელში კი ლუდის ქილა ეჭირა, - ძლივს არ მორჩი იახტის გამზადებას.

- უბრალოდ, გშურს, რომ უკეთესი იახტა შემხვდა, - მხოლოდ შემდეგ შენიშნა ჯეფის უგუნებობა, - ჰეი, უბრალოდ, ვცდილობთ, ყველაფერს მსუბუქად შევხედოთ. ყველანი ვწუხვართ ამანდას გამო.

ჯეფმა თავი დაუქნია.

- ქალები სად არიან? - იკითხა ნიკმა, - მეგანს სახლშიც მალე ვნახავ, მაგრამ მინდა, ქეითს დავემშვიდობო.

- სახისა და ტანის მასაჟის გაკეთება გადაწყვიტეს, ამ ყველაფრისგან რომ დაესვენათ, - თქვა ჯეფმა და სპა-სალონის შესასვლელს გახედა. არ ჩანდნენ. ყოველი წუთი ახსნის გარეშე სატელეფონო ზარის შემდეგ საათად ეჩვენებოდა.

- ამანდას ოჯახთან დამშვიდობება მოახერხე? - ჰკითხა ოსტინმა.

- ახლა მოვდივარ სანდრასგან. კინაღამ დაუკაკუნებლად ჩავუარე მის კარს, მაგრამ თანაგრძნობის გამოხატვის გარეშე ვერ წავიდოდი.

ჯეფს მეგობრებისთვის არ უთქვამს, რომ იმავე კარზე თვითონაც დააკაკუნა, მაგრამ სანდრამ ცხვირწინ მიუჯახუნა.

ოსტინმა იკითხა, როგორ გრძნობდნენ თავს პირსები.

- სიმართლე გითხრა, - თქვა ნიკმა, - არც ისე კარგად. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მარტო ყოფნა უნდათ. საღამოს საოჯახო სადილი ექნებათ და ერთმანეთს ამანდაზე მოგონებებს გაუზიარებენ.

ოსტინმა ჭიქა აიღო და ჩაილაპარაკა:

- ამანდას ხსოვნის იყოს.

- ნიუ-იორკში გნახავთ, ბიჭებო, - თქვა ნიკმა, - გამაგრდი, ძმაო.

ნიკმა ჯეფს მსუბუქად დაჰკრა ზურგზე ხელი. ოსტინიც მის კვალს მიჰყვა. ჯეფს პარანოია ეწყებოდა თუ მისი საუკეთესო მეგობრებიც კი სხვანაირად უყურებდნენ?

მეგანს უნდა დალაპარაკებოდა.

58

როგორც კი გასაღები ბარათის ხმა გაიგო, ლორიმ სკამი მაგიდიდან გასწია. ტიმი და ალექსი აკვაპარკიდან დაბრუნებულიყვნენ, საცურაო შორტებსა და კალათბურთის მაისურებში გამოწყობილები.

ქალი ტიმის ჩაეხუტა. ბავშვს ისევ თბილი თმა ჰქონდა, რომელსაც ქლორისა და მზის სხივების სუნი ასდიოდა.

- როგორი იყო?

- ძალიან მაგარი! მგონი, ექვსი დროშის პარკსაც კი სჯობს, - ასეთი შეფასება ტიმისგან შანგრი-ლას[58] ტოლფასი იყო. ქალს ძალიან გაუკვირდა, როცა შვილმა უთხრა, ყველაფრის მოყოლა მინდა შენთვის, მაგრამ ძალიან მცხელა და შხაპის მიღება უფრო მინდაო. ძალიან სწრაფად იზრდებოდა.

როდესაც ბავშვმა წყალი მოუშვა, ქალმა ალექსს ყველაფერი უამბო, რაც შუადღისას გამოტოვა. ჯერემის ფოტოებიც აჩვენა და კოლბის ადმინისტრაციისგან მიღებული ალბომის გვერდებიც. მოყოლა რომ დაამთავრა, კაცმა დოინჯი შემოირტყა და შვებით ამოისუნთქა.

- არადა, ვფიქრობდით, რომ რაღაცას მივაგენით.

- ვიცი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯეფი იყო. ახლა კი ვფიქრობ, რომ მეგანია გარეული. ნეტავ კიდევ ხომ არ მრჩება რაღაც?

- ბეჭდებზე რას იტყვი, ამანდას რომ ეკეთა?

---

[58] გამოგონილი ადგილი, რომელიც ბრიტანელმა ავტორმა ჯეიმზ ჰილტონმა თავის ერთ-ერთ ნოველაში, „დაკარგულ ჰორიზონტში“ აღწერა.

- შეიძლება თვითონვე აიღო სეიფიდან. შეიძლება უნდოდა, მოესინჯა და გაეგო, რა გრძნობა ექნებოდა. შეიძლება მეგანს არ შეუმჩნევია, რომ ეკეთა.

- ბევრი შეიძლებაა.

- ზუსტად. სწორედ მაგიტომ არ ვიცი, რა ვუყო ამ სამხილებს. წინა ეპიზოდების დროს ისეთ სამხილებს ვპოულობდით, რომ ზუსტად ვიგებდით სიმართლეს. შეგვეძლო შოუც გაგვეკეთებინა და მკვლელიც გვეპოვა. ყველაფერი ერთად. ახლა ეს სამხილი მაქვს მეგანის წინააღმდეგ და მინდა, თხრა გავაგრძელო, მაგრამ ბრეტი მაჩქარებს, რომ მალე გავიდეთ ეთერში, თან, მგონია, რომ პოლიციას უნდა ვუთხრა, რაც ვიცით...

ალექსმა მისი ფიქრი დაამთავრა:

- მაგრამ ახლა ეს შენი ექსკლუზივია და თუ ხალხს გაუზიარებ...

- დაიკარგება, ამის გამო კი ბრეტი თავს წამაჭრის.

- მართლა ეგეთი ულმობელია? ენდომება, რომ სამხილი დამალო?

- სასამართლოში გამოცხადების უწყება თუ არ არის, კი. ერთხელ მითხრა, ჩემი რელიგია ნილსენის რეიტინგიაო,[59] - ქალმა იგრძნო, როგორ გაუხურდა ბრაზისგან მუცელი, - არ ვიცი, რა გავაკეთო.

ალექსმა ხელები მხრებზე დააწყო და თვალებში ჩახედა.

- პირველ რიგში, პანიკას ნუ აჰყვები. მეგანმა მხოლოდ ის იცის, რომ ჯეფზე გვაქვს ეჭვი. წარმოდგენა არა აქვს, რომ ეს ფოტოები გაქვს ან ლეომ კოლბის კოლეჯში დარეკა, არა?

---

[59] მარკეტოლოგისა და რეკლამისტის, ართურ ნილსენი--უფროსის (1897-1980) მიერ შექმნილი რადიო, მოგვიანებით კი ტელეპროგრამების პოპულარობისა და მოთხოვნადობის გამომთვლელი სისტემა.

ლორიმ თავი დაუქნია. ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ალექსი ყოველთვის ახერხებდა ამას.

- კარგი, - თქვა კაცმა გამამხნევებლად, - ცოტა დრო გაქვს დასაფიქრებლად. მოდი, მოვწესრიგდები და ერთად ვისადილოთ. გრეისი და ჯერიც შემოგვიერთდნენ. ყველაფერი კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ და მერე გადაწყვიტე, პოლიციაში წახვალ თუ მუშაობას განაგრძობ.

- კარგი იდეაა, - თქვა ქალმა და ჩაეხუტა.

- იქნებ შენი გონება სხვა რამეზე გადავიტანო, თუ მოგიყვები, როგორი იყო აკვაპარკში?

- სიამოვნებით მოვისმენ, - უთხრა ლორიმ ღიმილით, - ვერც კი წარმომიდგენია, როგორი იქნება ჯერი საცურაო კოსტიუმსა და სველი თმით სასრიალოზე ჩამოსრიალებისას.

- ძალიან მოგეწონებოდა. დიდ ბავშვს ჰგავდა. ტიმიც ძალიან ბედნიერი იყო ისეთი მეგობრით, რომელსაც ისევე უხაროდა წყალში თამაში, როგორც მას.

- შენზე რას იტყვი? - ჰკითხა ქალმა, - ჯერის თუ ვთხოვ, შენი ფოტოები ექნება, სადაც ტალღებზე ხტები?

ალექსმა განზრახ მიიღო ამპარტავანი გამომეტყველება.

- მე მეტისმეტად ღირსეული ვარ, მაგრამ, შესაძლოა, იდენტური ტყუპი მყავდეს ამ ადგილებში. წარმომიდგენია, რა სასაცილო იქნება ხელფეხაშვერილი.

- თუ ჯერის ფოტოები აქვს, - ეშმაკურად თქვა ლორიმ, - აუცილებლად გავუგზავნი Law Journal(2017 წლის 20 ივლისის მდგომარეობით.)-ს.

59

ჯერემის აღარ ახსოვდა, რამხელა იყო „გრანდ-ვიქტორია“. თითქმის ოცი წუთი ისე დადიოდა შემოგარენში, რომ არც ერთი ქორწილის მონაწილე არ შეხვედრია.

აქ მოსასვლელად იმაზე დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე ლორი ვარაუდობდა. სამუშაოსთვის სხვადასხვა სახის ლინზები სჭირდებოდა. შორიდან ფოტოების გადაღება იოლი არ იყო, თანაც მზის ჩასვლასთან ერთად შუქიც შეიცვლებოდა. იმედი ჰქონდა, რომ ძალიან არ დააგვიანა. არ უნდოდა, ლორისთვის იმედი გაეცრუებინა.

გაოცდა და აღელდა, როდესაც ლორიმ შესთავაზა, სუბიექტებისთვის მალულად გადაეღო ფოტოები. პირველად რომ მივიდნენ მასთან, მამა-შვილმა ისე ილაპარაკა, თითქოს ეს საშინელი საქციელი ყოფილიყოს, მერე კი ფულიც კი შესთავაზა იმავეს გაკეთებაში.

უეცრად შედგა. იქნებ ეს ყველაფერი ხრიკი იყო? ნამდვილად არ სჭირდებოდა კიდევ ერთი სასამართლო აკრძალვა.

ყველაფრის გაუქმებას გეგმავდა, როდესაც ნაცნობი სახე დაინახა. ეს ჯეფი იყო, ხუთი წლის წინანდელი სიძე. დიდად არ შეცვლილა. სწრაფად მიდიოდა ტალავერში, რომელიც სასტუმროს მეორე ნაწილში გადადიოდა. ჯერემი უკვე გაყოლას აპირებდა, როცა კვლავ დაინახა ჯეფი, ამჯერად მუქთმიან ქალთან ერთად. ჯერემიმ კამერაში გაიხედა და კადრი მოაახლოვა. მეგანი იყო, ამანდას მეჯვარე.

არც ჯეფი და არც მეგანი ბედნიერები არ ჩანდნენ.

ჯერემიმ მაშინვე დაიწყო გადაღება. ჯერ არ იცოდა, მისცემდა თუ არა მათ ლორის. ყოველ შემთხვევაში, უკან ვეღარ დაიხევდა. ძალიან უყვარდა სხვების ყურება.

60

- სსს! ალბათ, სართულზე ყველას ესმის ჩვენი ხმა.

ჯეფ ჰანტერს სულაც არ ანაღვლებდა, თუ მთელი ფლორიდა გაიგონებდა მათ ჩხუბს. მეგანზე ასეთი გაბრაზებული არასდროს ყოფილა. უარესი, თავს ისე გრძნობდა, თითქოს უღალატესო.

მეგანისა და ქეითის სპა-სალონში ყოფნის დროს მიჩელ ლენდსმა, ამანდას ადვოკატმა დაურეკა. თავიდან ჯეფმა იფიქრა, რომ თანაგრძნობის გამოსახატავად ურეკავდა. ამანდას ცხედრის პოვნის ამბავი ყველგან გავრცელდა.

მაგრამ იურისტის ზარის ერთადერთი მიზეზი ეს არ ყოფილა.

ჯეფი ისეთი გაბრაზებული იყო, რომ თავის ხმასაც კი ვერ ცნობდა.

- ამანდას ცხედარი მხოლოდ რამდენიმე საათის წინ იპოვეს, ლენდსი კი უკვე იმ პროცესის ასახსნელად მირეკავდა, თუ როგორ უნდა დავიმტკიცო ანდერძით დატოვებული ქონება. ვუთხარი, რომ ამანდას ფული არასდროს მნდომებია, - თქვა ჯეფმა, - და ამ დროს რა ხდება? წარმოიდგინე ჩემი შოკი, როდესაც მითხრა, რომ შენ დაურეკე ამ დილას ჩემი მემკვიდრეობის მოთხოვნით. რატომ დაურეკე ამანდას ადვოკატს ჩემს ზურგს უკან მისი სატრასტო ფონდიდან ფულის მიღების თხოვნით? ხომ იცი, რომ ამანდასგან ერთი პენის აღების ინტერესიც კი არ მქონია, მაშინაც კი, როცა უნდა დავქორწინებულიყავით.

- ამანდაზე დაქორწინება ყოველთვის გინდოდა, არა? ვიცოდი, რომ ეს დღე დადგებოდა, დღე, როცა მიხვდებოდი, რომ მხოლოდ ის გიყვარდა. ცოლად მხოლოდ იმიტომ შემირთე, რომ მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი, ყველაზე ახლო ადამიანი შენი საყვარელი ამანდასთვის.

ჯეფი ვეღარ ცნობდა ქალს, რომელიც სასტუმროს საწოლზე ქვითინებდა. მართლა ეჭვი ეპარებოდა მის სიყვარულში? ამიტომ დაურეკა ადვოკატს? მის მიტოვებასა და ნახევარი ქონების წაღებას აპირებდა? მთელ ფულს მისცემდა, თუ ეს უნდოდა. კაცს მხოლოდ ის სურდა, ქალი ისე მოქცეულიყო, როგორც მისი ცოლი, რომელზეც ფიქრობდა, რომ მსოფლიოში ყველაზე კარგად იცნობდა.

- მეგან, დამელაპარაკე. რატომ დაურეკე ადვოკატს? ჩემთვის უნდა გეთქვა. ხვდები, რა საშინლად გამოჩნდება ეს ფაქტი ახლა, როდესაც ამანდას ცხედარი იპოვეს?

მეგანმა თავი ბალიშში ჩარგო და თეთრ ბალიშისპირზე ტუშის კვალი დატოვა.

- მხოლოდ ერთი ზარი იყო. არც შოუზე ვფიქრობდი და წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ამანდას ცხედარს იპოვიდნენ მაინცდამაინც დღეს!

- მისი ბეჭდები იპოვეს. ამანდა მკვდარია. მთელი ეს წლები ამბობდი, ალბათ, სადმე ბედნიერად ცხოვრობსო. რამეს უნდა გრძნობდე.

ქალის ხმამ კაცისა გადაფარა.

- რა თქმა უნდა, ვგრძნობ. ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. გახსოვს, როგორ მკითხეს პროდიუსერებმა იმ სულელურ ჩხუბზე, რომელიც „იქს-ოცნების“ გამო გვქონდა? რაში მანაღვლებდა იდეის მოპარვა?! უბრალოდ, მიზეზს ვეძებდი საჩხუბრად, იმიტომ, რომ შენზე ქორწინდებოდა. ამდენი წლის შემდეგ, ისევ ვერ ხვდები? კოლეჯის დროიდან მიყვარდი და იძულებული ვიყავი, თავი ბედნიერად მომეჩვენებინა, როცა ამანდა გიყვარდებოდა. ყოველთვის შენი მეორე არჩევანი ვიყავი.

ჯეფს არასდროს უნახავს თავისი ცოლი ასეთი გაკაპასებული.

- ეს სიმართლე არაა, მეგან. ამანდა... ჩვენ სრულიად განსხვავებულნი ვიყავით. ადამიანები იცვლებიან. არავისთან არ

მიგრძნია თავი ისე კარგად, როგორც შენთან... მაგრამ უნდა მითხრა, რატომ დაურეკე ადვოკატს.

- გპირდები, ის არ არის, რასაც ფიქრობ. ყველაფერს აგიხსნი. უბრალოდ, უნდა დაიცადო.

კარზე დააკაკუნეს. მეგანმა ჭუჭრუტანაში გაიხედა და სახე მოიწმინდა.

- ქეითია. ვუთხარი, სადილამდე შემოევლო. შეგიძლია, ყვირილი შეწყვიტო და მენდო?

წამში მისი ისტერიკა შეწყდა და ისევ მშვიდი, გაწონასწორებული გახდა. ჯეფს უკვე წარმოდგენა აღარ ჰქონდა, რა ერწმუნა.

ხუთი წლის წინათ, როდესაც ამანდაზე უნდა დაქორწინებულიყო, ეჭვი ღრღნიდა, რამდენად კარგად იცნობდა მას. ახლა კი, დღევანდელი დღის გიჟური მოვლენების შემდეგ, მიხვდა, რომ ეჭვი გაუჩნდა, რამდენად კარგად იცნობდა საკუთარ ცოლს.

61

სანდრას გააჟრჟოლა, როდესაც მისმა ვაჟმა, ჰენრიმ, დაადასტურა, რომ ჯავშანი ოთხი კაცისთვის იყო. მთელი ეს წლები იცოდა, რომ ამანდას რაღაც საშინელი დაემართა. მიუხედავად იმისა, რისი დაჯერებაც პოლიციასა და ხალხს უნდოდა, იცოდა, რომ ამანდა თავისი ნებით არ გაუჩინარდებოდა. მაგრამ მისი პატარა ნაწილი მაინც იმედოვნებდა, რომ ცოცხალს იპოვიდნენ და მაგიდასთან ისევ ხუთნი ისხდებოდნენ.

უოლტერი უცნაურ აკვარიუმზე ანიშნებდა, როდესაც სანდრამ სასადილო ოთახში მჯდარ სხვა ჯგუფს მოჰკრა თვალი. ქალმა ამოიოხრა, შარლოტმა კი მაშინვე სტაცა ხელი.

- დედა, კარგად ხარ?

უოლტერი, შარლოტი და ჰენრი მის მზერას გაჰყვნენ. იქ ჯეფ ჰანტერი იყო, მოღალატე მეგანთან ერთად. იქვე იყვნენ ქეითი და ოსტინიც. სანდრა ჯეფს თვალს ვერ აშორებდა. როდესაც კაცმა წყლის ჭიქა ასწია, სანდრამ წარმოიდგინა, როგორ ახრჩობდა იგივე ხელი მის ქალიშვილს.

- დასანახად ვერ ვიტან, - ჩაისისინა ქალმა, - მან მოკლა ამანდა, ეს ვიცი.

რესტორნის მფლობელმა აშკარად გაიგონა ეს სიტყვები.

- გსურთ, მაგიდა შეგიცვალოთ? სასადილო ოთახის მეორე ბოლოშიცაა ერთი მაგიდა თავისუფალი.

სანდრამ ზურგზე სასიამოვნო შეხება იგრძნო, შეტრიალდა და ნაზად მომზირალი უოლტერი დაინახა.

- იცი, რა? - თქვა კაცმა, - აქ შემოსვლისას მივხვდი, რომ სტეიკი მინდა. ქუჩის მეორე მხარეს ხომ არ გადავსულიყავით? შეგვიძლია თანაშემწეს დავარეკვინოთ.

როდესაც სასტუმროდან გავიდნენ, ჰენრიმ ხელი გაიშვირა ლამაზი დასავლეთისკენ. მზე ჩადიოდა, ცა იასამნისფერ--ოქროსფერი იყო. ამანდას ძალიან მოეწონებოდა. ამიტომ უნდოდა სანაპიროზე ქორწილის გადახდა.

სანდრამ უოლტერის ძლიერი ხელი იგრძნო.

- ვერ მოვისვენებ, სანამ სამართლიანობა არ აღდგება, - თქვა მან, - მაგრამ ეს ჩვენი ოჯახის საღამოა. ვიმსახურებთ მშვიდობიან საღამოს ამანდას გასახსენებლად, - და ოჯახი სასადილოდ წავიდა.

ჯეფმა დაინახა, როგორ გავიდა პირსების ოჯახი რესტორნიდან. სანდრას სახის გამომეტყველებაც შეამჩნია. ქალი ერთდროულად მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული და ჯალათიც იყო.

აინტერესებდა, მეგანსაც თუ ასე უყურებდა. უნდოდა, შუა რესტორანში დამდგარიყო და ეღრიალა:

- ეს მე არ გამიკეთებია!

მობილურმა დაიბზუილა. ნიკი სწერდა: „ბოკა ლამაზი ადგილია, მაგრამ ძალიან მინდა, თქვენთან ვიყო. იმედია, კარგად ხარ, ძმაო“.

ჯეფი ნიკს მოგვიანებით ეტყოდა, რომ გაუმართლა, ადრე რომ წავიდა. ეს სადილი საშინელი იდეა იყო. ოსტინი ნიკის გარეშე მოწყენილი ჩანდა. ოსტინის გვერდით მჯდარი ქეითი მისგან შორს მიაჩოჩებდა სკამს, ალბათ, კოლეჯის დროინდელი ამბები ახსენდებოდა. მეგანი წყალს წრუპავდა და თითქმის არ ლაპარაკობდა, ჯეფს კი უნდოდა, მალე წასულიყო აქედან და მეგანისთვის პასუხი მოეთხოვა, თუ რატომ დაურეკა ადვოკატს ანდერძის შესახებ.

ნუთუ თავიდანვე ეს იყო მისი გეგმა? ამანდას გაქრობის შემდეგ ჯეფზე დაქორწინება და მისი მემკვიდრეობის დახარჯვა? ვერ იჯერებდა, რომ ამ შესაძლებლობას განიხილავდა.

ჭამის დროს შეამჩნია, რომ სასტუმროს ეზოდან ვიღაც მამაკაცი უყურებდა. „რა თქმა უნდა, - გაიფიქრა მან, - პოლიცია მითვალთვალებს“.

შორს მდგომი კაცი პოლიციელი კი არა, ჯერემი იყო. იგი ჯეფსა და მეგანს ლიფტამდე გაჰყვა, იქ კი დაელოდა, როგორ დაეწერა ლიფტს მათი სართულის ნომერი. დევნისას ჯერემის ხმამაღალი საუბარი ესმოდა, მაგრამ დერეფანში ვიღაც კაცი დაინახა. არ უნდოდა, ყურადღება მიექცია უმიზნოდ სიარულით, ამიტომ ისევ ფოიეში დაბრუნდა. იქ იცდიდა, სანამ ისევ დაინახავდა ჯეფსა და მეგანს, ამჯერად ქეითთან ერთად. მათ შორის სიცივე იგრძნო. სიტყვების გარეშე, სხეულის ენაც ჰყვებოდა ამბავს.

პირსების ოჯახის წაკითხვაც შეეძლო. ზღვის პროდუქტების რესტორანში შესვლისას ხასიათი დამძიმებოდათ. გასაკვირიც არ იყო, ამანდას ამბის შემდეგ. მაგრამ რამდენიმე წუთში გამობრუნდნენ, თანაც უფრო განაწყენებულები. როდესაც სასტუმრო დატოვეს, ჯერემის არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ოჯახს დადევნებოდა თუ დანარჩენებისთვის ეთვალთვალა. პასუხი ნათელი იყო.

ახლა კი ფიქრობდა, ხომ ნამდვილად სწორი არჩევანი გავაკეთეო. მეგანსა და ჯეფს შორის დაძაბულობა იგრძნობოდა, მაგრამ გამოპრანჭული კაცი მოწყენილი ჩანდა, მეორე ქალი კი - სევდიანი. დასანახი ბევრი არაფერი იყო.

მერე კი ჯერემიმ კიდევ ერთი ნაცნობი სახე დაინახა. ლორის მამა ფოიეში მიდიოდა. კაცი, რომელმაც ასე ძალიან შეაშინა. ჯერემი პალმას ამოეფარა და დაინახა, როგორ ჩაუყვა ასაკოვანი კაცი იტალიური რესტორნისკენ მიმავალ ბილიკს. როდესაც აღარ ჩანდა, ჯერემი გაჰყვა და ფანჯრიდან დაინახა, როგორ შეუერთდა ლორისა და კიდევ რამდენიმე ადამიანს დიდ, მრგვალ მაგიდასთან.

ლორიმ მას სთხოვა, შოუში მონაწილე ადამიანებისთვის ფოტოები გადაეღო. არ უთქვამს, მე და ჩემს მეგობრებს არ გადაგვიღოო. თანაც, იყო თუ არა ეს მისი სამუშაო, არაფერს დააშავებდა, თუ აქ იდგებოდა და ფოტოებს გადაიღებდა.

შორს გადასაღები ლინზა გამოცვალა. ვეღარ ჩერდებოდა. ახალგაზრდა ქალი გრძელი, შავი თმით ძალიან მომხიბლავი იყო, ლორის გვერდით მჯდარი კაცი კი - ძალიან ფოტოგენური. ბიჭიც ძალიან საყვარელი ჩანდა. მისი კოლექციისთვის მშვენიერი ფოტოები გამოვიდოდა.

ჯერემი ისეთი ჩართული იყო ამ საქმიანობაში, რომ არც კი შეუმჩნევია, როგორ გამოვიდნენ ჯეფი, მეგანი და მათი მეგობრები რესტორნიდან და როგორ შევიდნენ ლიფტში.

62

როდესაც ატლანტის ოკეანიდან წამოსულმა საღამოს ნიავმა სახეზე დაუბერა, ლორიმ ტუჩებზე მარილის გემო იგრძნო. ტილოს შარვალი აკეცილი ჰქონდა, ცალ ხელში სანდლები ეჭირა, მეორე კი ალექსისთვის ჩაეკიდა. ალბათ, ერთი მილი მაინც გამოიარეს.

ალექსის შემოთავაზება გაითვალისწინეს და სადილზე ყველაფერი გაიხსენეს, რაც ამანდას საქმეზე იცოდნენ. ჯეფის საწინააღმდეგო საბუთებიც ჰქონდათ და მეგანისაც. ერთ-ერთიც შეიძლებოდა ყოფილიყო დამნაშავე და ორივეც. შეეძლოთ, მონეტა აეგდოთ. მერე იმაზე ისაუბრეს, გამოძიება გაეგრძელებინათ თუ ეთერში გასულიყვნენ. ბრეტისთვის რომ გეკითხათ, შოუ იმ საღამოსვე უნდა გასულიყო.

როდესაც დესერტი მოიტანეს, ლორიმ უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მიიღებდა, უნდოდა, კიდევ ერთხელ ესაუბრა ალექსთან.

- მართლა მეგონა, რომ ამასაც ამოვხსნიდით, - თქვა ქალმა ნაღვლიანად.

- ყოველთვის ასე არ მოხდება, ლორი. ისედაც ბევრს მიაღწიე. ოჯახს შვება მიანიჭე. დღეს სანდრამ მითხრა, ძალიან მადლიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, პასუხი მაქვსო.

- ჰო, მაგრამ ცუდი პასუხია. ამანდა მკვდარია, ჩვენ კი არ ვიცით, ვინ მოკლა.

- კი, მაგრამ დამშვიდობება მაინც შეუძლიათ, - თქვა ალექსმა, - მგონი, რაღაც გადაწყვიტე.

- კი. ხვალ კიდევ ერთი გადაღება გვექნება, სადაც ყველაფერს იტყვი, რაც ვიცით. კარგი იქნება, იმასაც თუ იტყვი, რაც ახლა მითხარი დამშვიდობებაზე, - თქვა ნაღვლიანი ღიმილით, -

კარგი ხერხი იქნება იმ ისტორიის დასასრულებლად, რომელსაც დასასრული არა აქვს.

ალექსი გაჩერდა და ქალს შეხედა.

- პროგრამის დასრულებაზე გამახსენდა. რაღაც უნდა გითხრა.

- მაშინებ, - „იქნებ მამაჩემი მართალი იყო, - ფიქრობდა ქალი, - ვუთხარი, მე და ალექსი მშვენივრად ვართ-მეთქი. იქნებ არა ვართ?!“

- არა, სულაც არა... იცი, ყოველთვის ვერ შევძლებ შოუზე მუშაობას.

- ეს ჩვენ გამოა...

- არა, არა. ჩემი სამსახურის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს, ნიუ-იორკის რამდენიმე დღით დასატოვებლად მიზეზი რომ მაქვს, თანაც შენთან ერთად, ძალიან ძნელია ჩემი განრიგის მორგება. აქამდე ვახერხებდი, მაგრამ სულ ასე არ იქნება.

ძნელი წარმოსადგენი იყო შოუზე ალექსის გარეშე მუშაობა. და ლორიმ მაშინვე გაიფიქრა, ნეტავ ეს ჩვენს ურთიერთობაზე როგორ აისახებაო. არ უნდოდა, კაცს დაენახა, როგორი იმედგაცრუებული იყო.

- ანუ მოსამართლეები სამართლიანობის ბორბლებს ვერ გააჩერებენ, სატელევიზიო ვარსკვლავი რომ გახდე?

- აშკარად ვერა, - თქვა კაცმა.

მისმა ღიმილმა ქალს გული მოუწურა. ლორიმ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი და ისევ სანაპიროს გაუყვა.

- ბრეტი სულაც არ იქნება ბედნიერი, სანამ შენნაირ სიმპათიურ მთხრობელს არ მოვძებნი.

- ეგ, ცხადია, შეუძლებელი იქნება, - თქვა მან მშრალად, - მაგრამ უკვე მაქვს ერთი ვარიანტი, თან, დროა, ბრეტი მიხვდეს, რომ შოუს მთავარი შემოქმედი შენ ხარ.

* * *

სასტუმროში ბრუნდებოდნენ, როდესაც ლორიმ მობილურის ვიბრაცია იგრძნო. „თუ ისევ ბრეტია, - გაიფიქრა ქალმა, - ამ ტელეფონს პირდაპირ ოკეანეში მოვისვრი“. ეკრანზე ნიუ-იორკიდან შემომავალი ნომერი დაფიქსირდა, მაგრამ ნომერი ბრეტის არ იყო.

- ლორი გისმენთ, - უპასუხა ქალმა.

- აჰ, კარგია, რომ დაგიკავშირდით. ბოდიში გვიან დარეკვისთვის. მიჩელ ლენდსი ვარ.

ლორის ცოტა დრო დასჭირდა ამ სახელის ამანდას ადვოკატთან დასაკავშირებლად.

- ოჰ, გამარჯობა, მიჩელ. ძალიან გვიანობამდე მუშაობთ, - ალექსს ჩურჩულით მოუბოდიშა. საერთოდ არ უნდა ეპასუხა.

- იურისტის ცხოვრება ასეთია.

- ალბათ, იმიტომ რეკავთ, რომ ამანდას შესახებ საშინელი ამბავი გაიგეთ.

- ძალიან არ მინდა ამის თქმა, მაგრამ ჩემს საქმეში სიკვდილს ეჩვევი. ძალიან ვწუხვარ საცოდავი სანდრასა და უოლტერის გამო. ალბათ, გულგატეხილები არიან.

- ნამდვილად. რამით შემიძლია დაგეხმაროთ? - ჰკითხა ქალმა.

- არა, მაგრამ მთელი ღამეა, ეს ამბავი მჭამს, ამიტომ ვიფიქრე, ჯობდა, თქვენთვის დამერეკა. ჯეფ ჰანტერს ეხება. მან მითხრა, რომ თქვენს შოუში მონაწილეობს.

- ჯეფს ესაუბრეთ? - სიარული შეწყვიტა. ალექსს სახეზე წუხილი გამოეხატა.

- დიახ, მაშინვე დავურეკე, როგორც კი ამანდას ცხედრის აღმოჩენის ამბავი გავიგე. ვიფიქრე, შემდეგ ნაბიჯებს გავაცნობ, როგორ უნდა დაიმტკიცოს ამანდას მემკვიდრეობა-მეთქი.

- თქვენს პროფესიონალიზმში ეჭვი არ შემაქვს, მიჩელ, მაგრამ ძალიან ადრე ხომ არ არის? ჯერ არც კი დაუმტკიცებიათ, რომ ნამდვილად მისი ცხედარია.

- ვიცი, როგორც წესი, ასე არ ვიქცევი, მაგრამ რადგან ასეთი გადაუდებელი იყო ფონდის გახსნა, ვიფიქრე, არაფერი დაშავდება-მეთქი. მაგრამ მერე მითხრა, რომ თქვენს შოუში დაჰკითხეს. ჯეფზე ეჭვი გაქვთ? თუ ასეა, ამანდას მშობლებს შეუძლიათ ქონების გაყინვა სცადონ, სანამ გამოძიება დასრულდება. ძალიან არ მინდა მათთვის სამართლებრივ საქმეზე დარეკვა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მთელი ღამეა ეს ფიქრი მჭამს. იქნებ არც კი უნდა დამერეკა ჯეფისთვის.

- რას გულისხმობთ გადაუდებლობაში? მეგონა, ჯეფს არაფერი მოუთხოვია.

- ასეც იყო და, მგონი, ახლაც ასეა. ამიტომ გავოცდი, როდესაც დილით დამირეკეს და მემკვიდრეობაზე მკითხეს.

- ჯეფმა ამ დილით დაგირეკათ ანდერძის თაობაზე?

ალექსს თვალები გაუფართოვდა.

- არა, ჯეფმა არა, - თქვა ლენდსმა, - მისმა ცოლმა, მეგანმა.

ლორის ეჭვები გამართლდა.

- მეგანმა გკითხათ მემკვიდრეობის შესახებ? რა დროს?

- დილის ცხრა საათზე, როგორც კი ოფისში მოვედი.

ამ დროს ამანდას მშობლებმაც კი არ იცოდნენ ქალიშვილის ცხედრის აღმოჩენის ამბავი. ლორის გაახსენდა დეტექტივ ჰენსონის ნათქვამი, რომ ის ადამიანი, ვინც პოლიციაში დარეკა, ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

- და მან იცოდა, რომ ამანდას ცხედარი იპოვეს? - ჰკითხა ლორიმ.

- არა, ბოდიში. მგონი, გაუგებრად ვლაპარაკობ. ჯეფის ცოლმა ახალ ამბებამდე დამირეკა. მკითხა, როგორ უნდა მოეთხოვათ, ამანდას გარდაცვლილად გამოცხადება და რა დრო დას-

ჭირდებოდა ამას. ვუთხარი, რომ ადვოკატი უნდა დაექირავებინათ, რადგან მე ქონებას წარმოვადგენ. მაგრამ, როგორც კი ახალი ამბავი გავიგე, ჯეფს დავურეკე და ვუთხარი, რომ გარდაცვლილად გამოცხადება აღარ დასჭირდებოდათ, როგორც კი გარდაცვალების მოწმობას ხელი მოეწერებოდა.

- როგორ მიიღო ეს ამბავი?

- სწორედ ეგაა. განაწყენებული და გაოცებული ხმა ჰქონდა, როდესაც ვუთხარი, ამ დილას მეგანმა დარეკა-მეთქი. მგონი, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ დამირეკა. ალბათ, ეს თავისით გააკეთა. ამან მაფიქრებინა, რომ ეჭვმიტანილი არ იყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე თქვენთან გადამოწმება.

- ჯეფს როდის ესაუბრეთ?

- რამდენიმე საათის წინ. დაახლოებით ხუთზე.

ლორი კაცს დაემშვიდობა და ალექსისკენ შებრუნდა.

- ვფიქრობდით, რომ საჩქარო არ იყო პოლიციისთვის მეგანის შესახებ რამის თქმა, მაგრამ ამ დილას მიჩელ ლენდსს დაურეკა მემკვიდრეობის მიღების თაობაზე. მერე კი ლენდსმა ჯეფს დაურეკა.

როგორც ყოველთვის, ალექსი მაშინვე მიხვდა, რას ფიქრობდა ქალი.

- რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეფი, ალბათ, უკვე ეკამათა მეგანს. ქალს ეცოდინება, რომ დამნაშავედ გამოჩნდება. დეტექტივ ჰენსონს უნდა ვუთხრათ.

- მამას ვთხოვ ამის გაკეთებას. ჰენსონი მას ჩვენზე მეტად ენდობა. მაგრამ ახლავე უნდა დავურეკო.

63

როგორც მეგანი მოელოდა, ჯეფმა მაშინვე შეუტია, როგორც კი სასტუმროს ნომერში განმარტოვდნენ.

- რატომ იმეორებ, რომ უნდა მოვიცადო? - ჰკითხა მან, - დროის მოგება გინდა, ტყუილი რომ მოიფიქრო?

- მე შენ არასდროს მოგატყუებ. უბრალოდ, ახლა ამაზე ვერ დაგელაპარაკები.

- რატომ დაურეკე ადვოკატს დღეს დილით? - ჩააჟინდა ჯეფი, - ამდენი წლის შემდეგ და მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე, სანამ გავიგეთ, რომ ამანდას ცხედარი იპოვეს. არაფერი მესმის.

- გპირდები, მიზეზი მაქვს...

- მაშინ მითხარი!

- ნუ მიყვირი!

- ერთ მარტივ შეკითხვას გისვამ, მეგან. პასუხს ვიმსახურებ.

ჯეფმა თვალებს ვერ დაუჯერა, როდესაც ქალი ადგა, ჩანთა აიღო, ოთახიდან კარის მოჯახუნებით გავიდა და კაცი სიჩუმეში დატოვა.

ლიფტში ყოფნისას მეგანმა ცრემლები მოიწმინდა და სული მოითქვა. ის და ჯეფი იშვიათად კამათობდნენ და არც ერთი არ წასულა კამათის დროს, მაგრამ ამჯერად ოთახიდან გამოსვლა იყო ერთადერთი გზა სხეულში წნევის შესანარჩუნებლად. ექიმმა გააფრთხილა, რომ სტრესს არიდებოდა.

ქალმა ხელი მუცელზე დაიდო. წარმოდგენა არ ჰქონდა, გრძნობდა თუ არა ამას ბავშვი, მაგრამ დაუბადებელ შვილზე დადებული ხელისგული მეგანს ამშვიდებდა. „ნუ ღელავ, - ფიქრობდა იგი, - ყველაფერი კარგად იქნება. როდესაც მამაშენი დამშვიდდება, ოთახში დავბრუნდები. დარწმუნებული ვარ, ჩემს ნაამბობს დაიჯერებს“.

მეგანი ახალი ამბის თქმას ჯეფისთვის ნიუ-იორკში აპირებდა. არ უნდოდა, ბავშვი ამ ადგილთან ყოფილიყო დაკავშირებული. უნდოდა, ეს იდეალური მომენტი ყოფილიყო.

მაგრამ ადვოკატისთვის ამ დილას არ უნდა დაერეკა. რა თქმა უნდა, საშინლად გამოჩნდებოდა, მით უმეტეს, რომ ამანდას ცხედარი რამდენიმე საათში იპოვეს. გასაკვირი არც იყო, ჯეფი ახსნას რომ ითხოვდა. ქალი ლიფტისკენ შებრუნდა, უკვე მზად იყო, მისთვის სიმართლე ეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მომენტი სულაც არ ჰგავდა მის მიერ წარმოდგენილს.

მობილურმა ახალი მეილის მოსვლა ამცნო. „სამსახურს ვერსად გავექცევი, - გაიფიქრა ქალმა, - როგორ ვიმუშავებ ოცდაოთხი საათი, როცა დედა გავხდები?“ მაგრამ მესიჯი კლიენტს არ ეხებოდა. სათაურის ხაზში ეწერა „ქეითისგან“.

ქალმა მეილი გახსნა. „გამარჯობა. არ მინდოდა, ყველას თანდასწრებით მეთქვა სადილზე, მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა ჯეფის შესახებ. მგონი, შოუ მის დადანაშაულებას აპირებს. სასტუმროს უკან, ნავსადგომთან შემხვდი, შოუდან ვინმემ რომ არ დაგვინახოს, კარგი?“

„შესანიშნავია, - მისწერა მეგანმა. ჯეფს დასამშვიდებლად კიდევ რამდენიმე წუთი არ აწყენდა, მანამდე კი ილაპარაკებდნენ, - უკვე მოვდივარ“.

64

დეტექტივი მარლინ ჰენსონი თავის ბუნაგში ხალიჩაზე გაიშ-ხლართა, ორი პუდელი კი ზედ დააჯდა. სამი წლის დებს კაგნი და ლეისი ერქვათ. მაშინაც კი, როდესაც მისი ქალიშვილი, ტეილორი, მამამისთან რჩებოდა ხოლმე, ეს ორი შეუპოვარი გოგონა მარლინს სულ სახლში ხვდებოდა.

როდესაც დედიკოს სახლში მოსვლით გამოწვეული ენთუზი-აზმი დროებით გაუნელდათ, კვლავ მისაღებში გაცვივდნენ და ჩხუბი განაგრძეს. სულ მთლად ლეკვები იყვნენ, სახლში რომ მოიყვანა. მწარე გამოცდილებით ისწავლა, რომ იატაკიდან ერ-თი ფუტის დაშორებით ადვილად მტვრევადი საგნები არ უნდა დაეწყო. თუმცა ამას კარგი მხარეც ჰქონდა: სახლი უაზრო საგ-ნებით აღარ იყო გადატვირთული.

იგრძნო, როგორ ეხუჭებოდა თვალები. მარლინს თავისი სა-მუშაო უყვარდა, მაგრამ დღეს ძალიან მძიმე დღე ჰქონდა.

ამანდა პირსის საქმე - უკვე გაუხსნელი - სამი წლის წინათ გადმოიბარა, როდესაც დეტექტივი მარტინ კუპერი ძილში ანევ-რიზმით გარდაიცვალა. შემდეგ კვირაშივე დაუკავშირდა სან-დრასა და უოლტერს. მათ უთხრა, რომ საქმეში ახალი არაფერი გამოჩენილა, მაგრამ მარლინს განყოფილებაში ყველა გაფ-რთხილებული ჰყავდა, რომ თუ ოდესმე ეს შეიცვლებოდა, დაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ. წინაღამით კი ცხედრის შესა-ხებ ინფორმაცია მიიღეს. მას შემდეგ გადაბმულად თითქმის ოცი საათი იმუშავა.

შუა იატაკზე ითიშებოდა, როდესაც ყავის მაგიდაზე მობილუ-რი აზუზუნდა. ნიუ-იორკიდან ურეკავდნენ.

- ჰენსონი, - თქვა და ძლივს ჩაახშო მთქნარება.

- დეტექტივო, ლეო ფარლი ვარ.

ყოფილი პოლიციელი, რომელმაც ფასდაუდებელი შრომა გასწია თავის შვილსა და მის გუნდთან ერთად. ქალი მედიას არ ენდობოდა, მაგრამ ლეოსი სჯეროდა, ლეო კი შოუში მომუშავე ხალხს ენდობოდა.

- გამარჯობა, ლეო. რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

- ვიცით, რომ თქვენი თანამშრომლები ჯეფს უთვალთვალებენ, მაგრამ მის ცოლს, მეგან უაითსაც არ უნდა მოაშორონ თვალი. ლორიმ რამდენიმე ფოტო მიიღო იმ სტაჟიორისგან, რომელზეც მოგიყევით.

მარლინი სასწრაფოდ წამოჯდა.

- რა ქნა? - აი, რა შედეგი მოიტანა მათმა ნდობამ.

- იფიქრა, რომ მისი ნდობის მოპოვებას შეძლებდა, თუ მარტო მივიდოდა. მე გარეთ ველოდებოდი. მაგრამ მართალი აღმოჩნდა. ამან გაამართლა. ჯერემიმ მას ისეთი ფაქტები გადასცა, რომელთა შესახებაც აქამდე არ ვიცოდით.

მარლინმა იგრძნო, როგორ სტკივდებოდა თავი, როცა ლეომ იმ ფოტოებზე დაიწყო მოყოლა, რომლებზეც მეგანი შეყვარებული თვალებით უყურებდა ჯეფს და ამანდას ეჩხუბებოდა იმ ღამეს, როცა ქალი გაუჩინარდა. უკვე შაკიკი ეწყებოდა, ლეომ რომ მეგანის ზარი ახსენა ამანდას ადვოკატთან და მისი კავშირი კოლბისკოლეჯელ მოკლულ გოგონასთან.

- სად ხართ? - ჰკითხა მან, - იცით, სად არიან ახლა ჯეფი და მეგანი?

- სახლში მოვედი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგადაა. ბოლო ინფორმაციით, მეგობრებთან ერთად სადილობდნენ. ახლავე დავურეკავ მანდ მყოფ პოლიციელს.

დაუმშვიდობებლად გაუთიშა და სერჟანტ ჯიმ პიტერსის ნომერი აკრიფა.

- მეგონა, დასვენებას აპირებდი, - თქვა მან.

- მეც, - ასე არ უმართლებდა.

- ნამდვილად ლამაზი ადგილია. თითქმის დამნაშავედ ვგრძნობ თავს, აქ ყოფნაში რომ დამატებით ხელფასს ვიღებ... თითქმის...

- ჰანტერს ისევ უთვალთვალებ?

- ჰო. ის და მისი ცოლი სადილობის შემდეგ თავიანთ ოთახში შევიდნენ. თუ დავინახავ, რომ სადმე მიდის, კიბეზე გავალ და ტანერს დავურეკავ. ქვევითაა, ლიფტთან დგას. ადგილები შე-ვიცვალეთ.

- ანუ ორივენი, ჯეფიც და მისი ცოლიც მანდ არიან?

- არა, მხოლოდ კაცი. რაღაცაზე იჩხუბეს და ცოტა ხნის წინ ქალი გიჟივით გამოვარდა. კიბისკენ გავედი, რომ არ დავენახე.

- სად წავიდა? ტანერი გაჰყვა?

- არა, მეგონა, მხოლოდ ქმარი გვაინტერესებდა.

- ეგრეც იყო და ახლაც ეგრეა. მაგრამ ტანერს დაურეკე, კარ-გი? უთხარი, რომ ცოლს არ მოაშოროს თვალი, შენ კი ჯეფს უთ-ვალთვალე. არც ერთი არ დაკარგოთ.

მარლინმა ახალი სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა. უკვე ფეხსაც-მელს იკრავდა, როდესაც სერჟანტმა პიტერსმა დაურეკა.

- მეგანი იპოვეთ? - ჰკითხა ქალმა.

- არა. ახლახან ველაპარაკე ტანერს. თქვა, რომ ფოიედან გა-ვიდა და არ იცის, საით წავიდა.

65

ჯერემიმ საათს დახედა და გაიფიქრა, ნეტავ სადამდე უნდა დავრჩე სასტუმროშიო. ისე გაერთო ლორისა და მისი მეგობრების გადაღებით, რომ ქორწილის წევრები დაკარგა. როდესაც კვლავ დაბრუნდა ზღვის პროდუქტების რესტორანში, მათი მაგიდა ცარიელი დახვდა.

სასტუმროს სხვა ბარები შეამოწმა, მაგრამ არსად ჩანდნენ.

ახლა სანაპიროზე იყო. მთვარის შუქზე მოსეირნე რამდენიმე წყვილმა ჩაუარა, მაგრამ ვერავინ იცნო. ამ ღამით ლამაზი მთვარე იყო. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ღამით გადაღებაში ივარჯიშა.

კამერა მომართა, ლინზა ოკეანეს მიუშვირა და გადაიღო. ფოტო ეკრანზე შეამოწმა. შთამბეჭდავი გამოვიდა. აღქმის უნარი დაკარგული არ ჰქონდა. ასეთ დროს ფოტოგრაფთა უმრავლესობა ან მთლიან სიშავეს მიიღებდა, ან საშინელ ნათებას, მაგრამ მან მოახერხა, რომ ოკეანის აზვირთული ტალღები და მათზე არეკლილი ვარსკვლავები დაეფიქსირებინა. ცუდი არ იყო.

სასტუმროსკენ ბრუნდებოდა, როდესაც მისკენ მომავალი ქალი დაინახა. მარტო იყო, გრძელ, ხვეულ თმას ქარი უწეწავდა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ეს ქალი მეგანი იყო.

როდესაც ჩაუარა, შებრუნდა, ასი ფუტით წინ გაუშვა და უკან გაჰყვა. ამ დისტანციაზე ქალი ნამდვილად ვერ შეამჩნევდა.

66

მეგანი სასტუმროს ნავსადგომის კიდეზე ჩამოჯდა და ფეხები აათამაშა. სანამ ნავსადგომის ბოლოს მიაღწევდა, რამდენიმე ლამაზ ნავს ჩაუარა. მუქლურჯ ოკეანეზე არეკლილი მთვარე ულამაზესი იყო, მაგრამ თვალი მობილურის ეკრანისთვის გაეშტერებინა. ვერაფრით ხვდებოდა, რა ეთქვა ქმრისთვის.

ახალი შეტყობინება მოვიდა. ისევ ჯეფი იყო: „სად ხარ? უნდა ვილაპარაკოთ“.

იქნებ ქეითს არც უნდა შეხვედროდა. ჯეფთან ყველაფერი უნდა მოეგვარებინა, მაგრამ ქეითმა რაღაც იცოდა შოუს გეგმების შესახებ. მეგანს დეტალები უნდა გაეგო.

ნავსადგომთან მდგარ სამ ნავს გახედა. სიბნელეში მხოლოდ იმას არჩევდა, რომ სამივე დიდი იყო. იფიქრა, ალბათ, ეს არის იახტებიო. ნავებზე ბევრი არაფერი იცოდა, მხოლოდ ის, რაც ბაჰამის კუნძულებზე თევზაობის დროს კაპიტნისგან გაეგო.

მშვენიერი მოგზაურობა იყო. არაოფიციალური თაფლობის თვე გაიხსენა. ჯეფმა ყველაფერი დაგეგმა, საუზმეზე შამპანურით დაწყებული, მთვარის შუქით განათებულ ოკეანეში ცურვით დამთავრებული. უფრო დიდხანს ვერ დატოვებდა. ქეითს ოთახიდან დაურეკავდა. უკვე ადგომას აპირებდა, როდესაც თვალის კუთხით დაინახა, როგორ მოაბიჯებდა ვიღაც ნავსადგომზე.

შებრუნდა, ელოდა, რომ ქეითს დაინახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანი ქეითი არ ყოფილა, ქალმა მაინც გაიღიმა, მაგრამ, როდესაც კაცი მისკენ წამოვიდა, მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო. ამ კაცს წლების განმავლობაში იცნობდა, მაგრამ მის სახეზე ასეთი გამომეტყველება არასდროს უნახავს. სადღაც წაიკითხა, რომ ორსულებს მეექვსე

გრძნობა უჩნდებათ თავიანთი დაუბადებელი შვილების დასაცავადო. უბრალოდ იცოდა, რომ კაცი აქ არ უნდა ყოფილიყო.

თუ ეს შეგრძნება გამართლდებოდა, მას ვერ დაუსხლტებოდა და სასტუმროში ვერ დაბრუნდებოდა. კაცი ვიწრო გზას უკეტავდა. სცადა, აუღელვებლად დაექნია ხელი და პოლიციის ნომერი აკრიფა, მაგრამ ის ძალიან სწრაფად უახლოვდებოდა. დარეკვას ვერ მოასწრებდა და თუ სწორად ფიქრობდა, ტელეფონს არც წააღებინებდა. ამით მის ადგილსამყოფელს დაადგენდნენ.

იმპულსურად გეგმა შეცვალა. ტელეფონი ორ ხის ნაჭერს შორის ჩააცურა და მათ შორის გააჩერა. იმედოვნებდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა.

წამოდგა. იფიქრა, ფეხზე მდგომი უკეთესად ვიბრძოლებო.

- ჰეი, - თქვა და მთელი სხეულით ინატრა, რომ მისი ეჭვი არ გამართლებულიყო.

მერე კი იარაღი დაინახა. ბრძოლას ვერ შეძლებდა. ხელი მუცელზე დაიდო და ისე გადაჰყვა კაცს ნავსადგომიდან იახტაზე. როდესაც კისერზე ჩხვლეტა იგრძნო, ლოცვა დაიწყო, რომ ვინმე მის ტელეფონს ამ ამბავთან დააკავშირებდა.

მერე კი ყველაფერი გაშავდა.

67

ჯეფი გაგიჟებით აჭერდა თითს ლიფტის ღილაკს. მეგანი არ უნდა გაეშვა. უნდა გაჰკიდებოდა და თუ საჭირო გახდებოდა, დერეფანიც გადაეღობა.

ლიფტი საშინლად ნელა ჩადიოდა, კაცი კი კამათს იხსენებდა. როგორ შეეძლო მისთვის ასე ეყვირა? იმაშიც კი დაადანაშაულა, ამანდას სიკვდილი არაფრად გენაღვლებაო. სასტიკი იყო. იცოდა, რომ მეგანი სხვებივით არ გამოხატავდა ემოციებს.

როდესაც ლიფტის კარები გაიღო, ფოიეში გავარდა, ცოლს ეძებდა. თავში მხოლოდ ის უტრიალებდა, რომ ქალში წამითაც კი არ უნდა შეჰპაროდა ეჭვი. თვითონ ყველაზე კარგად იცოდა, რა გრძნობა იყო, როდესაც ამანდასთვის რაღაცის დაშავებაში გადანაშაულებდნენ. მაგრამ ასე როგორ გაიქცა? შეუჩერებლად ურეკავდა და სწერდა, მაგრამ ქალი არ პასუხობდა. უნდა სცოდნოდა, როგორ შეეშინდებოდა.

ჯეფს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ისევ იმ კოშმარში იყო. იმავე ნაბიჯებს დგამდა, როცა მიხვდა, ამანდა გაქრაო. აუზები, მაღაზიები, ხეივნები. საკუთარ თავს უხმოდ შეჰფიცა, რომ ის ყველაფერი აღარ განმეორდებოდა.

როდესაც თავისი ცოლი ყველგან მოიძია, სადაც ამანდას ეძებდა, მიხვდა, რამდენი საერთო ჰქონდა ამ ორ ქალს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ორივე გონიერი და პერფექციონისტი იყო, მაგრამ სრულიად განსხვავებული პიროვნული თვისებები ჰქონდათ.

ჯეფი და ამანდა ისეთ დროს იყვნენ ერთად, როცა მათ ურთიერთობას აზრი ჰქონდა. როდესაც ავად იყო, ვინმე ერთგული და კეთილი სჭირდებოდა. ჯეფს კი, სასიამოვნო, უდარდელ ბიჭს, რომელიც იმის გარკვევას ცდილობდა, როგორ უნდა მორგებო-

და იურიდიულ პროფესიას, ამანდასგან ბიძგი სჭირდებოდა, რომ უფრო ძლიერი და თავდაჯერებული ყოფილიყო. ამანდასგან განსხვავებით, მეგანი ყოველთვის ისეთს იღებდა, როგორიც იყო. არასდროს, ერთხელაც კი არ უთხოვია, რამე შეეცვალა. მართლა უყვარდა მეგანი. ისინი ერთად უნდა ყოფილიყვნენ, თანაც არა მხოლოდ ცხოვრების ამ ფაზაში, არამედ სამუდამოდ.

როგორ დატოვა ასეთი აღელვებული? ისევ დარეკვა სცადა. არ უპასუხია. კაცმა იცოდა, რომ მეგანს ტელეფონი ვიბრაციაზე ჰქონდა და შეიძლებოდა, ვერც კი გაეგო ზარი.

ტელეფონის გათიშვას აპირებდა, ეკრანზე რომ შეტყობინება მოუვიდა, რომელიც შესაძლო ინტერნეტთან დაკავშირებას სთავაზობდა. გონება გაუნათდა. მეგანი სასტუმროს თავისი კლიენტების კონფიდენციალურ ინფორმაციას არ ანდობდა, ამიტომ ყოველთვის თავისი ინტერნეტით სარგებლობდა, რომელსაც მობილურიდან ლეპტოპზე იჭერდა. კაცმა იცოდა, რომ ინტერნეტი ას ორმოცდაათი ფუტის მანძილზე მაინც დაიჭერდა. თუ მისი ინტერნეტის - Meghan In Brooklyn[60] - სიგნალს მოძებნიდა, მის პოვნასაც შეძლებდა.

ეს სახელი სანაპიროზე ჩასვლისას გამოჩნდა, როდესაც ჯეფი სასტუმროსკენ მიბრუნებას აპირებდა. თვალით გარემო მოათვალიერა, ეძებდა ადამიანს, ვინც შეიძლებოდა, მეგანი ყოფილიყო. მუცელში ტკივილი იგრძნო, როდესაც ხანში შესული წყვილი დაინახა, ერთმანეთისთვის ხელი რომ ჩაეკიდათ. ეტყობოდათ, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. უნდოდა, ოთხმოცი წლის ასაკშიც მეგანთან ხელჩაკიდებულს ევლო.

---

[60] (ინგლ.) მეგანი ბრუკლინში.

გზა განაგრძო. სასტუმროდან გამომავალი შუქი უფრო და უფრო მკრთალდებოდა. სიბნელეში უსწორმასწორო ქვიშაზე წაბორძიკდა.

ჩრდილოეთით წავიდა, ნაბიჯებს ითვლიდა, სანამ მეგანის ინტერნეტის სიგნალი შეწყდებოდა. ორმოცდაერთი ნაბიჯი, დაახლოებით ას ოცდასამი ფუტი. ისევ იმ ადგილას დაბრუნდა, საიდანაც დაიწყო და ახლა სამხრეთით წავიდა. მხოლოდ თერთმეტი ნაბიჯი, დაახლოებით ოცდაცამეტი ფუტი და სიგნალი გაქრა. ისევ თავიდან დაიწყო და სასტუმროსკენ წავიდა, სანამ სიგნალი არ შეწყდა. მეგანი არსად ჩანდა.

მხოლოდ ერთი მიმართულება რჩებოდა - ოკეანე. წამიერად პანიკამ შემოუტია, მაგრამ უცებვე მიხვდა, რომ ოკეანის ფსკერიდან მობილური სიგნალს ვერ გამოსცემდა. იქვე ნავსადგომი იყო, მაგრამ ვერავის ხედავდა. მაინც უნდა შეემოწმებინა. მხოლოდ ეს ადგილი რჩებოდა.

მთელი ნავსადგომი გაიარა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. სიბნელეში მარტო მყოფმა სასოწარკვეთილად იყვირა: „მეგან!“ - მისი ტელეფონი კვლავ იჭერდა ქალის სიგნალს. სად იყო?

სასტუმროსკენ უნდა გაბრუნებულიყო, როდესაც დაინახა, რომ ხეებს შორის რაღაც მთვარის შუქს ირეკლავდა. დაიხარა და ნახვრეტში ლითონის საგანი იგრძნო. ტელეფონი იყო. მეგანის ტელეფონი.

ჯეფმა სიგნალი იპოვა, მაგრამ მისი ცოლი გამქრალიყო.

68

ჯეფი მაშინვე მიხვდა, რომ ტელეფონი აქ შემთხვევით არ დაუტოვებიათ. ხის ნაჭრებს შორის სპეციალურად ჩადეს, ამაში დარწმუნებული იყო. მაგრამ რატომ?

მობილურში უკანასკნელად მისი შეტყობინებები იყო შემოსული, რომლებშიც დაბრუნებას სთხოვდა. საინტერესო ხმოვანი შეტყობინებებიც არ ყოფილა. მეილი გახსნა. ყველაზე ბოლო მეილი ქეითისგან იყო. იგი ფიქრობდა, რომ შოუს ჯეფზე ჰქონდა ეჭვი და უნდოდა, მეგანს ნავსადგომზე შეხვედროდა.

ახლა სად იყვნენ? მაშინვე გაუელვა თავში, ქეითის მობილურის ნომერი არა მაქვსო, მაგრამ შემდეგ მეგანის კონტაქტები შეამოწმა. რა თქმა უნდა, ყველაფერი მოწესრიგებული იყო, როგორც მეგანს შეეფერებოდა.

ქეითმა ორი ზარის შემდეგ უპასუხა, მაგრამ ლოდინი მარადისობას ჰგავდა. ტელევიზორის ხმა გაიგონა.

- ქეით, ჯეფი ვარ. შეიძლება მეგანს დაველაპარაკო?

- ჰმმ, ვიფიქრე, რომ მეგანი იქნებოდი. მისი ნომრიდან მირეკავ.

- მისი ტელეფონი მე მაქვს. მეგანი შენთან ერთად აღარაა?

- რაზე ლაპარაკობ? სადილობის შემდეგ აღარ მინახავს.

- მეილი მისწერე, რომ ნავსადგომზე შეხვდებოდი. მისი ტელეფონი აქ ვიპოვე, მაგრამ თვითონ არ ჩანს.

ქეითმა აშკარად ანერვიულებული ხმით უთხრა:

- ჯეფ, მეგანისთვის არაფერი მიმიწერია და სადილის შემდეგ ოთახიდანაც არ გამოვსულვარ. თუ ნავსადგომზე ვინმეს ხვდებოდა, ეს მე ნამდვილად არ ვყოფილვარ.

როდესაც ჯეფმა ტელეფონი გათიშა, მიხვდა, რომ ვერავისთან წავიდოდა დახმარების სათხოვნელად. შესაძლოა, ქეითმა

არ დაწერა ის მეილი, მაგრამ ვისაც უნდა დაეწერა, მართალი იყო: ჯეფს მთავარ ეჭვმიტანილად მიიჩნევდნენ. უკვე წარმოედგინა დეტექტივის პასუხი, თუ ეტყოდა, რომ მისი ცოლი გაქრა. მას არ დაუჯერებდნენ. უკვე ფიქრობდნენ, რომ ამანდა მან მოკლა. ახლა კი იფიქრებდნენ, რომ მეგანსაც დაუშავა რამე.

რატომ დატოვა მეგანმა თავისი ტელეფონი? რას ვერ ხვდებოდა?

ჯეფი მის მეილებს ჩაუყვა. ყველაფერი სამსახურს ეხებოდა. მერე კი გუშინ გამოგზავნილი მეილი შეეფეთა, სამედიცინო ცენტრიდან გამოგზავნილი. გახსნა. გინეკოლოგი, ექიმი ჯეინ მონტაგი სწერდა. დახურვას აპირებდა, როდესაც ერთმა სიტყვამ მისი ყურადღება მიიპყრო.

„გამარჯობა, მეგან, ექთანმა თქვენი შეტყობინება გადმომცა. გაინტერესებდათ სწრაფი ნივთიერებათა ცვლის ეფექტი თქვენს ორსულობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კარგია, წამლებს სხვებზე სწრაფად რომ ამუშავებთ, ეს ექიმებს მხოლოდ იმაში დასარწმუნებლად ეხმარება, რომ სწორ დოზებს იღებთ, როდესაც რეცეპტებს ითხოვთ. ბავშვზე ამას ოდნავი ეფექტიც კი არ ექნება! საუკეთესო სურვილებით, ექიმი მ.“.

ორსულობა. ბავშვი. მალე შვილი ეყოლებათ.

ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. ამიტომ უნდოდა მეგანს ამ შოუს მალე დასრულება. არ უნდოდა, გამოძიების დროს ეთქვა მისთვის.

ისიც გასაგები შეიქნა, რატომ დაურეკა ამანდას ადვოკატს. ახლა, როცა მათი ოჯახი იზრდებოდა, ნამდვილად დასჭირდებოდათ უფრო დიდი ბინა.

ჯეფს ამანდასგან ფული არასდროს სჭირდებოდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან თავის ანდერძში დაასახელა, ზუსტად ეს იყო - ფაქტი. თუ ჯეფი ამანდასგან ფულს, ადრე თუ გვიან, მაინც მიიღებდა, მეგანის შეკითხვა ხომ კეთილგონივრული გამო-

დიოდა, რადგან ბავშვს ელოდებოდნენ? ის, რომ ამანდას ცხედარი რამდენიმე საათში იპოვეს, საშინელი დამთხვევა იყო და სხვების თვალში ცუდად ჩანდა.

იგრძნო, როგორ ეწვოდა თვალები. ვერ იჯერებდა, რომ მასში ეჭვი შეეპარა.

ტელეფონს დახედა. მეგანმა ის რაღაც მიზეზით დატოვა.

შეტყობინებები, ზარები და მეილები კიდევ ერთხელ შეამოწმა. მის ფოტოებსაც კი გადახედა რამის პოვნის იმედით.

სხვა რა შეიძლებოდა, ყოფილიყო?

ჯეფი შეხტა, როდესაც მეგანის ტელეფონმა დარეკა. ღმერთს სთხოვდა, რომ ის ყოფილიყო და ეს კოშმარი დასრულებულიყო.

- გისმენთ?

მცირეხნიანი დუმილის შემდეგ ხმა გაისმა:

- ჯეფ, თქვენ ხართ? ლორი მორენი გაწუხებთ. ბოდიში ასე გვიან დარეკვისთვის, მაგრამ როგორღაც მეგანის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება დავკარგე. ჩემი უფროსი გაგიჟდება. მეგანი ძალიან შეწუხდება, უცებ რომ შემოვირბინო? უკეთ დავიძინებ, თუ მეცოდინება, რომ ეს საქმე მოგვარებულია.

- მეგანი აქ არაა. ის... გაქრა. გთხოვთ, დამეხმარეთ მის მოძებნაში.

69

საუბრის დასრულების შემდეგ ლორიმ დეტექტივს გახედა.

- თქვა, რომ გაქრა? - დეტექტივი ჰენსონი აშკარად არ იყო ბედნიერი იმ ყველაფრით, რაც უკანასკნელ ნახევარ საათში გაიგო, რომ ლორის ჰქონდა სამხილი, რომელიც პოლიციას არ აჩვენა, რომ მისი თანამშრომლები ჯეფს უთვალთვალებდნენ და არა მეგანს. ახლა კი მეგანის შეშინების გარეშე მისი მოძებნის გეგმა ჩაეშალათ.

ჰენსონმა გვერდით მდგარ ოფიცერს - ტანერს ეძახდა - ანიშნა, რომ რაცია მიეწოდებინა.

- პიტერს, ჰანტერს ისევ უყურებ?

- ჰო, სანაპიროზეა. სასტუმროში ბრუნდება. ახლა მორჩა ტელეფონზე ლაპარაკს.

- ჰო, სამწუხაროდ, ჩვენ ვურეკავდით მის ცოლს. თქვა, გაქრაო.

- რა გავაკეთო?

- აქ მოიყვანე, - ფოიეში ვართ - რომ გავიგოთ, რა ჯანდაბა ხდება.

დეტექტივ ჰენსონს ბრაზის დაფარვა არც კი უცდია:

- ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი საათების წინ არ მითხარით, - თქვა მან, - ფოტოები მაშინვე უნდა გადმოგეცათ, როგორც კი ხელში ჩაგივარდათ.

ლეომ ხელი ასწია.

- მოიცადეთ. მე შევაჩერე ლორი. არ გვეგონა, თუ საჩქარო იყო. ჩვენ, ცალკეული ინდივიდები, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ, ვიდრე პოლიცია. იმ წუთიდან, როდესაც თქვენთან ერთად მუშაობას დავიწყებთ, კონსტიტუცია დაგვიცავს. ვიფიქრეთ, რომ სწორად ვიქცეოდით.

- თქვენ, არა? სასაცილოა. ჩემს სამყაროში პოლიციელები სხვა მოდგმის ადამიანები არიან, რეპორტიორებისა და ადვოკატებისგან განსხვავებით.

ლეო ისევ თავის მართლებას აპირებდა, როდესაც ალექსი ჩაერია:

- მგონი, იმის თქმა შეიძლება, რომ დღეს ყველაფრის სხვაგვარად გაკეთება შეგვეძლო. ახლა რით შეგვიძლია თქვენი დახმარება?

- იმის მოყოლით დაიწყეთ, კიდევ რას მიმალავდით.

ლორის უნდა ეთქვა, სხვა არაფერსო, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ კიდევ ერთი რამ იყო:

- ჯერემი, ფოტოგრაფის თანაშემწე. დავიქირავე, რომ სასტუმროში მოსულიყო და ჩვენი სამიზნე ობიექტებისთვის ფოტოები გადაეღო. მისი საიდუმლო ფოტოები დაგვეხმარა. ვიფიქრე, ცდად ღირდა.

- და ახლა აქაა?

- არ ვიცი, მაგრამ შემიძლია, გავიგო, - ჯერემის დაურეკა. მან მაშინვე უპასუხა და უთხრა, სასტუმროს ეზოში ვარო, - ფოიეში შემოდით. სასწრაფო საქმეა, - უთხრა ქალმა მას.

ისევ ჯერემის ელოდებოდნენ, როდესაც ჯეფი გამოჩნდა იმ მამაკაცთან ერთად, რომელიც ჰენსონმა სერჟანტ პიტერსის სახელით წარადგინა.

ჯეფი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ძნელი იყო მისი მიყოლა: მეილი ქეითისგან, რომელიც, სინამდვილეში, ქეითისგან არ ყოფილა... ნავსადგომზე დატოვებული ტელეფონი... მეგანმა იმიტომ დაურეკა ადვოკატს, რომ ბავშვს ელოდებოდნენ.

დეტექტივ ჰენსონს გული არ ასჩუყებია.

- მაგ ყველაფერს მაშინ გავარკვევთ, როცა განყოფილებაში წამოხვალთ, მაგრამ ახლა, ჯეფ, თქვენი მეუღლე უნდა ვიპო-

ვოთ. სულაც არაა კარგი ამბავი, რომ დაიკარგა. მასთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს, ასე გაქცევა კი დამნაშავედ აჩენს.

- დამნაშავე? მოიცა, დარწმუნებული ვიყავი, იფიქრებდით, რომ მე დავუშავე რამე. გგონიათ, მეგანი...

- ჩვენ უბრალოდ შეკითხვები გვაქვს, - თქვა ჰენსონმა, - რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიპოვოთ, ახლა კი ტელეფონი გადმოგვეცით.

ჯეფმა შეცბუნებისგნ თვალები დაახამხამა.

- არა, - ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო.

- ეს შეცდომაა.

- ამას მეოთხე შესწორება ჰქვია. ორდერის გარეშე ვერ გამჩხრეკთ.

- ეს ყველაფერი ისეთ შთაბეჭდილებას დატოვებს, რომ თქვენ ორმა ამანდა ერთად მოკალით, - თქვა ქალმა.

- არა, ყველაფერი ისეა, როგორც არის. ჩემი ცოლი დაკარგულია. ვიღაცამ ნავსადგომიდან წაიყვანა, თქვენ კი აშკარად არ გჯერათ ჩემი. ასე რომ, თუ ამ ნომერზე რაიმე მიზეზით დარეკავს, მინდა, მე ვუპასუხო.

ლორი ჩარევას აპირებდა, როდესაც მათკენ სწრაფად მომავალი ჯერემი შენიშნა.

- ჯერემი, გთხოვ, მითხარი, რომ მეგანი ნახე.

70

ჯერემი შეშინებული ჩანდა, თვალებს ჰენსონსა და სხვა ოფიცრებს შორის აცეცებდა.

- პოლიციელებს ჰგვანან. ყველაფერს უკუღმა ატრიალებენ. ჩემზე ათას საშინელებას ფიქრობენ.

- ყველაფერი კარგადაა, - დაარწმუნა ლორიმ, - მათ ვუთხარი, რომ მე გთხოვე აქ ყოფნა. მე დაგიქირავე, რომ ადამიანებისთვის შორიდან გადაგეღო ფოტოები. მეგანზე რამე იცი?

- დავინახე.

- სად? როდის?

- დაახლოებით ოცი წუთის წინ, შეიძლება, ოცდაათი. ნავსადგომზე, მაგრამ არ მინდა, პრობლემები შევუქმნა.

- პრობლემები არა აქვს, მაგრამ მისი პოვნა გვჭირდება.

ახლა ჯერემი ნერვიულად უყურებდა ჯეფს.

- არა მგონია, მოეწონოს, რასაც ვიტყვი.

- უბრალოდ, ჩემი ცოლის მოძებნა მინდა, - სთხოვა ჯეფმა, - ყველაფერი გვითხარი, რაც იცი.

- სხვა მამაკაცთან ერთად ვნახე. ნავმისადგომზე.

- ვინ მამაკაცთან? - იკითხა ჯეფმა, - სად წავიდნენ?

- არ ვიცი, ვინ იყო. ღამე ფოტოებს კარგად ვიღებ, მაგრამ სახეების გარჩევა შეუძლებელია. ნავმისადგომზე შეხვდნენ ერთმანეთს, მერე კი იახტაზე ავიდნენ.

- ჯერემი, - თქვა ლორიმ, რომელიც ცდილობდა, მშვიდად ესაუბრა, - ყველაფერი უნდა გვითხრა, რაც იცი. სასწრაფოა.

ჯერემიმ კამერას ხელი დააფარა. ლორი მიხვდა, რომ კაცი მათ არ ენდობოდა. ვერ დააძალებდნენ ვერც ლაპარაკს და ვერც კამერის ჩვენებას. გაიხსენა, როგორ მოიპოვა მისი ნდობა მისივე სახლში.

- ეს შენი შანსია, რომ ამანდას დაეხმარო, ჯერემი. რაც უნდა დაგენახა, შეიძლება მისი მკვლელის მოძებნაში დაგვეხმაროს. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ.

კაცს თვალები გაუნათდა.

- მეგანი ნავმისადგომზე იჯდა, კაცი კი იახტიდან გადმოვიდა. ყველაფერს ვერ ვხედავდი, მაგრამ მასთან ერთად წავიდა.

კამერა მოიხსნა და ეკრანზე ფოტოების დათვალიერება დაიწყო.

- მის სახეს ვერ დაინახავთ, მაგრამ მეგანზე მაღალია.

ლორის მხოლოდ იახტის გვერდით მდგომი ბნელი ფიგურების გარჩევა შეეძლო. ჯერემიმ თვალიერება განაგრძო, მაგრამ ქალმა სთხოვა, ერთ-ერთ ფოტოზე გაჩერებულიყო, რომელიც შედარებით კონტრასტული ჩანდა.

- მგონი, უფრო ნათელია.

ჯერემიმ აუხსნა:

- ეს განათებული ადგილი იახტის თეთრი აბრაა. თეთრი ლითონი მთვარის შუქს ირეკლავს. ძალიან კარგი კადრია, არა? ამიტომ ავირჩიე ახლოდან გადასაღებად. კარგი თვალი გაქვს.

მაგრამ ლორის კადრის ოსტატობა სულაც არ აინტერესებდა. მთავარი აბრა იყო. „ქალები პირველ რიგში“.

- „ქალები პირველ რიგში“, - თქვა მან, - რატომ მეცნობა ეს სიტყვები?

ჯეფმა მას გახედა.

- ეს ნიკის აბრაა, - იყვირა მან, - მას ყველა ნაქირავებ იახტაზე ამაგრებს. მეგანი ნიკთან ერთადაა? კი მაგრამ, იგი ბოკაში უნდა იყოს კლიენტთან ერთად.

- აშკარად არ არის, - თქვა ლორიმ, -აქ იყო, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა ფოტო გადაიღეს.

- სადილის დროს მომწერა. რამდენიმე საათის წინ წავიდა.

- ანუ საერთოდ არ წასულა ან უკან დაბრუნდა, - თქვა ლორიმ, - ჯერემი, დარწმუნებული ხარ, რომ მეგანი იახტაზე თავისი ნებით ავიდა?

დაბნეულმა გამოხედა.

- დანამდვილებით ვერ ვიტყვი. სხეულის ენასა და გამომეტყველებას კარგად ვკითხულობ, მაგრამ სიბნელეში, თანაც შორიდან? უბრალოდ ვიფიქრე, - ჯეფს გახედა, თითქოს ბოდიშს უხდისო. უბრალოდ, იფიქრა, რომ მეგანი სხვა მამაკაცს ხვდებოდა, ვისაც მშვენიერი იახტა ჰყავს.

- არ მესმის, - თქვა ჯეფმა, - ნიკი ჩემი მეგობარია.

- ან არ არის, - თქვა ლორიმ. გრძნობდა, როგორ ლაგდებოდა ყველაფერი. მხოლოდ ჯეფსა და მეგანზე იყო ფოკუსირებული, რადგან მათ ჰქონდათ ამანდას მოკვლის საფუძველი. ჯეფს ფულის გამო, მეგანს კი - ჯეფთან ყოფნის. ფიქრობდა, რომ ვინც ამანდა და მანამდე კარლი მოკლა, მათ შორის იყო. მაგრამ ლორის მაინც უნდა სცოდნოდა, რომ მკვლელი თავის პირდაპირ მსხვერპლს არ კლავს. ზოგი ადამიანებს იმიტომ ხოცავს, რომ სხვას დაუშავოს რამე. სოციოპათი მსხვერპლს პაიკად იყენებს თამაშში, რომელსაც სხვა არავინ თამაშობს.

გრეგის მკვლელს არაფერი ჰქონდა გრეგის საწინააღმდეგო, მაგრამ მაინც მოკლა ის და ლორისა და ტიმისაც დახოცავდა სულ სხვა ადამიანზე შურისძიების გამო.

გაახსენდა გრეისის ნათქვამი, ნიკი ბევრად მიმზიდველია, ვიდრე ოსტინიო, მაგრამ ჯეფს, მისი მეგობრებისგან განსხვავებით, მცდელობაც კი არ სჭირდებოდა. როდესაც ლორი პირველად შეხვდა ჯეფს, გრეგი გაახსენდა. მას ჰქონდა ბუნებრივი სიმსუბუქე, რომელსაც ვერც ისწავლი და ვერც იყიდი.

- ამას იმიტომ აკეთებს, რომ ეზიზღები, ჯეფ. შენი შურს. შენ ბედნიერება იპოვე ქალებთან, რომლებსაც უყვარხარ, ნიკს კი მარტოობა და ბრაზი ახრჩობს. ვერ ხედავ? ნიკი ოსტინთან თავს

კარგად გრძნობს, რადგან თავისნაირად კარგი არ ჰგონია. მაგრამ შენ სხვა ხარ. შენ საფრთხეს უქმნი. ყველაფერი უნდა, რაც შენ გაქვს, მაგრამ ვერ ექნება. კოლბიში ნიკს კარლი რომანო მოსწონდა?

კარლის სახელმა ჯეფს მოგონებები გაუცოცხლა.

- როგორც გითხარით, კამპუსში ერთ-ერთი ულამაზესი გოგონა იყო. ყველას მოგვწონდა... მაგრამ არა, ნიკი ამას არ გააკეთებდა. რამდენიმე წამის წინ ისე იქცეოდით, თითქოს მეგანი იყო დამნაშავე.

- არ ვფიქრობ, რომ ის დამნაშავეა, - თქვა ლორიმ, - მეგანი უდანაშაულოა და საფრთხეშია. დეტექტივო ჰენსონ, როგორ ვიპოვოთ იახტა? ნიკმა მითხრა, რომ მისი იახტა რეგიონში საუკეთესოა.

71

ნიკმა მაშინვე შინაურულად იგრძნო თავი, როგორც კი საჭეს წაავლო ხელები და სახეში ოკეანის ნიავმა დაუბერა. თავისთვის გაეღიმა. ქალები პირველ რიგში. როგორც წესი, ეს აბრა სტუმარი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. გადაიხარხარა. არც კარლი და არც ამანდა მასთან ერთად ზღვაში არ ყოფილან. მეგანი პირველი იქნებოდა.

სამი მკვეთრად განსხვავებული ქალი, მაგრამ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: სამივემ უარყო ნიკის უპირატესობები და ყალბი ჯეფ ჰანტერი შეუყვარდათ.

მეგანის აყვანა გაცილებით მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე კარლისთვის მანქანაში ჩაჯდომის დაძალება, როცა წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა, ან ამანდას სასტუმროდან შორს გატყუება. ერთი მეილი ანონიმური მისამართიდან, რომელიც თითქოსდა ქეითისგან იყო, მშვენიერი ხრიკი აღმოჩნდა.

ამანდასთან არ უმტკიცებია, რომ სხვა იყო. უნდა სცოდნოდა, რომ მასთან მარტო დალაპარაკება არ მოუნდებოდა. კარლის ჰგავდა. ასეთი ქალები ყოველთვის ცხვირს იბზუებდნენ მასზე, ფიქრობდნენ, რომ ხუმრობდა, დროებით ეფლირტავებოდა. ამანდა „გრანდ-ვიქტორიაში“ ყოფნის განმავლობაში სულ თვალებს უბრიალებდა მასა და ოსტინს, სანამ არ უთხრა, რომ ჯეფი მის ზურგს უკან სხვა ქალს ხვდებოდა. ამან კი ნამდვილად მიიპყრო მისი ყურადღება! და უცებ ნიკი სიტუაციის მთავარი განმგებელი გახდა.

იქვე ბალიშებზე გადაწოლილ მეგანს გახედა. კოლეჯში რომ სცოდნოდა კეტამინის[61] შესახებ, კარლის კისერში გაუკეთებდა ნემსს. ქალი მანქანაში ნებით არ ჩაუჯდა.

ძრავა გამორთო. ღრმად იყვნენ შესული წყალში. მეგანს ცნობიერება დაუბრუნდა, მაგრამ ინიექციის წყალობით არ შეეძლო განძრევა. კაცმა წაიკითხა, რომ სიზმრის მსგავს სამყაროში იქნებოდა, პარალიზებული თითქოს სხვა სამყაროში იცხოვრებდა. მალე წყალში ჩააგდებდა და კლიენტთან მივიდოდა. ჭკვიანური გეგმა ჰქონდა.

- როგორ მიდის საქმეები, მეგან?

ქალმა თვალები დაახამხამა, მაგრამ კაცმა იცოდა, რომ ეს უნებურად მოხდა. ქალი თავის სხეულს ვერ აკონტროლებდა.

- უნდა ვთქვა, რომ ჯეფის ორ დიდ სიყვარულს შორის ყოველთვის შენ უფრო მომწონდი. ამანდა ორსახოვანი იყო. თავს იკატუნებდა, ვითომ მოვწონდი, მაგრამ სიმართლეს მაინც ვხედავდი. ისიც კი გავიგონე, როგორ უთხრა ჯეფს, ვერ ვხვდები, შენგან ისეთი განსხვავებული ადამიანი, როგორიც ნიკია, შენი მეგობარი როგორ არისო. მისი სახე უნდა გენახა, როცა ვუთხარი, ჯეფი სხვას ხვდება-მეთქი. სხვათა შორის, მაშინვე შენზე მკითხა. როგორი მეგობრობაა, არა? პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებ, მაგრამ კვდებოდა, ისე აინტერესებდა დეტალები... რომ იცოდე, რამდენი ხანი ვალოდინე.

მიანიშნა, რომ ქორწილის მონაწილეთაგან ერთ-ერთი იყო, მისი წამებისთვის რომ ეყურებინა. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ყველა დაწვა დასაძინებლად, სანამ ბოლო ნაბიჯს გადადგამდა. ქალს უთხრა, ნასადილევს მანქანით შეხვედროდა სას-

---

[61] საანესთეზიო პრეპარატი.

ტუმროს წინ მდებარე გრძელი გზის ბოლოს. შეეძლოთ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სტეიკის რესტორანში, ცოტა დაელიათ.

მაინც გააპროტესტა, ჰკითხა, რატომ არ შეიძლება სასტუმროს ბარში შევხვდეთო, მაგრამ იმ ღამით ყველაფერი მის ნებაზე აღარ იქნებოდა. ნიკმა მათი დიალოგი გაიხსენა:

- იმან, რის თქმასაც ჯეფის შესახებ ვაპირებ, შეიძლება ქორწილი ჩაგაშლევინოს. თუ ეგ მოხდება, არ მინდა, ვინმემ ჩემზე იეჭვოს. ჯეფი ჩემი საუკეთესო მეგობარია. საშინლად არ მინდა, გითხრა, მაგრამ ორივესთვის ასე იქნება უკეთესი. თუ სასტუმროსგან მოშორებით არ შემხვდები, არაფერს გეტყვი.

მეგანს თვალები დაეხუჭა.

- ყველაფერი მშვენივრად გავითამაშე, - თქვა ნიკმა ხმამაღლა. თვითონაც კი შეამჩნია კმაყოფილება თავის ხმაში, - ბეჭდები განსაკუთრებით ჭკვიანური სვლა იყო. ჯეფმა, იდიოტმა, რომელსაც საერთოდ არ ანაღვლებს ფული, სეიფი ღია დატოვა. თავიდან ხუმრობით გამოვიღე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ შეემეძლო, ამანდას ბეჭედი ჯეფის წინააღმდეგ გამომეყენებინა. მაგრამ მეტისმეტად კარგად დავმალე მისი ცხედარი. ვიფიქრე, რომ კვირები ან თვეები დასჭირდებოდა მის პოვნას, მაგრამ ხუთი წელი? და მაშინაც ჩემი ანონიმური ზარი გახდა საჭირო.

კაცს მოლოდინით ჟრუანტელმა დაუარა. იახტა ბოკაში კლიენტთან შეხვედრისთვის დაიქირავა, მაგრამ ახლა მეორე მიზანიც გამოუჩნდა. პოლიციამ ამანდას ცხედარი იპოვა, როგორც დაგეგმილი ჰქონდა. ცხადია, ბეჭედსაც იპოვიდნენ. ჯეფის დაპატიმრება მხოლოდ დროის ამბავი იყო. მეგანს წყალში ჩააგდებდა, მაგრამ, ადრე თუ გვიან, სანაპიროზე გამოირიყებოდა. ცოტა დრო დასჭირდებოდა, მაგრამ მისი ნეშტიც ექნებოდათ, როგორც ამანდასი, ჯეფი კი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში იჯდებოდა.

- იმდენი წამალი შეგიყვანე, რომ ორი ან სამი საათი ვერ შეირხევი, - უთხრა მეგანს, - აშკარად ზედმეტი დავხარჯე, იმიტომ, რომ ერთ საათზე ნაკლები სიცოცხლე დაგრჩა, - თავისივე ხუმრობაზე ჩაიხითხითა, - ნუ ნერვიულობ, კარლივით კი არ მოგიგრეხ კისერს, საჭირო არ იქნება. როცა წყალში ჩაგაგდებ, კუნთის განძრევასაც კი ვერ შეძლებ. წყალში ჩავარდნამდე ჩასუნთქვასაც კი ვერ მოახერხებ. ქვასავით ჩაიძირები.

მეგან უაითი ვერაფერს გრძნობდა. ფიზიკურად. საშინლად ეშინოდა, მაგრამ მის სხეულს წონა არ ჰქონდა, თითქოს სიზმარშიაო. ახსოვდა იარაღი, იახტა, ჩხვლეტა კისერში. მერე კი ამ ბალიშებზე გადაწოლილს გამოეღვიძა, ხელები ზურგს უკან ჰქონდა. მგონი, დაბმული არ იყო. განძრევა არ შეეძლო.

თვალების მოძრაობასაც კი ვერ აკონტროლებდა, თორემ ნიკს გახედავდა. თვალის კუთხით ძლივს ხედავდა. მისი ხმა ესმოდა და სიტყვებს იგებდა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რეალურად ხდებოდა ეს ყველაფერი თუ მხოლოდ მის ჰალუცინაციებში. იქნებ „გრანდ-ვიქტორიაში“, თავის საწოლში გაღვიძებოდა. მაგრამ მანამდე უნდა ეფიქრა, რომ ყველაფერი რეალურად ხდებოდა.

იცოდა, რომ ბავშვი უნდა გადაერჩინა, მაგრამ როგორ?

ნიკი თავდაჯერებით ლაპარაკობდა, თითქოს უამრავი დრო ჰქონდა და შეეძლო, დამტკბარიყო თავისი სულელური იახტით და საშინელ გეგმებზე ელაყბა. „მწარედ ცდები, ნიკ იანგ“, - ფიქრობდა ქალი. გაახსენდა მეილი, რომელიც წინადღეს ექიმისგან მიიღო, და თავს შეჰფიცა, რომ ბავშვი იცოცხლებდა.

უბრალოდ, უნდა გამაგრებულიყო. „გაიღვიძე, მეგან, გაიღვიძე. გადაირჩინე თავი და გადაარჩინე შენი შვილი“.

ნიკის ხმა უფრო და უფრო მკაფიოდ ესმოდა. თავს უკეთ გრძნობდა.

- ამის გაკეთებაზე ნიუ-იორკშიც ბევრს ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფრით მოვიფიქრე, როგორ დამემარტოებინე ქალაქში. ქეითისგან მეილის გამოგზავნა კი იოლი იყო. უბრალოდ, ახალი მისამართი გავხსენი და სათაურში „ქეითისგან“ ჩავწერე. ეს იახტაც იდეალურია. ამანდას დროს ხუთი მილის გარბენამ მომიწია სასტუმრომდე მას შემდეგ, რაც ნაქირავები მანქანა მივაგდე, ვინმეს რომ არ დაენახა, ახლა კი ოფლიც კი არ მომადგება.

მეგანს თვითკმაყოფილი ღიმილით გახედა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ფიქრობდა ქალი. ათი წლის წინ, როდესაც სიბრძნის კბილები ამოიღო, ტკივილგამაყუჩებლები დალია. ერთი აბი მხოლოდ ნახევარი საათით უყუჩებდა ტკივილს. თურმე წამალი მასზე ჩვეულებრივად არ მოქმედებდა. ექიმმა აუხსნა, რომ განსხვავებული გენი ჰქონდა, რომელიც ღვიძლში წამლის გადამმუშავებელი ფერმენტების დონეს ზრდიდა. ამას სწრაფ ნივთიერებათა ცვლის პროცესს უწოდებდნენ.

ღმერთს სთხოვდა, რომ ყველაფერი ასე ყოფილიყო.

თითები ბალიშებს დააჭირა და მუშტის შეკვრა მოახერხა. ფეხის თითები მოხარა და იგრძნო, როგორ აუმუშავდა ფეხის კუნთები. ამ დროს კი იგრძნო, რომ იახტა სვლას ანელებდა.

- თითქმის მოვედით, - თქვა ნიკმა სასხვათაშორისოდ.

72

ფლორიდის თევზის რესურსისა და გარეული ცხოველების დაცვის სამსახურის ოფიცერ ჯეიმზ ჯექსონს ერთი სული ჰქონდა, ის ჭორი გადაემოწმებინა, რომლის მიხედვითაც დელრეი-ბიჩის სანაპიროზე ვიღაც გოსთ-სერფერები[62] სერფინგობდნენ. რვაწლიანი სანაპიროს პატრულირების შემდეგ იცოდა, რომ სიჩქარე წყალზე ადამიანებს აგიჟებდა, მაგრამ გოსთ-სერფერების სერფინგი არასდროს უნახავს. თურმე ვიღაც იდიოტები ფიქრობდნენ, რომ კარგი იდეა იქნებოდა, თუ იახტას ავტორეჟიმზე გადაიყვანდნენ, თვითონ კი სერფინგის დაფებზე დადგებოდნენ და მძღოლის გარეშე გაქანებულ იახტებს გაჰყვებოდნენ. ჯექსონს სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მითი იყო, მაგრამ იმ ღამით პოლიციისგან მიიღო დავალება და როდესაც ადგილზე მივიდა, სერფერები არ დახვედრია, მხოლოდ წყლის თხილამურებზე მდგარი ბავშვი, საჭესთან - მამა და სიბნელეში ვერაფრის გამრჩევი ის ტურისტი დაინახა, რომელმაც დახმარება გამოიძახა.

ჯექსონს კიდევ ერთი ღამის გატარებამ მოუწია წყალზე. ეს სამსახური ნამდვილად სჯობდა წინას, მაიამის პოლიციის განყოფილებაში მუშაობას. ახლა ყველაზე დიდი დამნაშავეები ის დამსვენებლები იყვნენ, რომლებიც რომისა და მზის ნარევს სათანადოდ ვერ აფასებდნენ. მამა-შვილი გააფრთხილა ღამით

---

[62] სახიფათო ტალღების მოყვარული სერფერები. არის ადგილები, სადაც სერფინგი აკრძალულია ტალღების ხიფათიანობის, ზვიგენების სიმრავლისა და ფსკერსა და სანაპიროზე დიდი ქვების გამო.

სერფინგის საშიშროების შესახებ და ურჩია, სიჩქარისთვის დაეკლოთ და ვარსკვლავებით დამტკბარიყვნენ.

უცებ დაინახა, დიდი იახტა როგორ უახლოვდებოდა წინიდან.

73

ხელისა და ფეხის თითების მოძრაობით დაიწყო, მაგრამ მეგანი გრძნობდა, როგორ უცოცხლდებოდა მთელი სხეული. გონებაც დაეწმინდა. მხედველობა უკვე ყველა დეტალს აღიქვამდა. განძრევას ვერ ბედავდა, მაგრამ კუნთებს კუმშავდა და ადუნებდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მზად იყო.

ნიკმა ლაპარაკი შეწყვიტა და თავისთვის ბუტბუტებდა. მეგანი ცუდად იყო და ეს წამლის ბრალი სულაც არ ყოფილა. უბრალოდ, ხედავდა, რა ბედნიერი იყო კაცი. პანიკის ტალღამ დაუარა, როცა გაახსენდა, როგორ გაუკეთა მან ნემსი. ბავშვს ავნებდა? თავს დააძალა, რომ ამ შეკითხვაზე არ ეფიქრა. მობილიზებული უნდა ყოფილიყო. ვერც ერთი ვერ გადარჩებოდა, თუ ამ იახტიდან ვერ გავიდოდა.

ნიკის მზერა იგრძნო და კვლავ ვარსკვლავებს ახედა, თითქოს გაშტერებულიაო.

ნიკი კაპიტნის სკამზე გადაწვა და პოზა შეიცვალა. კვლავ მოუხერხებლად იჯდა, ამიტომ ისევ შეიშმუშნა. მერე ქამრის უკნიდან იარაღი ამოიღო და საჭის გვერდით დადო.

როდესაც ნიკმა ყურადღება კვლავ იახტის მართვაზე გადაიტანა, მეგანმა თავი შეაბრუნა. უკვე სრულიად ნათელი გონება ჰქონდა. ყველაფერს დააკვირდა, რაც მის გარშემო იყო: საჭის მარჯვენა მხარეს იარაღი დაინახა, მაგრამ იცოდა, რომ აღებას ვერ დაასწრებდა. მის წინ, მოაჯირის ჩაღრმავებაში, ჩაქუჩის მსგავსი ნივთი იდო. „მღვდელს“ ეძახდნენ, თუ სწორად ახსოვდა. გასულ წელს ჯეფთან ერთად სათევზაო მოგზაურობაში დაჭერილი თევზების გასათიშად იყენებდნენ, რომლებიც გემბანზე ფართხალებდნენ. თუ ნიკს ჩაარტყამდა, შეიძლებოდა იარაღის

აღების შანსიც ჰქონოდა. თავს შეჰფიცა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ესროდა კიდეც.

რამდენიმე წამის შემდეგ დაინახა ის, რაც მისი შანსი იქნებოდა - ნიკს მარჯვენა ხელში მობილური ეჭირა და ცდილობდა, შეტყობინება წაეკითხა, სანამ მარცხენა ხელით საჭეს ატრიალებდა.

ქალმა ტყავის სკამიდან ფეხების აწევა დაიწყო. ბორძიკით რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა, დაიხარა და ჩაქუჩი აიღო.

ხელ-ფეხი მის ბრძანებებს კარგად არ ემორჩილებოდნენ. აქამდე მხოლოდ ერთხელ გამოცადა ასეთი რამ - სტუდენტებს შეუერთდა, რომლებიც ტეკილას სვამდნენ. ამანდამ და ქეითმა ძლივს მიიყვანეს სახლამდე, ის კი ცდილობდა, ფეხებისთვის ებრძანებინა, წინ წასულიყვნენ.

ახლაც ეს სჭირდებოდა.

ნიკმა ძრავა გამორთო და ტელეფონი ჯიბეში ჩაიცურა. ეს მშვენიერი ადგილი იყო. კაიუტიდან მხოლოდ ხელის სავარჯიშო საწონები უნდა გამოეტანა, სასტუმროს სავარჯიშო დარბაზიდან რომ გამოაპარა - კიდევ ერთი სამხილი, რომელიც პოლიციას ჯეფთან მიიყვანდა.

როდესაც კაბინაში შესასვლელად წამოდგა, უეცრად მარჯვენა საფეთქელთან დარტყმა იგრძნო. ერთ მხარეს გადაყირავდა და სკამზე დაეცა. გაბრუებულმა აიხედა და დაინახა მეგანი, რომელსაც ხელში რაღაც საგანი ეჭირა და მეორედ დასარტყმელად ემზადებოდა.

ოფიცერ ჯექსონს უფრო და უფრო მოსწონდა იახტა. ძალიან მდიდრული ჩანდა. ფიქრობდა, მგონი, ამ მხარეში ერთ-ერთი საუკეთესო იახტაა, რომელიც ქირავდებაო.

ღამის სიჩუმე რაციის ჩართვამ და განგაშის ზარმა დაარღვია. ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო მდიდრული იახტა, რომელ-

საც ეძებდნენ. სანაპიროს დაცვაც აქეთ მოდიოდა. იახტის კაპიტანი იყო ნიკ იანგი, შეიარაღებული და საშიში, და გემბანზე გატაცებული მსხვერპლი უნდა ჰყოლოდა.

ჯექსონმა სკუტერის შუქი ჩააქრო და მოახლოებული იახტისკენ გასწია.

მეორე დარტყმა ნიკმა სახეში მიიღო და სკამიდან ჩავარდა, მაგრამ დაცემისას იარაღს წაეტანა და გემბანზე ჩამოაგდო. შეძრწუნებულმა მეგანმა დაინახა, როგორ გაიწია ნიკი იარაღისკენ.

შორს მოახლოებული კატერის ძრავის ხმა გაიგონა. დასახმარებლად მოდიოდა? მაგრამ დაცდა არ შეეძლო. ნიკს რამდენიმე წამში იარაღი ექნებოდა და მაშინვე ესროდა.

ნიკის ნასროლი პირველი ტყვია რამდენიმე ინჩით ასცდა მის ყელს. უკანასკნელი სასოწარკვეთილი მცდელობით, რომ ბავშვი გადაერჩინა, მოაჯირზე აიწია, ხელები მუცელზე დაიწყო და ბნელ წყალში ჩახტა.

74

ოფიცერმა ჯექსონმა მოახლოებული სანაპიროს დაცვის შუქები შენიშნა. როგორც კი გასროლის ხმა გაიგონა, მაშინვე დაინახა, როგორ გადახტა სილუეტი წყალში. მაშინვე ჩართო ხელის პროჟექტორი და წყლისკენ მიმართა.

დაინახა, როგორ გადაიხარა ვიღაც იახტიდან და სროლა დაიწყო.

ნიკმა მოახლოებული კატერიდან წამოსული შუქი შეამჩნია და გაიგონა, რომ ვიღაცამ მეგაფონში რაღაც ჩაჰყვირა, მაგრამ მხოლოდ მეგანის მოკვლაზე ფიქრობდა.

აჩქრიალებული წყალი შეამჩნია და რამდენჯერმე გაისროლა.

მეგანმა იგრძნო, როგორ დაფარა ბნელმა, ცივმა წყალმა და შეეცადა, ღრმად და დიდხანს ჩაეყვინთა. ახლა ყველაფერი არარეალურად ეჩვენებოდა. იმედი ჰქონდა, რომ ხელ-ფეხში საკმარისი ძალა ექნებოდა ზედაპირზე ასასვლელად. სროლის დახშული ექო ესმოდა.

ნიკს კიდევ უნდა ესროლა, როდესაც იახტის გემბანი თვალისმომჭრელმა სინათლემ გადაფარა.

- ნიკ იანგ, დაპატიმრებული ხართ. დაყარეთ იარაღი და ხელები თავზე შემოიწყვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გესვრით!

იმის შიშით, ფილტვები გამისკდებაო, მეგანმა ხელ-ფეხი აამოძრავა, სანამ მისმა თავმა წყლის ზედაპირზე არ ამოხეთქა. ჰაერი ჩაისუნთქა და განათებულ გემბანზე თავდახრილი და ხელებაწეული ნიკი დაინახა, შემდეგ კი სინათლემ ისიც დაფარა და გაიგონა, როგორ დაუყვირეს:

- დარჩით, სადაც ხართ. თქვენკენ მოვდივართ, - „გამომივიდა, - გაიფიქრა ქალმა და ხელი მუცელზე დაიდო, - კარგად ვართ. მე, შენ და ჯეფი, ყველანი კარგად ვიქნებით“.

ეპილოგი

ერთი თვის შემდეგ

ლორი ისტ-რივერს გაჰყურებდა და ფიქრობდა, რომ ეს ხედი მოენატრებოდა. ბევრი რამ მოენატრებოდა.

- აი, სად ყოფილხარ, - თქვა ალექსმა, რომელიც მის გვერდით გაჩნდა, - შემოდი. შოუ იწყება.

- იცი, რომ უკვე ნანახი მაქვს, ხომ? - თქვა ქალმა ღიმილით.

ალექსმა სიამოვნებით შესთავაზა, მასთან ეყურებინათ შოუსთვის, რადგან მისი დიდი ბინა საამისოდ სწორედ შესაფერისი იყო. გადამღები ჯგუფის გარდა, გადაცემას ლორის ოჯახიც უყურებდა. სანდრამ და უოლტერმა, რომლებიც ნიუ-იორკში, შარლოტთან იყვნენ სტუმრად, სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება. ალექსის ძმა, ენდრიუც მათ შეუერთდა. დრო იყო, ლორი გაეცნო.

კოქტეილების შემდეგ რამონმა სტუმრებს შესანიშნავი „ორ--დ'ოვრი" შესთავაზა.

ლორი ალექსს შიგნით შეჰყვა, სადაც მამამისსა და ტიმის შეენახათ მისთვის ადგილი. ზუსტად ერთი თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც ნიკ იანგის დაპატიმრების სცენა გაზეთებში, ტელევიზიებსა და ინტერნეტში რაკეტასავით გაიჭრა. თავდაპირველად, ბრეტს იმედი გაუცრუვდა, დარწმუნებული იყო, რომ მედიამ ლორის მოუგო.

მაგრამ ლორის ექსკლუზიური ხელშეკრულებების წყალობით სხვა მედიასაშუალებებს ახალ ამბებში გასაშუქებელი აღარაფერი აღმოაჩნდათ. ჯეფმა და ოსტინმა კიდევ ერთი ინტერვიუ ჩაწერეს, სადაც ყველა ის მომენტი გაიხსენეს, როცა ნიკი უფრო

თავდაჯერებულად იქცეოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ლორიმ ინტერვიუზე დეტექტივ ჰენსონის დათანხმებაც კი მოახერხა.

- თავიდან ადვოკატები აიყვანა, - თქვა დეტექტივმა გულცივად, - ტრაბახობდა, ქვეყნის საუკეთესო ადვოკატების აყვანა შეიძლიაო. თქვენზე ათჯერ უკეთესის, ბატონო ბაკლი, - მისი სიტყვებია, ჩემი კი არა. მაგრამ ვუთხარი, არ მაინტერესებს, რამდენი ადვოკატი გეყოლება-მეთქი. სულ მცირე, ამანდას მკვლელობასა და მეგანის მკვლელობის მცდელობაში დამნაშავედ ნამდვილად ვცნობდით. წავახალისე კიდეც, აიყვანე ადვოკატები-- მეთქი. ეს მისი კოზირი აღმოჩნდა. მერე ატირდა და მსხვერპლების დადანაშაულება დაიწყო.

ყველაზე საინტერესო მეგანის სულისშემძვრელი ისტორია იყო იმის შესახებ, თუ როგორ მოიტაცეს „გრანდ-ვიქტორიას“ უკან მდებარე ნავმისადგომიდან:

- ძალიან მინდოდა, მეყვირა, მიშველეთ-მეთქი, მაგრამ ოკეანის ტალღების ხმის გამო ვერავინ გაიგონებდა, მერე კი იარაღი დავინახე. წამებში უნდა გადამეწყვიტა, რას გავაკეთებდი. მხოლოდ ჩვენს შვილზე ვფიქრობდი.

შუადღისას ჯეფმა ლორის მისწერა, რომ გოგონა ეყოლებოდათ, და ლორას დარქმევას აპირებდნენ.

- თქვენი და თქვენი გუნდის გარეშე მთელი ცხოვრების ეჭვქვეშ გატარება მომიწევდა, - უთხრა მას ჯეფმა.

ლორიმ იმდენჯერ დაამონტაჟა შოუ, რომ უკვე ყველა სიტყვა ზეპირად იცოდა. ისიც კი იცოდა, რომ ალექსის დამასრულებელი მონოლოგი ზუსტად ოთხმოცდათოთხმეტი წამი გრძელდებოდა.

- როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთმა ყოფილმა წარმომადგენელმა გვითხრა, ნიკს სიძულვილი ამოძრავებდა - სიძულვილი იმ რომანტიკული სიყვარულისა, რომელიც თვითონ არასდროს ექნებოდა. აღმოჩნდა, რომ ქალებს,

რომლებმაც უარი უთხრეს, ჯეფ ჰანტერი მოსწონდათ. ამ ღამეს ნიკ იანგი გისოსებს მიღმა გაათენებს - ორი ქალის მკვლელობასა და ერთის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული. ალბათ, ახლა ქალები უფრო მშვიდად დაიძინებენ.

ტიტრების დროს ლორის ტელეფონმა დაიწკრიალა. როგორც ჩანს, ბრეტისამაც, რადგან წამოიყვირა:

- ტვიტერი აფეთქდა. ყველგან ჩვენი ტრენდებია. ეს ყველაზე დიდი სენსაცია იყო.

თუმცა ლორისთვის მოსული შეტყობინებები ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე მთელი ეს აურზაური. პირველი ქეით ფალტონისგან იყო: „ამანდას გამო ვტირი, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ მის ოჯახს სიმშვიდე მოუტანე. გმადლობ ყველაფრისთვის“. არავის გაუგია, რომ წლების წინ ქეითმა „გრანდ-ვიქტორიაში“ ჰენრი პირსთან გაატარა ღამე და ლორი დარწმუნებული იყო, რომ მომავალშიც ვერავინ გაიგებდა.

ოსტინ პრეტმაც კი გამოუგზავნა შეტყობინება: „ჩემი ნიშნობა უკვე გამოცხადებულია. ტექნოლოგიური გენიოსია, საჩემო ქალი. „მარტოხელა მტრედს“ „გვრიტებად“ გადავაკეთებ“.

შემდეგი ჯეფისგან იყო: „ჯერ კიდევ შოკში ვართ, მაგრამ ვცდილობთ, ცხოვრება გავაგრძელოთ. მადლობა ღმერთს, მეგანი კარგადაა. ერთი სული გვაქვს, ბავშვი როდის გაჩნდება! ყველას დიდი მადლობა ყველაფრისთვის“.

პირსების ოჯახმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ჯეფს ამანდას მემკვიდრეობა მიეღო. გულწრფელად სურდათ, „წმინდა ჯეფრის“ ყველაფერი ჰქონოდა. ჯეფმა მათ გულითადი მადლობა გადაუხადა და უთხრა, რომ ეს ფული საშუალებას მისცემდა, სახალხო დამცველად მუშაობა გაეგრძელებინა, საითაც კარგა ხანია, გული მიუწევდა. ახლა ოჯახის რჩენას კერძო პრაქტიკის გარეშეც შეძლებდა.

როცა სანდრა და უოლტერი დივნიდან ადგნენ, ლორიმ შეამჩნია, რომ მთელი საღამო ხელიხელჩაკიდებული ისხდნენ.

პირსების ოჯახთან დამშვიდობებისას, შარლოტმა ლორის ყურში მადლობა ჩასჩურჩულა და უთხრა:

- ხუთშაბათს დალევა ძალაშია?

ლორისთვის გასაოცრად, პალმ-ბიჩიდან დაბრუნების შემდეგ შარლოტმა ლანჩზე დაჰპატიჟა. უთხრა, ორივე დაკავებული ქალი ვართ და არ გვაწყენს ოფისის გარეთ მეგობრობაო. მართალი აღმოჩნდა. გრეგის სიკვდილის შემდეგ ლორიმ პირველად გაიჩინა მეგობარი.

- ნამდვილად არ გავაცდენ, - უპასუხა ქალმა.

* * *

ალექსი ტიმის განსაკუთრებით დიდხანს ჩაეხუტა. ლორი ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, მაგრამ ყელში გაჩხერილი ბურთი იგრძნო, როცა მამამისს უთხრა, ფოიეში შეგხვდებითო. როდესაც ყველანი გავიდნენ, ალექსმა რამონსა და ენდრიუს ისე გახედა, რომ ორივე თავის საძინებელში გააქცია.

- ჰოდა... - თქვა ალექსმა სევდიანად.

- ათასობით მილის იქით არ გადადიხარ.

- არა, მაგრამ, როგორც გითხარი, ფედერალური სასამართლოს რამდენიმე საქმე ავიღე, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო თვეებში ბევრი მოგზაურობა მომიწევს.

ლორიმ ძირს დაიხედა. ახლაღა შეამჩნია, რა ლამაზი იყო ეს ხალიჩა. ოდესმე კიდევ ნახავდა?

ყველაფერი ისე იყო, როგორც მამამისს უთხრა: თუ მოსახდენია, თავისთავად მოხდება. არაა საჭირო ამაზე ბევრი ფიქრი, მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, რომ ეს სიმართლე არ იყო.

თვითონ არ აძლევდა ამ ყველაფერს მოხდენის საშუალებას... და ალექსი შოუს სამსახურის გამო არ ტოვებდა. იმიტომ მიდიოდა, რომ ლორი უყვარდა, ქალი კი უკან იხევდა და იცოდა, რატომაც. გრეგი ისევ ძალიან ენატრებოდა. ჯერ კიდევ არ იყო მზად მის შესაცვლელად.

- უოლტერი და სანდრა დაინახე? - სალაპარაკო თემას ეძებდა, დამშვიდობება რომ თავიდან აეცილებინა, - მგონი, ყველაფერი გადალახეს. ზოგიერთი წყვილი აუცილებლად ერთად უნდა იყოს.

- ზოგჯერ ადამიანს რამდენჯერმე ეწვევა სიყვარული, - თქვა ალექსმა, - ჯეფი გაიხსენე. ამანდა უყვარდა, ახლა კი მეგანი უყვარს. ხომ ხედავ, რა ბედნიერები არიან.

ლორი ყველაფერს მიხვდა.

- ნახვამდის, ალექს, - ჩახუტებულები იდგნენ. კაცმა მხოლოდ ერთხელ აკოცა ნაზად.

ლორის წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ფიქრობდა კაცი, როდესაც კარიდან გავიდა. ეს იყო ფრაზა მისი საყვარელი სიმღერიდან: „ღმერთო, გადმომაფრქვიე შენი სიყვარული“.

* * *

ტიმი ფოიეში იცდიდა, ცდილობდა, უნებლიე სიცილი დაემალა. ლორის ვერ წარმოედგინა, ამ მომენტში სხვა რა გააღიმებდა.

- დე, ყველა ჩემი მეგობარი მეცოდება, - თქვა ონავრულად.

- რატომ? - ქალმა მინიშნებისთვის ლეოს გახედა, მაგრამ მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა.

- იმიტომ, რომ მათი დედები ოდნავადაც კი არ არიან ისეთი მაგრები, როგორიც შენ ხარ. შენ ცუდ ბიჭებს იჭერ.

როდესაც ბიჭი ჩაეხუტა, ლორის გული გაუთბა. უნდოდა, ხვალინდელი დღე მალე დამდგარიყო. ახალი საქმე უკვე იპოვა. ახალგაზრდა ქალი უდანაშაულოდ იჯდა ციხეში და ლორი ამის დამტკიცებას აპირებდა.

„და ალექსი - როდესაც მზად ვიქნები გულის გასაღებად, ღმერთო, გთხოვ, იქ იყოს“.